

K 120 696  
3



ნიკო ცხადოვანი

არაგატ ანდონი  
ცაგენი

იმპრესია  
გლობულიტონი



ԱՐԵՎԱՏՅԱՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆԱԳՐԻ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆԱԳՐԻ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆԱԳՐԻ

178

Ձ-Ց

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆԱԳՐԻ  
ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆԱԳՐԻ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆԱԳՐԻ

17353

39464

X

“Ապշեցառություն” գովազներ և առաջնահանձնություն

1965





წიგნი შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო  
სოლომონ ხუციშვილმა

K 120646

საქართველო  
პარლამენტი  
06036363  
ერქვითი

## ნიკო გაგიშვილი

ნიკო ტატიშვილმა მეორე მსოფლიო ომის დაუსრულებელ გზებზე იარა 1941 წლის 11 ივნისიდან. მან ახლად დაწყებული მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა შეწყვიტა და თან წაიღო ფიქრი და ზრუნვა დაუმთავრებელ ნაშრომებზე. მას ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ საყვარელ საქმეს დაუბრუნდებოდა და იმუშავებდა ქართულ ლიტერატურის მცოდნეობაში. მის თვალებში ყოველთვის კიაფობდა საქმის ერთგული ადამიანის დამახასიათებელი ცეცხლი. ასეთი ანთებული თვალებით შეეგება იგი თავის ბედსა და განსაცდელს. არასოდეს გადაუწყვეტია გამარჯვებისა და სამშობლოში დაბრუნების იმედი. ომში, ზამთარში, ღამიანად, რუსთაველია და ვაჟა-ფშაველას იგონებდა. „ხშირად მაგონდება ჩვენი განვლილი ცხოვრება, სტრიქონები რუსთველისა და სხვა ჩვენი პოეტებისა, — წერდა იგი 1942 წელს 10 თებერვალს, — დღეს თოვს და ვაჟას „ალუდა ქეთელაურის“ სიტყვები მიდგას ყურში, განსაკუთრებით უკანასკნელი თავი: „თოვლი თოვს, ქარი ბობოქრობს... კიდევ კარგი, რომ ზეპირად მახსოვს, თორემ აქ სად ვიშოვნი ლექსებს“...

ფრონტიდან იწერებოდა: „რომ იცოდეთ, როგორ მენატრებით ყველანი! არათუ თქვენ, ის ვაზის ხეც კი, ჩემს ეზოში რომ დგას. ჩემი მეზობლები, ჩემი მეგობრები, ჩემი თბილისი... მაგრამ, არა უშავსრა, ჯერ ბრძოლაა საჭირო და მე ღრმად მწამს, რომ ერთმანეთს შევხვდებით“. ასეთი რწმენით იყო სავსე, როცა ლექსად დაწერილ წერილში ამბობდა:

საყვარელი გამაჟავებს  
ჩემი ტურფა მხარისა,  
გულში ასი ტყვია დამკრან, —  
ვაჟკაცურად ავიტან,  
დავბრუნდები ჩემ თბილისში  
დაჭრილ-ნახმლევ თავითა...

ნიკო ტატიშვილი თავის თბილისს ვედარ დაუბრუნდა.

1926 წელს დეკემბრის უურნალ „ნაკადულში“ დაიბეჭდა თორმეტი წლის „ძვილეთელი ტატიშვილის“ ლექსი, რომელშიც ზაფშვრი უშეალობით გამოთქმული იყო აზრი ადამიანის „დაწიმნულზაზე“. ლექსს ერქვა „ჩემი ნატვრა“. ნიკო ტატიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ასპარანტურაც იქვე გაიარა 1936-1939 წლებში. 1940 წელს დეკემბერში სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა წარმატებით და მცირე ხნის განვალობაში სერიოზული და დაკვირვებული მკგლევარისა და უმაღლესი სასწავლებლის მუშავის ნიჭი და უნარი გამოიჩინა, დაწერა რამდენიმე გამკელევა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურიდან და ზოგიერთი გამოაქვეყნა კიდევ 1941 წლის ივნისამდე. მისი ინტერესის სფერო იყო მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურა, ბეჭდვითი პერიოდული ორგანოების ისტორია, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. კულტურულ-ლიტერატურული საკითხების კვლევისას ნ. ტატიშვილს განსაკუთრებით იზიდავდა იღია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. იგი ქართული ლიტერატურის რუსულ და ეგრობულ ლიტერატურასთან ურთიერთობა-კავშარის საკითხებსაც არკვევდა. მისი ლიტერატურული ინტერესის შედეგი ქვეყნდებოდა კიდევ მაშინდელ ქართულ უურნალებში და სხვა პერიოდულ ორგანოებში: „მნათობში“, „ბიბლიოგრაფიის მოაშებში“, „პუშკინის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომებში“, „სახელმწიფო მუზეუმის შრომებში“, „იღია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „ჩევნ თაობაში“...

ნიკო ტატიშვილი მოხდენილად ამჟღავნებდა ლიტერატურული ანალიზის უნარს, ერულიციას ძრობლების დაყენებასა და მათი სათანადო სიღრმით დასაბუთებისას. ქართულ ლიტერატურულ ფაქტებს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების თანამდევად განიხილავდა, ამასთანავე; მათ აფასებდა როგორც ღრმად ეროვნული შეგნების გამოვლინებას, როგორც იმ ბრწყინვალე იდეებს გამოსხივებას, რომელიც მოწინავე საზოგადოებას გააჩნდა თავისი არსებობის სხვადასხვა პერიოდში.

ქართული კულტურა თავისი ეროვნული საწყისებითა და ზოგად-კაცობრიული, ღრმად ჭუმანისტური იდეალებით მსოფლიო კულტურისაკენ მიდის და მის შექმნაში მონაწილეობს — ასეთი თვალსაზ-

რისით განიხილავდა იგი ილია ჭავჭავაძის, გაუა-ფშაველას, აკაცი წერეთლის შემოქმედების ზოგიერთ მომენტს, ამ თვალსაზრისით აფასებდა ქართული ხალხური შემოქმედების უბადლო ნამუშებს.

აქ თავმოყრილი წერილები პირველად იბჯებდება. მათი შექმნის დროსა და ჩვენ დროს შორის იმდენმა ხანმა გაიარა, რომ შეიძლებოდა ზოგიერთ მათგანს ადრე გამოთქმულ აზრთა ელვარება მოკლებოდა. მაგრამ ნიკო ტატიშვილის ნაწერების თემა, განხილული საკითხები, ავტორისეული ინტერპრეტაცია და დასკვნები ჩვენი დროის ქართულ ლიტერატურისმცოდნებას ეთანხმებიან. ილია ჭავჭავაძე და გაუა-ფშაველა, აკაკი წერეთელი და ქართული ლიტერატურის ეროვნული თემატიკა, ქართული საზოგადოებრივი აზროვნება და პრესა — ის საკითხებია, რომელთა შესწავლა ამა თუ იმ თვალსაზრისით ყოველთვის ახალი იქნება.

ნიკო ტატიშვილის ის ნაშრომი, რომელშიც ქართული კულტურისა და ლიტერატურის სხვა ერთა სულიერი ცხოვრების მიღწევებთან ნაცნობობაზე არის ლაპარაკი (დავით ერისთავის „სამშობლოსთან“ დაგავშირებით), შედეგია ავტორის ხანგრძლივი დაკვირვებისა და შრომისა. ამისათვის მან საფუძვლიანად შეისწავლა როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერად არსებული, ამ საკითხისათვის მნიშვნელოვანი მასალა და დაწერა საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა იმისა, თუ როგორი იყო წყაროები ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული აზროვნებისა მე-18 თუ მე-19 საუკუნეში. საქმეში ჩახედულმა ადამიანების, რომ ქართველმა ინტელიგენტებმა მე-18 საუკუნეში რუსეთის გზით დაიწყეს შესწავლა ეკრობული ლიტერატურისა, მეცნიერებისა, საზოგადოებრივი აზრის მოძრაობისა. ამ საკითხის გარკვევას ემსახურება წერილი, რომელშიც მრავალი მასალაა მოქმობილი და გაანალიზებული. ამ გამოკვლევის ერთი ნაწილი ეხება დავით ერისთავის მუშაობას იმ სახელმოხვეჭილ პიესაზე, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში, არა მხოლოდ ქართული სამუდამო სცენის — 1879 წელს განახლებულ თეატრში, არამედ ქართულ სცენიურ და დრამატურგიულ ხელოვნებაში გარკვეული საფეხური შექმნა. ეს იყო დ. ერისთავის „სამშობლო“.

წერილებში „ილია ჭავჭავაძე — მხატვრული ლიტერატურის

კრიტიკოსი“ და „ვაჟა-ფშაველა“ ნიკო ტატიშვილს სიახლე  
ახასიათებს იმ თვალსაზრისში, რაც შექმნილი იყო ქართულ ლიტე-  
რატურის მცოდნეობაში, ამ მწერლების შემოქმედების თავისებურუბა-  
თა კვლევაში. ეს მხარე დამახასიათებელი იყო ახალგაზრდა მკვლე-  
ვარისა, მუდამ მაძიებელი გონებისა. მისი წერილი უურნალ „იმე-  
დის“ შესახებ განხილვაა ქართული უურნალისტიკის მაიშვნელოვანი  
ფაქტისა, იმ მხარეთა გამოყოფა, რომელთაც მკვლევარი ჯერ არ შე-  
ხებოდა. ქართული პრესის ისტორიკოსი გამოიყენებს ნიკო ტატიშვი-  
ლის ამ ნაშრომებს. გამოიყენებს მკითხველი აგრეთვე სხვა მის  
თხზულებებსაც, განსაკუთრებით, ჩვენი ლიტერატურული ინტერესით  
აღსავსე ახალგაზრდობა, რომელიც დროული მანძილის მიუხედა-  
ვად (წერილების დაწერასა და მათ დაბეჭდვას შორის) მაინც მო-  
ნახავს მისთვის მნიშვნელოვან და მისი ცოდნისათვის აუცალებელ  
მოსაზრებებსა და შეხედულებებს. სწორედ ამიტომ ეს კრებული იქ-  
ნება უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა მკვლევარის მოსაგონებელიც  
და მკითხველი საზოგადოების გაზრდილი ლიტერატურული ინტერე-  
სის ზოგიერთი საკითხის პასუხიც.

ნიკო ტატიშვილის სიცოცხლის თარიღებია 1914—1943.

ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობა და  
ლაპიტ ერისთავის „სამშობლო“

ნაწილი პირველი

წინამდებარე ნაშრომის თემა ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობაა. სურათის სისრულისათვის აუცილებელი გახდა ამ ურთიერთობის პირველი მომენტების გათვალისწინება. არ იქნებოდა მართებული ურთიერთობის განხილვა მხოლოდ მე-19 საუკუნით შემოგვეზღუდა. ასე რომ მოვწევულიყავით, საკითხის ფესვები მე-18 საუკუნეში დაგვრჩებოდა. ფრანგულ-ქართული ისე, როგორც რუსულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობა, მძლავრ ფაქტორად იქცა ახალი ქართული ლიტერატურის შექმნისათვის; ამიტომ ახალი ქართული ლიტერატურის შესწავლის დაწყება მხოლოდ მე-19 საუკუნიდან — 1800 წლიდან, გაუმართლებელია. ახალი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბება მე-18 საუკუნეში დაიწყო. იგი არ შექმნილა მხოლოდ მე-19 საუკუნეში, ისე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურა არ დამთავრებულა მე-18 საუკუნის გასულს. ამ შემთხვევაში დიალექტიკურ განვითარებას ჰქონდა აღგილი. ამ პრობლემას აქ მხოლოდ იმიტომ ვაყენებთ, რომ დაგვესაბუთებინა ჩვენი შრომის მე-18 საუკუნიდან დაწყება.

ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობის საკითხი სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია, მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს სრულიად უტრადიციო ვიყავით ამ საქმეში. ალ. ცაგარლის, ალ. ხახანაშვილის, კ. კეკელიძის, მ. ზანდუკელის, კ. კაპანელის, გ. ლეონიძის, ლ. ასათიანას ნაშრომებში არის განხილული ზოგიერთი მომენტი ამ ურთიერთო-

ბისა. დასახელებულთაგან ზოგა, მართალია, მეტად გაკვრით ეხება ამ პრობლემას. ჩვენ ვცადეთ ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობის მთლიანი სურათის ზოგადად მოცემა (მე-18 — მე-19 ს.); სპეციალურად განვიხილეთ ვიქტორიენ სარდუს „Patrie“-ს და დავით ერისთავის „სამშობლოს“ ურთიერთობა, „სამშობლოს“ მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

სამართლიანი იყო შრომის სათაურშივე განგვესაზღვრა ეს მიზნები, მაგრამ მოუხერხებდელია.

მეორე შენიშვნაც სათაურის გამო: ურთიერთობა გულისხმობს ორმაგ გავლენას. მე-19 საუკუნეში ქართული ძეგლებიც ითარგმნა ფრანგულად, მაგრამ ამას ფრანგული მხატვრული ლიტერატურისათვის არავათარი მნიშვნელობა არ ჰქონია და მხოლოდ მეცნიერული ინტერესით ისაზღვრებოდა. სარდუს „Patrie“-ს და ერისთავის „სამშობლოს“ დეტალური ფილოლოგიური ანალიზისა და „სამშობლოსთან“ დაკავშირებულ ისტორიული საკითხების გარკვევით ვამთავრებთ ამ შრომას. შესაძლებელია, ასეთი კითხვა დაისვას: აუცილებელი იყო თუ არა ქართული „სამშობლოს“ პოეტიკის დეტალური ანალიზი? ეს საჭიროდ არ ვცანით. რადგან ჩვენი მაზანია საკითხის ურთიერთობის ასპექტზე განხილვა. და რამდენადაც ეს საჭირო იყო საკითხისათვის, შევეცადეთ უყურადღებოდ არ დაგვეტოვებინა.

დასასრულ, ერთი განმარტებაც: ჩვენი მიზანი ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლაა, და, ამიტომ ქართული ლიტერატურის შენაკადების გათვალისწინება მოვინდომეთ ამ შემთხვევაში კი ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობით შემოვიფარგლეთ.

ძველი ქართული ლიტერატურა დავალებულია ბერძნული და ასურული მწერლობისაგან. მე-11 საუკუნიდან, საერო მწერლობის ჩამოყალიბებისთანავე, ქართულ ლიტერატურას კიდევ ერთი ნაკადი ემატება. ჩვენ აქ სპარსულ პოეზიას ვგუ-

ლისხმობთ. საქართველო-ქართული ლიტერატურის ურთიერთობა  
საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. თვით მე-19 საუკ. ნახევრა მდგ  
ქართულ ლიტერატურას აშკარად ატყვია აღმოსავლური კვალები.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებს საქართველო. ქველ და საშუ-  
ალო საუკუნეებში, კულტურის საჩინაოების არ შეხვედრია.  
იგი საკუთარი გზით მიღიაოდა, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება  
სამუდამოდ არ გაგრძელებულია. უამთა სვლამ შეცვალა ჩვენი  
ქვეყნის მდგომარეობა. მე-17 საუკუნადან ქართული ლიტერა-  
ტურა ახალ გზებს ეძიებს. ცდილობს თავი გაითავისუფლოს  
სპარსული ზღაპრული ფანტასტიკისაგან, ქართული ცხოვრე-  
ბის აღწერა მოგვცეს. ეს მოვლენა შემთხვევითი არ იყო. ორი-  
ენტაციის ძიებას ადგილი ჰქონდა არა მარტო ლიტერატურა-  
ში, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.  
ლიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან წინამორბედი იყო  
საქართველოს ახალ გზაზე დადგომისა. ასეთსავე ურთიერთო-  
ბას გვიჩვენებს საქართველოს ისტორია ევროპის სხვა ქვეყნებ-  
თანაც. სულხან-საბა ორბელიანმა 1713—1716 წ.წ. იმოგზაუ-  
რა ევროპაში, იყო „ფარიზში“, ინახულა ლუი მე-14 და სთხოვა  
დახმარება. ცხოვრებამ საქართველო, დასავლეთ ევროპის ქვეყნების  
ნაცვლად, რუსეთს დაუკავშირა, საქართველო რუსეთს  
ოფიციალურად 1801 წ. შეუერთდა. ეკონომიკური დაახლოება  
მათ შორის მე-18 ს. მეორე ნახევარში მოხდა. არც ქართულ  
ლიტერატურას დაუცდია 1801 წლის მანიფესტისათვის. კულ-  
ტურული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის  
მე-18 ს. ნახევრიდან უკვე თვალსაჩინოა.

რუსულმა ლიტერატურამ დიდი გავლენა მოახდინა ქარ-  
თულ ლიტერატურაზე. გავიხსენოთ თერგდალეულების კავში-  
რი რუს მესამოცე წლების დემოკრატიულ მწერლებთან და  
შემდეგი პერიოდიც. რუსულ-ქართული ლიტერატურის ურ-  
თიერთობა სპეციალურა კვლევის საგანია. ჩვენ აა შემთხვე-  
ვაში გვაუნტერესებს ქართული ლიტერატურის ურთიერთობას  
ფრანგულთან. ეს კი მე-18 ს. ბოლოს და მე-19 ს. დასაწყისში,  
თითქმის მთლიანად რუსული ლიტერატურის მეოხებით მიმ-  
დინარეობდა. ამიტომ საჭიროა რუსულ-ფრანგულ ლიტერა-  
ტურათა ურთიერთობას მოკლედ მაინც შევეხოთ.

არჩილ მეფის, შემდეგ კი ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალის რუსეთში გადასვლამ ქართველობა რუსულ ლიტერატურასთან დააახლოვა. ამალაში მრავალი პოეტი იშეკრუბოდა პოლიტიკურ ასპარეზს მოწყვეტილი ქართველი კულტურულ მუშაობას ეწეოდნენ. სწავლობდნენ რუსულ ლიტერატურას და ეცნობოდნენ იმ კულტურას, რომელიც რუსეთში ბატონობდა.

რუსეთი მე-18 ს. დასაწყისში დაადგა გაევროპიელების გზას. პეტრე პირველის ბრძოლა იქით იყო მიმართული, რომ „გამოეჭრა ევროპისკენ სარკმელი“, ძველი რუსეთი ძლიერ სახელმწიფოდ ექცია. ფრანგული კულტურა რუსეთში ამ დროიდან იკიდებს ფეხს. პეტრეს ეპოქაში ინტერესს იჩენდნენ ფრანგული ლიტერატურისადმი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა უტოპისტი ფენელონის „ტელემაქის მოგზაურობა“. ამ ეპოქაში იგი რამდენჯერმე ითარგმნა. ფრანგული გავლენის სფეროს გაფართოება ხდება განსაკუთრებით ანნა იოანეს ასულის მეფობის დროს. ინტერესი საფრანგეთისადმი იზრდება ელისაბედის, ეკატერინე II და ალექსანდრე პირველის მეფობაში (1812 წლამდე).

რუსეთის არისტოკრატია ბაძავს ფრანგ არისტოკრატიას, იმპერატორი ფრანგ მონარქებს, იღეალია ლუ XIV. ვერსალს პეტერგოფი ეჭიბრება. გალომანით შეპყრობილ არისტოკრატიის ცხოვრებაში დიდ ადგილს იჭერს ფრანგული ენა. მისი ცოდნა ითვლება აუცილებლად „ბო მონისათვის“. ბატონდება ფრანგული კლასიციზმი. ჩვენთვის რაც უფრო საყურადღებოა, რუსეთი არ ჩება არც ფრანგ განმანათლებელთა გავლენის გარეშე. საფრანგეთში უნდა ვეძიოთ სათავე ანტირელიგიური და ფეოდალიზმის საწინააღმდეგო იდეებისა. მე-18 ს. შუა წლებში ითარგმნა მონტესკიეს „სპარსული წერილები“, უფრო გვიან. „კანონების სული“, რომელიც ეკატერინეს ეპოქაში უნივერსიტეტის კურსში იყო შეტანილი. ფრანგი ენციკლოპედიისტებისა და კერძოდ, „კანონების სულის“ უშუალო გავლენას განცდის ეკატერინე მეორის „ნაკაზი“. განსაკუთრებით დიდი და დადებითი გავლენა მოახდინა რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე ვოლტერმა. ვოლტე-

რიანობამ რუსეთში ფესვი გაიდგა მე-18 საუკუნის 60—80-იან  
წლებში; მაგრამ ვოლტერიანობა რუსეთში არ წარმოადგენდა  
რაიმე მთლიან მსოფლმხედველობას. ბევრი რუსი მოაზროვნე,  
რომელიც თავს ვოლტერის მიმღევრად თვლიდა, შორს იყო  
ვოლტერის იდეებისაგან.

ფრანგული კულტურის გავლენა რუსეთში ყოველთვის  
ერთნაირი არ ყოფილა. რუსეთისა და საფრანგეთის ოპლიტი-  
კურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი უკრყოფითად მოქ-  
მედებდა რუსულ-ფრანგული ლიტერატურის ურთაერთობაზე.  
ფრანგ განმანათლებელთა წინააღმდეგ რეაქცია გამოიწვია რუ-  
სეთში ჯერ გლეხთა აჯანყებებმა და განსაკუთრებით საფრან-  
გეთის დიდმა ბურუუაზიულმა რევოლუციამ. რუსულ-ფრანგუ-  
ლი კულტურის ურთიერთობის შესუსტებას ხელი შეუწყო აგ-  
რეთვე ნაპოლეონის ბრძოლამ რუსეთთან. ამ გარემოებას არ  
შეეძლო მთლიანად მოესპორ რუსულ-ფრანგული ლიტერატუ-  
რის კავშარი. ფრანგული ლიტერატურით ეცნობოდა რუსეთი  
ინგლისელ და გერმანელ მწერლებს. ონეგინის შესახებ პუშ-  
კინი ამბობს: —

### Знал немецкую словесность По книге госпожи де Сталь

ფრანგული ლიტერატურით გატაცება რუსეთში მე-19 ს.  
დასაწყისში დამთავრდა. რუსული რომანტიზმი ავიწროებდა  
და ებრძოდა ფრანგულ კლასიკიზმს. ფრანგული მხატვრული  
ლიტერატურის კვალი მე-19 ს. რუსულ ლიტერატურასაც ამჩ-  
ნევია. მაგრამ იგი უკვე მკრთალია. 30-იანი წლებიდან რუსული  
ლიტერატურა გათავისუფლდა უცხოეთის მიბაძვისაგან და სა-  
უკუნის დასასრულს ევროპაში ერთ-ერთ მოწინავე ლიტერა-  
ტურად იქცა. რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და პუბ-  
ლიცისტიკაში ვრცელდებოდა სენ-სიმონის, ფურიეს, კაბეს  
იდეები. ფრანგული უტოპიური სოციალიზმი მიმღევრებს პო-  
ულობს რუს მოაზროვნეთა შორის. უტოპიზმის ანარეკლს ვხე-  
დავთ თვით ჩერნიშევსკის რომანში — „რა ვაკეთოთ?“!<sup>1</sup>

<sup>1</sup> Русская культура и Франция. Литературное наследство, 1937,  
т. 29—30, ს. მაკაშინის წერილი. «Литературные взаимоотношения  
России и Франции XVIII—XIX вв.».



ფრანგულ ლიტერატურას საქართველოში კიდოებული ქადაგის ნასკნელი რუსეთს არ დაუახლოვდა, სრულიად არ იცნობდნენ. აქ ჩვენ ვგულისხმობთ მხატვრულ ლიტერატურას. თორემ საქართველო დასავლეთ ევროპასთან, მისიონერების მეშვეობათ, მე-13 საუკუნიდან იყო დაკავშირებული. მრავალი ქართველი მიდიოდა რომში სწავლის მისაღებად; ისინი სწავლობდნენ თეოლოგიას და კათოლიკიზმის არტახებით შებოჭილნი ევროპის საერო, პროგრესიულ ლიტერატურას უგულველყოფნენ. რუსეთთან დაახლოვებამდე ქართველებს ზოგადი წარმოდგენა მაინც ჰქონდათ ევროპაზე. ტერმინი საფრანგეთი, ფრანგეთი, ქართულად ევროპას ნაშნავდა. — „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო“. — ამბობს ხალხური ლექსი.

საქართველოში ევროპიელები ცნობილნი იყნენ გონიერებით. ერთი ძველი მწერლის დახასათებით, ქვეყნად განთქმულია „ჭკუა ფრანგისტანისა“. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვხვდებით ასეთ ადგილს: „მაშინ იოანემ უთხრა ზურაბას: თუ ვინმე რიგიანად იტყვის რასმე. ფრანგს ეძახიან ჩვენში, და რა ჩვეულება არს ესე? ზურაბა: ამისათვა! რადგან საფრანგეთში მენციერება ბევრია, და მენციერნიც მოდიან იქიდამ პატრნი თუ სხვანი, ამის გამო, ვისაც მცოდნარეს ნახვენ, ფრანგს ეძახიან“.

საქართველოში მოდიოდნენ ევროპელი და მათ შორის ფრანგი ვაჭრები. ერთ-ერთმა ფრანგმა ვაჭარმა, შარლენმა, საქართველოში მოგზაურობის აღწერაც კი დაგვიტოვა. საქართველოში, ჭკუისა და განათლების გარდა, განთქმული ყოფილა ევროპული საქონელი. ხალხური ლექსი აქებს ქალს: „საფრანგეთისა ატლასო, ალისგან გადამეტი ხარ“.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველებმა ევროპა, კერძოდ. საფრანგეთი, იქაური ლიტერატურა, რუსეთის მეოქებით გაიცნეს. ჭერ კიდევ არჩილ მეფის ვაჟმა, ალექსანდრე ბატონიშვილმა მიიღო განათლება რუსეთში, სა-

დამ პატრინი თუ სხვანი ,ამის გამო, ვისაც მცოდინარეს ხახა-  
წევრების შესახებ უკვე დოკუმენტური ცნობები მოგვყალე-  
ბა, რომ ისინა ფრანგულ ენას სწავლობდნენ. პროფ. ალექსანდრ  
გარელს ერთ ძველ წიგნზე ამოუკითხავს ქართული მიწაწერის ისტორია  
„1727 წელსა, ქრისტეშობას მივებარე ბროკეტოსა, სასწავ-  
ლოთ არხიტექტურისა, მილიტერიისა და არტილერიისა; ფრან-  
ცეცულის ოსტატს (მივებარე) 1727 წ. მარტს; ქორწილი მოხ-  
და 1729 წელსა; ლამბერთოს მივე სასწავლდ ერთი თუმანი. ქ.  
ფრანციცული წიგნი ვიყიდე, მივე საში შა-  
ური; უწინდელი ფრანციცულის ოსტატს მი-  
ვე საში შაური“<sup>2</sup>.

ამ ეპოქას ეკუთვნას „ქართველი ბუალოს“ — მამუკა ბა-  
რათაშვილის პოეტიკის სახელმძღვანელო „ჭაშნიკის“ ბუალოს  
„L'art poétique“-თან ურთიერთობის საკითხი ინტერესს იწ-  
ვევს. თავისი ნორმატიულობით. პოეზიის კანონებისადმი და-  
მორჩილების მოთხოვნით, „ჭაშნიკის“ საერთო აქტი „L'art  
poétique“-თან, მაგრამ ჩვენ ბუალოს უშუალო გავლენას მა-  
მუკაზე ვერ ვხედავთ. შესაძლებელია, მხოლოდ სახელმძღვანე-  
ლოს დაწერის იდეა გამოწვიოს ბუალოს პოეტიკის გაცნობას.

მეფის ძე ბაქარის ბრძანებით, მოსკოვში უთარგმნიათ რუ-  
სულიდან (რომელიც თავის მხრივ თარგმნილია ფრანგულიდან)  
„იკონომია“. ეს წიგნი დიდაქტიკური ენციკლოპედიაა. მასში  
მოცემულია ცნობები არქიტექტურიდან, მედიცინიდან, მეაბ-  
რეშუმეობიდან, დარიგებანა ცოლის შერთვისათვის, პედაგო-  
გიური მოსაზრებანი — ბავშვის სწავლა-აღზრდის შესახებ. თა-  
ვისთავად ეს წიგნი საყურადღებოა. როგორც პირველი იმუში  
ქართულად თარგმნილა ფრანგული თხზულებისა. მასში მოცე-  
მული აზრები უნებურად გვაგონებს დავით გურამიშვილის დი-  
დაქტიკას. „იკონომია“ თარგმნილია 1748 წ. ვახტანგ VI შვი-  
ლის ბაქარის ბრძანებით, ე. ი. იმ ჭრეში, რომლის წევრიც. ცო-  
ტა ადრე, თვით გურამიშვილიც იყო. გურამიშვილი, რომელიც

<sup>1</sup> არჩილსა და ალექსანდრეს იხსენიებს ვოლტერი თავის „Histoire de Charles XII roi de Juiede“.

<sup>2</sup> პროფ. ალ. ცაგარელი, „Сведения...“ III, 230.

ნიადაგ ცოლნა-სწავლის ეძებდა, არ დასტოვებდა წაუკითხად მეგობართა წრე ი გადმოთარგმნილ საყურადღებო წიგნს. შესაძლებელია ამ წიგნით ნაწილობრივ დავალებული იყოს დავით გურამიშვილი. მიუთითოთ რამდენიმე დეტალზე. „იქონომია“ — „ყრმა ჩჩვილი ვითა სანთელი. რაიცა ყრმასა ზედა ჩჩვილობიდგან დაისახების, ექმნების იგი ვიდრე სიბერემდე“. გურამიშვილი:

ვით ახალ მორჩი ვაზისა,  
ხელს მიჰყვეს საფურჩვნელადა,  
ეგრეთ ახალი მოზარდი,  
ყრმა ოსტატს გასაწორვნელადა.

„იქონომიის“ ავტორს ბავშვის იღზრდისათვის აუცილებლად მიაჩნია სისასტიკე და ასეთ რჩევას იძლევა — „შემოძახებითა, შიშითა და ცემითაცა ამყოფებდე, ვიდრე მართალს და სრულსა ასაკსა შევლენ“.

„გარნა გალახვა ესე ზომიერად და კაცთ მოყვარებით ჰქმენ. ყრმა წკეპლითა და მოზრდილი შიშით და ძრწოლით აშვიდე“.

„უკეთუ რომელიმე მაოგანნი იქმნებიან ზანტი, გინა ცელენი, მათ წკეპლითა და მსუბუქისა განსწავლითა ამშვიდებდე“. გურამიშვილის დიდაქტიკაში აღზრდის ასეთ მეთოდს საპატიო აღგილი უჭირავს:

ნუ გენალვლების სწავლაზე  
ყრმის წკეპლის ცემით კივილი,  
მალ გამთელდების უწამლოდ  
მისი წყლულების ტკივილი.

ან:

შენ გემეტების რად არა  
ძე წვრთნაზე გასაწკეპლადა?

„იქონომიის“ ავტორი ჭეშმარიტი ქრისტიანია, ამიტომ რჩევას იძლევა — ბავშვს „ყოველთვის წარგვანიდე წირვასა ზედა ღმრთისასა და ქადაგებისა სმენასა. აგრეთვე მცნებანი ათნი უთარგმნე და სხვანიცა სჯულნი ღმრთისანი, ნათლის ღება და

საიდუმლონი შვილნი ანუ ცხოვრების წიგნთა აკითხებდე". გურ  
ამიშვილი ურჩევდა ყრმას:

რაც გეპოდოს შეინანე, მღრღდელს აღიარეო, გროვენორი  
ილოცე და იმარხულე და ეზიარეო.



### და აუცილებლად მიაჩნდა:

უნდა კაცმან კეთილად სწავლა შეირაცხოსა,  
ათისა მცნების სიტყვები. გულში დაიმარხოსა.

ცოლის ამორჩევისთვისაც „იქონომია“ და გურამიშვილი  
ერთნაირ დარიგებას იძლევიან.

— აღმოირჩიო თავისათვის ცოლი, ზომიერი და ჭიდანი  
(„იქონომია“). ასეთავე შეხედულებისაა გურამიშვილიც.

„იქონომიას“ თავისი დიდაქტიური ხასიათით, ქრისტიანუ-  
ლი მსოფლმხედველობით, პედაგოგური მოსაზრებებით და  
ფეოდალური იდეოლოგიით ბევრი რამ აქვს საერთო დავით  
გურამიშვილის შემოქმედებასთან.

მე-18 საუკუნეში რუსულიდან ქართულად ითარგმნა ცნო-  
ბილი ფრანგი მწერლის მარმონტელის „ველიზარიანი“, გაიოს  
არქიმანდრიტის მიერ. გაიოსს თარგმნა დაუმთავრებია კრემენ-  
ჩუგში 1787 წელს, როგორც ეს ჩანს მინაწერიდან: „სრულ  
ვჰყავ წელსა 1787 თთუესა დეკემბერსა 14 კრემენჩუკს, გა-  
იოს“.<sup>1</sup>

„ველიზარიანში“ რომის ამბებია მოთხრობილი, მაგრამ ამი-  
სდამიუხედავად ქართველი მკითხველი თავის განცდებსაც  
პოებდა. „ველიზარიანში“ მოთხრობილია გმირობა და რაინდო-  
ბა მხედართმთავრის ველიზარისა, ერთგულება სამშობლოსი,  
ღალატის დაბრალება, თვალების დათხრა, ექსორია. სამშობ-  
ლოდან გაძევებული ველიზარი მაინც ერთგული რჩება მეფისა  
და ქვეყნისა. მარმონტელი იბრძვის მეფის სასახლეში გამეფე-  
ბულ მლიქვნელობისა, ვერცხლის მოყვარეობისა და შურის

<sup>1</sup> საქართველოს სახელშიფრ მუზეუმი. ხელნაწერი საეთნოგრაფიო  
საზოგადოების ფონდისა № 1007. მოიპოვება ამ ნაწარმოების უაშრავი  
ხელნაწერი, რაც ამტკიცებს პოპულარობას, რომლითაც იგი თავის დროშე  
სარგებლოւდა.

წინააღმდეგ. იძლევა მეფის ცხოვრების კრიტიკას, თავის დრო-ისათვის მეტად გაბედულ აზრებს აშენავნებს.

— „თვით დროსა მას, ოდესცა სასახლე მისი (მეუღლება — ტ.) სავსე არ, მხიარულებითითა ხმიანობითა. ვინ — დაიჯირებს მას, ვითარებდ ყოველთა შინა სახელმწიფოთა მისთა, არცა კართა თანა სამსაჭულოთა, და არცა ქოხთა შინა გლეხთასა არავან კვენესის?“

ქართველი მკითხველი ამ ნაწარმოებს ყურადღებით ეკი-დებოდა, განსაკუთრებით გულზე ხვდებოდათ „ცელიზარიანში“ მოთხოვილი ამბავი რუსეთში გარდახვეწილ თავად-ბატო-ნიშვალებს, რომელთა ხვედრი ბევრით წაავავდა ველიზარისას. საქართველოს ისტორიაც იცნობს ველიზარივით სამშობლოს ერთგულ შვილების უმიზეზოდ დასხას. ქართველების ყურადღებას მიიქცევდა ისიც, რომ მარმონტელის „ველიზარიანში“ მოხსენებულია კოლხიდა, ლაზთა მეფე და მაედრობა, კაპკა-სის მთა.

„ველიზარიანს“ დადებათი როლი შეუსრულებია თუ ქარ-თული ლიტერატურისათვის არა, ქართველი მკითვილის გე-მოვნების „გაეგრძიელებისათვის“ მაინც. „ველიზარიანი“ სოციალური რომანია. ქართველი მკითხველი კა. საურსულ პო-ეზიაზე მიჩვეული იყო ან მიჯნურობის, ანდა დევების მუსგ-რის ამბებს, „ყარამანიანის“ ფანტასტიკას და მიჯნურის ველად გაჭრა-გახელებას. მარმონტელის რომანში კი გმირის სამშობ-ლოსათვის თავდადება და ტანჯვაა მოცემული, რეფია და კარის-კაცთა კრიტიკა.

ბესიკისათვის ცნობილი ყოფილა მარმონტელის „ველიზა-რიანი“. ქართლიდან ექსორააქმნალი ბესიკი, ალბათ ბევრ სა-ერთოს ხედავდა თავის მოსახელე (ბესიკი — ბესარიონი — ვე-ლისარიონი), სამშობლოდან გაძევებულ ველიზართან. ბესიკი ველიზარს იხსენიებს ლექსში „ანზე სით მოხვალ“

ვარამს ვესურვე მიწოდდა

ველისარიონს ჰქვიანად.

— ბესიკს ქართველები ველიზარს (ველისარს) აღარებდნენ: „მას ბესარიონს, ჰქუით ველისარიონს“, ვხვდებით ერთ ლექ-

სში, რომელშიც ბესიკა შექებული. „ველიზარიანის“ თარგა  
მნა, როგორც ვთქვით, დასრულდა 1787 წ. კრემენჩუგში  
1787 წ. ბესიკი კრემენჩუგში იმყოფებოდა იმერეთის გლეხადის  
აქ შეხვედრია გაიოს არქიმანდრიტს. დამეგობრებია. ერთშა-  
ნეთში ხშირი მსვლელობა ჰქონიათ ბესიკს შეუთბზავს ხუმრო-  
ბა „გაიოს არქიმანდრიტს“. მეორეგახაც მოიხსენიებს პოეტი  
გაიოსს. — „აიოს თეოს, აიოს, ამას ხშარად ხმიაბს გაიოს“.

ცხადია, გაიოსი გააცნობდა თავის თარგმანს პოეტ-მე-  
ტობარს. ბესიკი იხსენიებს თავის ლექსებში აგრეთვე ფრანგი  
ენტიმენტალისტი მწერლის ლესაუის გმირსაც — უილ ბლაზს.  
სუქსში „ანზე სით მოხვალ“ ნათქვამია:

უილ ბლაზ მრევა.

მეორეგან, ზმაში:

უილ ბლაზი ერის შეტ ლაზლვით  
დამხედ არ იყო ჰესონათა 2.

### 3

საქართველოსათვის უცხო არ იყო ვოლტერისა და სხვა  
ფრანგ ღიღ განმანათლებელთა იღებიც. მე-18. ს. ბოლოს და  
მე-19 ს. დასაწყისში უკვე გვაქვს თარგმნილი ნიმუშები ვოლ-  
ტერის, მონტესკიესა და სხვათა შემოქმედებიდან.

ჩვენში, ისე, როგორც რუსეთში, ყველაფერი ახალი, წი-  
ნააღმდეგი ტრადიციასა, ვოლტერიანისტის სახელით იქნა მო-  
ნათლული. განსაკუთრებით ხელს უწყობდა ვოლტერიანობა  
საქართველოში ღვთის მსახურების საწინააღმდეგო მოძრაობას.

<sup>1</sup> ლესაუს ეკუთნის მარმონტელის „ველიზარიანის“ თემაზე დაწერილი  
ნაწარმოები, იმავე სათაურით იგი უთარგმნია ქართულად რუსულიდან,  
ვალიერით გვიან — 1861 წელს, დავით ესტატეს ქე ციციშვილი. მას  
ფრანგული ლიტერატურის სხვა ნიმუშებიც აქვს თარგმნილი. საინტერე-  
სოა ეს გარემოება იმითაც, რომ XVIII საუკუნის ტრადიციები გრძელ-  
დება XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც. ენიბერივად ციციშვილის თარგმა-  
ნი XVIII საუკუნის თარგმანების ენისაგან არაფრით განსხვავდება. იბ.  
ს 1591, „ველისარია, შეთხული უფლის კანლისის მიერ...“

<sup>2</sup> იბ. გ. ლეონიძე — ბესიკი, მარმონტელის და ლესაუს, გაზ. „ლიტე-  
რატურული საქართველო“, 1938, № 24.

2. გ. ტატიშვილი

17353  
6448-



საქართველო, რომელიც, პოლიტიკურ კრიზისს განუდიდა, დიდი ისტერესით ეკიდებოდა დასავლეთ ევროპაში შექმნილ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ. იყვნენ დამცველნი განათლებული აბსოლუტიზმისა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის გავლენით ჩვენში, მე-18 ს. დასასრულს და მე-19 ს. დასაწყისში, თავს იხეს რესპუბლიკური იდეებიც.

ევროპული, კერძოდ. ფრანგული კულტურის გავლენას ვხედავთ ალექსანდრე ამილახორის, დავით ბატონიშვილის, იოანე ბატონიშვილის, დავით ჩოლოყაშვილის, გიორგი ავალიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვათა აზროვნებასა და შემოქმედებაში. საქართველოს ისტორიაში დიდად საინტერესო პიროვნებად მოჩანს მე-18 ს. შეორე ჯახევრის მოღვაწე ალექსანდრე ამილახორი, რომლის ნაწერებიდან ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს „ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვაი მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა“. ნაშრომი მიძღვნილია იმერეთის მეფის სოლომონ პირველისადმი. ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით, რომელმაც გაძოაქვეყნა პარველად „ბრძენი აღმოსავლეთისა“,<sup>1</sup> იგი დაწერილია 1779—1782 წლებს შორის.

გამომცემელისავე სამართლიანი მოსაზრებით „ამ თხზულებაში გატარებულია ის განათლებული აზრები და იდეები, რომელიც აღელვებდნენ და ასულდგმულებლნენ დასავლეთ ევროპას მეთვრამეტე საუკუნის მეორე სახევარში. ნაძეტნავად ემჩნევა ალექსანდრეს შრომას ზედ გავლესა მონტესკიეს თხზულებია „გულის ხმის ყოფისათვის სჯულთასა“<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, გარდა უშუალოდ მოხტესკაეს გავლენისა, ამილახორის „ბრძენი აღმოსავლეთისას“ ეტყობა ეკატერინე მეორის „ნაკაზის“ გავლენაც. თვით იდეა ამ ნაშრომის დაწერისა ამილახორს, „ნაკაზის“ გაცნობის შედეგად უნდა მოსვლოდა ეს სრულიად არ უარყოფს თხზულებაზე მონტესკიეს „კანონების სულის“ გავლენას. უკვე შესწავლილია თითოეული ფრაზა ნაკაზისა, დადგენილია დიდალი იდგილები, რომელიც

<sup>1</sup> არქეოლოგიური მოგზაურობანი, I, 222-241.

<sup>2</sup> არქეოლოგიური მოგზაურობანი, I, 224.

თითქმის სიტყვა-სიტყვით შეტანილია „ნაკაზში“ „კანონების სულიდან“<sup>1</sup>.

რომ „ბრძენი აღმოსავლეთისა“ განიცდის უცხოურ განცლენებს, ამაზე თვით ამილახორი მიუთითებს; ნაშროვის ოპლოს დართულ ლექსში იგი ამბობს:

თუ ჩემებრ ძმანი, ცდილობდენ სხვანი,  
ბედნიერ ჰყოფდენ ყოველთა მისთა,  
არ ჰქონდეთ თვისი, ივასხონ სხვისი,  
კვლავ შეიწვენენ ზე ძალთა ღმრთასთა.

გარკვევითაა ნათქვამი: ჩემსავით ჩემი მოძმენიც რომ ცდილობდნენ, გააბედნიერებენ თანამემამულეებს, თუ არ ჰქონდეთ თავისი საკუთარი, ივასხონ — ე. ი. ისესხონ. გადმოილონ სხვისი.

აյ „ბრძენი აღმოსავლეთისა“-ს დებულებათა ნასესხობა. გადმოილება იგულისხმება, ხოლო ნაშრომის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ამილახორს დიდი გავლენა განუცდია ფრანგ განმანათლებებისა, კერძოდ, მონტესკიესი.

რას წარმოადგენს „ბრძენი აღმოსავლეთისა“ და რაში მდგომარეობს ამილახორის პროგრესიულობა თავის ეპოქისათვის? ამილახორს „ბრძენი აღმოსავლეთისა“ დაუწერია პრაქტიკული მიზნისათვის. იგი სთხოვს სოლომონ პირველს:— „მიიღო კეთილად, და შეპროც სიქველესა შენსა განზრახვაიცა აღმოსავლეთის ბრძნისა მის“. ავტორს თავისი ნაშრომი მიაჩინა პროექტად (განზრახვად), რომლითაც სურს გარდაქმნას იმერეთის სამეფო. ნაწარმოების პრაქტიკული მიზნასთვის დაწერაც გვთვიქრებინებს, რომ ავტორი შთაგონებულია ეკატერინეს „ნაკაზით“. ამილახორი, ისე, როგორც „ნაკაზი“ და მონტესკიე, მონარქიის წინააღმდეგი არ არის. იგი იბრძვის დესპოტიზმის, მეფის განუსაზღვრელი უფლების წინააღმდეგ. ამილახორის აზრით ბედნიერია მეფე „რომელმან იცის უფლებას თავისი არა უსაზღვროდ, და რომელი მიიჩნევს მათცა თანასწორად თვისთა კაცთა“. ასეთი მეფესაგან ასწვავებს დესპოტ მეფის „რომელი პგონებს თავსა თვისსა უფლად ერთა ზედა

<sup>1</sup> ი. ე. ტერინეს „ნაკაზი“, ნ. დ. ჩეჩულინის რედაქციით, პეტერბურგი, C XXXI, 1907 წ.

თვისთა, და ერთისა მარტოდ დიდებისათვის თვისთა შექმნულად ერთსა; ვაი ერთისა მის შევარდნილსა უფლებასა ქვეშე გვარისა კაცისა, რომელი ნაცვლად მათისა დღეკეთი ძლიმისა ეძიებს მარტოდ განცხრომასა თვისთა და სიცოცხლესს ზედა მითხა შეექცევის ვითარ სამღერელსა რასმე ნივთსა“.<sup>1</sup>

გარკვევით მოჩანს კრიტიკა ტირანისა, ან. როგორც მონტესკევ უწოდებს. „კანონების სულში“ — დესპოტიკისა. ამილახორს საბრალოდ მცაჩნია ის ხალხი. რომელიც ემორჩილება დესპოტ მეფეს „ერთისა ოდენ ჩინებულისათვის გვართა მისათასა“. ამილახორი პატივს სცემს გვაროვნობას, მაგრამ მეტ მნიშვნელობას აძლევს ადამიანის პირად ღირსებას, ნიჭს გვაროვნობაზე მაღლა აყენებს. (სწორედ ისე, როგორც ქართული ლექსი „ათასად გვარი დაფასდა...“) მეფეთა უფლება კანონიერ მოვლენად მიაჩნია, ტირანია კი „უფლება მძლავრობით თვისებული“ — მიუღებლად. „ბრძენა აღნისავლეთისა“ ეხება სამღვდელოებასაც. თავისი პროექტი ამილახორს მე-18 ს. საქართველოსათვის სურს; სამღვდელოების საკითხის გარეშე შეუძლებელი იყო სახელმწიფოს მართებლობის მთლაუანი ვეგმის მოცემა. ამილახორი არ ილაშქრებს რელიგიის წინააღმდეგ, მაგრამ თავისი ღროისათვის მეტად გაბედულ აზრებს ავათარებს. იგი წინააღმდეგია რელიგიის ძალით თავზე მოხვევისა. ქრისტეო, ამბობს ალექსანდრე, „არავის ხრმლითა, არცა მაკრატლითა უქადაგებდა; რომელსა აწინდელნი პხშირად პხმარობენ“. ამილახორი რელიგიათა შორის ბრძოლის წინააღმდეგიც არის. ყოველ ადამიანს უფლება აქვს რომელი რჯულიც სურს ის აღიაროს. ევროპის ცხოვრებას გაცნობილი ქართველი განმანათლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჭრობას. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა არის „განმამდიდრებელა და განმაძლიერებელი სახელმწიფოისა“. ამისათვის საჭიროა ვაჭართა გამრავლება-გახალისება. ავტორი ვაჭრების დადებით თვისებებთან ერთად ნაკლსაც ამჩნევს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამილახორის ნაშრომში

<sup>1</sup> არქეოლოგიური მოგზაურობანი, I, 229.

თავი ვ. გლეხთათვის, გინა მიწის მმოქმედთა  
კაცთა.

ამილახორი გლეხობას ყველა სხვა სოციალურ ფენებზე  
მაღლა აყენებს. სახელმწიფოსათვის ყველაზე საჭირო ხალხად  
გლეხობა მიაჩნია. — „ხარისხი მათი თუმცა უკანასკნელად,  
შერაცხილ არს სახელმწიფოსა შინა, გარნა მოქმედებაი მათი  
მოილებს პირველობასა“. მარტო ეს რომ იყოს ნათევამი, მაშინ  
ამილახორის ნაშრომის ამ ნაწილს დიდ ყურადღებას არ მი-  
ვაქცევდით. არჩილიც ამბობდა: „თუ ამოწყდეს გლეხი კაცი  
საქართველო დაძაბუნდა“. ამილახორი უფრო შორს მიდის და,  
თუმც პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ადამიანთა უფლების გა-  
თანასწორებას ქადაგებს, ამით იგი მაღლა დგება „ნაკაზზე“  
და უშუალოდ მოწინავე ფრანგ განმანათლებელთა იდეებს  
იზიარებს. — „ხოლო ოდესცა გავჰსინჯავთ, აქაცა თანა ჰ-  
სწორად ვშობილვართ, და არავინ არს უმჯო-  
ბეს ერთისა, არცა ვინ უარეს მეორისა, გარნა  
ყოველივე ერთისა გვამისა საერთოსა ასოდ,  
და ნეტარ არს ერთიდა უმეტეს ბეღნიერ, სადა-  
ცა ბუნებითი ესე გაჰსინჯველებაი დაივა-  
ნებს საერთოსა შინაკეთილოვნებისა მათისა  
სავანესა“.<sup>1</sup> ე. ი. ადამიანები ყველა თანასწორნი იბადები-  
ან. ბეღნიერია ის ერი, რომელიც დაამყარებს კაცთა შორის  
თანასწორებას. საოცარია მე-18 ს. 80-იან წლებში ასეთი აზ-  
რები, მაგრამ საამაყო.

ამილახორის „ბრძენი აღმოსავლეთისაის“ შექმნა ქართული  
სინამდვილის შედეგი არ არის. იგი დაწერილია ფრანგ ენცი-  
კლოპედიისტების იდეების გაცნობის შედეგად. ავტორმა იცას,  
რომ საქართველოში ასეთი აზრების ქადაგებას დადი ნიადაგი  
არა აქვს, რომ ეს აზრები გაღმოტანილნი არიან. რმათი ცხოვ-  
რებაში გატარება სამშობლოს ბეღნიერებისათვის აუცილებ-  
ლად მიაჩნია და სხვებსაც ურჩევს: „არ ჰქონდესთ თვისი,  
ივასხონ სხვისი“.

<sup>1</sup> არქეოლოგიური მოგზაურობანი, გვ. 237.

ფრანგ განმანათლებელთაგან საქართველოში ყველაზე პოპულარული ვოლტერი ყოფილია. ვოლტერის სახელთან ჩვენი წინაპერებისათვის დაკავშირებულია ურწმუნება, ღვთას გმობა, რელიგიურ წესთა შეუსრულებლობა. მორწმუნე ქართველებს ვოლტერი ნაწილობრივ სწორად შეუფასებათ. შავრამ მისი ათეისტობა სამართლეს არ შეეფერება, ვოლტერი აღიარებდა: ღმერთი რომ არ ყოფილიყო, უნდა გამოგვეგონებინაო. მონარქიასტი, დეისტი ვოლტერი სასტიკად იბრძოდა დეს-პოტიზმისა და რელიგიის წინააღმდეგ.

ვოლტერელებად საქართველოში ცნობილი არიან დავით და იოანე ბატონიშვილება, ციციშვილი („ალმასობის“ გმირი), დავით ჩოლოყაშვილი, გრიგოლ მუხრან-ბატონი და სხვანი. პლატონ იოსელიანის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ საანტერესო ცნობაა დაცული. რუსეთიდან დაბრუნებული დავით ბატონიშვილი, რომელიც იქ გაეცნო ვოლტერს, აღარ იცავს ქრისტიანულ წესებს: „მეფე განრისხებული მასზედ ხსნილის ჭამისათვის მარხვეს დღეთა და არა მომსშენი ხშირად წირვისა და ლოცვისა წესისამებრ მართლმადიდებლისა ეკლესიისა. სთხოვდა ხშირად საიდუმლოდ, შთააგონონ დავითს სიცვარული ქრისტესი და ეკკლესიისა“.<sup>1</sup>

დავით ბატონიშვილს რუსეთიდან ვოლტერის სურათი მოუტანია. რომელიც მორწმუნე მეფეს ცეცხლში დაუწვავს. ვოლტერის, საერთოდ ფრანგ ენციკლოპედიასტების დიდა გავლენა საფრანგეთის რევოლუციაზე მეცნიერებაში დამტკიცებულია. ჩვენში მე-18 ს. სწორად შეუფასებიათ ვოლტერის მნაშვნელობა საფრანგეთის რევოლუციონურ მოსახლეობასათვის.

პატრ ნიკოლასა და გიორგი XIII შორის გამართულ საინტერესო დიალოგი აქვს გადმოცემული პ. იოსელიანს.

გიორგი ეკათხება: „პატრო ნიკოლა! სადაა ეხლა დიდი სარდალი ბონაპარტე? — ებრძვის რუსთა და კეისისარსა, — მო-

<sup>1</sup> პლ. იოსელიანი — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, აჭარი გაწერელიას რედაქციით, 1936 წ., გვ. 69.

ახსენა პატრიათი, — ესენა ცდილობენ დაცვან ფრანგისტანში ქრისტიანობა. არღა მუნ აგერ მრავალი წელიწადია არცა წირვა, არცა ლოცვა, არცა ქორწინება, არცა მღვდელი და ეპისკოპოსი, 25 მილიონი წარმართად არიან გარდაჭრულნი ვინ ჰქვენა ესე? უკეთურთა მწერალთა გოლტერმან და სხვათა, მეფევ. მეფევ: ვოლტერი! მეგობარი ჩემის დავითისა, ჩესის მემკვიდრისა. ვაა შენ გაორგის! რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეისწავლა მისი ურჩულო სწავლა; მოიტანა აქა მისი სახე, რომელიც სამართლად დავსწვი ცეცხლსა“<sup>1</sup> და სხვა.

ეს დიალოგი მრავალმხრავ არის საინტერესო. იგი გამოჲატავს იმ ინტერესს. რომელსაც ქართველები იჩენდნენ საფრანგეთისადმი. ნაჩვენებია გავლენა, რომელიც მოახდინეს საფრანგეთის რევოლუციაზე ვოლტერონ ერთად სხვა განშანათლებლებმა („ვოლტერმან და სხვათა“), რუსეთის როლი ქართველების მიერ ფრანგული კულტურის შესწავლაში და ბრძოლა თაობათა შორის. ძველი თაობის ქართველისათვის ვოლტერის მოწაფეობა ნიშნავს: „ღვთის უსიყვარულობას და კაცის დაუნდობლობას“.<sup>2</sup> ასე ახასიათებს ზურაბა ღამბარაშვილი ვოლტერიანობის. მორწმუნეთა თვალში ვოლტერის მოძღვრება შემცველია ყოველგვარი ცუდისა. ვოლტერის ბრძოლა ლიტერატურული მსახურთა წანააღმდეგ, მორწმუნე ქართველებმა ღვთის წინარმდევ ბრძოლად ქვეყნის. ღამბარაშვილი ვოლტერს „კაცთა დაუნდობლობასაც“ მიაწერს. იონა იძოდიაკონმა ვოლტერის სახელი პირველად ზურაბასაგან გაიგონა. მართლმორწმუნე იონასათვის საქმაოა ვოლტერის ურწმუნობება, რომ განავრცოს და სთქვას. თითქოს ვოლტერიანობა ხასიათდება „ურწმუნებით, ნათესავის არ დანდობით, თვისთა და შოუვარეთა და მეზობელთა მტრობით“<sup>3</sup>.

რუსეთში იონა ხელაშვილი შეხვდა გრიგოლ მუხრან-ბატონს. ვრიგოლს დაუმთავრებია პაჟთა კორპუსი და ვოლტე-

<sup>1</sup> პლ. იოსელიანი — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, აკაკი გაწერებიას რედაქციით, 1936 წ., გვ. 70.

<sup>2</sup> „დაღმასობა“ პროფ. ჭ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედ., გვ. 5.

<sup>3</sup> იქვე.

რის აზრებს გასცნობია. „კალმასობის“ გამოუქვეყნებელ ნაწილში მოცემულია იონას დიალოგი მუხრან-ბატონთან — იონა: რასაც ამბობენ თქვენთვის თუ ის ჰსწავლა მიგიღმათ, სულ რომ არ გესწავლა რა, ის უმჯობესი იქნებოდა და უსარტო ბრძესა გრიგოლ მან: რაი? იონა; სარწმუნოებისა არარად რაცხვა. გრიგოლ მან: თქვენსავით ცუდ მორწმუნეობა არ ვისწავლე, ვოლტერის ჰსწავლას შეუდეგ. იონა: მეც მაგისათვის მოგახსენე, რომ ცუდად დამაშვრალხართ თქვენ მაგ ჰსწავლაზედ, ამისთვის, რომ ვოლტერის შემდეგნი ღმრთისაც წინააღმდეგ არიან და ხელმწიფეთაცა და სჭულისაცა. გრიგოლ მან: ვოლტერი ყოველთა ასწავლის თავის უფლებასა, და საზოგადოების ერთობასა. და უბრძოლველობასა ერთი ერთდამი<sup>1</sup>. (დაყოფა ჩვენია—ნ. ტ.).

გრიგოლ მუხრან-ბატონის შესახებ ჩვენ სხვა მასალები არ მოგვეპოება. „კალმასობის“ ცნობა მეტად საინტერესოა. იგი მოჩანს განათლებულ ადამიანად და თავისუფლების მოტრფიალედ; ცხადია პაეების კორპუსში კურსდამთავრებულ გრიგოლს საფუძვლიანად ეცოდინებოდა ფრანგული ენაც.

მეორე ვოლტერიანელის დავით ბატონიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის მეტი მასალები მოგვეპოვება; მას ეკუთვნის მონტესკიეს „კანონების სულის“ თარგმანი. „გულისხმის ყოფისათვის სჭულთასა ქმნული უფლისა მონტესკუსაგან თარგმნილი ფრანციცულით რუსულ ენასა ზედა, ხოლო რუსულით ქართულად, მეფის ძის მემკვიდრის ღენერალ ლეიტენანტისა, სენატორისა და კავალერის დავითისაგან. უასა სანკტპეტერბურხსა ყოფნისასა, წელსა ჩყიდ...“<sup>2</sup> (1814 წ.).

დავით ბატონიშვილს შეგნებული ჰქონდა მონტესკიეს შრომის დიდი მნიშვნელობა, როდესაც ამ უზარმაზარი თხზულების თარგმნას ხელს ჰქიდებდა. ამას თვით აცხადებს: „კილ-ვკყავ

<sup>1</sup> „კალმასობის“ გამოუქვეყნებელი ნაწილი — H 2153 და ილ. პარამიძე, „მნათობი“, 1934 წ., № 7-8, ბიბლიოგრაფია ლ. ასათიანის წიგნზე „ვოლტერიანობა საქართველოში“. (ექ და ყველგან ლათინური ასოები ლიტერებია: A — ყოფ. საკლესიო მუზეუმისა, S — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისა, H — საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისა).

<sup>2</sup> S 370. დავითს უთარგმნია ორი ტომი „კანონების სულიდან“.

თარგმანებად წერილისა ამის მონტესკუსაგან ქმნილისა სჯულ-  
თათვის გულისხმის-ყოფისათა, რომელიცა არს ერთიცა ესე  
უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა“. დავითი  
მარტო მთარგმნელი არ არის, იგი განმარტებასაც ურთავს თაო-  
გმანს, ზოგან ეკამათება მონტესკიეს და მეტ პროგრესულობას  
ამჟღავნებს.

მონტესკიეს „კანონების სული“ პროგრესული მოვლენა  
იყო თვით განათლებული ევროპისათვისაც და საქართველო-  
სათვისაც. მონტესკიე იძლევა სახელმწიფოს მმართველობის  
სხვადასხვა ფორმის დეტალურ ანალიზს. არჩევს მმართველო-  
ბის სამ სახეს. დავით ბატონიშვილის თარგმანში ეს აღვილი  
ასე იყითხება: — „სამგვარ არს მართებლობაი. რესპუბლიკა  
(საზოგადო ერთა). მონარხიკა და დესპოტიკა (თვით ხელმწი-  
ფებათი)“. მონტესკიე განიხილავს თითოეულ ფორმას. ავტო-  
რის პრინციპით მიუღებელია მეფის განუსაზღვრელი უფლება, იქ,  
სადაც ერთი ადამიანი — მეფე განაგებს მთელი ხალხის ბეჭს,  
ბეჭნიერების დამყარება შეუძლებელია. მონტესკიე ისე, რო-  
გორც მის გავლენის ქვეშ მოქცეული დავითი აბსოლუტური  
მონარქიის სასტიკი წინააღმდეგია. მონტესკიე სიმპატიით ეპ-  
ყრობა რესპუბლიკურ მმართველობას, თუმცა მის ნაკლსაც აღ-  
ნიშნავს. მმართველობის იდეალურ ფორმად მიაჩნია კონსტი-  
ტუციური მონარქია.

ქართველებისათვის მონტესკიეს „კანონების სულის“ თარ-  
გმნას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. რუსეთის მონარქიის მი-  
ერ დაპყრობილი ქვეყანა, რომელიც იბრძოდა ტირანიის წი-  
ნააღმდეგ და დამოუკადებელ მმართველობაზე ოცნებობდა  
ბევრ საგულისხმოს ნახავდა „კანონების სულში“. თვით დავით  
ბატონიშვილსაც აღბათ გულზე ხვდებოდა მონტესკიეს სიტ-  
ყვები დაპყრობილ ერთა შესახებ. მოხტესკიე რჩევას იძლევა:  
დაპყრობილ ქვეყანას დაუტოვონ საკუთარი ზნეჩვეულებანი  
და უფლებები. ქართველებს „კანონების სული“ დააინტერე-  
სებდა იმითაც. რომ მასში მოხსენებულია საქართველო და  
კოლხიდის წარსული კულტურის სიღიადე.

ვოლტერის მიმღევარ დავით ბატონიშვილისათვის უშედე-

გოდ არ ჩაივლიდა თავისი დროისათვის ღრმა და მნიშვნელოვანი სიტყვები: „ქაცი ვითარცა არა ბუნებითი მსგავსად სხვა-თა სხეულთა იმართების უცვალებელითა სჯულითა, კაცი ვითარცა არსი გულისხმიერი გარდაშაკლობს დაუცხრომლად სჯულისაგან მღვთისა მიერ დაწესებულისა, და გარდა ამას სა სცვალე ბსცა, რომელიცა თვით მან დააწესა“. აქ მოცემულია ზეობისა და პოლიტიკური წყობილების ცვლილებათა დიალექტიკა.

ილექსანდრე ამილახორის „ბრძენი აღმოსავლეთისა“ და მონტესკიეს „კანონების სული“ უყურადღებოდ არ დარჩენილა. მათ მკითხველი ჰყავდა. რუსეთში გადასახლებული დავითი კავშირს არ სწყვეტდა სამშობლოსთან. გზავნილა იქიდან თავის თარგმნილ თხზულებებს და აცხობდა შეგობრებს ფრანგ დადი ვანმანათლებლების იდეებს. 1816 წ. ოქტომბრის 17-ს დავით აღალო ყორლანაშვილს სწერდა: — „რექტორს ას-სილიონი, ჩემგან თარგმნილი, მოვართვა კიორგის, ჩემა სიძის ხელით, და მონტესკუ ფოშტით“. — „ეგნატე ხუცესი მომიკითხე და აჩსილიონი მოუვიდა თუ არა? თორნიკს გამოვატანე, გთხოვ შემიტყოთ და მომწეროთ.“<sup>1</sup>

არც ქართული მხატვრული ლიტერატურისათვის ჩაუვლია მონტესკიესი და ამილახორის ნაშრობს უკვალოდ. საფრანგეთის დად რევოლუციისთან ერთად, აშათაც უთუოდ ექნებოდათ გავლენა ალექსანდრე ჭავჭავაძის.<sup>2</sup> განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე. ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ მეფის განუსახლვრელი უფლების კრიტიკა უდავოა.

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!  
ერთ კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას,  
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,  
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,  
და იგი მათი ბედს ისე განგება,  
ვითა ამლერდეს იგი კამათლება!

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, გვ. 368.

<sup>2</sup> ალ. ჭავჭავაძეს შეეძლო მონტესკიე ფრანგულადაც წაეკითხა.

მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოჟდა ნება —  
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულის კვეთებას  
და უთრგუნვიდე თავისუფლება?



ამილახორისა და მონტესკიეს იდეებთან სიახლოვე ბარათა-შვალის ამ სტრიქონებისა, ცხადია. ჩვენ არ ძოგვებოვება დოკუმენტი, რომელიც ბარათაშვილის მიერ დასახელებულ ნაშრომთა ცნობას გვადასტურებს. მონტესკიეს ნაშრომი ფართოდ ვრცელდებოდა ხელნაწერებად ქართველ არისტოკრატიაში. ბარათაშვალს თითქმის ყველა მოწინავე ოჯახთან ან მეგობრული, ან ნათესაური კავშირი ჰქონდა.

დავით ბატონიშვილის წერალში მოხსენებული ეგნატე ხუცესი არის მამა პლატონ იოსელიანისა, რომლისთვისაც დავითს ანსალიონის წაგნი გამოუგზავნია. იმავე ოჯახში, ან სავაგან მონტესკიესი და ამილახორის წიგნიც იქნებოდა. ბარათაშვილი კი იოსელიანების, ჭავჭავაძეების, ორბელიანების შინაური, მახლობელი იყო...

## 5

ფრანგული ლიტერატურის ღიღ გავლენას ვხედავთ იოანე ბატონიშვალის „კალმასობაზე“. „კალმასობა“ მკვეთრად ამჟღავნება! ქართული აზროვნებას, ლიტერატურისა და მეცნიერების ცვრობისაკენ მიბრუნებას. „კალმასობაში“ მოჩანს დაშორება ქართული კულტურის გზებისა სპარსეთისგან და ევროპისაკენ გადახრა. ამ ნაწარმოებში მოცემული აზრები და ცოდნა ევროპიდან, კერძოდ საფრანგეთიდან მომდანარეობს, — რუსეთის გზით. „კალმასობაში“ დასმული საკითხები აწუხებდა მე-18 ს. გასულია და მე-19 ს. პირველი ათეული წლების ქართველობას. ძერლია დადგენა ყოველა ცალკეულა დებულებისა, რომელიც „კალმასობაშია“ მოცემული, საფრანგეთიდან მოღის, გერმანეთიდან, ინგილისიდან. თუ რუსეთიდან, მაგრამ ძირითადად, ტონის მაცემი „კალმასობაში“ მოცემული მოწინავე იდებისა — საფრანგეთია.

მე-18 ს. გასულს რუსეთი საქართველოსათვის ევროპის მაგივრობას სწევდა. რუსეთს ევროპას უწოდებდნენ ჩვენში.

ელიაზარ ფალავანდიშვილი იონა ბერის შეკითხვაზე უპასუხებს,  
რომ მავდივარ ელჩად — „ევროპისაკენო“.<sup>1</sup>

აქ ფალავანდიშვილის რუსეთში გამგზავრებისათვის საჭა-  
დისი იგულისხმება. რუსეთი მე-18 ს. ბოლოს ქართველებისათ-  
ვის ისეთი ქვეყანაა, სადაც შეაძლება სწავლისა და მეცნიერე-  
ბის შეძენა, ისეთი ცოდნის შეძენა, რომელიც მანამდე უცხო  
იყო ქართულ-სპარსული კულტურისათვის.

როგორც უკვე ვნახეთ „კალმასობაში“ გამოყვანილი არიან  
ვოლტერიანი ქართველები: ციციშვილი და გრიგოლ მუხრან-  
ბატონი. ფრანგული ლიტერატურისა და საფრანგეთადან რუ-  
სეთში შემოჭრილ იდეების გამოძახილს „კალმასობის“ სხვა  
ადგილებშიც ვხვდებით. ამ ნაწარმოებში გამასხრებულია სა-  
სულიერო წოდება. მღვდლები, გარდა უვიცობისა, დინა სი-  
ხარბეს იჩენენ, ლოთობენ. ცოდვით დამძიმებული სურამელი  
მოურავი ქაიხოსრო მურვანიშვილი იონა ბერს შენდობას  
სთხოვს — „ზურაბა: ვიცი, შენ მხვნელ-მთესველი კაცი არა ხარ.  
რომ პურათ შეგვეწიო და ეგ შენდობა ეოთს ხაოიჩაზედ არის  
დამკიდებული. ქაიხოსრომ მყისვე მიართო იონას ხალიჩა და  
მონასტრისათვის ძროხა. იონა: ღმერთმა შეგინდოს ეგ ცოდ-  
ვაცა და სხვებიცა“. მეორეგან იონა ბერი ცოდვას მიუტევებს  
გიორგი ერისთავს და სამაგიეროდ ოქროს იღებს ქრთამაღ. ავ-  
ტორი ზურაბა ღამბარაშვილის პირით ამხელს ქრთაშის მოყ-  
ვარულ ბერს — „თუ ოქროები არ გენახა, მე ვიცი თასაც მიუ-  
ტევებდიო“<sup>2</sup>. თუ ასეთ საქმეს ჩადის, შედარებით ქრისტია-  
ნულ წესთა დამცველი, იონა ხელაშვილი, როგორილა იქნე-  
ბოდნენ სასულიერო წოდების სხვა წაომომადგენელი.

იოანე ბატონიშვილის შეხედულებით, რომელიც თავის  
აზრს ზურაბა ღამბარაშვილს ათქმევინებს, ასეთები ერიაუ-  
ლები კი არ არიან. არამედ ასეთია მთელი სამღვდელოება. ქვემოთ  
მოყვანილ ადგილში მოცემულია სასრიკა კრიტიკა სამ-  
ღვდელოებისა, რაც ავტორის გარკვეული, ჩამოყალიბებული  
მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს. შემთხვევას, არ არის  
ნათქვამი — „ზურაბა: მე ძნელად საღმე ვაპოვნი სამღვდე-

<sup>1</sup> იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, გვ. 24.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 55.

ლოს, რომ თეთრი არ უყვარდეს. — ბოდბელი: როგორ? ჟუ-  
რაბა: ასე, რომ მონათვლენ ვისმე. იმ ყძაწვილის ნათლიცა, ან  
დედ-მამას გამოართმევეს თოსასთლავსა; დააქორწინებენ ვალენტინი  
მეს, საყდრის კარსაც დაუკეტენ. ვინემ არას მისცემენ-და ჯე-  
რის-საწერსაც გადაახდევინებენ; იმასაც არ დასჯერდებიან,  
ხალიჩა და ფარჩაც უნდა ქვეშ გაუშალონ მექორწინეთ, რათა  
ისიც იმათ წაიღონ, მოკვდება ვინმე, სასაფლაოს ფასს, საიმტ-  
ვერიოს, საწირავს, კიდევ წლის შაბათის საწირავს და პანა-  
შვიდისას გამოართმევენ, სახლის გასანათლავს, საშობაოს, იმა-  
საც გამოართმევენ. აგრეთვე ნიშანს ეძახიან, კარგი ცხენი  
ჰყავს ან კარგი თოფ-იარალი, მასცა წაიღებენ და ტაბლას ხომ,  
ასიც მივადეს სასაფლაოზედ, ერთს ლუკმას გლახაკსაც არ და-  
უდებენ წილს. ამასთან ქვეშაგებს, ტანისამოსსაც მკვდრისას  
მთლად წაიღებენ. ესრევ დაანელებენ ერთს ოჯახს და სახვა სა-  
კანონოები რაღა მოგახსენო საზოგადოდ<sup>1</sup>.!

ასეთი მეაცრი განქიქება სამღვდელოებისა მე-18 საუკუნე-  
ში აღზრდილ ქართველისათვის მეტად პროგრესული მოვლე-  
ნაა, იგი ავტორის დიდი განათლების მაჩვენებელია.

მაგრამ იქნებ აქ მხოლოდ სამღვდელოების კრიტიკაა და  
არა ქრისტიანული ღოგმების უარყოფა. მე-18 ს. გასულის სა-  
ქართველოში, ვოლტერის გავლენათ, როგორც ეს უკვე და-  
დასტურებულია, დავით ბატონიშვილი მარხვას არ ინახავს, ეკ-  
ლესიაში აღარ დადის, ქრისტიანულ წესებს არ იცავს.

ღვთის მსახურების და ქრისტიანული რელიგიის საწინააღ-  
მდეგო აზრებს ვხვდებით „კალმასობაშიაც“. ამ აზრებს გარ-  
ჩევით ამჟღავნებს დავით ჭიშშერის ძე ჩოლოყაშვილი, რო-  
მელმაც რუსეთში მიიღო განათლება და გაღმოაკეთა რასინის  
„იფიგენია“. დავით ჩოლოყაშვილი ცნობილი ყოფილი მთელს  
საქართველოში, როგორც უჩიწმუნო ადამიანი. იონა ბერი. რო-  
მელიც თავს „ღვთის სტუმარს“ უწოდებს, ღამის გასათვე ბი-  
ნას სთხოვს ჩოლოყაშვილს. დავითიც ბერს თავის მასლებლით  
გააგზავნას სოფლის ბოლოს, დანგრეულ ეკლასიაში და მსა-  
ხურს დააბარებს უთხრას ბერს: „რაღგან ღვთის სტუმარი

<sup>1</sup> ითანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, გვ. 164.

ჩართ, აპა ღვთის სახლიო”...<sup>1</sup> და ღმერთვა გიშასპინძლოთო ჩოლოყაშვილი ამის დასცუსის ათა ძარტო იონა ბერს, არამედ ეკლესიას და თვით ღმერთსაც. ურწმუნო დიამბეგს არც ადა-მიანის ცხოვრება-წაწყმედა სწამს. თვით ეუბნება იონას: „ბე-რო, მე ცხონება და წაწყმედა არა ძამსო”<sup>2</sup>. ქრისტეს დამცველი იონა ცდილობს უარყოფინოს ურწმუნო დიამბეგს თავისი აზ-რები. სამლოც წერილით ცდალობს დაუმტკიცოს სულის უკვ-დავება. დავით ჩოლოყაშვალი ღრმად არის დაჭერებული თა-ვის სიმართლეში. მას მტკიცედ სწამს თავისი ურწმუნოების უპირატესობა და თავმობეზრებული ბერის ქადაგებით უცნა-დებს: „მე შენი ქადაგებით არ მოვიქცევა:”.

იოანე ბატონიშვილი არ კვაყოფილდება მარტო რელიგიისა და ღვთის მსახურების უარყოფით. მას სახელმწიფოებრივი ცხოვრების კრიტიკაც აქვს მოცემული. ავტორი უჩივის იმ უსამართლობას. რომელსაც ფეოდალურ საქართველოში აქვს ადგილი. იბრძვის ყმების არაადამიანური ცხოვრებას წინააღმ-დეგ. სამეგრელოში მისული იონა ინილავს მევრელ გლეხთა უკიდურეს გაჭირვებას. შეუძრალება ბატონიბ-საგან-ომონაიე-ბული მეგრელი გლეხები და იტყვის: „ღმერთო, მშვიდობით განმარინე ამა ქვეყნიდამ“.

იოანე ბატონიშვილი ამხელს ტყვეებით მოვაჭრე ქართველ თავადაზნაურობას, მოურავის უდიერ საქციელს. რომელიც ყმებს არბევს და აწუხებს.

მე-18 ს. საქართველოსათვის არც დასავლეთ ევროპის პო-ლიტიკური წყობილების დემოკრატიული ფორმა — რესპუბ-ლიკა არის უცნობი. „კალმასობაში“ გვხვდება ამ ფაქტის და-მადასტურებელი საბუთი.

პოლიტიკური გაურკვევლობას დროს, რომელშიც საქარ-თველო მე-18 ს. გასულს იმყოფებოდა, თავს იჩენდა რესპუბ-ლიკური წყობილების ტენდენცია; მართალია ეს არ იყო სურ-ვილი ხალხის მასებზე დამყარებულ დემოკრატიული რესპუბ-ლიკის დარსებისა. აქ რესპუბლიკა ჯაგებულია. როგორც უმე-

1 იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“ ტ. I, გვ. 97.

2 იქვე, გვ. 98.

ფოთ ხალხის მოწიხავე ჭარმომადგენლების მიერ სახელმწიფოს მართვა.

სოლომონ არღუთაშვილი უცხადებს იონას: „ახლა ჩვენა ვართ მეპატრონენი ჩვენის თავისა“ და „საზოგადოებასაც ჩვენ უნდა უპატრონოთ“. ამით დაინტერესებული სოლომონი იონას ეკითხება: „მრავალგან არის რესპუბლიკა?“ არღუთაშვილი მარტო არ არას, მისი თანამოაზრენია: იოანე, კონსტანტინე, გიორგი, დარჩია. ალექსანდრე, შანშე, სოლომონ, არსენი, იოანე. ელევთერი. ამ ხალხისათვის უცნობი არ არის რესპუბლიკა და, აგრეთვე წათელი დროშა, როგორც სიმბოლო რესპუბლიკური წყობილებისა. ამიტომ ეუბნება იონა ბერი: „საითაც წითელ კაბას დაინხავთ, იქათ გარბიხართო“. აქ წითელ კაბაში წითელი დროშა — რესპუბლიკის დამახასიათებელი ნაშანი არის ნაგულისხმევი. რესპუბლიკური იდეების გავლენის გარეშე არ დარჩენილან ზოგიერთი წევრები 1832 წლის შეთქმულებისა. აღარას ვიტყვით ს. დოოაშვილს შესახებ, თვით ოქროპირ ბატონიშვილს უთქვამს: „მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მანდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე უძინდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგარ სახელმწიფოდო“.<sup>1</sup>

„კაომასობას“ განხილული ადგილები ადასტურებენ იოანე ბატონიშვილზე ფრანგული აზროვნების გავლენას. შესაძლებელია რომელიმე ცალკეული მომენტის წყარო სხვაგან რეა და არა საფრანგეთში. მთლაანად სული. ხასიათი კი ამ ნაწარმოების მოტანილი ადგილებისა ჩვენ მოსაზრებას ამტკიცებს. სწავლა და მეცნიერება, ღვთაების საკითხის გაგება. რესპუბლიკური იდეები, ჩვენში, ევროპიდან, საფრანგეთიდან. — რუსეთის გზით მოდიოდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთს ევროპას ეძახდნენ, ხოლო ნასწავლ. განათლებულ ადამიანს ფრანგს (ევროპელს): „ეს ისეთი ნასწავლი შექმნილა, რომ სწორედ გაფრანგებულაო“.<sup>2</sup>

ქართველებისათვის არც გერმანეთიდან, საფრანგეთიდან

<sup>1</sup> გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I, გვ. 92.

<sup>2</sup> იოანე ბატონიშვილი, „კაომასობა“, ტ. I, გვ. 153.

და ინგლისიდან რუსეთში გავრცელებული ფრანკ-მასონური  
მოძრაობა ყოფილი უციოი. დ. სავაძე დიმიტრი ბაგრატიონის  
სწერს:

1832 წლის შეთქმულების მონაწილეს ფილადელფიოს კიბ  
ნაძეს 1826 წ. ვაუგონია — „აქ საქართველოში (რომ) ხელი  
მოგვაწერინეს მასონი ხულარ იქნებითო“.

(ფარმაზონი ულრის ფრანკ-მასონი).

1832 წლის შეთქმულების მონაწილეს ფილადელფიოს კიბ  
ნაძეს 1826 წ. ვაუგონია — „აქ საქართველოში (რომ) ხელი  
მოგვაწერინეს მასონი ხულარ იქნებითო“.

## 6

ჩვენ უკვე ვნახეთ თუ რა გზებით მოდიოდა ფრანგული  
ლიტერატურა და აზროვნება საქართველოსკენ. როგორც ანა-  
ლიზმა გვიჩვენა, იგი უმთავრესად ორი სახით გამოიხატა: ფრა-  
ნგული ლიტერატურის ნიმუშთა თარგმნითა და ფრანგული  
ლიტერატურის იდეების დინებით ქართული, ორიგინალური  
ნაწარმოებებისაკენ. ასეთი მდგომარეობა გრძელდება მე-18  
საუკუნის მანძილზე. მე-19 საუკუნეში ქართული ლიტერატურა  
მეტ დამოუკიდებლობას იჩინს, იგი ძირითადად ემსახურება  
საქართველოში შექმნილ კონკრეტულ-სოციალური საკითხების  
გადაჭრას და ეროვნულ პრობლემას. ქართული თეატრისათვის  
განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგულ დრამას.  
ამ საკითხს სპეციალურად განვიხილავთ. ამჟამად სურათის სის-  
რულისათვის საჭიროდ მიგვაჩინია განვაგრძოთ ქართულ-ფრან-  
გულ ლიტერატურათა ურთიერთობის მიმოხილვა, გავითვალის-  
წინოთ ის თხზულებანი, რომელნიც ქართველებს უთარგმნიათ  
ფრანგულად და ისინიც, რომელნიც ფრანგულთან რაიშე უო-  
თიერთობას ამჟღავნებენ.

მე-18 ს. საქართველოში გავრცელებული ყოფილა სარდიონ  
ჩოლოყაშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილი ფენელონის

1 პროფ. ქ. კავთლიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II,  
88. 457.

„მიმოსვლანი ტელემაქისნი ძისა ულისესი“<sup>1</sup>. ფენელონის ნაწარმოებს დართული აქვთ ავტორის შესახებ ცნობები. „ტელემაქის მოგზაურობაში“. მართალია, ქართველი მკითხველი თავისი ცხოვრების აღწერას ვერ ნახავდა, მაგრამ არ შეიძლება იმისი თქმაც, რომ რაიმე ინტერესი ამ ნაწარმოებს არ ქონოდეს. აქ დასმულია სამშობლოს სიყვარულისა და მეფობის საკითხი. პატრიოტიზმის გრძნობას ნაწარმოებში ფართო იდგილი უჭირავს. აქვე დიდი იდგილი აქვს დათმობილი მეფის პრობლემას. ფენელონი ხალხის საყვარელი, ჰუმანური მეფის მომხრეა და მონტესკიესავით დესპოტის წინააღმდეგი. ეს საკითხები ქართველობას მე-18 საუკუნის გასულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში მეტად აღელვებდა. ამით აიხსნება „ტელემაქის მოგზაურობის“ გავრცელება ქართველ მკითხველებში. ფილადელფოს კავნაძე ამბობს: — „ვკითხულობდი ისტორიასა თელემაქისასა“.<sup>2</sup> ამ ნაწარმოებს ქართველი მკითხველის გემოვნების გავრცოპიელებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ნაცვლად სპარსული ვარდბულბულიანობისა, დაუსრულებელი ვიზნურობისა, ველად გაჭრა-გახელებისა აქ სახელმწიფოს მმართველობის პრობლემებია დაყენებული. ფენელონის „ტელემაქის მოგზაურობა“ სოციალური რომანია.

ფენელონისადმი ინტერესი გადმოვიდა მე-19 საუკუნეშიც. 1832 წლის შეთქმულების ცნობილ მონაწილეს სოლომონ რაზმაძეს უთარგმნია „წიგნი ფენელონისა ლუდოვიკ მე-14-ს თან მიწერილი“<sup>3</sup> ამ წერილში თავისი დროისათვის პროგრესული აზრებია გატარებული.

მასში სასტიკად გაჭრიტიკებულია მეფის განუსაზღვრელი უფლება, ქარისკაცთა მლიქვნელობა. მაგრამ, რაც უფრო საურადლებოა, აქ ფენელონი ილაშქრებს ლუი მე-14-ის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ.

— ყოველი თქვენ მიიჩ დაპყრობილნი ადგილნი არიან უსამართლოითა ომითა. მართალია. ხელმწიფევ, რომელ დაზაროვნობით პოლიტიკის წინააღმდეგ.

<sup>1</sup> S 377 და პროფ. ა. ხახანაშვილი, „ნარკვევები“, III, 230.

<sup>2</sup> გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 316.

<sup>3</sup> A 1184; აქვე ნათარგმნი ცნობილი ფრანგი ვექილის ოდილიონ ბაროს სიტყვაც.

3. ნ. ტატიშვილი

ვებისა ტრაქტატნი ბრძოლისა შემდგომნი იხილვებიან ქსრეთ, რეცა დავიშუებულ იყოს ესე კითარი უსამართლობაი, რაღაც გაძლევენ თქვენ დაპყრობილთა აღვილებთა, მაგრამ უსამართლოდ ძლევა შემოსილი ომი მაშინც უსამართლო<sup>1</sup> არა, შით რამეთუ დაზავებისა ტრაქტატნი არა ნებითა არიან ხელმოწერილნი ძლეულთაგან — იგინი აწერენ ხელსა შიშისაგან, რათა არა უმეტესი დაპყრობა; ხელმოწერანი იგი ემსგავსებიან ამას, უკეთუ მძლეველმან პრექვას ძლეულსა: „თუ არ მაჩუქებ ფულითა სავსე ქისასა, მოგკლავო“ და სხვ.

ფენელონის ამ წერილში გამოთქმული აზრები შეტაც აღელვებდა ქართველ მოწინავე საზოგადოებას. გასაგებია მისი თარგმნა 1832 წ. შეთქმულების წევრის სოლომონ რაზმაძის მიერ.

ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობა „ზაღილ ანუ ბედი. ამბავი აღმოსავლეთისა“ უთარგმნია ჩყიზ (1817) წელს გიორგი ავალიშვილს<sup>2</sup>. ამ ნაწარმოებშიც მოცემულია კრიტიკა ლვთის მსახურებისა, სექტანტთა დავისა და პაექრობისა.

ქართულად უან-უაკ რუსოს თხზულებათა თარგმანებიც მოიპოვება, თუმცა შედარებით გვიანდელი. ერეკლე მეორის ძეს ფარნავაზს 1828 წ. უთარგმნია — „ჰაზრნი უან-უაკ რუსოსანი სხვადასხვა საგანთათვის“<sup>2</sup>. ამ წიგნში მრავალ საკითხზე აზრი გამოთქმული: სინდისისათვის, კეთილმოქმედებისათვის, თვითმკვლელობისათვის, მეგობრობისათვის და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნაწარმოებში ფართო აღგილი უჭირავს რუსოსათვის დამახასიათებელ მგრძნობელობას; რუსო უპირატესობას აძლევს გრძნობას გონებასთან შედარებით — „გრძნობა ესე, რომელიცა არაოდეს დაიდუმებს, უძლიერეს არს გონებისა, რომელიცა უკუე ეცილების მას“.

რომანტიზმი, და კერძოდ, ქართული რომანტიზმიც, გრძნობის გონებაზე პრიორიტეტით ხასიათდება. საყურადღებოა, რომ ჩვენი რომანტიკოსი პოეტებისათვის უცნობი არ ყოფილა რუსოს შეხედულებანი. არა თუ პოეტები იცნობდნენ რუსოს, არამედ, როგორც დასახელებული ხელნაწერის მინაწერი გვა-

<sup>1</sup> H 1196. აქვეა სხვა თხზულებანიც.

<sup>2</sup> H 216.

მცნობს, იგი გადაუწერიათ სოფელ ქვეში 1868 წ. ივანე ერის-  
თავის ოჯახში.

უფრო გვიან უთარგმნიათ რუსოს — „ჰსჭა, დაჭილზორბული  
ლი დიუონის აკადემიისაგან 1750 წელსა. კითხუასა ზედა აშის  
აკადემიისასა წინადაღებული, რომელ იღდგინება ჰსჭავლათა  
და ხელოვნებათა შემწე ექმნებოდა წარმართვასა ქცე-  
ვათასა“<sup>1</sup>. თარგმანი ეკუთვნის დავით ესტატეს ძე ფანას-  
კერტელ-ციციშვილს. ნათარგმნია 1849 წელს, რუსულიდან.

ამ ნაწარმოებში უარყოფითადაა დახასიათებული სწავლა-  
განათლების როლი ადამიანის ზნეობის ამაღლებისათვის. ამი-  
ტომ იყო, აღბათ, რომ ლევან ასათიანი, რომელიც იოიხენიებს  
ამ ნაწარმოების თარგმანს, შენიშვნავს: — რუსოს წიგნის თარ-  
გმნა შეუფერებელი იყო მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართუ-  
ლი სინამდვილისათვის. კულტურისა და სწავლა-განათლების  
უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი გაუგებრობას ჰქმნიდა და  
სხვ.<sup>2</sup> ეს აზრი სწორია, მაგრამ თავისი მნიშვნელობა რუსოს  
„ჰსჭას“ უთუოდ ჰქონდა. იგი ქართველ მკითხველს აცნობდა  
ფრანგული აზროვნების ნიმუშებს. აჩვევდა ფილოსოფიურ  
მსჯელობას. ლ. ასათიანი უყურადღებოდ ტოვებს იმ გარემო-  
ებას, რომ რუსოს „ჰსჭას“ დართული აქვს რუსი მთარგმნელის  
ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც გაყრიტიკებულია რუსოს დე-  
ბულებანი. „წყარო ჰსჭავლათა არს წმიდა და უბიწო, საგანი  
მათი არს თვით უუსრულესი და თვით უკეთილშობილესი“.  
ქართველები ეცნობოდნენ რუსოს შეხედულებას, ამასთან ამ  
შეხედულებათი კრიტიკასაც, ცხადია თარგმნა ყოველთვის  
თანხმობასა და გაზიარებას არ ნიშნავს <sup>3</sup>.

როგორც ვნახეთ, მე-16 ს. მეორე ნახევარში და მე-19 ს.  
დასაწყისში ქართველები იცნობენ ვოლტერს, მონტესკიეს,  
რუსოს, ფენელონს, მარმონტელს, ლესაჟს, ფლორიანს<sup>4</sup>, ფრანგ

<sup>1</sup> S 1260.

<sup>2</sup> ლ. ასათიანი, „ვოლტერიანობა საქართველოში“, გვ. 85.

<sup>3</sup> დავით ბატონიშვილის „ახალი შიხის“ ფორმაზე პროფ. ალ. ხახანაშ-  
ვილი ხედავს რუსოს „ახალი ელიოზის“ გავლენას. ალ. ხახანაშვილი, ნარ-  
ძველები, III, 581.

<sup>4</sup> ფლორიანის „ნუმა პომფილია, მეორე მეფე რომისა“, თარგ. გ. ავა-  
ლიშვილისა, H 456.

მოაზროვნეებს და ბელეტრისტებს. ცალკე თავში მიმოვინალავთ დამოკიდებულობას ფრანგულ დრამატურგიასთან. ვნახავთ, რომ ამ ხანში ქართველები იცნობენ: ვოლტერის, კორნელის, როსინის დრამებს.

ქართველებისათვის უცხო არ ყოფილა არც ფრანგული პოეზია. მაგრამ ისეთი დიდი ინტერესი, როგორიც ჰქონდათ ფრანგულ პოლიტიკურ ტრაქტატებისაღმი და ბელეტრისტულ ნაწარმოებებისაღმი ფრანგული პოეზიისაღმი მათ არ გამოუჩენიათ.

ეს ორი გარემოებით უნდა აიხსნას. პირველი: — ქართველები უმთავრესად ფრანგ მწერლებს რუსულ თარგმანში ეცნობოდნენ; პროზაული ნაწარმოები ან ტრაქტატი თარგმნის დროს ნაკლებს ჰქარებას, აზრობრივი მხარე ნაწარმოების მაინც გაღმოიცემა, ცუდი თარგმნით კი ლექსი ბევრს ჰქარებას; ამიტომ თუ არ აქცევდნენ ქართველები ყურადღება ფრანგულ ლირიკულ ლექსთა რუსულ თარგმანებიდან გაღმო ქართულებს. მეორე — რაც არ უნდა დიდი ტრადიცია გვქონდეს პროზისა, მაინც ქართულ პროზას ხარვეზები ჰქონდა დრამატურგია ხომ სრულიად არ არსებობდა. ქართულ პოეზიას კი დიდი ტრადიციები გააჩნდა, მიტომ ქართველები ცდილობდნენ პროზისა და დრამის ხარვეზთა შევსებას. პოეზიაში კი ქართული ტრადიციებით იკვებებოდნენ.

მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში ქართველი პოეტები თარგმნიან ვოლტერის, ლამარტინის ლაფონტენის ლექსებს. აქ დიდი დამსახურება მიუძღვის ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მან, გარდა როსინის, კორნელის და ვოლტერის დრამებისა, თარგმნა ლაფონტენის „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, „მგელი და კრავი“. თარგმანი შესრულებულია უშუალოდ ფრანგულიდან. ამ მხრივ ალექსანდრე ჭავჭავაძის მოღვაწეობა ახალ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ ქართულ-ფრანგულ ლიტერატურათა კავშირში. ჭავჭავაძემ იცის ფრანგულ

<sup>1</sup> H 1250, ლექსი „სასოწარკვეთილება... ლამარტინისა“ და ქისტაურშეკიაზო ერისთავის ოჯახში ნანახი „გარმონია პოეტური ღია საჩშმუნოებრვი“ (სული ჩემი მოწყვენილ არს ვიდრე სიკვდილამდე) ე. თაყაიშვილ არქ. მოგზ. I, 290.

და იგი დანარჩენებივით მხოლოდ რუსულიდან არ თარგმნის  
ფრანგ პოეტებს.

ალ. ჭავჭავაძეს ეკუთვნის თარგმანი „ვოლტერის თქმულები  
ლი“ ან როგორც ხელნაწერშია „ვოლტერის თქმული ტაქტიკა  
კაზედ“<sup>1</sup>. ამ ლექსში გამოთქმულია ომისა და ხოცვა-ულეტის  
საწინააღმდეგო აზრები. ლაფონტენის თარგმნა და ფრანგული  
ლიტერატურის ცოდნა ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას  
თავისებურ ხსიათს აძლევს ალ. ჭავჭავაძე, რომელიც ძირითა-  
დათ რომანტიკოსი პოეტია, არც კლასიკიზმის სტილისაგან  
არის დაზღვეული — ჭავჭავაძის მიღრეკილება კლასიკიზმისა  
და ვოლტერისაკენ ბუნებრივია, კლასიკიზმი ფეოდალური და  
ბურჟუაზიული იდეოლოგიის მორიგების საფუძველზეა შექმნი-  
ლი. ვოლტერის კლასიკიზმს კი რომანტიკული იერი დაპკრავს.

ფრანგული აზროვნების, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიუ-  
ლი რევოლუციის და განმანათლებელთა იდეების ანარეკლი  
უნდა ჩანდეს ალ. ჭავჭავაძის ლექსში „ვაი ცოფელსა ამასა“. პროფ. მ. ზანდუკელი<sup>2</sup>, აზრით, ამ ლექსში მხოლოდ ეროვნული  
საკითხია დასმული<sup>2</sup>. მაგრამ რა გვაძლევს იმის საბუთს, რომ  
აქ სოციალური საკითხიც არ იგულისხმება, ან და რატომ არის  
შეუძლებელი ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის ამ დროს საკითხის  
ისეთნაირად დაყენება, როგორც ჩვენ გვგონია, ალექსანდრე  
აღზრდალი იყო რუსულ-ფრანგულ ლიტერატურაზე, კარგად  
იცნობდა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას. 1814 წ. რუ-  
სის ჯართან ერთად პარიზში შევიდა. რუსეთის ისტორიიდან  
საკმაოდ ცნობილია თუ რა დიდი გავლენა მოახდინა პარიზში  
ყოფნამ იფიცირებზე (დეკაბრისტები). ეს ოფიცირები, ისე რო-  
გორც ალექსანდრე, თავადაზნაურული წრიდან იყვნენ გამო-  
სული; რატომ ჭავჭავაძეზე კი არ შეეძლო ამ გარემოების, გა-  
ვლენის მოხდენა? მაგრამ თვით ლექსს ჩავუკვირდეთ, აქ გა-  
კრიტიკებულია: მდიდრები, ხელმწიფენი, მოხელენი, როშელ-  
ნიც მდიდრდებიან, „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და  
ხვეჭით“.

<sup>1</sup> S 1511.

<sup>2</sup> მიხ. ზანდუკელი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, I გ.  
83. 173. 1935 წ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსის, თავის სასახელოდ, შემღები  
სტროფით ამთავრება:

რომელიც ამწარებთ ღარიბთ ცხევრებას

და ჰსთხოვთ ურცვად, უსამართლოდ მონებას,  
მოელოდეთ მათთან თანასწორებას!

არ მარადის იშვათ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ჯერ კიდევ მე-18 ს. 80-იან წლებში ალექსანდრე ამილახო-  
რი („ბრძენი აღმოსავლეთისა“) და გიორგი ავალიშვილი („უბ-  
ნობა მკვდართა“) ილაშვირებლენ აღამიანისაგან აღამიანის  
ჩაგრის წინააღმდეგ. რა საკვირველია, რომ გაცილებით გვიან  
ალექსანდრე ჭავჭავაძემ დასწერა ლექსი, საღავ აღამიანთა მო-  
სალოდნელ გათანასწორებაზე ლაპარაკობს. მით უმეტეს, რომ  
საფრანგეთის რევოლუციის მიერ წამოყენებული პრინციპი  
აღამიანთა „ერთობის. ძმობის, თავისუფლებისა“ მისთვის კარ-  
გად იყო ცნობილი. ეს ლექსი არის მომენტი ალექსანდრე ჭავ-  
ჭავაძის შემოქმედებაში შესაძლებელია რომელიმე ნაწარმო-  
ების გაცნობის, რაიმე ამბის შთაბეჭდილების შედეგად შე-  
ქმნილი.<sup>1</sup>

## 7

ქართული პრესის, კერძოდ „ცისქის“ დაარსების, შემდე-  
გაც. ფრანგული ლიტერატურის ნაკადა არ შეწყვეტილა. გ-  
ერისთავის „ცისკარში“ იბეჭდებოდა ფრანგ მწერალთა შემოქ-  
მედება. „ცისკარში“ დაიბეჭდა კორნელის „სინნა“, ალ. ჭავჭა-  
ვაძის თარგმანი. როე დე ბოვარის. ბერნარის მოთხრობები,  
ჰიუგოს ლექსები. ივანე კერესელიძის „ცისკარში“ იბეჭდებო-  
და მარმონტილის მოთხრობა „მეუდაბნოენი“, ლაპატილის, პი-  
უგოს, ბერანუეს, ოგიუსტ ბარბიეს, უანლისის და სხვათა ნა-  
წერები. მეტწლად ფრანგული ლიტერატურის ეს ნიმუშები  
ნათარგმნია რუსულიდან; თარგმანებში არ არის ორიგინალის  
მხატვრული ღირსება დაცული.

<sup>1</sup> ა. ჭავჭავაძეს ფრანგულიდან უთარგმნია ესპანელი მწერლის „ევ-  
ლუქსია, ასული ველისარიონისი, მოთხრობა სატროიალო“. თარგმანი  
შესრულებულია 1808 წ. პეტერბურგში, „შეწევნითა მეფის ძის იოანესი-  
თა“, H 2132.

ბარბიესი, ბერანჯესი, ჰიუგოს და ორიოდე გამონაკლისის  
გარდა ფრანგული შეტყობის დასახელებულ წარმომადგე-  
ნელთ საერთო არაფერი ჰქონიათ ქართულ სინამდვილესთან.  
ქართველობას მათ შემოქმედებაში აღძრული საკითხები 60-  
70-იან წლებში აღარ აკმაყოფილებდა.

მარმონტელის თხზულებებს თავის მნიშვნელობა მე-18 ს.  
გალოს ჰქონდათ, ხოლო მათ ეს მე-19 ს. 60-იან წლებში დაპ-  
კარგეს. მაშინ როდესაც საქართველოს ცხოვრება რეალისტური  
ხსიათის ნაწარმოებებს თხოულობდა, მარმონტელის სენტი-  
მენტალისტურ „მეუდაბნოენს“ და კორნელის „ცანნას“ მხო-  
ლოდ ისტორიული მნიშვნელობა თუ ექნებოდათ.

მარმონტელის, კორნელის, ლესაკის გაცოცხლება ქართუ-  
ლი ლიტერატურის წინსვლას ხელს არ უწყობდა. ამიტომ იყო,  
რომ ილია ჭავჭავაძემ გაილაშქრა სენტიმენტალიზმისა და მარ-  
მონტელის „სხოლის“ წინააღმდეგ („ორიოდე სიტყვა...“).  
ილიას აზრით, მარმონტელი და სხვა სენტიმენტალისტი მწერ-  
ლები „მეტად სჭიმავდნენ გრძნობას. ძალად ტიროდნენ“.<sup>1</sup> სა-  
ბედნიეროდ ამ მწერლებს რაიმე არსებითი გავლენა ქართულ  
მწერლობაზე არ მოუხდებიათ.

გიორგი ერისთავმა თარგმნა ვიქტორ ჰიუგოს ლექსები.  
მათ შორის აღსანიშნავია: „ო, ნუ კითხავთ“. ამ ლექსში სოცი-  
ალურ პრობლემასთან დაკავშირებით დასმულაა ქალთა სა-  
კითხი. ბერანჯეს სატირაც არ ყოფილა უკნობი „ქართველი  
მოლიერისათვის“.

ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებას განსაკუთრებული ყურად-  
ღება მიაქცია ილია ჭავჭავაძემ. ილია ჰიუგოს „რომანტიზმის  
უდიდეს წარმომადგენლად“ თვლის და „საფრანგეთის სახე-  
ლოვან პოეტს“ უწოდებს.

ჰიუგოს რომანტიკული შემოქმედების რეკოლუციური ხა-  
სიათი ცნობილია. მის რომანტიზმში ბევრი რამ არის რეალის-  
ტური. ჰიუგოს შემოქმედება რევოლუციური სულისკვეთები-  
სა. გასაგებია ახალ თაობის წარმომადგენელთაგან ჰიუგოს წინ  
წამოწევა. ილიასათვის მარმონტელი უკვე ისტორიას ეკუთვ-

<sup>1</sup> „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“, ი. ჭავჭავაძე, ტ. 4; გვ. 372.

ნის. ჰიუგოს „შემოქმედებას კი ბევრი რამ შეუძლია მისცე  
ქართველ ტკითაველს.

„საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ჰიუგოს რომანი „გან-  
წირულნი“ (ჩექოვანის თარგმანი ფრანგულიდან) და „სიკვდი-  
ლით დასჯის გადაცდების საქმე და ამის თავობაზედ ვიქტორ ჰი-  
უგოს წიგნი“<sup>1</sup>. ჰიუგოს რომანში ჩაგრულ ადამიანთა ცხოვრე-  
ბაა ასახული, მას ბევრი პქონდა საერთო თარგდალულთ  
იდეებთან, წერილს კა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ. რომ ჰიუგოზე 80 წლით ადრე  
ალექსანდრე ამილახორი იღა შქრებდა სიკვდილით დასჯის წი-  
ნააღმდეგ. 60-იანი წლებიდან ქართველები სწავლობდნ ფრან-  
გულ ლიტერატურას. მათ ფრანგული ლიტერატურის რევოლუ-  
ციური წარმომადგენლები აინტერესებთ. ილ. ჭავჭავაძის რე-  
ვოლუციურ იდეებს შრომის სუფევისა, ძმობა-ერთობა-თავი-  
სუფლების შესახებ, ბევრი რამ აქვს საერთო ფრანგულ აზ-  
როვნებასთან. ბერანეულ სატირას ვხედავთ ილიას ლექსებ-  
ში „რა ვაკეთოთ...“ „ბედნიერი ერი“ და სხვ.

ქართველები ყურადღებით ეპყრობოდნენ საფრანგეთის  
პოლიტიკურ ცხოვრებას, თანაუგრძნობდნენ საფრანგეთის რე-  
ვოლუციურ მოძრაობას. პარიზის კომუნის დამარცხებას ილია  
კაცობრიობის ისტორიის შეფერხებად მიიჩნევს:

კვლავ შეფერხდა ისტორია,  
განახლების შესდგნენ ძალნი.

ფრანგებს. როგორც დიდი რევოლუციური წარსულის  
ხალხს, ილია „მოყვასისათვის წამებულ საოცარ ერს“ უწო-  
დებს.

ფრანგულ მწერლობასთან ურთიერთობას ქართული არც  
70-80-90-იან წლებში წყვეტს. ითარგმნება: ჰიუგო, დოდე,  
ბურუე, უორუ-სანდი, ერკმანი და შატრიანი, ფრანსუა კოპე,  
კლოდელი, ლოტი, მირბო. მოლიერი, არნო და სხვ. ეს მწერ-  
ლები ერთგვარ დამატებას წარმოადგენენ ქართული ლიტერა-  
ტურისათვის, ავსებენ მას. ამ ხანაში ქართულ მწერლობას სა-  
კუთარი იზები გააჩნია. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად

<sup>1</sup> „საქაოთველოს მოამბე“, 1863 წ. № 8.

ქართული ლიტერატურა ორგანიული განვითაოუით უახლოვ-  
დება და საერთო ცაფების პერიოდის ფრანგულ ლიტერატურასთან-  
საყურადღებო პრობლემაა შიო არაგვასპირელისა და მობასა-  
ნის ურთიერთობის საკითხი. რუსო და ვაჟა-ფშაველა, ალექსან-  
დრე ყაზბეგის ნაწარმოებთა უანრი და ფრანგული ლიტერატუ-  
რა.

1905-იანი წლები რევოლუციური აღმავლობის წლებია,  
ამიტომ გასაცემია იროდიონ ევლოშვილის დაინტერესება ბე-  
რანჯეს შემოქმედებით. ქართველი რევოლუციონერი პოეტი  
თარგმნის ეუენ პოტიეს „ინტერნაციონალს“. პოეტის ლექსი  
მღერიან ბარიკადებზე მებრძოლნი და პარიზის კომუნართა გმი-  
რობას იხსენებენ.

მე-18 საუკუნის გასულს ქართული თავადაზნაურული ინ-  
ტელიგენციისათვის ბუნებრივი იყო ფრანგული კლასიციზმის  
გადმონერების ცდა. პოლიტიკურად დაშლილ ქვეყანაში საფუ-  
ვლიანი იყო სურვილი სახელმწიფოს გაერთიანებისა და მეფის  
უფლებათა განმტკიცებისა. საზოგადოების მოწინავე ნაწილი-  
სათვის კონსტიტუციური მონარქიისა და უფრო მემარცხენე-  
თათვის არც რესპუბლიკური იდეები ყოფილა უცხო.

ბურუუაზია, რომელაც საფრანგეთში იბრძოდა რესპუბლი-  
კისათვის, საქართველოში არ არსებობდა. ბურუუაზიული ინ-  
ტელიგენციის მაგიერობას თავადაზნაურთა წრიდან გამოსული  
მწერლები ეწეოდნენ. ამატომ ზოგჯერ ერთი და იმავე მწერლის  
შემოქმედებაში კონსტიტუციური მონარქიის იდეებთან დემო-  
კრატიულ ტენდენციებსაც ვხვდებით. მე-18 ს. და მე-19 საუ-  
კუნის პირველ ნახევარში ქართული ბურუუაზიას სისუსტით,  
ან არ არსებობით უნდა აიხსნას ისიც, რომ ქართველები ნაკ-  
ლებად ეტანებიან ფრანგ განმანათლებელთა შორის მოწინავე  
და მემარცხენე მოღვაწეებს, ათეისტებს: დიდროს, პოლბახს,  
ჰელვეციუსს. ქართველები განმანათლებელთა ზორის ზომიე-  
რების, — უპირატესობას ვოლტერსა და ბონტესკიეს აძლევენ.  
რუსოს ნაწერებიდან კი ნაკლებ რევოლუციონური ხასიათის  
თხზულებებს (ქართულად არ თარგმნილა მაგ. რუსოს „Gontrat  
Social“). რესპუბლიკური იდეები კონსტიტუციურ მონარ-

ქიულ იდეებზე ნაკლებად ვრცელდება. ქართულად არც ლებ-  
რენისა და მარი-ქოზეფ შენიეს რევოლუციონური ლექსები  
გადმოუთარებით.

იყო მომენტი, როდესაც ფრანგული სენტიმენტალური ლი-  
ტერატურა გზას უღობავდა საქართველოში რეალისტური  
სკოლის განვითარებას, მაგრამ ფრანგული კლასიკიზმისა და  
სენტიმენტალიზმის ტრადიციები დამარცხდა საქართველოში  
რეალიზმის გამარჯვებასთან ერთად. გარდა სენტიმენტალიზმი-  
სა და კლასიკიზმისა, არსებობს საფრანგეთიდან მომდინარე  
სხვა იდეური შენაკადებიც. 60-იანი წლების მწერლები ყურად-  
ღებათ ეპირობიან მოწინავე ფრანგ რევოლუციონერ მწერ-  
ლებს. 70-90 წლებშიც ურთიერთობა ქართულ-ფრანგული ლი-  
ტერატურისა არ წყდებოდა; ქართველები ეცნობიან ფრანგ  
მწერლებს. რაც ხელს უწყობს ქართული ლიტერატურის ზრდას  
(მოპასანი, ზოლა, პიუგო, დოდე). ფრანგ მწერლებს თარგმნიან  
უშუალოდ ფრანგულიდანაც. 90-იან წლებში სუსტდება რუსუ-  
ლიდან ფრანგების თარგმნის ტრადიცია.<sup>1</sup>

ქართული ლიტერატურა, გამაგრებული საკუთარ ნიაღაგზე,  
მდიდრდება მსოფლიო ლიტერატურის ჟღევრებით.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ლიტერატურა-  
რამ უყურადღებოდ დასტოვა ფრანგი პარნასელები და სიბბო-  
ლისტები: ბოდლერი, ვერლენი, პერედია, რემბო და სხვ. ბურ-  
უზაზიული ყოფის პირობებში შექმნილი ეს ლიტერატურული  
დაჯგუფებანი გამოძახილს ვერ ბოულობდა საქართველოში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ლიტერატურა-  
ში მთლიანად გაბატონდა უტილიტალური პრინციპი; ავიტომ  
„წმინდა პოეზიის“ ქადაგება ჩვენში ნიაღაგს ვერ პოულობდა.  
ფრანგი სიმბოლისტების გავლენები საქართველოში მხოლოდ  
მე-20 საუკუნიდან გვხვდება.

ამ მიმოხილვის შემდეგ ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ ფრანგული ენის ბევრი ელემენტი შემოვიდა ქართულ ენაში. მე-19 ს. ქართული ენის ლექსიკონში უამრავი ფრანგული სიტყვა

<sup>1</sup> უშუალოდ ფრანგულიდან თარგმნიან: თედო სახოვაძე, ივ. მიჭიდვარი-  
ანი, ივ. ზურაბიშვილი, გრიგოლ აბაშიძე.

დაგროვდა. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1776 წელს მოსკოვში არხიდიაკონ გაიცის ძერ რუსულიდან ნათარგმნ თხზულებაში ევროპულ სხვა სიტყვებთან გვხვდება ფრანგული სიტყვებიც: პლაფონ, პრინცი, გარდერობი, დამა, კორტეჟი, პლატრეტი და სხვ.<sup>1</sup>

## ნაწილი მეორე

1

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურისათვის ფრანგულ თეატრს. ქართული თეატრი მეფე ერეკლეს ეპოქაში ფრანგული დრამატურგით სარგებლობდა. აქაც საქართველოსა და საფრანგეთს შორის გზას რუსეთი წარმოადგენდა. ფრანგული დრამატურგის ელექტრებს, კერძოდ, მოლიერისას, ვხედავთ გიორგი ერისთავის თეატრში და დრამატურგიაში. ფრანგული თეატრისაგან ფრიად დავალებულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული თეატრიც. ფრანგულიდან მრავალი პიესა ითარგმნა, გადმოკეთდა და დაიდგა მე-19 ს. ქართულ სცენაზე.

ფრანგული თეატრის ტრადიციების გადმომტანად ჩვენში გიორგი ავალიშვილი ითვლება. გიორგი ავალიშვილი არის მთარგმნელი სუმაროკოვის პიესებისა: „რქის მატარებელი“, „დედა რაყიფი ქალისა“, „საჩხუბარი“. მართალია ეს პიესები ფრანგულიდან არ არის გადმოთარგმნილი, არამედ რუსულიდანაა, მაგრამ თვით მათი ავტორი, სუმაროკოვი, ფრანგული კლასიციზმის ტყვეობის ქვეშ იმყოფებოდა. ავალიშვილის თეატრი დიდაქტიკური ხასიათისაა. მან უნდა გამოასწოროს ადამიანი. ეს ისეთივე შეხედულებაა, როგორიც ჰქონდათ სუმაროკოვის ფრანგ მასწავლებლებს. ავალიშვილი პიესის წარმოდგენისას თავის ლექსს უკითხავდა საზოგადოებას.

დაიშალეთ, თუ რომ სჭობდეს,  
მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა.

დიდი ყურადღების ლირსია ავალიშვილის მიერ რუსული-

<sup>1</sup> S 100.

დან თარგმნილი „უბნობა მკვდართა“.<sup>1</sup> შეიძლება ითქვას, რომ „უბნობა მკვდართა“ არ არის ღრამატული ნაწარმოები. იგი არის ღიალოვი ორ პირს შორის. თავისი ხასიათით „უბნობა მკვდართა“ მოგვაგონებს მე-17—მე-18 საუკუნეში ჰაფტანული გავრცელებულ ღიალოვებს იმ განსხვავებით, რომ ისინი სცენისათვის არ ყოფილან განკუთვნილი. მაგ. ფენელონის (1651—1715) ნაწარმოები ამავე სათაურით „მკვდრების ღიალოვი“ — „Dialogues des moorts“ — ე. ი. „უბნობა მკვდართა“. ფონ-ტენელის (1657—1757) „Dialogues des moorts“, რაც იმავე „მკვდართა უბნობას“ ნიშნავს და სხვ. „უბნობა მკვდართა“ თავისი ფორმით ფრანგულ ლიტერატურას უკავშირდება. საინტერესოა ამ დიალოგის შინაარსი. აქ გამოთქმულია თავისი ღროისათვის მრავალი პროგრესული შეხედულება. უარყოფა წოდებრივი უპირატესობისა. აღამიანთა თანასწორობის იდეა „უბნობა მკვდართა“ მრავალი შტრიხით უკავშირდება ჩვენ მიერ განხილულ ალექსანდრე ამილახორის „ბრძენი აღმოსავლეთისა“—ს. საინტერესოა უბნობა (ღიალოვი) მაღალ ხარისხსა და მდაბალ ხარისხს შორის. მდაბალი ხარისხი საიქიოში შეხვდება მაღალ ხარისხს და გახარებული ატყობინებს: — „აქ ყველანი თანასწორნი არიან, არც ბატონი არის აქ და არც ყმა, ნება და ხარისხი აქ განქარდებიან, და მხოლოდ კაცობრიობა შთება“. რატომ უნდა სარგებლობდეს მაღალი ხარისხი მდაბალ ხარისხზე უპირატესობით? აღამიანი ყველა ერთნაირად იბადება დედის მუცლილან, გვაროვნობაზე მაღლა აღამიანობაა დასაყენებელი. ერთი შეხედვით, თითქოს მდაბალი ხარისხი არ არის ღიღეაცთა წინააღმდეგ, მაგრამ იგი თავის რეპლიკას ასე ამთავრებს: — „მაგრამ, მე ასე ვვონებ, და ჩემი ფიქრი ასე სჭრის, რომ ისინი (ღიღეაცნი — ნ. ტ.) არ უზმენ კეთილსა კეთილსა კაცსა და უზმენ კეთილსა, რომელნიცა მათ ტყუვებით ეფერებიან და მორჩილებენ“.

საიქიოში ბატონთან შეხვედრილი მონაც გახარებულია, რადგან იქ „ყოველნი თანასწორნი არიან, რაც უფალი, ი' მონაა“. მონა იხსენებს სააქაოს ცხოვრებას, საღაც ბატონი არააღამია-

<sup>1</sup> ს 11, მიხ. აბრამიშვილი, „ქველი ქართული თეატრი“, გვ. 15—23, პროფ. კ. ჯავალიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 2.

წურად ექცეოდა, ამხელს ბატონის მექრთამეობას და ნიშნულებს იმით, რომ საიქიოში ისინი თანასწორნი არიან, ერთ-აღარ არის იქ უთანასწორობა. ბატონს აღარა აქვს უფლება მოწინაშე, ამიტომ ასეთი ადგილი ბატონისათვის საშინელია, მონისათვის კი აქაა სწორედ ბედნიერება.

„უფალმა: ჩემთვის ამ ქვეყანას მდგომარეობა დიახ მწარე არის.“

მონამ: და ჩემიც იმ ქვეყანას მდგომარეობა უფრო უმწარესი იყო“<sup>1</sup>.

„უბნობა მკვდართა“ მეფე ერეკლეს დროს. მე-18 ს. 90-იან წლებში იდგმებოდა თბილისში — „პალატაში“ — სცენაზე. აქ საიქიოდან პროტესტია გამოცხადებული სააქაოს წესწყობილებისა და ადამიანთა შორის არსებული უთანასწორობის წინააღმდეგ. საიქიო, რომელიც ახარებს მონას, რადგან იქ უთანასწორობა აღარ არსებობს, მომავლის თუ არა, სასურველი ქვეყნის სიმბოლოდ არის დასახული.

ფრანგულმა აზროვნებამ, რომელიც გავლენას ახდენდა მე-17—მე-18 საუკუნეში ევროპაზე და რუსეთზე, მე-18 ს. მეორე ნახევარში საქართველომდეც მოაღწია.

ფრანგული დრამატურგიის ნიმუში ქართულად პირველად დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილმა გაღმოაკეთა. დავითი, როგორც „კალმასობის“ განხილვის დროს ვნახეთ, თავისი დროისათვის განათლებული და მოწინავე პირი ყოფილა, მასზე ფრანგული აზროვნების, კერძოდ ვოლტერის გავლენას ვხედავთ. მას არა სწამი, ზიარება, ეკლესია, საიქიო წ: წყმედა და ცხონება. პლატონ იოსელიანის სიტყვით ჩოლოყაშვილი ყოფილი „დიდად ნიჭებული სიტყვითა და მწერლობითა“. ცნობილია „თავადის დიამბეგის დავით ჩოლოყაშვილის, ჯიმშერის ძის ლექსნი რომელნიმე საქებელნი და რომელნიმე სალალობელნი“<sup>2</sup>.

დავით ჩოლოყაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ფრანგული პიესების ქართულად გაღმოკეთებას. ეს ტრადიცია გააგრძელეს

<sup>1</sup> მიხ. აბრამიშვილი, „ძველი ქართული თეატრი“, გვ. 21.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, „Описание..“, ტ. I, ნაწილი 3, გვ. 181.

მე-19 საუკ. ქართველმა დრამატურგებმა. როსინის „იფიგენია“ ჩოლოყაშვილის მიერ გადმოკეთებულია „მათის მეფის ძრავა მეორის შესაქცეველად, ეპოხასა მეფობისა მისისასა ნბ (52) წელსა

შდ. მაცხოვრისა ჩნისა ჩლუ (1795)...“ ქალაქ თბილისში.

დ. ჩოლოყაშვილის მიერ გადმოკეთებულ რასინის „იფიგენია“ პირველად შეეხო პროფ. ალ. ცაგარელი.<sup>2</sup> ა. ცაგარლის აზრით დრამა გადმოკეთებულია უშუალოდ ფრანგულიდან, პროფ. კ. კეკელიძის აზრით კი რუსულიდან.<sup>3</sup> ჩვენ აქ როსინის ქართულად გადმოლების ფაქტი გვაინტერესებს, ხოლო თუ ჩომელი ენიდანაა გადმოკეთებული, ამჟამად ეს მეორე ხარისხოვან საკითხად მიგვაჩნია. დავით ჩოლოყაშვილს როსინის „იფიგენია“ შეუმოკლებია, ჩაუმატებია აღვილები, განუვრცია რემარკები, ქართული პირობებისათვის შეუფარდებრა. დ. ჩოლოყაშვილს გაუუმჯობესებია პიესის სცენიური მხარე — „პიესა ისე მარჭვედ არის შემოკლებული, რომ უფრო მეტი მოძრაობა არის შეტანილი. გარდა ამისა, ჩოლოყაშვილს მოუცია დარიგება პიესის დადგმისა და დეკორაციების მხრივ“<sup>4</sup>. ამით ნაწილობრივ დარღვეულია როსინისათვის დამახასიათებელი ფსევდოკლასიკური სტილი. „იფიგენიის“ გადმოკეთებას, გარდა ლიტერატურული მნიშვნელობისა, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. აგამენონში გადმომკეთებელი მეფე ერეკლეს გულისხმობდა და ხალხს ამზადებდა მტრებთან ბრძოლისათვის.

დ. ჩოლოყაშვილის შემდეგ მრავალი პიესა ითარგმნა ფრანგულიდან. ყველაზე დიდი დამსახურება ამ საქმეში ფრანგული ენის კარგ მცოდნეს, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიუძღვის. ა. ჭავჭავაძის მიერ პიესათა უმრავლესობა თარგმნილია უშუა-

<sup>1</sup> „იფიგენია“ დაცულია ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ითანე პატონიშვილის ფონდშიც, № 36.

<sup>2</sup> ალ. ცაგარელი, „Сведения...“, ტ. I, ნაწილი III, გვ. XLII, XXX — XXVII, 301 — 320.

<sup>3</sup> პროფ. კ. კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, გვ. 499—500.

<sup>4</sup> მიხ. აბრამიშვილი, „ძველი ქართული თეატრი“, გვ. 37.

ლოდ ფრანგულიდან. ჭავჭავაძე თარგმნის: ვოლტერის, კორნელის, როსინის პიესებს. ძე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი მკითხველი ეცნობა კლასიზიზმის კორიფეებს. როგორც პროფ. ჭ. კეკელიძეც აღნიშვნავს თავის „*ჭავჭავაძეს თარგმნილი აქვს ვოლტერის ტრაგედიები:* „ალ-ზირა ანუ ამერიკელნი“<sup>1</sup>, „ზაირა“<sup>2</sup>, კორნელის „სინნა“. ალ-ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი „სინნა“ დაიბეჭდა გიორგი ერის-თავის „*ცისკარში*“ 1853 წ. შეცდომით ავტორუდ როსინი აწერია:

1884 წ. უსრიალ „ივერიას“ ცენზორმა აუკრძალა „სინნას“ დაბეჭდვა. რატომ აკრძალა ცენზორმა „სინნა“?

1881 წ. ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ რუსეთში ჩატორი გამეფდა. „სინნაში“ ემილიას მონოლოგები აგვიტო იმპერატორს ტრანად გვიხატავს. აქვეა შეთქმულება იმპერატორის მოსაკლავად. შეშინებულ ცენზორს, საკვირველი არ არის, აქ რომ ტრანორის წახალისება დაენახა. ასაკრძალავად ცენზორისათვის საჭმარისი იყო ასეთი ადგილიც:

ერს ერთ მთავრობაც, მეფობაც, ორივ აქვსთ მოძაგებული, აქა უფლების დამპყრობთა, ყოვლის უხმობენ მტარვლებად. („სინნა“)<sup>3</sup>

ასეთი სიტყვებით შეშინებულ ცენზორს ყურადღება აღარ მიუქცევაა ტრაგედიის ძირითად იდეისათვის, რომელიც არსებითად მონარქისტულია.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეკუთვნის ტრაგედია „*ჰერაკლეს*“<sup>4</sup> თარგმანი. ამის შესახებ პროფ. ჭ. კეკელიძე წერს: „ვისია, თარგმანიდან არა ჩანსო“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> S 1673.

<sup>2</sup> S 1742. არსებობს „ზაირას“ დ. ფავლენიშვილისეული თარგმანიც, H 1733.

<sup>3</sup> S 4910. პროფ. ალ. ხანანაშვილს და პროფ. ჭ. კეკელიძეს შეცდომით აქვთ აღნიშნული, ვითომ „ივერიაში“ აწყობილი იყო „სიდი“ კორნელისა. „სიდის“ ქართული თარგმანი არ მოიპოვება. „ივერიაში“ დასაბეჭდად აწყობილი იყო „სინნა“ და არა „სიდი“. ცენზურის მიერ „ივერიისათვის“ აკრძალული „სინნა“ დაცულია საქ. ცენტრ. არქ. ფ. 114 საქმე 655. (იხ. აგრეთვე მიხ. აბრამიშვილი „ძველი ქართული თეატრი“, გვ. 41).

<sup>4</sup> „*ჰერაკლე*“, S 2480.

<sup>5</sup> პროფ. ჭ. კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. 2, გვ. 501.

„ჰერაკლე“ ა. ჭავჭავაძეს უთარგმნია პირ კორნელის ტრაგედიან — „Heraclius“ (დაიწერა 1647 წ.).

ალექსანდრე ჭავჭავაძემ თარგმნა, აგრეთვე რომინის ტრაგედია „ესთერი“.<sup>1</sup> რადგან ჩვენ მკვლევარებს არ აღიყენდეთ, ამიტომ საჭიროა დავუმატოთ. რომ ალექსანდრემ თარგმნა აგრეთვე რომინის ტრაგედია „ფედრა“<sup>2</sup>.

პროფ. კ. კუალიძეს აღნიშვული აქვს, რომ ჭავჭავაძეს ეკუთვნის კორნელის „ედიპის“ თარგმანიც <sup>3</sup>. ჩვენ „ედიპის“ ქართული ვარიანტი მითითებული ნომრით (S 1364) ვერ ვაპოვეთ. მაგრამ კიდეც რომ ჰერონდეს ალექსანდრეს ნათარგმნი „ედიპი“ არ შეიძლება მისი ივტორი პიერ კორნელი იყოს, რადგან კორნელის ასეთი ტრაგედია არ დაუწერია. ტრაგედია „ედიპი“ ეკუთვნის ვოლტერს, წარმოდგენილ იქმნა ლრანგულ ენაზე პირველად 1718 წ. ნოემბრის 18-ს <sup>4</sup>. ალექსანდრე ჭავჭავაძის შემდეგ 1846 წ. ივანე ზუბალაშვილს უთარგმნია ვოლტერის „ფანატიზმა ანუ მაჰმად წინასწარმეტყველი“ <sup>5</sup>.

ფრანგული კლასიციზმის ლიტერატურულ მემკვიდრეობას თავისი ნაკლი აქვს, მაგრამ მხატვრული ღირსებაც გააჩნია. ქართულ თარგმანებში ორიცინალის სტილის ბრწყინვალება დაცული არ არის. ჭავჭავაძე ახერხებს აზრის სიზუსტით გაღმოცემას, მაგ. „ცინნაში“ არის ადგილები, სადაც მთარგმნელი ისტატობასაც ამჟღავნებს. საერთოდ კი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც ლირიკული ლექსების დიდი ხელოვანია, ვრცელი, ეპიური ნაწარმოების თარგმნისას ჩვეულებრივ სიმაღლეს ვეღარ ისარჩუნებს. ხშირად აქვს ნაძალადევი ფრაზა, რითმა. მაგ. „ცინნაში“ ასეთი სუსტი რითმები იშვიათი არ არის: ფიცხლად — ძლიერად, მაღიად — სრულიად, შეუძრავუნებია — განშორებია, გონება — მართლდება და სხვ.

ჰერონდა რაიმე საერთო ამ ნაწარმოებს ქართულ სინამდვი-

<sup>1</sup> S 2480.

<sup>2</sup> A 1410, „ფედრა, ტრაგედია გაღმოლებული ფრანცუზულის ენისაგან თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან“.

<sup>3</sup> „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, გვ. 501

<sup>4</sup> იბ. ვოლტერის ღრამები „Théatre de Voltaire“, Paris, 1874 — „Edipe ,tragédie en cinq actes“ p 21-70.

<sup>5</sup> H 568.

ლესთან თუ არა? უშეტესობა, რა თქმა უნდა, შორეული იყო  
საქართველოსათვის. მაგრამ ყველას „შესახეო ამის თქმა არ შეი-  
ძლება. მაგ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს თარგმნილი აქვს ვოლტერის  
რის ტრაგედია „ალზირა ანუ ამერიკელნი“<sup>1</sup>. „ალზირაში“ პა-  
სულია პერუს დამყრობა ესპანელთაგათ. აქ ალვარას პირით ვო-  
ლტერი ამხელს დამპყრობლებს, მათ „ოქროთი და სისხლით  
მარად განუძღვომლად“ თვლის. ესპანელი ალვარ ამბობს: —  
„შეძინებისა წილ ვმუსრავთ ერთა ამათ (იგულისხმება პერუე-  
ლები — ნ. ტ.). აქა ყოველივე სისხლითა შესვრილ არს ჩვენ-  
გან. ყოველივე განმტკერებულ არს“ — „ჩვენ ვართ ჭირნი ახ-  
ლისა ამის ქვეყანისანი, უსამართლონი, ამაყნი და ჩვენისა კიდე  
ბარბაროზნი ველთა ამათ შიხა არღა სხვა ვინმე არს“.

„ალზირაში“ გამოყვანილი ამერიკელი ზამორ სასტიკი წი-  
ნააღმდეგია სამშობლოს დამონებისა. გული სტკივა, რადგან  
„მამული მონებისა ულელსა ქვეშე მკვნესარედ“ ეგულება. იგი  
ამბობს: დამპყრობლები „სისხლითა ჩვენითა მთვრალ არიან,  
უხვითა ჩვენთა თვის მომხმარ და უსამართლოდ შეძინებულისა  
ქვეყანისა ამის დამქცეველ არიან...“

ზამორ იბრძვის, რომ დაამარცხოს „ვეშაპნი, რომელი ქვე-  
ყანასა ჰმუსვრენ, რომელთა უპირველესი სჯული საძაგელი ან-  
გარება არის“.

ვოლტერის „ალზირას“ არ შეიძლებოდა ინტერესი არ გამო-  
ეწვია ქართველი მკითხველისა. მასში დასმული პრობლემა, კო-  
ლონიზატორის წინააღმდეგ ბრძოლისა, მე-19 ს. ქართული  
მწერლობის ძირითადი თემაა. „ალზირა“ თავისი იდეით ვოლ-  
ტერის თანამედროვე საფრანგეთისათვის უფრო შორეული იყო;  
ვიდრე მე-19 საუკუნის საქართველოსათვის.

განხილული პერიოდი ქართულ-ფრანგული დრამატურგიის  
ურთიერთობის პირველი საფეხურია, იგი გაღმოკეთებით  
(„იფიგენია“) და თარგმანებით ხასიათდება („სინნა“, „ალზირა“  
„ჰერაკლე“ და სხვა).

ამით არ დამთავრებულა ქართული დრამის ურთიერთობა  
ფრანგულ დრამასთან. ქართული თეატრის მეორე საფეხური  
არის გიორგი ერისთავის თეატრი. ერისთავის თეატრისათვის

<sup>1</sup> S 1673.

4. ნ. ტატიშვილი

ძირითადი პიესები ერისთავის კოშედიებია. არც ერისთავი და რჩენილა ფრანგული დრამატურგიის ძალის გარეშე. მასი ორი გინალური თხზულების სასიათი, კერძოდ, კი „ძუნწია“; აშკარად ამუღავნებს მოლიერის „ძუნწიან“ („L'avare“) ურთიერთობას.

ამიტომ იყო, რომ ერისთავს „ქართველ მოლიერს“ უწოდებდნენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დრამატურგიაში ფრანგული ვოდევილის ელემენტია ვხედავთ. რუსეთში საფრანგეთიდან გავრცელებული ვოდევილი გადმოიღეს რაფიელ ერისთავმა, ა. ცაგარელმა და სხვ. მაგ. რაფიელ ერისთავის „იტვიანი“ არის „გადმოკეთებული რუსულისაგან, შემდეგ ფრანციულისა“.

ქართული თეატრის მესამე საფეხური იწყება 1879 წლიდან მუდმივი ქართული დასის ჩამოყალიბებით. ამ საფეხურზედ ქართული თეატრი დიდად არის დავალებული ფრანგულ დრამატურგიისაგან. ამ დროს მრავალი პიესა გადმოითარგმნა და გადმოკეთდა.

ანალიზმა გვიჩვენა, თუ რა დიდი ზემოქმედება მოახდინა საფრანგეთმა ქართველ მოწინავე მოაზროვნებზე მე-18 ს. გასულს და მე-19 საუკუნეში. ფრანგულმა კლასიციზმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. მას ჩვენში მტკიცე ნიადაგი არ ჰქონდა.

განსაკუთრებით თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი იყო ფრანგული დრამატურგიის როლი 1879 წლიდან, როდესაც მუდმივი ქართული დასი ჩამოყალიბდა. ქართული თეატრის რეპერტუარში ფრანგმა ავტორებმა საპატიო ადგილი დაიჭირეს.

ფრანგ დრამატურგთაგან ყველაზე პოპულარული მოლიერი იყო. მოლიერის კომედიებში, რომლებშიც ფეოდალური ყოფის სასტიკი კრიტიკა მოცემული, კაპიტალიზმის გზაზე საქართველოში შევრს ნახავდნენ საერთოს. მოლიერის პიესებს თამაშობდნენ ჯერ კიდევ მუდმივი დასის ჩამოყალიბებამდე. სდგამდნენ თბილისში და პროვინციის სცენაზე. მაგ. „ძალად ექიმი“ დაიდგა ხონში 1875 წ. „სკაპენის ცურლუტო-

ბა“ სამეგრელოს შორეულ სოფელ სუჭუნაშიც კი დაღვმულა. მოლიერს თარგმნილნენ: აკაკი, დ. ყიფიახი, ი. მაჩაბელი, ელენე ლორთქიფანიძე (დ. ყიფიანის ქალი) და სხვანი<sup>1</sup>. ყველაზე მეტი პოპულარობა ვიქტორიენ სარდუს „Patrie!“ დან გადმოკეთებულმა დავით ერისთავის „სამშობლომ“ მოიპოვა. „სამშობლომ“ ქართველი საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. მისი გავლენით შეიქმნა ორიგინალური ვატრიოტული პიესების სერია. ამის მიზეზი, დრამის ღირსების გარდა, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა ვეძოთ.

განვიხილოთ დეტალურად „სამშობლოს“ გადმოკეთება-დადგმის ისტორია და მისი მნიშვნელობა ქართველი ერის ეროვნული შეგნების გამოფხიზლებისათვის.

## 2

ქართველი ხალხი, ქართული ლიტერატურა შე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან რუს, რევოლუციონურ ინტელიგენციას-

1 როგორც 1899 წ. გამოცემულ იოსებ იმედაშვილის „ცხოვრების სარკეში“ გამოქვეყნებულ ქართული თეატრისათვის ნება დართულ ჩეპერტუარიდან ჩანს, მასში დიდი ადგილი ჰქონია დათბობილი ფრანგულიდან თარგმნილ და გადმოკეთებულ პიესებს. მათ შორის:

1. უორჯ დანდენი — მოლიერისა, მ. თუმანიშვილის თარგ.
2. სამშობლო! — საჩილდის, გადმოკეთებული დ. ერისთავის მიერ.
3. სამეფო ტახტისაოვის ანუ იაკობინელები — ფრანსუა კოპესია, თარგ. პ. ყიფიანისა.
4. სევილიელი დალაქი — ბომარშესი, თარგ. დ. ყიფიანისა.
5. სიუზანა — ა. ღიუმასი, თარგ. ვ. ჩცხილაძისა.
6. სკაბენის ცელებეტობა — მოლიერისა, თარგ. აკაკი წერეოლისა.
7. უნდა გავიყარნეთ — საჩილდის, გად. ვ. აბაშიძის მიერ.
8. ფიგაროს ქორწინება — ბომარშესი, თარგ. სტ. ჭრელაშვილისა.
9. ქართველი დედა — არნოსი, გად. ა. ცაგარლისა.
10. ადრიენა ლეკუვრერ — სკრიბისა და ლეგუვესი, თარგ. დ. მესხისა.
11. დენიზა — ა. ღიუმასი (შვილის), თარგ. კ. ბაქრაძისა.
12. დონ-ეუანი — მოლიერისა, თარგ. სტ. ჭრელაშვილისა.
13. ერანი — ვ. პიუგოსი, თარგ. ა. ნიკიტინისა.
14. ქრისანგი (ძუნწი) — მოლიერისა, თარგ. არვაციშვილისა.
15. მაღამ სენ-ეენ — საჩილდის, თარგ. კ. მესხისა.
16. მარგარიტა გოტიე — ა. ღიუმასი, თარგ. დ. მესხისა და სხვ.

თან ერთად სასტიკად ებრძოდა მონარქიის ინტერესებს, გარამ რუსეთის ბოლოების აყავდა თავისი დამცველებულებები თხერი პუბლიკუსტები, ოოგონოვ რუსეთში. ისე ჟაქინოზელ შიაკ. საქმაოა გავიხსენოთ რუსეთში კატკოვი. გაზეთ „მოკოვსკიე ვედომოსტის“ ცნობილი რედაქტორი და საქართველოში თავადი გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივტორი წიგნაკისა «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц».

გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი ამ წიგნში ამტკიცებდა მციც ერების დიდ ეროვნებაში გათქვეფის აუცილებლობა და ეს მას ისტორიული განვითარების კანონზემიერ შედეგმიაჩნდა. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ თავისი „ნამრობი“ ახალ გაზრდა დავით ერისთავს მართვა სახსოვრად. დავით ერი თავმა უკან დაუბოუნა წიგნაკი შემდეგი წარწერით:

О существе ты написал,  
Мой друг, более ста страниц,  
Но этим только доказал  
То, что мы знали без того:  
Что ты совсем не существо,  
И нуль меж крупных единиц.

გავიდა ხანი და დავით ერისთავმა ფრანგულიდან გადმოკეთა ვ. სარდუს პიესა „სამშობლო!“. ამ პიესით დაიმკვირდან სახელი ლიტერატურაში, შექმნა ეპოქა ქართული თეატრის ისტორიაში, აალაპარაკა საზოგადოება. ხოლო გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ტიპის მონარქისტებს გესლი და ბრაზი ამ თხევინა. ქართველი ხალხის სიყვარული დავით ერისთავისადმი აკაკი წერეთელმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

ძღვნად და საქურთხად სამარადისოდ  
სამქვეყნით და საამსოფლო;  
ლირსმა ერის ძემ, თვით ერასთავმა  
სამშობლოსათვის დასდგა „სამშოილა“

ცნობილი პოეტისა, დრამატურგისა და საზოგადო მოღწეს გიორგი ერისთავის შვილი — დავით ერისთავი დაიბარ 1847 წ. ბაგრატიონის მან საფუძვლიანი განათლება მიიღო სწავლობდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. 1850 წლიდან ჭ. ოდესაში გაემგზავრა სასწავლებლად, სადაც სწავლობდა კნერის პანსიონში. პანსიონში ასწავლადნენ: ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს; ფლეიტის, ვიოლინის

და პიანინოს ლაკუგრას, თეატრობას, ცურვას, ფარიკაობასა და  
სხვა საგნებს. 1867 წ. დავით ერისთავი ოდესის უნივერსიტეტ-  
ში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. შემდეგ საბუნებისმეც-  
ტყველო ფაკულტეტზე გადაარიცხა. 2 წლის შემდეგ გადავიდა  
და პეტერბურგის სამკურნალო აკადემიაში. 1871 წ. უმაღლეს  
სასწავლებელს თავი დაანება და სამშობლოში დაბრუნდა.

დავით ერისთავი წერდა ლექსებს რუსულად და ქართუ-  
ლად. ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას იგი უასტლოვდება  
რუს მწერლებს. დავით დიდი ნიჭი ქონდა დეკლამაციისა და  
ქარგად კითხულობდა ფრანგულ და ქართულ ლექსებს, ხო-  
ლო, როგორც მისი ბიოგრაფი იონა მეუნარგია გადმოგვ-  
ცემს, დავითი რუსული ლექსის უებრო მკითხველი ყოფილია.  
ქართული ლექსის კითხვაში ერისთავს ისეთი მეტოქე ჰყავდა,  
როგორიც მამია გურიელი იყო, ხოლო რუსულ ლექსს ვირტუ-  
ოზულად კითხულობდა.

რუსეთიდან მოწერილ ერთ წერილში დ. ერისთავი ეხება  
ლიტერატურულ საღამოს, რომელსაც ცნობილი რუსი პოეტი  
ა. მაკოვიც დასწრებია. მაკოვს წაუკითხავს ლექსები. რაც  
დავითს ძალზე მოსწონებია. დ. ერისთავი ამ წერილში სხვათა  
შორის ამბობს: — «Фофанов тоже читал, хотел подра-  
жать мне, но ни к селу, ни к городу, так что вышло коми-  
чески и публика рассмеялась».

როგორც აქედან ჩანს. დ. ერისთავის დეკლამაცია ცნობი-  
ლი ყოფილა რუსი პოეტებისათვისაც და ზოგიერთები კიდეც  
ცდილობდნენ მისთვის მიებაძათ.

პეტერბურგში ყოფნისას დ. ერისთავმა „დროებაშა“ და-  
ბეჭდა ქართულად დაწერილი ორი ლექსი<sup>1</sup>. პირველი მიმარ-  
თულია X X X -დმი (ილია ჭავჭავაძე). ილიას შემოქმედებას და-  
ვით ერისთავზე დიდი გავლენა მოუხდენია. ცხადია, „სამ-  
შობლოს“ ავტორი მოხიბლული იქნებოდა ილიას თხზულე-  
ბებით.

„აჩრდილს“ დავით ერისთავი ხშირად თურმე საჯაროდ  
კითხულობა და იმდენად იყო გატაცებული ამ პოემით, რომ  
სარდუს დრამის გადმოკეთებისას მან პიესის მთავარ გმირს

<sup>1</sup> „დროება“, 1869 წ. № 7.

ლოცვად ათქმევინა „აჩრდილის“ ბოლო სტროფები. იღუდ ჭაჭავაძისადმი პატივისცებისა და სიყვარულის გრძნობით არ გაუღენთილი დავით ერისთავის ზემოთხსენებული ლექსი:

მშაო პოეტო! როს ვკითხულობ შენსა ლექსებსა  
და ვიზეპირებ შენგან ნაწერ წმინდა სიტყვებსა,  
მადლობას გწირავ, რომ პირვალად შენგან ვისწავლე  
ჩემი მამულის პატივცემა და სიყვარული.

ილია ჭავჭავაძეც პატივსა სცემდა ახალგაზრდა ერისთავ  
რასაც ილიას მიერ მისთვის მიწერილი წერილები აღასტუ  
რებს.

ეროვნული პრობლემით დავითი აღრევე დაინტერესდ  
ილიასადმი მიძღვნილ ლექსს გარდა, ეს ჩანს „კრებულში  
დაბეჭდილ ნაწარმოებიდან „წყლებზე“<sup>1</sup>. დავითი აღტაცებით  
იგონებს ფრანგ ქალს — უანნას, რომლის იდეალი სამშობლო  
სათვის თავდადებაა. უანნა სისულელეთ აცხადებს სარდუს პი  
ესის გმირის დოლორესის სიტყვებს: — Je suis femme et la  
patrie a moi c'est l'amour!“ (მე ქალი ვარ და სამშობლო  
ჩემთვის — სიყვარულია). უანნას დოლორესის სიტყვები ასე  
გადაუკეთებია: „მე ვარ ქალი მშვენიერა საფრანგეთისა და  
სიყვარული ჩემი სამშობლოა“. ამ ნაწარმოებში, გარდა ქალთ  
პატივისცემისა, ერისთავი ამჟღავნებს დემოკრატიული საფ  
რანგეთის სიყვარულს, ილაშქრებს დაპყრობით ომის წინააღმ  
დებ.

საქართველოში დაბრუნებისას დავით ერისთავმა, გარდ  
უბადლო დეკლამატორისა, სახელი გაითქვა იგრეთვე, როგორი  
მოსწრებული სიტყვის პატრონმა, იუმორისტმა, მარჯვე ფრ  
ლეტონისტმა და მომუნასიბებმ. ქართველი საზოგადოება  
აალაპარაკა გრაფ სოლოგვიძის „ალავერდის“ საპასუხოდ  
რუსულად ნათქვამმა მისმა „იახშიოლმა“. მაგრად ყველაზე  
მნიშვნელოვანი, რითაც დავით ერისთავმა სახელი მოიხვეჭა,  
მაინც თეატრში მოღვაწეობა იყო.

1877 წ. დ. ერისთავმა კუკიაში გამართულ საღამოზე ითა

<sup>1</sup> „კრებული“, 1872 წ. № 10—11—12.

გაშა გრიბოედოვის კომედიაში — „ვაი ჭკუისაგან“, შეასრულა ჩაცეს როლი. შანვე წაიკითხა მოხსენება გრიბოედოვზე.

1879 წ. შესდგა ქართველი არტისტების დასი. რითოც საფუძველი ჩაეყარა მუღმივ ქართულ დრამატულ თეატრს. დავით ერისთავი ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორთავანი იყო. მან რამდენიმე პიესა გადმოაქართულა და გადმოაკეთა, ქართული თეატრის დარიბი რეპერტუარი გაამდიდრა და შეავსო. დავით ერისთავის სიყვარულს თეატრისა და საერთოდ ხელოვნებასადმი ყველა მისი თანამედროვე ადასტურებს. არტისტი კოტე მესხი დ. ერისთავზე ამბობს: — „არ მინახავს იმაზედ მეტად თეატრისა და ხელოვნების მოყვარული კაცი“. თეატრის სიყვარულს გარდა დ. ერისთავს დადი გებოვნებაც ჰქონდა; ორი სახელოვანი გენიოსი ქართველი არტისტის სცენაზე გამოსვლა მის სახელთანაა დაკავშირებული; ნატო გაბუნია პირველად მან ჩამოიყანა გორიდან, ხოლო ვ. ალექსი-მესხიშვილი თბილისის რუსულ სცენაზე „აღმოაჩინა“. რუსული დასის ერთ-ერთ წარმოდგენას დასწრებიან: დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და იმ დროის ქართული დასის რეჟისორი — მიხეილ ბებუთაშვილი. „მეოთხე მოქმედების შემდეგ სამთავე ერთად შევიდნენ კულისებში, მონახეს ლადო და ერთის ამბით გამოეცნაურნენ, დავით ერისთავმა, როგორც სასცენო ხელოვნების კარგმა მცოდნებმ, მაშინვე განსჭვრიტა ლაზოს სასცენო დიდი ნიჭი, ვეღარ დაკმალა თავისი სულიერი აღმაფრენა და რა მობრუნდა ბებუთაშვილასაკენ, აღტაცებით შესძახა: — «Наконец то я нашел моего Химшиашвили»<sup>1</sup>.

### 3

დავით ერისთავს, ვიდრე თითონ გადმოაკეთებდა სარდუს პიესას, იგი დამიტრი ყიფიანისათვის გადაუცია გადმოსაკეთებლად, მაგრამ ყიფიანს რაღაც მიხეზის გამო არ გადმოუკეთებია. 1881 წ. ივლისში დავით ერისთავმა თავის სოფელ ოძისში დაამთავრა „სამშობლოს“ გადმოკეთება. დამთავრების

<sup>1</sup> დ. კასრაძე, „ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი“. გვ. 31-32.

შემდეგ პიესა მწერალთა წრეში წაიკითხა. ჭათხვას დაესწონენ:  
ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ი. მეუნარგია და სხვები. შთაბეჭდილება  
დიდი მოუხდენია და გადაუწყვეტათ მისი დადგმა, მით უმე-  
ტეს, რომ ქართული თეატრის რეპერტუარი დიდ სიღარიბეს  
განიცდიდა („სამშობლო!“ ქართულად პირველად დაიბეჭდა  
„ივერიაში“. № 10, 1881 წ.).

დაიწყეს პიესის მზადება. რეჟისორობა იკისრა მიხეილ ბე-  
ბუთაშვილმა. დეკორაციები დახატა იტალიელმა ჯუსტამ და  
იანვრის თვეში ქართულმა დასმა განცხადებანიც გამოუშვა  
გაზეთებში. „დროების“ 1882 წლის მე-12 ნოემბრში (სამშაბა-  
თა) ვკითხულობთ:

„საზაფხულო თეატრში ოთხშაბათს, 20 იანვარს, ქართუ-  
ლი დრამატული დასის არტისტებისაგან იმპერატორის ალექ-  
სანდრე 2-ის სახელობის ბავშვთა თავშესაფარ სახლის სასარ-  
ებლოდ, წარმოდგენილ იქნება პირველად

### სამშობლო

დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად.

ფრანცუზულიდან გაღმოკეთებული თ. დ. გ. ერისთავისა-  
გან. ახალი დეკორაცია. მეტების ციხე და ისტორიული ჩაც-  
მულობა. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი  
7½ საათზე“.

განცხადება ღაიბეჭდა გაზეთ „Кавказ“-შიც, რომელ-  
საც იმუამად დაკით ერისთავი რედაქტორობდა. რა თქმა უნ-  
და, იმპერატორის სახელი ფარად იხმარეს, რათა დასს ადვი-  
ლად გადაელახა ყველა დაბრკოლება, რაც მოსალოდნელი  
იყო ეროვნული გრძნობის აღმძრები დრამის დადგმის წი-  
ნააღმდეგ. 1882 წ. იანვრის 20-ს, ოთხშაბათს, გაიმართა „სამ-  
შობლოს“ პირველი წარმოდგენა ქართულ თეატრში, მტკვრის  
პირას, კუკის ხილის მახლობლად. შთაბეჭდილება ძლიერზე  
უძლიერესი იყო. „სამშობლოში“ საზოგადოებამ თავისი იდე-  
ალებას განსახიერება დაინახა. ქართველები, რომლებიც მხო-  
ლოდ ოცნებით თუ წარმოიდგენდნენ მონარქიული რუსეთის

ქლანჭებიდან თავის დაღწევას, სცენიდან ისმინდნენ შეძლებ  
ამაღელვებულ სიტუაციას: „ქართველები აგრე მალე როდი დას-  
თობენ თავის სამშობლოს. ბევრი ამისთანა შავი დღე უნახავს  
საქართველოს, მაგრამ ისევ ისე ფეხზე დამდგარა, ისევ გამობ-  
რუნებულა, ისევ ამაღლებულა“.

მაყურებელზე დიდ გავლენას ახდენდა ეროვნულ-განმა-  
თავისუფლებელი ბრძოლის მეთაურის. ილაი ჭიათურაძის სი-  
ტყვები „აჩრდილიდან“. იარაღ-ასხშული. შეთქმული ქართვე-  
ლი გაუკაცები ღმერთს ევედრებიან — საქართველოსო

სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეს ყოფა,  
მამა-პაპური სულა, გული მოჰმადლე შვილსა!  
რაცა ტანჯული ეს ქვეყანა, ტანჯვათ ეყოფა,  
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა.

შეპყრობილი ქართველი შეთქმული, მტრების წინაშე  
გაბედულად იძახიან: „გაუმარჯოს საქართველოს..“.

აი გოგია დიაკვანი ადის სამრეკლოზე, ვინიცობა მან ქა-  
ლქ გარედ დაბანაკებულ ქართველ ჭარს შემოსვლის ნიშანი  
მისცა, საქართველო დაილუპება და გადარჩება დიაკვანი, ხო-  
ლო თუ გლოვის ზარი დარეკა, იგი საქართველოს იხსნის და  
თავს დაიღუპავს.

ადის გოგია დიაკვანი სამრეკლოზე, ელიან მისი ამხანაგე-  
ბი და საზოგადოებაც უცდის: პირალული გრძნობა დასძლევს,  
ცოლ-შვილის სიყვარული, თუ საქვეუწო, სამშობლოს სიყ-  
ვარული.

ამ დროს გაისმის ზარი გლოვისა, ნიშანი იმისა, რომ თბი-  
ლისს ქართველთა ჭარი არ უნდა შემოვიდეს. თორემ დაიღუ-  
პება, და ეს მაჩვენებელია იმისა, რომ გრძნობა სამშობლოს  
სიყვარულისა პირად ბეღნიერების გრძნობაზე უტრო ძლიე-  
რია. საქართველო იხსნა გოგია დიაკვანბა. მაგრამ თვით გან-  
გმირული დაეცა სამშობლოს სამსხვერპლოზედ.

პირად გრძნობაზე სამშობლოს სიყვარულის, მოვალეობის  
გრძნობის გამარჯვება, ყველაზე კარგად ჩანს ლევან ხიმშიაშ-  
ვილის მოქმედებაში.

„სამშობლოს“ წარმოდგენით აღფრთოვანებული ხალხი

სახლში მიმავალ დავით ერისთავს გზაში უხვდებოდა, მოძრაობა ჩერდებოდა ქუჩებში<sup>1</sup>. „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენის დამსტრე, ერისთავის ბიოგრაფი ი. მეუნარგება ცტერს: „ეს პირველი წარმოდგენა კი არ იყო „სამშობლოსი“, ეს იყო ზარველი ნამდვილი წარმოდგენა ქართულ ენაზე“.

20 იანვრის წარმოდგენის დამსტრე იგივე მეუნარგება გადმოგვცემს: „წარმოდგენისას ნურასა მკითხავთ, „მისა მნახავს ნახული აღარა მოეწონების“... თეატრი იმტვრეოდა შედლებულის ხალხის ტაშის კვრისა და ვაშას ძახილისაგან“

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ერისთავს არტისტებმა დაფნის გვირგვინი მიართვეს — ატლასის ლენტით. ეს გვარგვინი ამჟამად თბილისის თეატრალურ მუზეუმშია დაცული. ატლასზე შემდეგი წარწერაა:

„თვილისი.

სამშობლო

ქართული დრამატიული დასისაგან.

მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა ბ. ა. ხერხეულიძე, მ. მ. მძინაროვისა, ნ. მ. გაბუნია, ბ. რ. კორინთლისა, ქ. მ. ანჯრონიკოვისა, ე. ქ. ბროძელი, ვ. ა. აბაშიძე, ა. მ. ყაზბეგი (მოხევე), კ. დ. ყიფიანი, კ. ს. მესხი, ვ. ალექსი-მესხიევი, კ. მ. მძინაროვი, ა. ა. ცაგარელი, ა. ს. ჩუბინაშვილი, ნ. მ. შიშნიაშვილი (თომაშვილი)

დავით ერისთავს

პირველი წარმოდგენა 1882 წ. 20-ს იანვარს“.

რეჟისორ ნ. ბებუთაშვილს მიართვეს ჩანგი, დაფნის ფოთლებით შემქული, ატლასისავე აფიშით. პიესის დამთავრების შემდეგ ავტორი და რეჟისორი საზოგადოებამ ხელში იყვანა, ვაშას ძახილით და ზემით გააცილა. გაზ. „დროება“ სწერდა: „ეს წარმოდგენა იყო ნამდვილი დღესასწაული დრამის გადმომქეთებელის დ. გ. ერისთავისათვის და რეჟისორ თ. ბებუთვისათვის. ერთიც და მეორეც რამდენჯერმე გამოიხმო საზოგადოებამ ანტრაქტებში და ტაშის კვრით ზასაჩუქრა. ერთი: შშვენიერი გრძნობის აღძვრისათვის და მეორე: პიესის ღი-

<sup>1</sup> 1882 წ. დავით ერისთავი ცხოვრიბდა ონიკოვის სახლში, ნეკრისოვისა და ელისაბედის ქუჩის კუთხეში, № 10 (ელისაბედ დავითის ასული ერისთავის ცნობა).

რსეულად დაზგმისათვის. ნიშნავ პატივისცემისა ქართულშა  
დასმა უძლვნა „სამშობლოს“ ავტორს დაფნის გვირგვინი ატ-  
ლასის აფიშით და ამ პიესის გამმართავს დაფნისავე ჩანგი  
ამგვარისაცე აფიშით. წარმოდგენის გათავების შემდეგ ორივე-  
ნი ხელით აიყვანეს, გამოიყვანეს თეატრიდამ და ერთის ბრაოს  
ძახილითა და ტაშის კვრით ჩასვეს ფაიტონში. ერთი სიტყვით,  
დისი ამბავი იყო“.

„სამშობლო“ მეორედ დაიჯგა იანვრის 22-ს. ამ სპექტაკ-  
ლმა მეტი შთაბეჭდილება მოახდინა. 1882 წ. გაზ. „დროება“  
(№ 17) წერს: — „ამ პარასკევს წარმოდგენა თ. დ. გ. ერთის-  
თავისაგან გადმოკეთებული დრამის — „სამშობლოისა“ უკეთ  
წავიდა ვიდრე პირველი“.

„სამშობლოს“ გამარჯვების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა,  
საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვეძი-  
ოთ, შემდეგ პიესის ღირსებაში. მაგრამ იყო კიდევ ერთი გარე-  
მოება, რომელიც აგვირგვინებდა ყველა ამ ღირსებათ. ამ გა-  
რემოებას ქმნიდნენ ნიჭიერი არტისტები, რომლებიც მხარშა-  
უდგნენ ლიტერატურას, ქართველ ხალხს და მათთან ერთად  
იბრძოდნენ მონარქიის წინააღმდეგ.

სიმონ ლიონიძის როლს ასრულებდა ქოტე ყიფიანი. ეს  
როლი კ. ყიფიანმა შექმნა. ლევან ხემშაშვილის როლის აღმს-  
რულებელი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი ხომ საგანგებოდ  
მოსდებნა „სამშობლოს“ ავტორმა. კ. ყიფიანს ლიონიძის რო-  
ლის აღსრულებაში ხელს უწყობდა დარბაისლური სიღინჯე,  
ხოლო ქულაჯაში გამოკვართული და ხმალ-ხანჯალ ასხმული,  
ლამაზი და ახალგაზრდა მესხიშვილი უბადლო ხიმშაშვილი  
იყო. ფაიხოშის როლს ასრულებდა მ. საფაროვი-აბაშიძისა.  
ამათ გარდა თამაშობდნენ ცნობილი არტისტები: ვ. აბაშიძე, კ.  
მესხი, ნ. გაბუნია და სხვ.

„დროება“ 1882 წ. მე-17 №-ში წერს: „განსაკუთრებით  
ბევრი და ღირსეული ტაში და თანაგრძნობის ნიშანი მიიღო სი-  
მონ ლეონიძის მოთამაშემ ბ-ტ ყიფიანმა და ლევან ხემშაშვი-  
ლის წარმომაზენებულმა ბ-ნ ალექსიევ-მესხიევმა“.

გაზეთის მშრალი ქრონიკები მეტ მასალას არ გვაწვდის.  
საინტერესო ცნობას მესხიშვილის მიერ ლევანის როლის შეს-

რულებისათვის იძლევა მწერალი იღია ზურაბიშვილი (ელეფ-  
თერიძე) თავის პორტრეტში — „ლადო მესხიშვილი“. იღია  
ზურაბიშვილს მესხიშვილი მრავალჯერ უნახეცს ხიმშიაშვილის  
როლში; იმდენად პოპულარული ყოფილა „საქობლო!“ რომ  
უამრავი ცატატა ზეპირად მოჰყავს. დიდებულ სურათებს  
ჰქმნიდა ლადო ქეთევანთან, შავთან, ლიონიძესთან შეხვევრი-  
სას. მისი „ექსტაზით შეძანილი — საქართველოს გაუშარ-  
ჯოს — სადღესასწაულო ზარივით გაისმოდა მთელ დარბაზ-  
ში“. მეგობარს — ლიონიძეს, დამნაშავე ლადო მორჩილად ეხ-  
ვეწება — „მომკალი სვიმონ, მომკალი, სიკვდილი მირჩევნია  
შენს სულგრძელ პატიებასო“.

მესამე მოქმედებაში მტერთან — შაპ-აბასთან შეჯის ლა-  
დო. შეაქვს გმირული სული. იგი ძლევამოსილ მტარგალთან  
არის. სიკვდილი მოსალოდნელია, მაგრამ მესხიშვილს „ვერ  
შეამჩნევ დამარცხებულის ქედმოხრილობას და შიშის ანარე-  
კლსაც კი. პირიქით, დგას, როგორც თანასწორი თანაპწორის  
წინაშე..“ „...თვალებში გამშედავობის ელვარება..“. დგას ამა-  
ყავ, ხმალზე ხელ დაბჯენილი“ — (ი. ზურაბიშვილი). ასეთი  
სცენები ქართველ მაყურებელს ეროვნულ ძალას ჰმატებდა,  
საბრძოლველად აღაგზნებდა, გამარჯვების იმეჯს უნერგავდა.

დოდი დამსახურება მიუძღვის „სამშობლო“ დადგმაში  
რეჟისორ ბებუთაშვილს. იგი პროფესიით ინჟინერი იყო, მაგ-  
რამ ლიტერატურის კარგი მცოდნე და სულით არტისტი.

პიესის დაჯგმის ისტორიიათვას საინტერესო ცნობას გად-  
მოგვცემს კ. ყიფიანი: „ბებუთაშვილმა როლები გაევინაშილა.  
მე ლიონიძე უჩდა მეთამაშა. დავით ერისთავს მოკახსენე, რომ  
პიესაში შეცდომა გაქვს, ქართული ტრაზიციის მიხედვით  
ლოცვა უფროსმა — ლიონიძემ უნდა სთქვას, პიესით კი ხიმ-  
შიაშვილი ამბობს. ერისთავი არ დამეთანხმა, ნაგრავ მას —  
ბებუთაშვილმა პირზაპირ უთხრა, რომ ყიფიანი მართალიაო,  
შენ ტყუი იმასთანაო“<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, ყიფიანის არტისტული

1 პატიეცემულმა ი. ზურაბიშვილმა გვათხოვა დაუბეჭდავი ხელნაწერი  
„ლადო მესხიშვილი“, რისთვისაც მადლიას შოვასენებთ.

2 კ. ყიფიანი, „ჩემი არტისტობის თავგადასავალი“, „ფასკუნჯი“,  
1909 წ., № 19.

ალლო სწორი გამოდგა. ბებუთაშვილმა გადაუხვია პიესას და  
ლოცვა ათქმევინა მოხუცებულს, შეთქმულების მოთავეს, სი-  
მონ ლიონიძეს. ეს ტრაჟიცია ზამკვიურდა და ამ კორექტივით  
იღვმებოდა შემდეგშიაც „სამშობლო!“.

პიესას დამდგმელმა, არტისტებთან შეთანხმებით, კიდევ  
უფრო მეტი პატრიოტული ხასიათი მისცა. პიესით შეთქმულ-  
ნი მხოლოდ ლოცვას ამბობენ. დამდგმელმა შეთქმულებს ხე-  
ლში ქართული, ეროვნული დროშა ააღებინა. ქართული  
დროშა სიმბოლო იყო საქართველოს გათავისუფლებას, ამი-  
ტომ საზოგადოების აღფრთოვანებას იწვევდა. საზღვარი არა  
ჰქონდა, როდესაც მესამე მოქმედებაში ყიფიანმა მუხლი მოი-  
ყარა და საქართველოს ჯროშით ხელში დაიწყო ილია ჭავჭავა-  
ძის: ლმერთო მაღალო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია... ერთი ნაწი-  
ლი საზოგადოებისა ფეხზე წამოდგა“.

თბილისს გარდა, „სამშობლო!“ იჯგმებოდა სხვა ქალაქებ-  
შიც (გორი, ფოთი, ბათომი და სხვ.) განსაკუთრებით დიღი  
აღფრთოვანება გამოიწვია ამ პიესის ქუთაისში.

თბილისის თეატრალურ მუზეუმში დაცულია 1883 წლის  
აფიშა თბილისის დრამატულ დასის მიერ ქუთაისში წარმო-  
დგენილ „სამშობლოსი“:

„ოთხშაბათს 6 ივნისს თბილისის ქართული დრამატიული  
არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება სამშობლო დრამა 5  
მოქმედებად და 6 სურათად, ფრანციულიზან გადმოუეთებუ-  
ლი ო. დ. გ. ერასთავისაგან. მოქმედნი პირნი:

სკიმონ ლიონიძე — ა. მოხევე.

ქეთევან, ამისი ცოლი — ქ. ანდრონიქოვისა.

ლევან ხიმშიაშვილი — ვ. ალექსიევი-მესხიევი.

დიმიტრი დაზიანი, მთავრის შვილი — ს. ივახიძე.

შაპ-აბასი — ვ. აბაშიძე.

ფაიხონ, ამისი ქალი — მ. საფაროვ-აბაშიძე.

და სხვ. (აფიშა მთლიანად არ მოგვყავა)

„სამშობლოს“ მარტო ტაში, ვაშას ძახილი უა აოტაციბის  
გრძნობა როდი გამოუწვევია. მან ფართო გამოხმაურება ჰქო-  
ვა ქართულსა და რუსულ პრესაში. მოწინავე ნაწილი რუსუ-

ლი საზოგადოებისა „სამშობლოს“ ოღტაცებით შეეგება, ქართველ საზოგადოებისთან ერთად. მაგრამ რეაქციონერი პუბლიცისტის კატკოვის გაზეთ „Московские ведомости“-შ 1882 წ. 44-ე ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც შასხარად იგდებდა ქართველობას „სამშობლოს“ წარმოდგენისათვის და რჩევას იძლეოდა — ეროვნული დროშები ქართველებს გოლფრუას ცირკისათვის მიეყიდათ. კორესპონდენცია C. P. სწერდა: «Жаль затрат сделанных на постановку пьесы, но оне, кажется, могли бы окупиться от продажи декорации, костюмов и грузинских знамен в здешний цирк братьев Годфруа. Кто-то, непричастный местному патриотизму и сепаратизму, так сострил над этою перелкой князя Д. Г. Эристави:

В порыве молодчества в патриотическом чаду,

Не отыскав отечества его ты занял у Сарду»<sup>1</sup>,

დიდშეყრობელი კორესპონდენცია დასცინის ქართულ ეროვნულ დროშებს. ქართველების მიერ პიესის წარმოდგენას სეპარატისტულ განწყობილებად მიიჩნევს. სეპარატიზმში იგი გულისხმობს იმას, რასაც ჩვენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ვუწოდებთ, ლვარძლიანი ლექსით კი საქართველოს არ არსებობას აჩვენებს.

„სამშობლოს“ წინააღმდეგ გაიღაშქრა აგრეთვე თბილისის იუმორისტულმა ჟურნალმა „Гусли“.

კატკოვის გაზეთში მოთავსებულმა კორესპონდენციამ ქართველი ხალხის სამართლიანი აღმფოთება გამოიწვია. პროტესტი მრავალმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გამოთქვა. კატკოვის გაზეთის საპასუხო წერილი დაბეჭდა თბილისის თავად-აზნაურთა მარშალმა შაქრო (ლუარსაბ) მაღალაშვილმა — საზოგადო მოღვაწემ, თეატრალმა და ილია ჭავჭავაძის შეგობარმა<sup>2</sup>. მაგრამ ყველაზე სასტიკი და საკადრისი პასუხი „მონკოვსკიე ვეღომოსტის“ ილია ჭავჭავაძემ გასცა. ილია ჭავჭავაძე წერდა რეაქციონერი კატკოვის საპასუხოდ: „ყველაზე სა-

<sup>1</sup> «Московские ведомости», 1882 г., № 44.

<sup>2</sup> «Голос», 1882 г., № 70.

შიშარი და საზიზლარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნათ მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც შემთხვევისა განი სხვისა და სხვისა ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულის ნაფები, სულას წყურილი საქვეყნოდ გამოფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიღრე მთელი ერი. იმიტომ, რომ მაბეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული კი იარაღ აყრილია. დაბეზღებულს აღარა ჩება რა ხოლმე იმის მეტი, რომ გულში უნდა ჩაიხვიოს უსამართლოდ გაუპატიურებული, შაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა. ეგრეთ ჩახვეული გრძნობა სალესავია იმისი, რის დაჩლუნგებაც სასურველია ხოლმე<sup>1</sup>.

„კატკოვის პასუხად“ გადაბეჭდა რუსულმა პრესამ რუს მოწინავე საზოგადოებაში ილიას წერილმა კმაყოფილება გამოიწვია. ი. წინამძღვრიშვილი მოსკოვიდან სწერდა ილიას: „ჩემი სიამოვნება იმან უფრო ასწია, რომ აქ, არათუ სომხები, ერთი რუსი არ შემხვედრია, რომელსაც არ გამოეთქვას აღტაცებული კმაყოფილება შენ წერილზედ“<sup>2</sup>.

„Московские ведомости“ სასტიკად გააკრიტიკა სტეფანე ჭრელაშვილმაც<sup>3</sup>. თუ რუსი რეაქციონერები ებრძოდნენ „სამშობლოს“, მას რუს რევოლუციონერთა შორის დამცველნიც გამოუჩნდნენ. ცნობილმა პუბლიცისტმა ნ. მიხაილოვსკიმ „Отечественные записки“-ში „სამშობლოს“ დასაცავად სტატია მთათვასა ნ. მიხაილოვსკი გამოთქვამდა რუსი ინტელიგენციის განწყობილებას და პროტესტს უცხადებდა კატკოვს: «Русские люди в целом, конечно, неповинны в диком требовании г. Каткова продать грузинские знамена в цирк для украшения пантомим. Да это и чистый вздор в узко практическом смысле, то есть, грузинские знамена останутся неприкасновенны на том самом месте, где они и теперь находятся...»<sup>4</sup>

<sup>1</sup> „დროება“, 1882 წ., 40 — „კატკოვის პასუხად“.

<sup>2</sup> ს 5296.

<sup>3</sup> „იმედი“, 1882 წ., № 7—8.

<sup>4</sup> «Отечественные записки», 1882 წ., №4—წერილი «Записки современника» (ხელს აშერს ნ. მ.—ნ. მიხაილოვსკი).

„სამშობლოს“ მაქებართა შორის იყვნენ ისეთები, რომელიც პიესის ზოგიერთ ნაკლს აღნიშნავდნენ. მაგ. სტ. ჭრელა შვილი ზემოთ დასახელებულ წერილში ამბობდა, რომ დოამის სისრულისათვის საჭირო იყო გაეგბა იმისა, თუ როგორ კი ფილა ს. ლიონიდე მტრების მაერ გარშემორტყმულ ქალაქიდან. საჭირო იყო დავით ბატონიშვილის მოქმედებაში ჩვენება. ჭრელა შვილს ნაკლად მიაჩნია „სამშობლოს“ გმირების „ფრაზიორობა“ და ზოგიერთი სიტუაცია, მაგ. სკიმონ ლიონიძის მეუღლისა და ლევან ხიმშიაშვილის მიჯნურობის ამბავი.

აკაკი წერეთელი ქუთაისის გაზეთ „შრომის“ „სათეატრო შენიშვნებში“ აქებდა „სამშობლოს“, მაგრამ შემდეგ ნაკლა აღნიშნავდა:

1. პიესაში — ქართველთ ქარები ისე ჭაბანაჲ არიან გამოყვანილი, რომ მართლა და ცხვრები ეგონება მკითხველს. იჭერენ თხებსავით და ახრჩობენ ძალებასავით.

2. ავტორი ამბობს შაპ-აბასს ჭარი ცოტა ჰყავსო... ეს კი ისტორიულად სწორე არ არის — თუ ოდესმე დაუმარცხებათ ქართველები, დაუმარცხებიათ რიცხვით და არა ვაუკაცობით.

3. ბერი რომ შემოჰყავთ და გაპყავთ ისე, რომ თითქოს ხბოს თავი შემოჰყონდეთ, რათა და რი'თვის; ავტორს უნდა ეჩვენებინა ჩვენთვის თუ რათ დაიჭირეს და რა იყვნენ ძველი ბერები და სხვ.

4. ყაენმა რომ ქართლ-ქახეთი ამოაგროს, თბილისი დაიჭიროს და იმერეთში ვერ გაეგოთ შეუძლებელია. ვთქვათ ვერ გაეგოთ, მაგრამ დაზიანი ისე როგორ მოჩერჩეტდა თბილისა მდი, რომ ვერა გაიგო რა.

მთავარ ნაკლად პიესისა აკაკის მიაჩნია ქეთევანის გამცემად გამოყვანა. — „ქეთევან ისე მოჰვავს ქართველ ქალს, როგორც გველი მტრებსა“. — „ჩვენის დეჟების ასე უკულმართად სცენაზე გამოყვანა, როგორც ქეთევანია, უსამართლო ცილისწამებაა“. ეს აზრი გამეორა აკაკიმ 1884 წ. დაწერილ მოთხრობაში „სამგვარი სიყვარული“.

ს. ჭრელაშვილისა და ა. წერეთლის შენიშვნებში აღნიშნუ-

ლი ზოგიერთი ნაკლი ერისთავის „სამშობლოს“ მართლაც ახ-  
ლავს. ჭრელაშვილი თავის წერილში წერდა: „მაგრამ იქნება ეს  
ნაკლოვანებანი შეადგენენ ერთიანად დედანის კუთვნილებას უკუ-  
თ. ერისთავს არა ჰქონდეს შიგ წილი. ფრანგიცულს უკოტესობა  
ნარობის გამო ჩვენ არ წაგვიყითხავს სარდუს თხზულება ორი-  
გინალში“.

მართლაც, აქ შენიშნული ნაკლი, თუ ეს ნაკლად ჩაითვლე-  
ბა, თითქმის ყველა ორიგინალის კუთვნილებას შეაღგენს, რა-  
საც სპეციალურად განვიხილავთ. რაც შეეხება აკაკის შენიშვ-  
ნას ქეთევანის შესახებ, რომ ქეთევანი ქართველი ქალია და ეს  
ტიპი ქართველი დედების ცილისწამებაო, უნდა შევნიშნოთ,  
რომ ქეთევანი დ. ერისთავი, მართალია, ლიონიძის ცოლად  
ჰყავს გამოყვანილი, მაგრამ ქეთევანი ქართველი ქალი არ არის  
და, მაშასადამე, არც ქართველი დედაა. ქეთევანი სპარსელია,  
რომელიც ლიონიძემ ტყვეობიდან დაიხსნა, მოანათვლინა და  
ცოლად შეირთო. იგი გასცემს ქართველთა შეთქმულებას, მაგ-  
რამ არა იმისათვის, რათა თავის თანამემამულეებს — სპარსე-  
ლებს დაქმაროს, არამედ იმისთვის, რომ თავისი საყვარელი  
(ლევან ხიმშიაშვილი) იხსნას სიკვდილისაგან. იგი მონაბა პირა-  
დი გრძნობისა და სწორედ ეს არის ნისი შეცოდება.

მთავრობამ ერთხანად აკრძალა „სამშობლოს“ წარმოდგე-  
ნა. მაგრამ შემდეგ მოხერხდა მისი აღდგენა და დიდხანს დარ-  
ჩა თბილისისა და პროვინციის სცენის რეპერტუაში. თბი-  
ლის გარდა ყველაზე ხშირად მცს ქუთაისის თეატრში თამა-  
შობდნენ.

1892 წ. ილია ჭავჭავაძე დასწრებია თბილისში „სამშობ-  
ლოს“ წარმოდგენას. სვიმონ ლიონიძის როლს ასრულებდა  
ვ. გამყრელიძე. ილიას ძალზე მოსწონებია მსახიობის თამაში  
და წერილიც უძღვნია სათაურით „ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ  
ლიონიძის როლში“.

ერთ ხანს ქართულ დასს აკაკი წერეთელი რეჟისორობდა.  
1903 წ. 27 სექტემბერს აკაკიმ სეზონი „სამშობლოთი“ გახსნა!  
ხშარად ახლად გამოჩენილ არტისტს „სამშობლოში“ ათა-

<sup>1</sup> ნიკო გვარაძე, მოგონებანი, „მნათობი“, 1939, № 10, გვ. 151.

5. 6. ტატიშვილი

მაშებდნენ და ამით მის არტისტულ ნიჭის სცლიდნენ ხოლმე გიორგი არადელ-იშხნელს პირველ გამოსვლისთანავე ლევან ხიმშიაშვილის როლი ათამაშეს.

ქუთაისში „სამშობლო“ იდგმებოდა შალვა გრძელიანის აუკისორობით. უკვე მოხსენებულ არტისტთა გარდა, სხვადასხვა დროს ლიონიძის როლი შეუსრულებია: გ. ყალაბეგაშვილს, შ. დადიანს, ს. ივანიძეს. ხიმშიაშვილის როლი: კ. მესხს, ყალაბეგაშვილს, ი. ზარდალიშვილს, დ. აბდუშელის, ა. იმედაშვილის და სხვებს. შაპაბაზისა: გ. იშხნელს, ვ. გუნიას, შ. დადიანს, ვ. მატარაძეს, მ. გელევანოვს, შ. საფაროვს, ალ. იმედაშვილს და თვით ღ. მესხიშვილსაც. ფაიხოშის: ტ. აბაშიძეს, ნ. მაჭავარიანს, ვ. დეისაძეს. ქეთევანისა: კოლხიდელს, ნ. დავითაშვილს, ნ. ჩხეიძეს. გოგია დიაკვნისა: კ. შათირიშვილს, ნ. გვარაძეს, ვ. შალიკაშვილს.

„სამშობლოს“ წარმოდგენაში ადრეც და უმთავრესად 905-იანი წლების შემდეგ, სხვა მრავალ არტისტს შორის მონაწილეობას იღებდნენ: ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. გოცირიძე, შ. სარაული, ი. უივიძე, ი. გრიშაშვილი, იოსებ იმედაშვილი, ღ. მეტრეველი და სხვ. 1909 წ. ნოემბრის 15-ს და 1910 წ. სექტემბრის 26-ს უთამაშია ი. გრიშაშვილს! <sup>1</sup>

სარდუს პიესა „Patrie!“ რუსეთშიაც იდგმებოდა, მაგრამ სიტყვა სიტყვითი თარგმნით. კარლოს (ქართულში—ხიმშიაშვილი) როლს მოსკოვის მცირე თეატრში ასრულებდა ა. იუსინ-სუმბათაშვილი.

#### 4

ქართველმა მკითხველმ, საზოგადოებამ იცის, რომ „სამშობლო“ გადმოკეთებულია სარდუს დრამა „Patrie“-დან, მაგრამ რა ურთიერთობა აქვს ერისთავის პიესას სარდუს დრამასთან, როგორ და რა შესცვალა დ. ერისთავმა, რა ჩაუმატა

<sup>1</sup> გამოყენებული გვაქვს საქ. ოეატრალურ მუზეუმში დაცული აფიშები და შერიოდული პრესა.

და რა გამოიკლო, თითქმის არავინ იცის, ამიტომ „სამშობლოს“ გაეგბისათვის საჭიროა საკითხის ამ მხრივაც შესწავლა.

ვიქტორიენ სარდუს (Victorien Sardou, 1831—1908) ფრანგ დრამატურგთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს. შესლისი სარდუს „Patrie“-ს თვლის თანამედროვე ცრანგული თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო დრამად. სარდუ ბრწყინვალე სტილისტი იყო, კომპოზიციის ოსტატი, მაგრამ როგორც პელისიეც შენიშვნავს — მის გმირებს აკლიათ ფსიქოლოგიური სიღრმე და სიმარტივე.<sup>1</sup>

„Patrie!“-შიც ავტორის ეს თვისებანი მოჩანს, მაგრამ სარდუ ახერხებს თეატრალური ეფექტისათვის გამიზნულ სცენებით ადამიანის ბუნების სწორად გადმოცემას, მასში მოცემულია ბრძოლა სამშობლოსადმი მოვალეობის გრძნობა—სა და პირადული — ქალის სიყვარულის გრძნობას შორის, რაც პირველის გამარჯვებით თავდება. პიესას მელოდრამის ხასიათს აძლევს რომანტიულობა, სქემატურობა და ეფექტიური სცენები.

„Patrie!“ დაიწერა 1869 წ., დაიდგა იმავე წლის მარტის 18-ს პორტ-სენ-მარტენის თეატრში. სცენეტაკლმა არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა, უურნალის — „L'univers illustre“-ს ცნობით მაყურებლები მღელვარებისაგან ერთ-მანეთს ეხვეოდნენ, ჰერცოგენიანი იქმნა ოთხასჯერ, რის შემდეგ შეწყდა მისი დადგმა და 17 წლის შემდეგ 1886 წ. კვლავ განახლდა.

ვიდრე გადავიდოდეთ ქართული „სამშობლოსი“ და ფრანგული „Patrie!“-ს ურთიერთობაზე, საჭიროა ვიცოდეთ, როდის გაეცნო დავით ერისთავი ვ. სარდუს ამ თხზულებას.

1872 წ. „კრებულში“ დაბეჭდილ ერისთავის ნაწარმოებიდან ჩანს, რომ 1870 წ. საფრანგეთისა და გერმანიის ომის დროს გერმანიაში — ემში მყოფი დ. ერისთავი უკვე იცნობს

<sup>1</sup> პელისიე, „Французская литература“, XIX ч. II.

<sup>2</sup> „კრებული“, 1872 წ., № 10—11—12, დ. ერისთავის „წყლებზე“.

„Patrie!“-ს. ემსში გაცნობილმა ფრანგის ქალმა უანნამ მთხოვაო—გაღმოგვცემს დავითი, რომ დამეკრა ფორტეპიანოზე.. ჩესპუბლიკური სინლერა—მარსელიეზა! მე ავდეჭი და შივედ ფორტეპიანოსთან, უანნამ დაუწყო ძებნა მარსელიეზას. — ერა არი, — სთქვა უანნამ,—ვის მოუტანია „Patrie!“ სარდუსი გინახავთ ეს პიესა?

— დიახ, მინახავს<sup>1</sup>.

ჩვენ ხელთ გვქონდა დავით ერისთავის ნაქონი „Patrie!“ ფრანგული წიგნი, გამოცემა მეოთხე, 1870 წ., პარიზი (დაცულია თეატრალურ მუზეუმში, რომელსაც გადასცა დ. ერისთავის ასულმა, ელისაბედ ერისთავმა). დავით ერისთავს გაღმოკეთებისას ამ წიგნით უმუშავნია. ამას ამტკიცებს წიგნზე მინაწერი შენიშვნები. მთავარი ცვლილება, რომელიც დ. ერისთავს გაღმოკეთებისას მოუხდენია, შემდეგია: სარდუს დრამაში მოქმედება წარმოებს ბრიუსელში, 1568 წელს, ქართულში—თბილისს, მე-17 საუკუნეში. ფრანგულში: დაპყრობილ ქვეყანა არის ფლანდრია, ქართულში—საქართველო, ფრანგულში: დამპყრობელი არის ესპანეთის მონარქია, ქართულში—სპარსეთი. ფრანგულში დამპყრობელი კათოლიკები არიან, ქართულში—მაჰმადიანები. ფრანგულში: დაპყრობილი სარწმუნოებით პროტესტანტები, კალვინისტები არიან. ქართულში: ქრისტიანები, მართლმადიდებელნი. ამ მთავარ ცვლილებათა გარდა შეცვლილია მოქმედ პირთა სახელები დ. ერისთავის საკუთარი ხელითაა მიწერილი ფრანგული გვერდით ქართული სახელ-გვარები.

### ფრანგულშია:

გრაფი დე-რიზორ  
კარლო ვან-დერ ნოოტ  
ჰერცოგი ალბა  
ლა-ტრემუილ  
ნუარკარმ

### დ. ერისთავის მიერ მიწერილია:

სვიმონ ლიონიძე  
ლევან ხიმშიაშვილი  
შაჰ-აბასი  
დაზიანი  
ისრაფილ

<sup>1</sup> „გრებული“, 1872 წ., № 10-11-12, დ. ერისთავის „წყლებზე“.

გარგას, მდიგანი სააჯანყებო  
ტრიბუნალისა  
დელრიო, მრჩეველი

ერნას, ქალაქის მნათე

რინკონ  
მიგუელ ქავარრა { ესპანელი  
ნაფიცები

გალენა  
ბაკეოცელ { ფლანდრიელი  
ქორნელის { შეოქმულნი

დონნა დოლორეს  
დონნა რაფაელ

ისმაილ  
ალავერდი

გოგია დიაკვანი

ისკანდერ  
დაუდ  
მაჰმედ ბეგი

ზაზა სოლოლაშვილი  
როინ ამირაჯიბი  
ესტატე ციციშვილი

ანნა ხანუმ  
ფაიხოშ

დავით ერისთავის მიერ ქართულად ფრანგული დრამის პერსონაჟთა გვერდით სხვა არაფერია მიწერილი, მხოლოდ ზოგიერთი პერსონაჟი წაშლილია. მაგ., Gudule, un enseign, გიომ ორანელი, სარა მატიზოორ; ზოგი მოქმედი პირის სასელი დ. ერისთავს სრულიად ამოუგდია, ქართულში გამოტოვებული არიან, აგრეთვე, უმნიშვნელო პერსონაჟები; ამის შედეგად ჯარისკაცებსა და ხალხს გარდა, ქართულში 28 პერსონაჟია (ფრანგულში არის 37 პერსონაჟი).

პირველად, გადმოკეთების დაწყებისას, დ. ერისთავს გრაფი დე რიზოორის გვერდით მიუწერია სვიმონ ლეონიძე, შემდეგ იგი ლიონიძედ შეუცვლია. დონნა დოლორესის გვერდით მიწერილი ანნა-ხანუმ შეუცვლია ქეთევახად.

ამ ძირითადი ცვლილებების შემდეგ დ. ერისთავი შესდგომია პიესის გაღმოკეთებას. პირველი აქტის პირველ რემარკაში (ფრანგულისა) ნათქვამია: სცენა წარმოადგენს (ბაზრის) მრედანს ბრიუსელში. ქართულში ბრიუსელის მაგივრად თბილისია. ქართულში გამოტოვებულია „ბაზარი (მოედანი) მიტოვებული ვაჭართაგან“. „ესპანელი ჯარისკაცები“ შეცვლილია „სპარსეთის ჯარით“. გამოტოვებულია რემარკიდან მოედანზე გადმოკიდული „ესპანეთის დროშა“ და სხვა.

ფრანგულის პირველ სცენაში მოქმედ პირთა რიცხვი და  
დია. ქართულში ფრანგულის ჯარისკაცნი, მოხალისენი, არ  
ტილერისტები და სხვანი, გაერთიანებული არიან და ეწოდე-  
ბათ „ჯარისკაცნი“. გამოტოვებულია ორი რემარკაც. რინკო-  
ნის (ისკანდერის) რეპლიკიდან გამოტოვებულია ბრიუსელ  
და „იაკობინელებთან“. მთლიანად გამოტოვებულია ქართულ-  
ში მიგუელის (დაუდის) რეპლიკა და რინკონის ამის მომდევნო  
რეპლიკა. მიგუელ უბრძანებს ჯარისკაცს შეშა მოიტანოს;  
ჯარისკაცი უპასუხებს: „შეშა აღარ არის“. შემდეგ ფრანგულ-  
შია—„მაშ მოიტანე!“—ჯარისკაცი მიღის, სჭრის კულით  
კასრს—და ანთებს ცეცხლს. დ. ერისთავი, რათა უფრო სასტი-  
კი გახადოს მტრის მოქმედება, მიგუელს (დაუდს) ათქმევი-  
ნებს: (შეშა) „აღარ გახლავს, რას მიქვიან?.. ეხლავ იშოვნე...  
წადი, სახლი დააქციე საღმე და მოიტანე!..“ ამის შემდევ  
ფრანგულის 27 რეპლიკიდან, რომლითაც მოცემულია ოფიც-  
რების დიალოგი, ფლანდრიელთა გინება, სცენა გოგოსთან,  
ქართულში მხოლოდ ერთი რეპლიკითაა გადმოტანილი, რო-  
მელიც გვაცნობებს ტყვეების მოყვანას.

გამოსვლა მეორე. ტყვეების შემოსვლის ამბავი  
ქართულში გადმოთარგმნილია (სახელთა შეცვლით) ლა ტრე-  
მუილის ნათქვამიდან თავის ვინაობის შესახებ—„მე კი გახ-  
ლავართ მარკიზი დე ლა ტრემუილი, ერთგული ქვეშევრდომი  
და მეგობარი მისი უდიდებულესობა საფრანგეთის მეფის  
შარლისა“. — ქართულში მარკიზ დე ლა ტრემუილ შეცვლი-  
ლია დადიანად, მთავრის შვილად, ხოლო მეგობარი მისი უდი-  
დებულესობა შარლ საფრანგეთის მეფისა „ქართლის მეფითაა“  
შეცვლილი.

როცა ლა ტრემუილს და რიზოორს დაჯდომა სურთ, რო-  
ზოორ ეუბნება ლა ტრემუილს თქვენი უპრიანიაო: — „თქვენ,  
ბატონო ჩემო, ფრანგი ბრძანდებით. მე კი ქალაქის მკვიდრი  
გახლავართ და ამგვარად თქვენი მასპინძელი.“

ქართულში სვიმონ ლიონიძე დადიანს ეუბნება:

— „თქვენ, ბატონო, როგორც მეგრელი, აქ სტუმარი  
ბრძანდებით და, მე კი აქაური ვარ,—მაშასადამე, მე აქ მას-

ვინძელი გახლავართ.“ ქართულში შეცვლილია ლა ტრემუ-  
ილის შეკითხვა რიზოორისადმი და რიზოორის პასუხიც. ქარ-  
თულში გამოტოვებულია მონარქიული ესპანეთის არმიის მამ-  
ხილებელი რიზოორის მონოლოგი.

ლა ტრემუილი ამბობს: გასართობად და სამოგზაუროდ  
წამოვედი და დამიჭირეს. ქართულშია: „სამეგრელოდან წამო-  
ვედი და ქალაქს რომ მოვუახლოვდი, დამეცა თათრის ჯარი  
და დამიჭირეს ტყვეთ. მე არ ვიცოდი, რომ შავ-აბასს საქართ-  
ველოზედ გამოელაშქრნა“. აქ შავ-აბასის შემოსევის ამბავი  
და ამის დადიანისაგან არცოდნა, დ. ერისთავის ჩამატებულია.  
აკაკი წერეთლის შენიშვნა სამართლიანია, რომ არ შეიძლე-  
ბოდა სამეგრელოდან თბილისამდე მოსულიყო დადიანი და  
ვერ შეეტყო შავ-აბასისაგან ქართლის დაპყრობისა და აოხ-  
რების ამბავი (თვით პიესიდან ჩანს, რომ ორკვირაზე მეტია  
ქალაქი მტრის ხელშია). ქართულში გამოტოვებულია რიზო-  
ორისა და ლა ტრემუილის კალვინისტობის ამბავი. ცხადია,  
ქართველ დადიანისა და ლიონიძისათვის საჭირო არ იყო ერთ-  
მანეთისათვის გაეგებინებინათ, რომ ისინი მართლმადიდე-  
ბელნი, ქრისტიანები არიან. ფრანგულ ტექსტში ამის შემდეგ  
იწყება მარკიზ ლა ტრემუილის და საფრანგეთის მეფის მე-  
გობრობის ამბავი; ქება მისი ძმის ორანელი პრინცისა. ერის-  
თავს ამ ადგილისათვის ფანქრით ხაზი გადაუსვამს. გაღმო-  
კეთებისას კი სრულიად გამოტოვებია და ორიგინალი შეუ-  
მოკლებია.

დ. ერისთავის მიზანია სარდუს „Patrie!“-ში მოცემული  
პატრიოტიზმის იდეა გაღმოიღოს და გააძლიეროს ქილეც.  
გაღმომქეთებელს შეეძლო დაეწერა დავით ბატონიშვილის  
ქება და სხვა, მაგრამ მისი მიზნისათვის ეს საჭირო არ იყო.  
დ. ერისთავი სტოვებს საქმაოდ მოსაწყენ ამბებს, მეფისა და  
პრინცის თაობაზე, რასაც კერძო, პირადული ხასიათი აქვს,  
და პირდაპირ რიზოორის (ლიონიძის) მონოლოგზე გადადის,  
რომელშიც სამშობლოს აოხრებაზეა ლაპარაკი. დ. ერისთავს  
გამოუტოვებია აგრეთვე ლა ტრემუილის (დადიანის) დატყვე-  
ვებისა და გაყიდვის ამბავი. ესპანეთის მეფის ფილიპეს ძაგება  
და სხვა. ამით დრამას მეტი მთლიანობა ეძლევა. მთავარი იდეა

უფრო გარევეულად მოჩანს. ფილიპე მეფის ძაგების გამოტოვებით არიდებულია ზედმეტი ლაპარაკი, სიტყვებით აღაშიანის დახასიათება. ფილიპე იმპერატორის ან შერცოგ ალბას (შაპ-აბასის) დახასიათება უფრო კარგად ჩანს თვით პიესიდან, რომელშაც ნაჩვენებია მათი მტარვალობის საშინელი შედეგები, რიზოორისა და ლა ტრემუილის დიალოგისათვის, რომელიც ფლანდრიას შეეხება (ალბას განცხადება) დ. ერისთავს ხაზი გადაუსვამს.

რიზოორი დონნა რაფაელის შესახებ ამბობს: ბრიუსელის ჰავა, ნესტიანი და ცივი, მას ვნებს, ესპანეთის ცაც ვერ იხსნის ამ საბრალო ბავშვს. ერისთავს არ შეეძლო ეთქვა „ბრიუსელის ნესტიანი და ცივის“ მაგივრად „თბილისის ნესტიანი და ცივი ჰაერი“, ამიტომ „ნესტიანი“ გამოუტოვებია, სიცივე კი დაუტოვებია, რიზოორ ამბობს: დონნა რაფაელ იმდენად დასწეულებელია, რომ „თვით ესპანეთის ცაც (ე. ი. ესპანეთიც) კი ვერ უშველის უბედურ ბავშვს“, რადგან ბრიუსელთან შედარებით ესპანეთში უკეთესი ჰაერია, ხოლო საქართველოსთან სპარსეთს კი ეს უპირატესობა არ ჰქონდა. გამოტოვებულია აგრეთვე ნათქვამი ალბას მხლებელთა შესახებ, რომ არც ერთი აზნაური კეთილშობილი არ არის.

მეორე გამოსვლის დასასრულს, რიზოორი ურჩევს ლატრემუილს: თუ რჯულზე გკითხონ, დამალეთ, რომ კალვინისტი ხართო. ქართველ ლიონიძეს ამის თქმა არ შეეძლო, ამიტომ დ. ერისთავი ლიონიძეს ათქმევინებს: „თუ რჯულზედ გკითხონ რამე... ნუ ეტყვით, რომ ქრისტიანი ბრძანდებით“...

მესამე სცენის პირველი რეპლიკა შეცვლილია, დიალოგი კი თითქმის მთლიანად თარგმნილია. რამდენიმე რეპლიკაა მხოლოდ გამოტოვებული. ბერის შემოყვანის სცენა გაღმოთარგმნილია, მხოლოდ ქართულში ბერის გვარი ბალტაზარ, გიუპ—გამოტოვებულია. ბერის შემდეგ სარდუს შემოჰყავს მოხუცი კაცი Goberstraet. ეს სცენა ქართულში სრულიად გამოტოვებულია. ამის შემდეგ შემოჰყავთ 14 წლის ბავშვი—უოსუა კოპსტოკ. ქართულში ბიჭის სახელი არ არის. გამოტოვებულია ლა ტრემუილის შეკითხვა რიზოორისადმი.

ფრანგულ „Patrie!“-ში შემოჰყავთ მრეკავი (მნათე) უონას (გოგია დიაკვანი). მოზრდილი დიალოგი ოფიციალური დოკუმენტის შორის გამოტოვებულია და სრულიად კანონმდებლადაც, ვინაიდან ამ დიალოგში უონასი საკმაოდ კომიკური პერსონაჟის სახეს ამჟღავნებს, რაც დ. ერისთავის გოგია დიაკვანს არას გზით არ შეეფერება. იგი მეტად სერიოზული, ტრაგიკული პერსონაჟია. დედაქაცის სცენა ქართულში თითქმის მთლიანად თარგმნილია. მხოლოდ ორი მონოლოგი ერთ მონოლოგადაა შეერთებული. ამ დროს ისმის ანუელოსი, რიზოორ და ლა ტრემუილ ქუდს არ იხდიან. ეს ადგილი ქართულში გამოტოვებულია. ფლანდრიაში ქრისტიანი კათოლიკენი რეკენ ზარს და ქრისტიანი კალვინისტები რიზოორ და ლა ტრემუილ პროტესტის ნიშნად ქუდს არ იხდიან და მუხლს არ იყრიან. საქართველოში კი მაპმადიან სპარსელთა შემოსევის დროს წირვალოცვა წყდებოდა.

ჯაშუშზე რიზოორ ამბობს: ეგ მაგ ხელობაში დღეში 6 სუს იღებსო. ქართულში 6 სუ ათ ფარად არის გაღმოკეთებული. ასევე გამოტოვებულია უმნიშვნელო დიალოგი რიზოორსა და ლა ტრემუილს შორის.

მეოთხე სცენიდან რინქონის სიტყვიდან: ნავახშმევი შინ ვბრუნდებოდიო, დ. ერისთავს რომ უფრო დაემსგავსებინა რინქონი (ისკანდერი) სპარსელისათვის, ჩაუმატებია—ვახშაში ვჭამე „და ცოტა ხაშიშიც ზედ დავატანე“ და თავი იმიტომ მტკიოდაო. სახლში რომ მივედი, ამბობს რინქონ, რიზოორის სახლიდან კაცი გამოვიდა და დამიყვირა—ჩემ სახლშიც აღარ მასვენებოთ, ლოთო! რადგან სპარსელებს რჯულის გამო ღვინის სმა არ შეეძლოთ და, მაშასადამე, არც ლოთობა, დ. ერისთავი ათქმევინებს: „სახლშიც არ მასვენებთ, თქვე ურჯულოებოო“. ქართულ „სამშობლოში“ გამოტოვებულია ლა ტრემუილის ნათქვამი, რომელიც მის სიმდიდრეს შეეხება.

„Patrie!“-ში ხაზეასმულია ლა ტრემუილების გვარის კეთილშობილება; რომ საფრანგეთის მეფის სასახლეში, მეფის ამაღაში, სხვებზე წინ ლა ტრემუილები მიღიან. დ. ერისთავს ეს არისტოკრატიული ტენდენციების გამომამუღავნებელი სიტყვები გამოუტოვებია. გამოტოვებულია აგრეთვე ლა ტრემუი-

ლის სიტყვები მეოთხე სცენის დასასრულში — „არ მიყვარ ბრბო“ (je n'aime pas la foule). სხვა თვალსაჩინო სხვაობ პირველ მოქმედებაში ფრანგულ და ქართულ „საშმობლოს“ შორის არ არსებობს.

შეორე მოქმედებაში ფრანგულის პირველ სცენას აქვს დიდი რემარკა, რომელიც გვაცნობს რიზოორის სახლის მოწყობილობას, ფლამანდურ წესზე ქართულში მოკლედ არის: „სცენა წარმოადგენს ოთასს სვიმონის სახლში“. ფრანგულში სცენაზე არიან დოლორეს, გიდიულ, მაჟორდომი, მსახური, პაუები, ქართულში მხოლოდ მოახლე და ქეთევანი. პირველი სცენის დიალოგი ფრანგულში ათი რეპლიკისაგან შესდგება. ქართულში იგი ოთხი რეპლიკითაა გაღმოცემული. სცენის დასასრულს ქართულში მოახლე თვით გადის.

ფრანგულის მეორე სცენაში ქარლოო მოითხოვს მსახურების მოშორებას. მსახურნი გადიან. მიჯნურნი მარტონი რჩებიან. დავით ერისთავმა პირველი სცენის დასასრულს დაუმატა, — მოახლე გადის, ამიტომ მეორე სცენის დასაწყისი და მსახურების გასვლა ზედმეტი იქნებოდა და ერისთავს ორი გინალის ეს ადგილი ფანქრით გადაუხაზავს (გვ. 46-47). რადგან მეორე სცენაში აღარაფერი რჩებოდა, ამიტომ შეუერთებია მესამე სცენა. აქედან ქართულ სცენათა სათვალავი ფრანგულს აღარ მისდევს. ფრანგულის მეოთხე სცენა ქართულის მესამე სცენაა, ფრანგულის მეხუთე — ქართულის მეოთხე და ა. შ. დანარჩენ მცირე ცვლილებასთან ერთად ერისთავს კამბრის ტყე დიღმის ტყედ შეუცვლია. შეთქმულთა შესაკრები ადგილი ფრანგულში არის ქალაქის თვითშმართველობის სახლი (La maison de ville), ქართულში კი — მეტეხი. ლუკენის ხევი შეცვლილია ძალისის ხევით. ფრანგულში უონას (მრეკავს, მნათეს) ეუბნებიან: ხომ იცი პირობა, წადი და შეასრულე ქართულში შეთქმულნი აცხადებენ თუ როგორ უნდა მოიქცეს გოგია დიაკვანი (ზარი უნდა დარეკოს). ამ ადგილის ფრანგულ ტექსტისათვის დ. ერისთავს ლურჯი ფანქრით მიუწერია: „Прибавить сигнал и заговору“ (გვ. 62).

რიზოორის მეუღლე დოლორეს, ფლანდრიელი არ არის —

ესპანელია. რიზოორს დაუხსნია იგი სიღარიბისა და გაჭირვებისაგან. ასევეა ქართულშიც. მხოლოდ ესპანელის მაგივრად ქეთევან — სპარსელია. ამიტომ სდომებია დ. ერისთავების მეთევანის მაგიერ ანახანუმი — სპარსული სახელი ემარა, მაგრამ ქეთევანად შეუცვლია, რადგან ქეთევანი სვიმონს მოუნათვლინებია და სახელსაც ქართულს დაარქმევდა.

მესამე სურათი დ. ერისთავს გადაუხაზავს და ლურჯი ფანჯრით მიუწერია. — „Этой картины у меня нет“ და გამოტოუცვებია 10 გვერდი 71—80 გვერდამდე. ამ ნაწილში არის შეთქმულთა ქალაქ გარეთ გასვლა და ბაასი გიორთან (ვილჰელმთან). თუ კარგად წავიდა საქმე, შეთქმულებმა დიდი ზარი — როლანდი უნდა დარეკონ, თუ ცუდად — გლოვის ზარი.

მესამე მოქმედებაში ქართულ „სამშობლოში“ გამოტოუცვებულია 14 სტრიქონიანი რემარკა, რომელშიაც აღწერილია ჰერცოგის (ქართულში შაპის) სადარბაზო ოთახი. მხოლოდ ესაა ნათქვამი: — „შაპი ზის ტახტზე ლრმად ჩაფიქრებული, ისმაილ და ალავერდი შორი-ახლო სდგანან. ჯალათი კარებთან სდგას“.

ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცვლილებანი შემდეგშიაც ასეთივე ხასიათისაა: მაგ. Grande place (დიდი მოედანი) შეცვლილია ავლაბრის მოედნით, მონსი — იმერეთით. კვლავ გვხვდება სცენების შეერთება — გამოტოვება. მესამე მოქმედების მეოთხე სცენა — შეთქმულთა შეკრებისა — სიტყვა სიტყვითაა თარგმნილი. გამოტოვებულია მხოლოდ კარლოს მონოლოგი — მიმართვა შეთქმულთადმი — ბრძოლის დროს გაიხსნეთ, რომ თქვენ მიერ გაღებულმა მსხვერპლმა უნდა იხსნას თქვენი ცოლ-შვილი და სხვა შეთქმულთა პასუხი: იარალი („aux armes“). ამ ადგილის მაგივრად დ. ერისთავს ჩაუმატებია ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“. ორიგინალში არავითარი ლექსი არ არის.

მთლიანად უცვლელად დ. ერისთავს არც ილია ჭავჭავაძის ლექსი შეუტანა. პირველი სტროფიდან „დედავ ღვთისაო“ შეცვლია „ღმერთო მალალო“. „აჩრდილის“ ამის მოძღვნო სტროფი, რომელიც ასე იწყება: „რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა“ — გამოუტოვებია და 27-ე თავის მესამე

სტროფი მიუყოლებია (მხოლოდ „ძლიერო ღმერთოს“ მაგივრად „ღმერთო ძლიერო“ დაუწერია). მესამე სტროფად დერისთავს მოუყოლებია გამოტოვებული მეორე სტროფი, მაგრამ ტაეპთა გადაჯუფება მოუხდენია. ილიას ჭკე:

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,  
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,  
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,  
მამა-პაპური სული, გული მოშმადლე შვილსა.

დ. ერისთავს ეს სტროფი ასე დაულაგებია:

სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,  
მამა-პაპური სული, გული მოშმადლე შვილსა.

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა ტანჯვად ეყოფა,  
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა.

ამგვარი დალაგებით უფრო მკვეთრი ხდება ლოცვის აზრი, რომლის დასასრული პიესის იდეასთანაა დაკავშირებული. საქართველოს—„მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა“. ამ ლექსის ჩამატებით დ. ერისთავმა გააძლიერა პატრიოტიზმის იდეა. ამ მხრივ გადმომკეთებელი შეგნებულად იქცევა. მაგ. ერთგან რიზოორ ღმერთს ევედრება: იხსნას პრინცი განსაცდელისაგან, ლიონიძე ამ ადგილზე სამშობლოს დაბანას ევედრება ღმერთს. დ. ერისთავს გამოტოვებული აქვს ფლანდრიელის მონოლოგი, მიმართული თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, მონოლოგი, რომელიც მორჩილებისა და მონობისაკენ მოუწოდებს ფლანდრიელებს.—*Sûrment!*

Toites ces tentatives-la voyez-vous!.. Voila lezésultat!..  
Ça serra la couroie!.. On ferait bien mi eux de tendre les  
dos, en attendant que ca passe!“

დ. ერისთავი, პირიქით, ერთ კაცს ათქმევინებს, სვიმონ ლიონიძე „ღმერთმა აცხონოს. მაგისთანა კაცები, რომ ბევრი ჰყოლოდა საქართველოს, ეგრე ადვილად არ წახდებოდა...“. მაშინ, როცა სარდუს ფლანდრიელი მელუდე ამის საწინააღმდეგოს ლაპარაკობს. პატრიოტიზმის იდეის გაძლიერების მიზ-

ნით დრამის ფინალი შეცვლილია. სარდუს „Patrie!“-ში უკანასკნელი სიტყვა კარლოოსი დოლორესისადმია მიმართული. დ. ერისთავის „სამშობლოში“ კი კარლოოს (ხიმშიაშვილის) უკანასკნელი სიტყვები სამშობლოს ეკუთვნის: — „მანო, მომიცადეთ... თქვენთან მოვდივარ... მე გასწავლით როგორ უნდა სიკვდილი სამშობლოსათვის“.

როგორც ვნახეთ, დ. ერისთავს შეუცვლია ქვეყნებისა, ადგილებისა და მოქმედ პირთა სახელები, მოუცილებია სარდუს პიესისათვის დამახასიათებელი არისტოკრატიზმი, გამოუტოვებია ზედმეტი ადგილები და სცენები. მაგ., ლა ტრემუილის და ორანელი პრინცის მეგობრობის ამბავი, რომელსაც მხოლოდ პირადული ხასიათი აქვს. შეთქმულების: რიზოორის, გალენის, უონას, ბაკერცელის, კორნელის ქალაქ გარედ გასვლა და გიორგი ორანელთან საუბარი. ზოგჯერ გაუერთიანებია სცენები. ჩაუმატებია ილია ჭავჭავაძის ლექსი და რამდენიმე მომენტი. ამის შედეგად, შთაბეჭდილების თვალსაზრისით, დრამა მეტ მთლიანობას იღებს. ამისდა მიუხედავად დ. ერისთავის პიესა მაინც ახლოს სდგას სარდუს „Patrie!“-სთან. დ. ერისთავმა გადმომეტებელის საოცარი ნიჭი გამოიჩინა. შეცვალა სარდუს პიესა, მაგრამ ახლოც დარჩა მასთან.

ფრანგული „Patrie!“-ს პერსონაჟები დ. ერისთავმა, როგორც პირველად შესცვალა, ბოლომდე იმ სახით დასტოვა. მხოლოდ ერთი გამონაკლისია: ბაკერცელ-ერისთავი შეცვლილი ჰყავს როინ ამირავიბად, კორნელის — ესტატე ციციშვილად, მაგრამ მეოთხე მოქმედების მეოთხე სცენაში ბაკერცელ—ესტატე ციციშვილია, კორნელის — როინ ამირავიბი.

დ. ერისთავის დრამის ერთი რემარკის მიხედვით მოქმედება უნდა წარმოებდეს მე-17 ს. და საქართველოს ცხოვრება უნდა იყოს ასახული. მაგრამ ჩვენ უკვე ვხახეთ, რომ ქართული „სამშობლო“ იმდენად ახლოა სარდუს „Patrie!“-თან, რომ შეუძლებელია საქართველოს და ფლახდრიის ცხოვრება ყოველმხრივ ერთნაირი ყოფილიყო. მართლაც დ. ერისთავის

„სამშობლოში“ ჩვენი წარსული ცხოვრების თავისებურებანი დეტალებით გადმოცემული არ არის, და ვერც იქნებოდა შაპ-აბასის შემოსევა და, საერთოდ, მე-17 საუკუნე საქართველოს ისტორიაში საშინელი ხანაა. ამ ეპოქის შესახებ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ბევრი რამ არის დაწერილი: — „დიდ მოურავიანი“ იოსებ ტფილელისა, „თეიმურაზიანი“ არჩილისა, თეიმურაზ პირველისა და დ. ბაგრატიონის ნაწერები, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ა. ფურცელაძის „დიდი მოურავი“, ტრაგედია და სხვა. ეს ღრმო არის, როგორც ხალხი უწოდებს — „სისხლის წვიმების ღრო“.

საქართველოს წარსული ცხოვრება, ბრძოლა თავისუფლებისათვის ქართულ ლიტერატურაში ფართოდ ასახეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვ. მაგრამ ვერც ერთმა შწერალმა ვერ მოგვცა დრამის ფორმაში, სცენაზე წარმოსადგენად საქართველოს ცხოვრების ამსახველი მაღალხარისხოვანი ნაწარმოები, იგი უმთავრესად ლექსებითა და პოემებით გამოიხატებოდა.

ანტონ ფურცელაძემ სცადა „დიდი მოურავით“ გადმოეცა ჩვენი წარსული ცხოვრების საშინელებანი, მაგრამ ამოცანა ვერ დასძლია (სცენიურობის თვალსაზრისით). გარდა ამისა, ფურცელაძის „დიდ მოურავში“ დიდი იდგილი უჭირავს ბრძოლასა და ინტრიგებს თვით ქართველებს შორის. 80-იან წლებში კი ქართველ საზოგადოებას ისეთი პიესა სურდა, რომელიც ქართველთა მთლიანობას და დარაზმულობას უჩვენებდა და დამპყრობელთა წინააღმდეგ. ასეთი პიესა იყო დავით ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოკეთებული „სამშობლო!“

„სამშობლო“ არა მარტო გმირთა სახელებითაა ქართული, არამედ იგი თითქმის ქართული ლიტერატურის ორიგინალური ნაწარმოებია, მისთვის განვითარების გზაზე ბუნებრივად შექმნილი. „სამშობლოს“ ნიადაგი ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართულ ლიტერატურაში და ამიტომ ხვდა დიდი გამარჯვება.

„სამშობლოში“ დასმული პრობლემა აწუხებდა სოლომონ

ღოდაშვილს და მის თანამოაზრებს, ორგდალეულებს. „სამ-  
შობლოში“ დასმული პრობლემა გვხვდება გრ. ორბელიანის,  
ნ. ბარათაშვილის ლექსებში, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის შე-  
ჩილებში“, აკაკის „თორნიკე ერისთავში“, „ნათელაში“, „ბა-  
ში-აჩუქში“ და სხ. განსაკუთრებით ბევრი საერთო აქვს „სამ-  
შობლოს“ 1860—1871 წ. დაწერილ ილიას „ქართვლის დე-  
დასთან“ („დედა და შვილი“).

„სამშობლოში“ აღწერილი ამბები კონკრეტულად არ მომ-  
ხდარა საქართველოში, მაგრამ მისი მსგავსი მოვლენები მრა-  
ვალი იყო. ამიტომ შესძლო „სამშობლომ“ ჩვენი წარსული  
ცხოვრების სულისა და ხასიათის გაღმოცემა. ეს დრამა მხო-  
ლოდ გარეგნულად არის რომანტიკული ხასიათისა.

ლევან ხიმშიაშვილი გაათავისუფლა შაჰმა, მაგრამ ლევანს  
გაინც სურს ამხანაგებთან ერთად დასაჭონ. „პატიება,—ამბობს  
ლევან—შაჰმა რომ ინება, მე არ მნებავს, მე ჩემს ამხანაგებ-  
თან ერთად ვიყავი, ერთად გვიბრძოლია, ერთად თავი გაგვი-  
წირავს... ყველას თანასწორი დასჯა უნდა მოგველოდეს.  
მე უფლება მაქვს, რომ ჩემი დასჯა მოვითხოვო. არ მივიღებ  
მაგ მოწყალებას შაჰიაგან“.

ხიმშიაშვილის მოქმედება ჰგავს ცოტნე დადიანის საქცი-  
ელს, როცა კოსტასთავის შეთქმულნი: შანშე, ეგარსლან, ვა-  
რამ გაგელი, ყვარყვარე, შოთა კუპრი დაატყვევა მონგოლთა  
ნინმა და „ესე მთავარნი ტყვენი, მხარდაკრულნი, შიშველნი  
მოედანს შინა მსხდომარე იყვნეს: ვითარ იხილნა ესე ცოტნე,  
წარჩინებულნი ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკვდი-  
ლად განწირულნი. გარდაპხდა ჰუნისაგან, და დააბნია სამოსე-  
ლი თვისი, განშიშვლდა და შეიკრა მხარნი, დაჭდა წარჩინე-  
ბულთა თანა მწუხარედ და ნოინს მოახსენა: „უკეთუ უბრა-  
ლონი იყვნენ, მეცა უბრალოდ შევირიცხო, და მართალ თქვენ  
წინაშე, რამეთუ თვინიერ ჩემისა არა რაი უქნიესთ“ („ქართ-  
ვის ცხოვრება“).

შაჰ-აბაზის შემოსევის საშინელებანი „სამშობლოში“ ნათ-  
ლად იგრძნება. „სამშობლოში“ მოცემული შეთქმულება  
სარსელთა წინააღმდეგ გვაგონებს სააკაძის მიერ შაჰ-აბასის  
წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას. საქართველოს წარ-

სულს ბევრი რამ აქვს საერთო „სამშობლოსთან“ და, მაშასა დამე, საქართველოს ისტორიასთან — „ქართლის ცხოვრებასთან“. ამ ამბავს ერისთავის ბიოგრაფი ი. მეუნარგიაც გვიდას. ტურებს. ერისთავს პიესის გადმოკეთებამდე უქართლის ცხოვრება“ წაუკითხავს, შაჲაბასის ამბებს გასრუნბია.

გოგია დიაკვანი სამშობლოსათვის თავგანწირვაში ჰგავს. მე-17 ს. მოღვაწე — კვალითელ მღვდელს. ამ სასულიერო პირ მაც, ცოტა სხვაგვარად თავდადებით იხსნა სამშობლო. საქართველოში შემოსეულმა მტრებმა: „შეიძყრეს კვალთას მღვდელი ერთი და სცემდენ ლახტითა, რათა აუწყოს, სად არს მეფე ხოლო მღვდელი იტყოდა: „არ ნაცვალ ვყო საწუთო ესე წარუალსა მას, და არა ვიქმნე გამცემელ მეფისა და ქვეყნისა“ წარმოუძღვა მღვდელი იგი გოსტიშის თავსაზედა და ჩამოიყვანნა ქვენაღრის გზასა, ჰსცნეს თათარხანთა, რამეთუ აცდუნებდათ მღვდელი, ამისთვის მოჰკვეთეს თავი“<sup>1</sup>...

„სამშობლოში“ მოცემული სურათები ქართველებს 1832 წლის შეთქმულებასაც გაახსნებდა — განთიადის დროს, უნდა ზარების რეკა მოახდიხონ და ამაში ძახილი თავისუფლებისა... მაშინვე კაცნი მზად უნდა გყვანდეთ, რომ სოფლებში გაგზავნოთ და შეუთვალოთ, ალექსანდრე ბატონიშვილი კარებით ქალაქში შემოვიდა, და ყველს გთხოვთ, რომ ჩამოხვიდეთო“.<sup>2</sup> არიგებდა ამხანაგებს შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილე. მეორე მომენტზე: დოდაშვილის ბანაზე შეიკრიბნენ ქართველი შეთქმულები: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ და გიორგი ერისთავები. ალექსანდრე ორბელიანმა — „აიღო ჭიქა, გაავსო იგი ღვინით და დაიძახა — გაუმარჯოს საქართველოს და ჩვენც ყველამ დავლიერ თავი სუფლების სადღეგრძელო“.<sup>3</sup>

„სამშობლოს“ გმირების სცენაზედ გამოჩენა და ძახილი — „გაუმარჯოს საქართველოს“, ქართველებში გარდასულის გა

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 54, გ. ქინაძის გამოცემა.

<sup>2</sup> გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 86.

<sup>3</sup> ანტონ აფხაზის ჩვენება, გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 223-224.

სენებას იწვევდა და მათ მომავალი ბრძოლებისათვის ამზა-  
დებდა..

საქართველოს ისტორიაში „სამშობლოს“ პერსონაჟთა დოკუმენტი  
სიტუაციათა სხვა ანალოგიების მონახვაც შეიძლება. ამიტომ მოვა-  
სო, რომ თუმცა „სამშობლოში“ მე-17 ს. მოღვაწეები: თე-  
იმურაზ და ლუარსაბ მეფე, გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი,  
ზაზა ციციშვილი და სხვ. არ იყვნენ გამოყვანილი, მაგრამ  
სული, ხასიათი, ბუნება ჩვენი წარსული ცხოვრებისა გადმო-  
ცემული იყო.

## 6

„სამშობლოს“ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა  
ერთი საკითხის გარკვევა,—სვიმონ ლიონიძე, ამისი ცოლი,  
ქეთევანი, ლევან ხიმშიაშვილი, დიმიტრი დადიანი, გოგია დი-  
აკვანი, ზაზა სოლოლაშვილი, როინ ამირაჯიბი, ესტატე ციცი-  
შვილი რომელი ეპოქის ხალხი არიან. საიდან არის ამოღებუ-  
ლი მათი სახელ-გვარები და ან რეალური პიროვნებანი არიან  
თუ არა?

ერთი რამ ცხადია: ისინი მე-17 საუკუნისანი არ არიან.

როგორც ი. მეუნარგიას ცნობიდან ჩანს, დ. ერისთავს თა-  
ვის გმირთა სახელები პ. იოსელიანის თხზულებიდან — „გი-  
ორგი მეცამეტის ცხოვრებიდან“ აუღია. მართლაც. პ. იოსე-  
ლიანის წიგნში მოხსენებულია სოლომონ ლიონიძე, ცნობილი  
მრჩეველი ერეკლე მეფისა. ასევე შრომიდანვეა ცნობილი ნი-  
კოლოზ ხიმშიაშვილი. მაგრამ დ. ერისთავს სოლომონ ლიონი-  
ძე სვიმონ ლიონიძედ შეუცვლია, ნიკოლოზ ხიმშიაშვილი ლე-  
ვან ხიმშიაშვილად.

ვფიქრობთ, ეს შემდეგი გარემოების გამო მოხდა: სოლო-  
მონ ლიონიძე (ლეონიძე) ქართლ-კახეთის რუსეთთან შე-  
ერთების შემდეგ იმერეთს გარდაიხვეწა და იქიდან აქტიურად  
ებრძოდა რუსეთის მონარქიას. ბოლოს იმერეთიდანაც გაიქცა  
და მოკვდა, როგორც რუსეთის მონარქიის წინააღმდეგ შე-  
ურიგებელი მებრძოლი; ამიტომ შეუძლებელი იყო სოლომონ  
ლიონიძის სახელშეუცვლელად სცენაზე გამოყვანა. გარდა

იმისა, შეზღუდული სარდუს პიესით, დ. ერისთავი თუ სოლო  
მონ ლიონიძეს გამოიყვანდა, იძულებული იქნებოდა მოლ  
ლატედ დაეხატა მცირ შეუღლე სოფიო, რაც ცილისჭამება  
იქნებოდა სოლომონ ლიონიძის მეუღლის მიმართ, რომელ  
საც ნ. ბარათაშვილმა „ბედი ქართლისაში“ შენატრა,—

ჰო, დედანო, მარად ნეტარნო.

ნიკოლოზ ხიმშიაშვილი, როგორც იოსელიანი გადმოგვ-  
ცემს, არის მკვლელი რუსეთის გენერლის ლაზარევისა. ცხა-  
დია, არც გენერლის მკვლელის, ნიკოლოზ ხიმშიაშვილის გა-  
მოყვანა შეიძლებოდა სკენაზე სანაქებო გმირად. ამისათვის  
შეუცვალა დ. ერისთავმა სახელი ნიკოლოზ—ლევანად; ეს  
რომ ასეა, იქიდანაც მტკიცდება, რომ დანარჩენ გმირთა სახელ-  
გვარები, რომელთაც რუსეთის მონარქიასთან დაიდი კონ-  
ფლიქტი არ მოსვლიათ, დ. ერისთავმა პ. იოსელიანის წიგ-  
ნიდან უცვლელად აიღო; ასეთებია: „ევსტატი ციციშვილი ქა-  
ლაქის მოურავი, ნაშობი მეფის ირაკლის ასულისაგან, გარ-  
დაიცვალა 1828 წ. ნიუნი-ნოვგოროდს“.<sup>1</sup> ესტატე ციციშვილ  
ყოფილა კაცი წერილთაცა შინა დახელოვნებული“.

„როინ ამირაჯიბი, დიდი შხენ ვაჟკაცი, ერთგული მეფისა“.

„ზაზა სოლოლაშვილი, ლექთა აიკლეს მისი სოფელი, და-  
ასახლა გლეხნი, აღაშენა კოშკი, მოუხდა ახალციხის ფაშა  
რვაასის კაცითა; გაუმაგრდა კოშკში და მოუკლეს შვილი ფა-  
შასა, ზაალ (sic—ნ. ტ.) გამოუხდა კოშკით, მოსტაცა მოკლულ  
შვილი და შეითრია. ფაშა სირცხვილეული დაბრუნდა“...

დავით ბატონიშვილი—გიორგი მეფის ძე და ტახტის მემკ-  
ვიდრე.

„გოგია დიაკვანი საყვარელი მეფის გიორგისა. სახლობა  
მისი ახლდა მას და დედოფალსა მსახურებდა. იყო გარკვევით  
ლექსთა და აზრთა გამოხატვით მკითხველი ეკლესიისა წიგნთა.  
ხმა მისი არის,—ბრძანებდა მეფე,—ხმა ლოცვისა და ვედრე-  
ბისა, ხმა საგალობელისა ხმათაო“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ესტატე ციციშვილს იხსენდებს ფილადელფოს კინაძე თავის ჩვენ-  
ბაში. (გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 282).

<sup>2</sup> 3. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეფამეტისა“, აკ. გაწერელია  
რედ. გვ. 253, 254, 260-261.

როგორც ვნახეთ, დავით ერისთავმა მე-18 ს. გასულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოლვაშები: ლიონიძე, ხიმშიაშვილი, ამირაჭიბი, ციციშვილი, სოლოლაშვილი, დავით ბატონიშვილი, გოგია დიაკვანი მე-17 ს. გარდა იყვანა და აამოქმედა, მაგრამ მიზანს მიაღწია, — შესძლო ჩვენი წარსულის ცხოვრების ხასიათის გადმოცემა. და ჩაც მთავარია, გამოეხმაურა თავის დროის ტკივილებს. ხალხში აღზარდა პატრიოტიზმის გრძნობა და ქართული თეატრის ცხოვრებაში ეპოქა შექმნა.

ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობაში „სამშობლოს“ ყველაზე დიდი რეზონანსი ჰქონდა. მან დიდი გავლენა მოახდინა ქართულ დრამატურგიაზე, შეიქმნა პატრიოტულ-ისტორიული დრამები. ალ. იუჟინ-სუმბათაშვილის „ლალატი“, მართალია რუსულად არის დაწერილი, მაგრამ მას ორგანიული კავშირი აქვს ქართულ ლიტერატურასთან: დაწერილია ქართველი ავტორის მიერ, საქართველოს ცხოვრების შესახებ.

„სამშობლოს“ გავლენით დაიწერა და გადმოქეთდა შემდეგი დრამები: „და-ძმა“ ვ. გუნიასი, „ქართველი დედა“ ავტ. ცაგარლის მიერ გადმოკეთებული (არნოს დრამიდან); „ანუკა ბატონიშვილი“ დ. მესხისა; „ვახუშტი, საქართველოს სპასალარი, ანუ ქალის სათნოება“ კ. ყიფიანისა; „თამარ ბატონიშვილი“ ქოტე მესხისა და სხვ.

ამ დრამებმა დიდად შეუწყეს ხელი პატრიოტული შეგნების გაღვიძებას, გააძლიერეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რაც დიდი ფაქტორი იყო პროლეტარიატის რევოლუციონურ ბრძოლაში.<sup>1</sup>

1 მე-19 საუკუნის ბოლოს სარდუს პიესებიდან ქართულად იდგებოდა: „მადამ სან-ეენ“, „უნდა გავიყარნეთ“, „აი გიდი, მეგობრებო“. ურნალი „ფასკუნჯი“, სადაც მოთავსებულია ვ. სარდუს მოკლე ბიოგრაფია, წერდა: „ყველა ეს პიესა ძალაში მოწონებული იყო ქართველ მაყურებელთაგან“ („ფასკუნჯი“, 1908 წ. № 3).

წელს (1940) ლენინგრადის პუშკინის სახ. დრამატიულმა თეატრმა დადგა სარდუს „Patrie“ ა. მაცკინის თარგმ. სათაურით „Фландрія“, იხ. ფევრალსკის წერილი „Литературная газета“, 1940 წ., № 28.

ილია ჭავჭავაძე იმ დიდბუნებოვას აღამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელიც რასაც ხელს ძოჰყიდებენ, სამარალისო კვალს დააჩენენ ხოლმე. ჩვენ ვიცნობთ, გვიყვარს და ვაფა- სებთ ილიას — ლირიკოს პოეტს, ავტორს „გაზაფხულისას“, „ელეგიისას“; ჩვენ ვიცნობთ ილიას, ავტორს პოემების: „გან- დეგილი“, „აჩრდილი“, „კავო-ყაჩალი“; ილიას, ავტორს ქართუ- ლი პროზის შედევრებისა: „კაცია აღამიანი?!“, „გლახის ნაამ- ბობი“, „გლეხთა განთავისუფლების პაუველ დროის სცენე- ბი“, „სარჩობელაზედ“ და სხვ. მაგრამ ილია უებრო პუბლი- ცისტიც იყო, ისე როგორც დაუღალავი თავდადებული საზო- გადო მოღვაწე და იჯეური პოლიტიკური ხელმძღვანელი ნა- ციონალურ-რევოლუციური მოძრაობისა.

მაგრამ არის კიდევ ერთი დარგი ქართული ლიტერატუ- რისა, რომლის განვითარების ისტორიაში უჯიდესი როლი შე- ასრულა მან. ესაა მბატვრული ლიტერატურის კრიტიკა. ილიას ამ დარგში მუშაობისათვის ყველაფერი, რაც მისგან იყო დამოკიდებული, ხელს უწყობდა: ჭიჭა, ნათელი გონება, გამჭრიახი თვალი, პოეტური ინტუიცია, გემოგნება, განათლე- ბა, პირდაპირობა, ნასიათის სიმტკიცე, ლოგიკური აზროვნე- ბის უნარი, ლიტერატურისა და კერძოდ ქართულ ლიტერატუ- რის დიდი სიყვარული.

ქართულ ლიტერატურას რომ ილია საფუძვლიანად იცნობ- და და მის შესახებ მრავალი საგულისხმო აზრი გამოთქვა, ამის შესახებ ჭვემოთ ვიტყვით. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია კარგად იცნობდა უცხოელ პოეტებსაც და მათ შესახებ გარკვეული, ჩამოყალიბებული შეხედულებანი ჰქონდა. ჯერ კიდევ სტუდენტობაში თარგმნიდა იგი ვალტერ სკოტს, ში- ლერს, ბაირონს, პუშკინს, ლერმონტოვს, ანდრე შენიეს, ტო- მას მურს და სხვებს. შემდეგ ხშირად იმოწმებდა კრიტიკულ- პუბლიცისტურ მნითონს კლასიკოსებს.

ილია ჭავჭავაძის ლოგიკური აზროვნების დიდი უნარი სა-  
ყოველთაოდ ცნობილია. ილიას მოსაზრებანი რომელიმე მხატ-  
ვრული ნაწარმოების შესახებ, ან საერთოდ, ლიტერატურული  
პრობლემის შესახებ ლოგიკურად გამომდინარეობს მისი  
მსოფლმხედველობიდან. ილია, უპირველეს ყოვლისა, დია-  
ლექტიკისია და ამ თვალსაზრისით — განვითარების იღების  
თვალსაზრისით უცქერის ლიტერატურასაც. მისთვის ნაწარ-  
მოები იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი ახალ რა-  
მეს იძლევა, რამდენადაც აფართოებს, აღრმავებს, ზრდის და  
წინ სწევს ლიტერატურას.

ცხოვრება ილიასათვის განუწყვეტელი ჯაჭვია ცვლილე-  
ბებისა, შექმნისა და გარდაქმნისა. მოძრაობა, მოქმედება,  
ბრძოლა კი საშუალებაა წინმსვლელობისა. ლიტერატურაც  
ცხოვრების გარდაქმნისათვის არის მოვლინებული, რადგან  
ისიც მოქმედება, ბრძოლაა სიტყვით და გონებით. ილიამ აქ  
გამოამჟღავნა ის უტილიტარული შეხედულებანი, რომელიც  
რუსეთში შეითვისა ჩერნიშევსკისა, ბელინსკის და დობრო-  
ლუბოვის ნაწერებიდან.

ლიტერატურის დანიშნულება ცხოვრების ასახვაა, რომ  
მანინჯს თავისი სახე, უბაზრუკობა დაანახოს და მოსპოს ან  
გამოასწოროს. რომაო, — წერს ილია, — ზოგიერთმა უნაყო-  
ფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიცხოს პირი თავი-  
სი ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული  
თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ  
გაათაოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. „ჩვენ მეც-  
ნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არებითსა პურსა  
ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარსა და  
გამოსადეგსა“.<sup>1</sup>

ბელინსკის გავლენა ილიაზე ჩანს თვით პოეზიის განმარ-  
ტებაში, რომ იგი სახეებით აზროვნებაა. უტილიტარისტული  
თვალსაზრისი უჯევს საფუძვლად ილიას ლიტერატურულ მი-  
მართულებას — რეალიზმს.

ილია ამ სტილის დაშვიდრებას პრაქტიკულად უწყობდა

<sup>1)</sup> ილია ჭავჭავაძე — „საქართველოს მომბეზედ“.

ხელს, ქმნიდა რა „კავკ ყაჩაღს“, „გლახის ნაამბობს“, „კაცია აღამიანს?!“ და სხვათ. მაგრამ ილია თეორიული მოსაზრებრიც ძირს უმაგრებდა ამ მიმართულებას და სასტიკად ებრძოდა სენტიმენტალიზმსა და ცრუ-კლასიციზმს. ილიას პირველი კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა“... პამფლეტია სენტიმენტალიზმისა და ცრუკლასიციზმის მიმართ — „ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად“. ილია ებრძვის კარამზინისა და კოზლოვის სენტიმენტალურ მიმართულებას და უკვერს: კაცს რუსული ლიტერატურიზან ქართულად თარგმნა უნდოდეს, კოზლოვი თარგმნოს, პუშკინი, გოგოლი და ლერმონტოვი კი განზე დატოვოს.

კარამზინის სასტიკი გაკრიტიკება ილიას უკიდურესობაში არ აგდებს, არ ავიწყებინებს კარამზინის ზამსახურებას რუსული ლიტერატურისა და ისტორიის წინაშე. „რუსული ენის აღდგინება მაგან დაიწყო რუსეთში და პირველად მაგან დაამუშავა თავისი ქვეყნის ისტორია. აი რა მნიშვნელობა აქვს კარამზინს რუსეთისათვის!“<sup>1</sup>

როგორცა ვხედავთ, ილიას კარამზინის ისტორიული დამსახურება ძალიან კარგად ესმის, მაგრამ ებრძვის კიდეც კარამზინს. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, ებრძვის კარამზინს კი არა, სენტიმენტალიზმს და კოზლოვს კი როგორც „კარამზინის ცჯომილ მიმართულების“ მიმდევარს.

ილია არც კლასიცისტებს: ხერასკოვს, ტრედიაკოვსკისა და სუმარკოვს მოხსენიებას ივიწყებს. ამ მწერლებსაც თვლის უნდოებად და ყალბი ლიტერატურული მიმდინარეობის დამცველებად. კლასიცისტური ლიტერატურის ტენდენციებს ილია შემდეგაც ებრძოდა ქართულ ლიტერატურაში.

1890 წელს დაწერილ წერილში „ახალი დრამების გამო“ მოითხოვდა, რომ ავტორი უნდა ერიდებოდეს ლაპარაკს, თქმას, აზრები გმირებისა მოქმედებაში უნდა მოსჩანდნენ. არ უნდა ჰქონდეს მიკრული მოქმედ პირს შუბლზე ავ-კარგიანობის მაჩვენებელი ბილეთი. არ უნდა იყვნენ გმირები ნაწარ-

1. ილია ჭავჭავაძე — „პასუხი“.

გოებისა მხოლოდ კარგი ან ცუდი. რაჯგან აღამიანის ბუნება „ივ-კარგიანობითაა“ იღსავს და მისი მხოლოდ და მხოლოდ ბოროტად ან კეთილად გამოყვანა ბუნებრივობისა, და სიმართლის დამახინჯებაა.

ილია ჭავჭავაძეს ლიტერატურული პრობლემებისადმი სპეციალური თეორიული წერილი არ მიუძღვნია, მაგრამ, სხვა-დასხვა ნაწერებში ჩანს ბევრი აზრი, მათი გაცნობა აღვილი შესაძლებელი ხდება.

როგორც „ცისკრის“ შესახებ დაწერილ მეორე და მესამე ნაწყვეტილან ჩანს, ლირიკაზე მაღლა იგი ეპოსს აყენებდა. ჯერ კიდევ რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ამბობდა, რომ ზოგიერთი მოშაირე „დიდსა გერ მოჰკვლენ, ხელად აქვთ ხოცვა ნაჯირთა მცირეთა“. ილიაც რუსთაველის აზრისაა. ეპიური ნაწარმოებები მას უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიზრე ლირიკული. ლირიკული პოეზიის საგანიო, — წერს ილია მესამე ნაწყვეტში „ცისკრის“ შესახებ: „თვითონ პოეტის სულის მდგომარეობაა სხვადასხვა შემთხვევებში და გარემოებაში; წუთის გრძნობის, წუთის აღბეჭდილების გამოთქმაა, ერთის სიტყვით, თითონ პოეტი აქ მხოლოდ თავის გრძნობას ხატავს, თავის გულის მოძრაობას და აღბეჭდილებას. გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელსავით ლბილია; გაათბობს თუ არა თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედა, რაც თითონ უგრძნია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი. ეს მიმართულება ისე გაუფლებულია ჩვენში, რომ არამცოთ ჩვენი სასიქადულო და სახელოვანი პოეტები, არამედ ისიც, ვინც კი უნიჭოდ მოაწყობს ხოლმე ორ რითმას, ისიც კი ამგვარ პოეზიის მიმჯევარია. ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოზისა“.

ამით ილია არ ამცირებდა ლირიკული პოეზიის მნიშვნელობას, იგი დიდად აფასებდა ლირიკოს პოეტებს: ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს, ალ. ჭავჭავაძესა და სხვებს.

როგორც ვნახეთ, ლირიკულ პოეზიაზე უფრო რთულ მოვლენად ილია ეპიურ ნაწარმოებს თვლიდა, ხოლო როგორც

წერილიდან „ახალი დრამების გამო“ ჩანს, ყველაზე ძნელია დრამატული ჟანრი მიაჩნდა... „დრამის შექმნა ყველა სხვა ვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი — თუნდ ნიჭიერიც, — ვერა პბედავს ხელი შეკმარ თოს!“.

თავისი მოსაზრებანი აქვს ილიას გამოთქმული ლიტერატურული ტიპის შესახებაც. ილიას აზრია, მწერალი იმდენად დიღია, რამდენადაც სრულყოფილ ტიპებს მოგვცემს, გას ცილდება ეთნოგრაფიულ ჩარჩოებს და შექმნის მსოფლიო ტიპს. მაგრამ, იგულისხმება, ეს უნდა ხდებოდეს ეთნიურ სინამდვილეზე დაყრდნობით და არა მისი უგულვებელყოფით.

„მსოფლიო გენიოსნი მწერალი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ, რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ვერანიანს“.

პორტრეტის შექმნა, ამბობს ილია, უფრო აღვილია. ილია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ტიპი იქმნება, პორტრეტი კი გადაიხატება. ტიპის შექმნისათვის პორტრეტისტი დიდი ნიჭია საჭირო და კიდევ განსაკუთრებული ნიჭი განზოგადებისა. ტიპის შტრიხებში უნდა მოჩანდეს პორტრეტის დამახასიათებელი ნიშნები, ტიპი მთლიან წარმოდგენას უნდა უქმნიდეს მკითხველს. „პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოჩინებული ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადი კაცის, ტიპის შემომქმედია“. 1

ილია სხვა ადგილსაც აყენებს ნიჭის საკითხს. პოეტისათვის და მით უმეტეს, დიდი პოეტისათვის, განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. მაგრამ ილიას ნიჭი განყენებულად, სქოლასტიკურად არ ესმის, როგორც ლეთით ბოძებული სამარადისო რამ. თანდაყოლილ ნიჭს აღზრდა, განვითარება, პატრონობა უნდა. თუ შესაფერი პირობები არ ექნა, ადამიანის ნიჭი დაშეკნება. განათლება, სწავლა, ვარჯიში ზრდის ნიჭს, აფართოვებს. ნიჭი „ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება“.

1 ილია ჭავჭავაძე — „აკავი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“.

თავის სურნელებას ჰყარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ აღია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელით კიდევ დღე მუდამ არ ჰფურჩებინის“.<sup>1</sup>

კიდევ მრავალი საინტერესო თეორიული მოსაზრება აქვს ილიას გამოთქმული ლიტერატურის საკითხებზე და კერძოდ, ქართული ლიტერატურის საკითხებზე. მაგ., ქართული რითმის შესახებ. რომ მარტო რითმა ვერ შექმნის პოეზიას და რომ შესაძლებელია ქართული ლექსი ურითმოდაც. „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება?“ — კითხულობდა ილია ჭავჭავაძე 1860 წელს<sup>2</sup> და ნიმუშად ურითმო პოეზიია გრ. ორბელიანის ლექსები მოჰყავდა. ამით ქართულ ლიტერატურაში ე. წ. თეთრი ლექსის კანონიზაციას ახდენდა. მაგრამ, ილიას ყველა თეორიული მოსაზრების განხილვას ვერ გავყვებით.

როგორ გამოიყენა ილიამ ეს თეორიული მოსაზრებანი ქართულ ლიტერატურის განხილვის დროს? როგორია ილიას შეხედულება კონკრეტულ ლიტერატურული ფაქტებისადმი?

## 2

ილიას სახელი ქართველმა მკითხველმა საზოგადოებაში პირველად 1857 წელს გაიგონა, როდესაც უურნალ „ცისკარის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ლექსი „ჩატი“. ამის შემდეგ ილიას არ შეუწყვეტია „ცისკარში“ თანამშრომლობა. ბეჭდავდა უმთავრესად ნათარგმნ ლექსებს.

დიდი სახელი მოუპოვა ილიას 1861 წლის „ცისკარში“ დაბეჭდილმა კრიტიკულ-პუბლიცისტურმა წერილმა: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან, „შეშლილის“ თარგმანზედა“. ამ წერილით გაითქვა სახელი ილიამ. მან თავისი სიღიღე პირველად საყოველთაოდ, საქვეყნოდ კრიტიკული წერილით გამოამჟღავნა. მის წერილს მოჰყვა საპასუხო წერილები ბარბარე ჯორჯაძისა, გიორგი ბარათაშვილისა, ექვთიმე წერეთლისა, სარგიონ ალექსი-მესხი-

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე — „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე — „ორიოდე სიტყვა...“

შვილისა. ილიას მოსარჩევნიც გამოუჩნდნენ თეოდალეულთა შახით. გაჩაღდა პოლემიკა. ეს მომენტი ქართული კრიტიკის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანია, ნაყოფიერი, და საინტერესო. ილიას წერილი პირველი ნიმუშია ახალ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ნაწარმოების საფუძვლიანად განხილვისა. ამდენად ილია ქართული ლიტერატურული კრიტიკის საფუძვლიან დამწყებად გვევლინება. მართალია ილიას წერილამდე „ცისკარში“ იყო დაბეჭდილი „რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კამეჯიაზედ“ აღ. ორბელიანისა, ბიბლიოგრაფია დ. ჩუბინიშვილის წიგნზე, „კრიტიკა ანუკა ბატონიშვილისა“ ნინა ერისთავისა და სხვანი, მაგრამ ისინი მეტად ელემენტარული, მარტივნი არიან. ილიამ დაპგმო უურნალი „ცისკარი“, რადგან მას დაუკარგავს დროის ალლოს აღების უნარი, ჩამორჩენია ცხოვრებას და უკან მისჩანჩალებს მას. ილიამ, პროგრესისტმა, მყობალისათვის მებრძოლმა, ვერ აიტანა და ვერ მოითმინა „ცისკარის“ კონსერვატიზმი და არქაიზმი. ცხადია, ის ვინც ლიტერატურას ხალხის ინტერესთა სამსახურს ავალებდა, ვერ შეეგუებოდა მეტყველების ისეთს ნიმუშს. როგორსაც წარმოადგენდა „იმერთ თავადის“ ირაკლი ლორთქიფანიძის ენა.

„ნუ ვინ, ნუ ვინ იყადრებენ ღარიბად სახელის დებასა ივერთა ენათასა, არამედ აქებდინცა სიმდიდრესა, რომელი ჰსჩანს აწცა და აწცათუ“.

„მე მინდა ვჰქონება, რომელ ცისკარი აღმოახდა ვჰქონებ, მისთვის, რათამცა ენა ივერთა არა თუ ოდენ კიდე უკუ იგოს თვისსავე წესსა, არამედ უმეტესცა წარმართოს იგი“.

ასე წერდა ირაკლი ლორთქიფანიძე 1857 წელს. იგი იცავდა იმავე „ცისკარში“ გამოთქმულ არქასისტულ მოსაზრებას, რომ „დადებულ არიან აურევე სჯულნი ბუნებით მომზადებული სიტყვათათვის და არა სჯულთა ვერცა გამოცვლა და ვერცა დაწმახვნა ვისმე ძალუს“.<sup>1</sup>

1. ირაკლი ლორთქიფანიძე — „ჰსჩა,“ ცისკარი, 1857 წ., № 7.

ილია ჭავჭავაძე კი დიალექტუროსია და დოგმატიკური მსჯელობა მას არ აქმაყოფილებს. ენა არ შეიძლება მულტივარიული ერთნაირი იყოს, ისიც ვითარდება როგორც აზამიანთ კულტურული არება. „ახალი ენა ძველ ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა“, — უპასუხებს ილია თავის მოპირდაპირეს.

ილია დაუპირისპირდა ძველ წიგნურ ლიტერატურულ ენას, ანტონ კათალიკოსის სქოლისტიკას და კარამზინის სენტრიმენტალიზმს. ეს უარყოფა მხოლოდ იქნებ ილია ნიკილისტად, უარმყოფელად მოეჩვენოს ვისმეს? პირიქით, ილია ყოველთვის ებრძოდა ნიკილიზმს და მის გამოვხატველს ქართულ ლიტერატურაში ანტონ ფურცელაძეს. აკრიტიკებზა ანტონ ფურცელაძეს ილია და მისი ნიკილიზმის სათავეებისკენაც მიუთითებდა. კრიტიკულ-პოლემიკურ წერილში „სხარტულა“, რომელსაც დიალოგის ფორმა აქვს მიცემული, ილია ანტონ ფურცელაძეს ათქმევინებს: „ეხლანჯელ რუსულ წიგნებში კი სულ მაგრე ამბობენ: „ავტორიტეტები აღარ უნდა იყვნენო“. აქ პისარევისკენ მითითება იყო, როგორც ავტორიტეტების უარმყოფ ავტორიტეტზე.

ილიამვე სასტიკად გააკრიტიკა ანტ. ფურცელაძის ვულგარული აზრი, მიმართული ნ. ბარათაშვილის ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზე“-ს საწინააღმდეგოდ გამოთქმული.

მაშ ვინ იყვნენ ავტორიტეტები ილიასთვის პოეზიაში და საერთოდ, როგორი იყო ილიას შეხეღულებანი ლიტერატურულ ფაქტებისაღმი? პირველი პოეტი, რომლის სახელიც დროშად აქცია ილიამ და შემდეგ მისმა ამხანაგებმა — თერგდალეულებმა, იყო შოთა რუსთაველი. თავის წერილში რევაზ ერისთავის საწინააღმდეგოდ, ილიამ მოიხსენია „ჩვენი სასისადულო რუსთაველი“, ხოლო მეორე წერილში — „პასუხი“, შოთა რუსთაველს „უკვდავი“ უწოდა. ეპიგრაფად გამოიყენა ილიამ სტრიქონები „ვეფხისტყაოსნისა“, „აჩრდილისა“ და „ძაჭვ ყაჩალისათვის“. უამრავი ადგილი აქვს ილიას „ვეფხისტყაოსნიდან“, „გლახის ნაამბობში“, რაც ილიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიან ცოდნას აღასტურებს. თავისი დიდი ცოდნა და გაგების უნარი ილიამ დაამტკიცა „ვეფხის-

ტყაოსნის“ ტექსტის დამდგენელ კომისიაში მუშაობისას აქ იღიას თითოეული ბოსაზოება სრულიად მეცნიერული და რებულებისაა. იღიას კრიტიკული აზროვნების უნარი „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა გაგება ყველაზე უკეთ გამომეტავს და წერილში — „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსნის“ (1887 წელს). იღიამ წერილის დასაწყისში განაცხადა, როგორ „ეგ დიდებული პოემა, შექმნილია ჩვენის ერის დიდებულობის ღროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზე დაწერა ლია“. ამით დაადასტურა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ქროველობა და პოემის ორიგინალობა. შემდეგ იღიამ საფუძვლიანად გააკრიტიკა აკაკი წერეთლის აზრი, რომელიც ცვალობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ეთნოგრაფიულ ჩარჩოებში ჩასმას. „ძნელია იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი როგორც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფიის საჩხირ-კედელო საქმეზე და ჩამოახდინოს. ეს მეტისმეტი დაქვემთება პეგაზე და მჯდომ ცხენოსნისა“.

„ვეფხისტყაოსნის“ დიდი ღირებულება სწორედ იმაშია, სამართლიანად წერს იღია, — რომ მისი გმირები „ყველაზე უწინარეს ადამიანები არიან“. და, ვაშასადამე ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილი და აგებული იღიას კრიტიკული აზროვნების უნარი უმაღლეს წერტილ აღწევს, როდესაც აკაკი წერეთელს უმტკიცებს, რომ მიზეზი ტარიელის მოღუნებისა და უმოქმედობისა მისი ქართლელობა კი არ არის, არამედ სიყვარულის წაღილი, გრძნობა, რომელსაც გონება და ნებისყოფა დაუპყრია და მოუღუნებია.

ქველი ქართული პოეზიის განვითარების შესახებ იღიას სპეციალური წერილი არა აქვს; მაგრამ „ცისკრის“ შესახებ დაწერილ მეორე კონსპექტში (ნაშვერტში) ვკითხულობთ: „იდეა ქველის პოეზიისა და ფორმა გამოთქმისა: ა) ჩივილი წუთი-სოფლის მდურვა; კაცის ამაოება, აქაური ცხოვრების ამაოება და ნუგეშით თვალ-შეჩერება ცისა, საღაც მოელიან საუკუნო განსვენებას და მართლმსაჭულებას; ბ) სიყვარულ უფრო პლატონიურია, მუხლთლობა სიყვარულისა და დაუგანვითარებისას“.

1. იხ. „ღროება“, 1881 წ., № 37 და შემდეგ.

რომლობა; თუ აქ არ შევხვდით ერთმანეთს — ცაში და-ძმანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად — დე-ვონი, წამწყმედი კაცისა; დ) ბუნება წმიდა სანთელია იმათვის სანთული ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახავენ; ბუნება თუ არა შვეცარია ნიერი, — იმათ გრძნობის მიხედვით; ის როგორც ობიექტი არ არსებობს „მათვის“, „ფორმა გამოთქმისა: ფიგურობა და ალლეგორია სპარსული ლიტერატურის გავლენისა გამო“. შეიძლებოდა ამ კონსპექტების გაშლა და ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშებით ამ მოსახრებათა დამტკიცება, მაგრამ ჩვენ იღია აზრი გვაინტერესებს და ის თუმცა ძალიან მოქლედაა ნათქვამი, მაგრამ მაინც გასაგები ხდება. ამ ძველი თაობის პოეტების თხზულებათა შორის თეიმურაზ პირველის „შამიფარგანიანს“ და „ვარდბულბულიანს“ ილია სენტიმენტალურ ნაწარმოებად თვლის, ხოლო პოეტებს, „რომელთაც მიბაძეს მარტო გარეგან ფომასა ჩვენ უკვდავის რუსთველის „ვეფხისტყაოსნისა“ და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არამარტო თავისი ფორმით, არამერა თავისი შინაგანი ლირსებით, ილია ცრუკლასიკოსებს უწოდებს.

ახალი საფეხურის დამწყებად ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც ილია ევროპეიზმს უწოდებს, თვლის დავით გურამიშვილს. შემდეგ ამ ხაზს პოეზიაში აგრძელებსო ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ხოლო ნ. ბარათაშვილი არის „ბრწყინვალე წარმომაღენელი ევროპეიზმისა“.

ნ. ბარათაშვილს ილია დადად აფასებდა, რაჯგან მან შემოქმედებაში მეტად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური პრიბლემები დააყენა და ეროვნული ჰანგიც არ დაუვიწყნია. ევროპეიზმის გზაზე შემდგარი ქართული ლიტერატურა თანდათან იწყებდა სინამდვილის აღწერას და ორიგინალური გზების გამონახვას, ასეთები იყვნენ — გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი. ამათ გარდა იყო პლეადა „ცისკრის“ მოღვაწე მწერლებისა, რომლებიც პბაძავლნენ რა ძველ ქართულსა და ირანულ პოეზიას, ქართულ სინამდვილეში აღგილს ვერ პოულობდნენ, ავთარებდნენ კლასიცისტურ ლიტერატურასა და სენტიმენტალიზმს. ამის გამო ილია წერდა მესამე ნაწყვეტში —

„ჩვენ შევნიშნეთ, რომ „ცისკრის“ ახალ მელექსეებს, ზოგიერთს გარდა, დადი კავშირი აქვსთ ძველებზედა, კავშირისტორიული განვითარებისა კი არა, მსგავსებასა“ ცხადია დიალექტიკოსი, რომელსაც სწამდა, რომ „აღმყოფში ბილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“ ვერ და აუარყოფდა კავშირს ლიტერატურის შიგნით, მაგრამ ეს კავშირი უნდა ყოფილიყო ისტორიული განვითარებისა. ახალ ლიტერატურული ფაქტი უნდა დაფუძნებული ყოფილიკ ძველზე, მაგრამ ევი განმეორება არ უნდა ყოფილიყო, რადგან ცხოვრება წინ მიღის, იცვლება, ძველი ენა და ძველ პოეზია ძველი ცხოვრების გამომხატველია და ახალმა პოეზიამ თუ ძველი გაიმეორა, ახალი, არსებული მდგომარეობა მხედველობიდან გამორჩება. მწერლობის დანიშნულება კცხოვრების ასახვაა.

ამიტომ გააჩალა ბრძოლა ილამ დროს ჩამორჩენილ „ცისკრის“ წინააღმდეგ. მონარქიზმს — რომელსაც იცავდა „ცისკრის“ თანამშრომელთა ნაწილი, ილამ და თერგდალეულებმა პატრიოტიზმი დაუპირისპირეს. ფეოდალურ იდეოლოგიას — დემოკრატიზმი, სენტიმენტალიზმს — რეალიზმი, დოგმატიზმს — დიალექტიკა.

„სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“. 1

„ვინა ვართ და რანი ვართო“, — ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეგარა ჩვენი მწერლობა“. 1

მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ „მესამოციანნი“. ქართული ლიტერატურა მანამდე უმთავრესად თავადაზნაურულ ტიპაჟს ქმნიდა. „სამოციან წლებმა ამ ვიწროვ შემოღობილ სარბიელს პოეზიისას თავისი ტალღა გაჰქრეს და შემოამტვრიეს ღობები. ამ ხანებში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის აჯამიანური გული-თქმა<sup>2</sup>.

თერგდალეულების შემდეგ ჭველაზე საყურადღებო მოვ-

1. ილამ ჭავჭავაძე — „წერილები ქართულ ლიტერატურაზედ“.  
2. იქვე.

ლენა ქართულ ლიტერატურაში ილიასთვის იყო ვაჟა-ფშავე-  
ლას გამოჩენა ლიტერატურულ პორიზონტზე.

ჯერ კიდევ 1892 წელს ილიამ იმედი გამოთქვა, რომ ვაჟა-ფშავე-  
ლა „დიდსაიმედო პოეტი“, შესაძლებელი იყო ნ. ბარათაშვილის მემკვიდრე ქცეულიყო.

ტალანტების შეცნობის ალლო ილიას არასოდეს ლალა-  
ტობდა. მან ისე, როგორც არავინ თანამედროვეთაგან, გაიგო  
და დააფასა შოთა რუსთველი, დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშ-  
ვილი, ვაჟა-ფშაველა.

ილიამ სათანადოდ დააფასა გრიგოლ ორბელიანის, ალ-  
ჭავჭავაძის, ვახტანგ ორბელიანის, სულხან-საბა ორბელიანის  
და „ვისრამიანის“ ავტორის შემოქმედება.

მაგრამ მარტო ქართველ პოეტებს არ ხედავდა ილიას შორს-  
შვერეტელი თვალი.

იგი იცნობდა და აფასებდა შექსპირს, ბაირონს, გოეთეს,  
პუშკინს, ლერმონტოვს და მრავალ სხვას და დაჯერებული  
რუსთველის გენიოსობაში, ხშირად უდარებდა მას მსოფლიო  
ლიტერატურის კორიფეებს.

## ვაჟა-ფშაველა

ვაჟას დედას გულქანს, ფშავში განთქმულ მოლექსე ფხიკლანთ პარასკევას ნათესავს, ქალწულობაში სიზმრის მსგავსი ჩვენება ეხილა: — „შუა ღამე იქნებოდა, დგანდგარი, მირდგნიალი დადგა ისეთი, მეგონა მთა-ბარი თუ იქცევაო. შაშინებული წამოვგე ლოგინში, გავხედე და მთელი ცა განათებული იყო. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული, ერთი ჭიაურის გორიდან, მეორე სხლოვანის გორითა, გადაბმულები, ზედ ცეცხლის ბალღები აღიოჩნენ და ჩამოდიოდნენ სა ისეთ მწევპრ (წმინდა) ხმაზე გალობდენ, ისე ტკბილად, ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო“. (ვაჟას დედის გაღმოცემა).

უამი გამოხდა. გულქანი რაზიკაანთ ერძლო და სინამდვილემ გადაჭარბა მისტიურ ხილვას. სამმა ძმამ დაიმლერა ერთი კერიდან. უფროსი ლუკა იყო — ვაჟა-ფშაველა, გენიალური შემომქმედი, მაგრამ თავმდაბალი ვაჟკაცი, რომელიც მუხლს იყრიდა გურამიშვილის ლანდის წინაშე და რუსთაველსაც ვეღდრებას უთვლიდა.

ემუდარებოდა გურამიშვილს პოეტი, რომელსაც შემოქმედის ბრწყინვალე გზა განვლილი ჰქონდა, თუმც სხვისი ნიჭის შეგნება არ უშლადა საკუთარიც ღირსეულად შეეფასებინა:

უსულო საგნებს სული ჩაებერჭ  
ავასაუბრე ლოდები კლდისა  
და, როგორც მეფე გავათამამე  
მწირი ბალახი, ის ქუჩა მთისა.  
მადლი მფენია მარჯვენაზედა  
იმ შემომქმედის მაღალი ღვთისა.

აქ აღსანიშნავია მოკრძალებაში მიმალული სიძლიერე. დაფასება თავისი და სხვისი გაგებაც. ხოლო თუ გინ იყო ვაჟას

„უფალი“, საიდან მოვიღა პოეტი, რა სურდა, როგორ სთქვა  
და ვინ იყვნენ მისი ლიტერატურული ნათესავნი და „მეზობ-  
ლები“ — ამ წერილის თემას შეადგინა.

ჩვენი მიზანი ვაუა-ფშაველას მღიღარი ლიტერატურული მეცნიერების  
განვიდრეობის განხილვაა, მაგრამ ცხადია, ამჟამად, ანალიზის  
საგნად ვერ გავხდით მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ  
ყოველ საკითხს. ჩვენ გვსურს: ვაუა-ფშაველას შემოქმედების  
იდეური და მხატვრული სპეციფიკის გამორკვევა ქართული  
ლიტერატურის ასპექტში.

\* \* \*

1861 წელი რუსეთში ბატონიშვილის გაუქმებისა და ჩარგა-  
ლში ვაუას დაბადების თარიღია. 1861 წლის რეფორმას ბურ-  
ეუაზიული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მას ფეოდალიზმის ბჟევები  
მოლიანად არ დაუნგრევია. გლეხობა კვლავ აუტანელ მდგო-  
მარეობაში რჩებოდა. ამ მომენტიდან რუსეთში, პოლიტიკურ  
და ლიტერატურულ ასპარეზზე მასიურად გამოიდის რაზნოჩი-  
ნეცი — გლეხობის იდეოლოგი. იგი იბრძვის რეფორმის უსა-  
მართლო შედეგების წინააღმდეგ, მონარქიისა და ბიუროკრა-  
ტიის შესამუსრავად.

საქართველოში ბატონიშვილის გადავით კიდევ ძალაში იყო,  
ბრძოლაც მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა. ახალთაობას იღია  
ჰევჭავაძე სარდლობდა. მაგრამ საქართველოში, როგორც დაპ-  
ყრობილ ქვეყანაში, მოვლენებმა თავისებური ხასიათი მიი-  
ღო. ეკონომიკურ ინტერესთა გვერდით ეროვნული საკითხიც  
დაუყენა ცხოვრებამ და გადაჭრა მოითხოვა. არც ეს გარემოება  
გამოჰქმდარვიათ ჩვენ „მესამოციანებს“ და თავისი ნიჭი ბატონ-  
იშვილის წინააღმდეგ ბრძოლასა და ეროვნული თავისუფლები-  
სათვის ბრძოლას შეალიეს.

ნატურალური მეურნეობის ნგრევა საქართველოში შეტად  
დაუნდობელ ფორმებში მიმდინარეობდა. ძველი ცხოვრების  
რღვევით გამოწვეული ტკივილები თუ საგნობრივი იყო იმ  
ძუთხეებში, სადაც აჯრე ბატონიშვილის სუფევდა, ფსიქოლოგი-  
ურად აუტანელი ხდებოდა მთიელებისათვის. ბარში წინადაც  
„სულის მეტი ყველაფერი ბატონს ეკუთვნოდა“ (მეფე ვახტა-  
ნგის კანონი), მთაში კი:

? 6. ტატიშვილი

თუშთ არ იციან, ვითარცა, ვინ არის მონა, ბატონი,  
თითონ არიან თავისა ბრძანებელი და ბატონი (ხალხური).

ბარში ჩაგრის ერთი სისტემა მეორეთი იცვლებოდა, თავი  
დის ადგილს ბურუუა იჭერდა. მთაში—ჩაგრა შემოდიოდა. გვა  
როვნულ პრინციპზე აგებული თემი ირღვეოდა. საგრძნობ  
ხდებოდა ქონებრივი, უფლებრივი და საზოგადოებრივი სხვა  
დასხვაობა. ეს გარემოება მაშინდელ ხალხურ ლექსებში მკვე-  
თრადაა ასახული და ჩვენც ამ ლექსებით შეგვიძლიან არსებუ-  
ლი მდგომარეობის გათვალისწინება. თემმა თავის წრილან ქეჯ-  
ხეები — მდიდრები, ღარიბები, მოჯამაგირეები და ჩინოვნიერ-  
ბი წარმოშვა.

სხვაფრივ კი არა მიჭირს რა, ბიძა შამბრალდა, მგელაო,  
მაგის შეილ ჩინონიკია, ჩვენ გლეხები ვართ ყველაო,  
ეგ დილით დასდგინს ჩაისა, „შენ ცხვარში წადი, მგელაო“,  
დაუკიდებავ საათი, საყელო დაიშვენაო,  
ვერ ააშენებს საქონსა მაგის საათში ცქერაო,  
მაგის საათი შამირცხვა, მაგის ქალალდის წერაო.

ასე დასცინის თავისი წრილან წარმოშობილ „ჩინოვნიერ-  
ფშაველი: იგი ირონიით ეპყრობა არა მარტო მას, არამედ სა-  
ათსა და წერა-კითხვასაც, რომელიც აგრეთვე ახალი დროი  
ნაყოფია. წინად თუ საქები ხმალი იყო ფხიანი და დასაცანი  
ლაჩრობა, დღეს ქონების მოხვეჭა იქცა იდეალად.

ორი ფშაველი მოლექსე, ჰეტრე და უტური, ერთმანეთის  
სიღარიბეს დასცინიან. ჰეტრე ლექსობს ვითომ:

უტურმა სახლი ააგო ცილა-მპალაის მუხისა,  
კარებზე მიღებ-მოდგება ყელ-მაღალაის წულითა.  
წელთა პრტყავ ოქროს ქამარი, უხდება კიდეც უღირსა.  
მამუა ცხვარში გაგზავნა, ოსმალში გადაუდისა.  
ჰედილაც აიქ გაყიდა, მატყლსაც აქავ უთვლისა,  
ფული ვერაში ჩიყარა, დაღონება აქვს ჭურჭლისა.

ჰეტრეს უტური უპასუხებს:

მა ნაგზირულის ჰეტრემა სამ ბირად დაღვა ბინაო.  
ჩარგალს ააგო სასახლე, გადუსვა კალა-რკინაო,  
ხუთი ათასი ცხვარი ჰყავ, შვიდი წყემსი ჰყავ შინაო.  
ათ თუმნად ქობებ იყიდა, შინ დადგა კაი ბინაო,  
რაც ფშავში ქვეხებია (მდიდრები) ერთი ვერ უვლის წინაო.  
შუშანათ პაპა ჩიოდა — სუ მაგან შეგვარცხვინაო,  
ქალაქის მემატყლები სუ მაგან დაიპირაო.

(ეს ლექსები ჩაწერილია ფშავში, ვაჟა-ფშაველას მიერ).

როგორც აქედან ჩანს, ფშავები ქევხეები გაჩენილან, რომ-  
ლებსაც მოჯამაგირეები ჰყავთ, ცხვარი ოსმალეთში გადაუდით  
საძოვრებზე, ქალაქში მატყლს ჰყიდიან, არყის გამოსახდელათ  
ქვაბებს ყიდულობენ.

მდიდართა გვერდით ღარიბი მოსახლეობაც გაჩნდა. ერთ-  
ერთ ფშაველ ღვთისოს „ბატარ ქალის გაზრდილა“, რომე-  
ლიც „ასე ამოჰყრის ლექსებსა, რო თებერვალში ღანძილი“,  
ფოშტის ფულისთვის „ხან ნაცვალ დასდევს, ხან გზირი“, „რა  
უყოთ, ღვთისო გენაცვლოსთ, საშოვნ არ არის აღვილი, იჭრე-  
ბა პეტერბურლშია“... მეორეც, ფოთოლათ მერცხალა, ვაჟას  
თანამედროვე ფშაველი მათქვამი, ხშირად ლექსობდა სილა-  
რიბისა და ბეგრის გამო... გაჩნდნენ აფშინას ტიპის მძარცვე-  
ლები და ქალამაც, წინად რომ სიმღერებში აქებდა და ცამდე  
აჟყავდა ფშაველს, ქურდობა დაიწყო.

„როდის დაგპარე მართასა ნემსის კუდები, თიკვები?“ იმა-  
რთლებს თავს ათიათასჯერ ნაქები ქალა, იქნებ შვიდ-ნაწნავია-  
ნიც?!“

მარტო ქევხეები, მოჯამაგირეები, „ჩინონიკები“ არ იყვნენ  
მთისათვის ახალი ხილი. მთა გაეცნო „რუსთ ხენწიფის“ კა-  
ცებს: „სუდიას“, მამასახლისს, ნაცვალს, „პრისტავს“. ეს გაც-  
ნობა საბედისწერო გამოდგა. ვაჭრები მოეჯვნენ ფშავ-ხევსუ-  
რეთს. სწოვდნენ სისხლსა და მიჰქონდათ ოფლით მონაგარი.

80-იან წლებში, როდესაც ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედვე-  
ლობრივი დადგინება მიმდინარეობდა, საქართველოს მშრომე-  
ლთა ცხოვრებაში დიდი ამბები ხდებოდა. ეკონომიურ ჩაგვ-  
რასთან, ეროვნული ჩაგვრაც თანდათან იზრდებოდა. 1881 წ.  
შარტში ალექსანდრე მეორის მოკვლას სასტიკი რეაქცია მოჰ-  
ყა. ქართველი რევოლუციონერები — ხალხოსნები გააციმბი-  
რეს. რუსიფიკატორული პოლიტიკა გაშიშვლდა და სააშკარა-  
ოზე გამოვიდა. თუმცა შავრაზმელთა იერიშები იმპერატორის  
მუკლამდე დაიწყო. კატკოვის გაზეთს „Миаковские вед-  
ности“, რომელმაც მასხარად აიგდო ქართული ეროვნული  
დროშები, ილია ჭავჭავაძემ საკადრისი პასუხი გასცა.

ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა მწერლებმა  
წარსულს მიაპყრეს თვალი და ეროვნული სიმტკიცის მაგალი-  
ობი დაუდვეს საფუძვლად შემოქმედებას („მეფე დიმიტრი

თავდადებული“, „ოორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „ნაულა“). ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებით დაშინებულ ცენზურა გამალებით მუშაობს. სიტყვა „საქართველოს“ დაბჭიდვაც კი თითქმის აქრძალულად ითვლება:

მონარქიულ-ჯაშული პოლიტიკა იქამდე ამწვავებს მდგრ. მარეობას, რომ მოწაფე ლალიაშვილი 1886 წ. ხანჯლით ჰკლის რექტორ ჩულეცის — შავრაზმელ ბერს. სასულიერო „მამი“ — ეგზარხოსები საქვეყნოდ სწყევლიან ქართველ ერს.

ასეთ საშინელ დროს დაიწყო მოღვაწეობა ახალგაზრდა კაუა-ფშაველამ. მან განიცადა ოერგდალულებისა და მათი ბელადის — ილია ჭავჭავაძის დიდი გავლენა, მიემხრო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და თავის შემოქმედებაში ქებანი უძლვნა სამშობლოს დამცველ ვაჟკაცებს. მაგრა არც გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა დაპვიწყებია ვაჟას. მან დაგვიხატა „სოფლის სურათები“, გლეხების მტერი და მოყვარენი. მათი ჭირ-ვარამი, სიღატაკე, გაუნათლებლობა

ვაჟას უყვარს სოფელი, მაგრამ მისთვის სოფელი არაა ყოველმხრივ იჯეალური. სიბრალულსაც იწვევს სოფლელთა საბეჭავე და გონების სიჩლუხეები. მაგრამ გაუნათლებელ მთილებში კარგ თვისებათაც ხედავს. მოწაფეობის დროინდელ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვაჟა ასწერს ხევსურთა უკუდ ტურობას და იქვე დასძენს, მაგრამო „ბევრი კარგი ლირსები არის დაფარული შავს ფარდის ქვეშ“. სწორედ ამ „შავი ფარდის“ ახდა მოინდომა ვაჟამ და ბევრი „კარგი ლირსების“ წამოწევა. ახალ კაპიტალისტურ სისტემასთან დაპირისპირებაშარსული, თემური, კოლექტიური ცხოვრებისა, მიუხედავა ამისა მან თემის ადათსა და ზნეობაში მარტო დადებითი თვესებანი არ დაინახა, „შავი ფარდა“ მთლიანად არ ჩამოუხსნა და იდეალიზაცია არ მოუხდენია.

ილია ჭავჭავაძე 1872 წ. დავით ერისთავს შესჩიოდა: ჩემი ისტორიაში ხალხი არა სჩანსო. 1880 წელსაც წერდა: „ჩემი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიუენებული“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ. ტ. 4.

ვაჟას მთელი შემოქმედება პასუხია ილიას ჩივილისა, რომ „ისტორიაში ისლი ათა სჩანსო“. ვაჟამ მძლავრად შეიგრძნო წარსული და ფარდას იქთ მიმალული, ჩრდილში მიყენებული ხალხი გამოიყვანა სამოქმედოთ. ხალხი, რომელიც წარსულში იძრძოდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის და მის სახელს კი კვირგვინსანნი ჰყლაპავლნენ. 1658 წ. ბახტრიონში სელიმ-ხანის დამარცხების ინიციატივას საქართველოს ისტორია ელიზ-ბარ, შალვა ქსნის ერისთავებს და ბიძინა ჩოლოყაშვილს მია-წერდა. ვაჟამ თითქოს განგებ, „ბახტრიონში“ ეს ამბავი სხვა-გვარად ასახა. ერისთავებისა და ჩოლოყაშვილის მაგიერ ხალ-ხური გმირები: ზეზვა და ლუხუმი გამოიყვანა. „საზოგადოთ კველა ხალხის მეისტორიენი გზას უქცევენ მდაბიო ხალხის მდგომარეობას“ — წერდა ვაჟა „ივერია“-ში. ვაჟას შემოქმე-დება წარსულში ტრიალებს და ამის დახასიათებას გვაძლევს. აწყოსადმი განდგომა ახასიათებლათ ქართველ არისტოკრატ არმანტიკოსებსაც, მაგრამ ვაჟას „წარსული“ სხვა შინაარსის ცნებაა, ვიდრე გრ. ორბელიანის ან ალ. ჭავჭავაძისა. გრ. ორბე-ლიანს სურს აღადგინოს ფეოდალური საქართველო ბატონ-ყმურ იერარქიით. ვაჟას კი ძველი, თემური წყობილების დემო-კრატიული პრინციპის აღდგენა სურს და არა თემური წყობი-ლების ყოველმხრივი რესტავრაცია. ამით ვაჟა განსხვავდება იმ ხალხოსან მწერლებისაგანაც, რომლებიც თანამედროვე ბურუუაზიული ეპოქის თემური წყობილების იდეალიზაციის აზდენდნენ და მასზე დაყრდნობით კომუნიზმში გადასვლას ცდილობდნენ. ვაჟას თემი ბურუუაზიული ეპოქის თემი კი არ არის, სადაც აღვილი აქვს ქონებისა და უფლების უთანასწო-რობას, არამედ პირველყოფილი თემია. ასეთი თემის მცხოვ-რებთათვის უცნობია: „სულია“, „ლუბერნატორი“, „ნაჩალნი-კი“, ვაჭარი და, რაც მთავარია, ქონებრივი უთანასწორობა.

ვაჟა წერდა: „ახალმა დროებამ ბევრი რამ ახალი მოიტანა და სხვათა შორის მოხელეობა: „სულიები“, გმირ-ნაცვალ-მამა-სახლისები. რასაც დღევანდელი მოხელეები მრავლისგან უმ-რავლესნი აკეთებენ დიდის ვაი-ვაგლახით, აურ-ზაურით, დავი-დარაბით, მაშინ უბრალოდ კეთდებოდა: გვერდა საჩივარი ვი-

ზედმე, იქვე მეზობლებიც იყვნენ; დაუძახებდი—ორ ათ კაცს „დაჰსხამდით“ კაცებსა და საქმეს ხელად გაარჩევდნენ<sup>1</sup>.<sup>1</sup>

წინათ ფშაველები ლალნი იყვნენ. მათ ქართველი შეფეხბი კი პატივისცემით ეპყრობოდნენო. აი ერთი მაგლითი, რომელიც ვაჟას მოჰყავს: ლაშქრობის შემდეგ ერეკლემ ფშაველებს ნადიმი გაუმართა. მერიქიფედ თავისი ქალი „თეკლაბიჭი“ (აღ და ვახტანგ ორბელიანის დედა) დაუყენა. თეკლა მაშინ შეღრებული გოგო ყოფილა. ფშაველები შეთვრნენ და მეფის ასულს, რომელსაც ბოგუნს ეძახდნენ, კაფია სტყორცნეს:

ღვინოს გვირიგებს ბოგუნი,

შამეჭინჭრება მე გულიო.

თეკლამ იწყინა. ინება თავი მერიქიფობას და მამს შესჩივლა. ერეკლემ გაიცინა და სთქვა: არა უშავს რა, ფშაველებიაო! ვაჟა ამ ფაქტით ამაყობს: „ნათქვამია: დრონი მეფობენ და არ მეფენიო. აი დრო, გარემოება და კაცი. ეხლანდელი იუნკერიი კი არ იკისრებს თავის ტოლ-ამხანაგ იუნკრებს დაუყენოს თავის ქალი მერიქიფედ, განალამც თავის ქვეშევრდომ „სალლათებს“.

ვაჟასთვის ერეკლე ან თამარი, მეფე კი არაა ფეოდალური იერარქიის თავს მკდომარე, არამედ სარდალია და ეროვნულ ძლიერების სიმბოლო.

\* \* \*

ე. წ. აღორძინების ხანის სხვა მწერლებთან ერთად, ეროვნულმა მოტივმა, მძლავრად დავით გურამიშვილის შემოქმედებაშიც იჩინა თავი. ქართლის ჭირი, ქართველ ტომებს შორის ბრძოლის უარყოფა, დიდი პოეტური სითბო, ლირიზმი, წვდენა და სასოება. სამეტყველო ენის, ხალხური ზომის ლექსთაწყობისათვის საფუძვლად დადება. გლეხთა ცხოვრების გაძოხატვა—ყველა ამ და სხვა წვრილმან გარემოებათა გათვალისწინება.

<sup>1</sup> ძველი და ახალი ფშაველების პოეზია, „მოამბე“, 1896 წ., № 6.

<sup>2</sup> „ივერია“, 1902 წ., № 196.

ბის შემდეგ მეტი აზრი შეიცემა ჩვენთვის გურამიშვილისადმი  
ვაჟას მიმართვას:



შენ, ჩემო წანამორბედო,  
უძვირფასესო პაპაო.

განსაკუთრებით დიდი გავლენა ვაჟაზე ეროვნულ საკითხში  
ოერგდალებულებმა მოახდინეს.

ჩონგური საქართველოა,  
სიმები ჩვენ ვართ ყველაო  
სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი (აკავი).

ვაჟამაც ეს გაიზიარა. მისი „ნაციონალიზმი“ არაა შოვინის-  
ტური, არამედ დაჩაგრული ერის შვილის პატრიოტიობაა:

სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,  
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,  
მკვდარსაც კი გაეცინება.

ვაჟას იდეალი ეროვნული თავისუფლებაა და დემოკრა-  
ტიულ-თემური ცხოვრება, სადაც ერთმანეთისთვის თავის გან-  
წირვა იშვიათი არ არის, სადაც მშრომელი, ნამუსიანი ვაჟკაცე-  
ბი ცხოვრობენ, სადაც ეგოიზმი უცნობია და მიუღებელი.

ვაჟა უარყოფს ახალ დროს, რაღან ყველა მხოლოდ თა-  
ვისთვის ფიქრობს. ქვეყნისთვის თავს აღარავინ იმეტებს. ბა-  
ტონდება ბურეუაზიული ეგოიზმი, განკერძოება, ფულის გა-  
ფეტიშება. ამიტომ სურს თემური წყობილების პრინციპის  
დაბრუნება — „კომუნალური ცხოვრება“ (ვაჟას გამოთქმაა).

გამოიცვალა რაინდული, გოგოთურის ზნეობის ფშავი!  
სმალი, ნაქები გორდა, ფრანგული და გველისპირული დაუქმ-  
და. სოფელს ბევრი შემაწუხარი გაუჩნდა: გზირი, მამასახლი-  
სი, ჩარჩ-ვაჭრები. ამათ კი მონარქიული წყობილება უმაგ-  
რებს მხარს, არუთინა ვაჭარს უკან ხიშტი და ფარხმალია:

არუთინ, ცუდ ნიშნებს ვხედავ,  
ფრთხილად, ნუ გაგვამწვავია!  
მუდამ არ მოგეშველება  
სხვისი ფარი და ხმალია.



ეს იმ მონარქიული რუსეთის „ფარ-ხმალია“, რომელმაც  
დედაენა შეზღუდა და ქვეყნად საქართველოს სახესნებელი  
აღსპობას ლამობდა.

საჭირო იყო ეროვნული გრძნობის გამოფხიზლება. და  
ვაჟაც აქებდა „ქართველ გმირთა მხარმკლავებს“. ეზმანებოდ  
ჯაჭვ-მუზარადიანი წინაპრები, „ახათრებდა“ მამა-პაპის ძვლე  
ბი. გადიოდა აკლდამებში, რომ ამოეზიდა წინაპრები „სამკლა  
ვიანი“.

ტანზე ეკალი ამასხა  
საფულავთ წინაპართ კვნესაშა,  
ცკლდამებიდამ მწყრომარედ  
იმათმა გადმოხედვამა.

ვაჟასთვის გასაღმერთებელია ვაჟკაცი, რომელმაც „ურ-  
ჯულოს“ (მტრის) წინააღმდეგ თავი გასწირა. და იმ დიაცის რძე  
ენაცვლება, რომლის შვილიც წევს მკვდარი დარიელასთა  
„ლალის მდინარის პირზედა“, ხელში ფრანგული უჭირავს „გა-  
ტეხილი ქნევითა“. ვაჟას თითონაც სურს თავი მტერს შეაკლის  
სამშობლო არ აქელინოს „მეზობელს მეტიჩარასა“. სხვებთან  
ერთად ტანზე აბჭარს ისხამს და საბრძოლო ყიუინას სცემს. ეს  
„აღელვებულთა ბორგვნაა, ხმა არ გეგონოთ სტვირისა“.

ვაჟა-ფშაველა ცდილობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის  
მცხოვრებლების დაახლოვება-დაკავშირებას. ეროვნული თა-  
ვისუფლებისათვის ბრძოლის მაგალითები მრავლად იყო სა-  
ქართველოს წარსულში. მაგრამ სამწუხაროდ საქართველო  
წარსულმა ქართველ ტომებს შორის ბრძოლის შემთხვევებიც  
იცის. ვაჟა ისტორიულ მასალებზე მუშაობისას შეგნებულად  
იქცევა. მან ფოლკლორიდან არც ერთი ფაზულა არ აიღო, რო-  
მელიც ქართველთა ტომობრივ ბრძოლას გვაძლევდა, რის მაგა-  
ლითები მრავლად იყო წარსულში: ჯალაბაურთა და ფშაველუ-

გის მტრობა, თორილვას ამბები, თუშთა გამოლაშქრება ფშავე-  
ლებზე, თუშ-ფშავ-ხევსურთა მიეო ურთიერთ დალაშქრის ამ-  
ბებს მან გვერდი აუარა. სამაგიეროდ ურთიერთ დახმარების  
შესახებ დარჩენილი მცირე ლექსები შეკრიბა. „კალმასობა“—ც  
მოიშველა, თავისი ფანტაზია დაურთო და „ბახტრიონი“ შექ-  
მნა. საყურადღებოა, რომ ვაჟამ ტომობრივი ბრძოლის გმირები  
ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლ გმირებად გამოიყვანა  
„ბახტრიონში“.

„სუმელჯი და სანათა ეჭუთვნიან იმ შავსა და ბნელს დროს,  
როცა ფშაველები და თუშები ერთიმეორესა პლაშქრავდნენ, არ  
იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა“ (ვაჟა ფშაველა, „ჩემი  
პოემების შესახებ“, „მნათობი“, 1934, № 11-12). სანათა და  
სუმელჯი („ბახტრიონის“ გმირები) თუშების წინააღმდეგ მებ-  
რძოლი ფშაველი გმირებია. ფშავში დამარცხებული სარდალი  
თილისძე ამბობს, თუშეთში:

დაგვლივნა ხოშარის გორმა, იქ წყლის არ გაშოდენამა,  
ვიწრო-ვიწრომა ხევ-ხუვმა, მოკლედ ფშავლების დენამა,  
წაწურაულის ისარმა, სანათაისა ენამა,  
ნელად მოვიდა სუმელჯი, სუმელჯი სუროლვიანი.

სუმელჯი და სანათა მე შევურიე „ბახტრიონის“ გმირებში  
და თათრების წინააღმდეგ მებრძოლებად გაძოვიყვანეო —  
მოგვითხრობს ვაჟა.

\* \* \*

სამართლიანია მოსაზრება, რომ ვაჟასა და ა. ყაზბეგისათვის  
ილიას „მგზავრის წერილები“ გახდა ტონის მიმცემი. პირადათ  
ვაჟაზე ა. ყაზბეგმა მოახდინა დიდი გავლენა. სწორედ ვაჟის  
შემოქმედად ჩამოყალიბების დროს ქვეყნდებოდა ა. ყაზბეგის  
რომანები. უცხოელთაგან აღათის დარღვევა და თემის იდეალი-  
ზაცია ყაზბეგმა ამომწურავად მოგვცა. მაგრამ თემის აღათის  
უარყოფით მხარეთა დანახვაში ყაზბეგი ტენდენციურია. იგი  
ადათში მარტო კარგს ხედავს. თუ ყაზბეგის პოზიტიური გმი-

რები ადათის დამცველებია: ელგუჯა, იაგო, გოჩა და სხვანი, ვაუას პოზიტიურ გმირებში ადათის უარყოფით მხარეთა დამრღვევნიც არიან (აღაზა, ჭოყოლა, ალუდა ქეთელაური). ეს განსხვავებაა ყაზბეგის მიერ თემის აბსოლუტურ იდეალიზაციასა და ვაუას ნაწილობრივ იდეალიზაციას შორის. ამიტომა ყაზბეგი მწერალი, რომელსაც აკმაყოფილებს თემის ზნეობა. ვაუაცვს ადათის დადებით მხარეს, ეყრდნობა, უარყოფს დრომოშემულს და ახლის შექმნა სურს. ვაუას გმირები ვეღარ თავსდებიან თემის ვიწროდ მოზღუდულ ადათში, არღვევენ მას და უკეთესის შექმნას ლამობენ. მოქმედება ადათის დაცვიდან იწყება. დაცვის პროცესში ხდება დარღვევაც. მაგ., „ალუდა ქეთელაურში“. ამ პოემით ვაუამ ტრადიციის წინააღმდეგ გაილაშქრა. ვაუკაცი — ადამიანი მაღლა დააყენა ბრძა ადათზე, მაგრამ თემი არ უარუყვია. ალუდამ თემის სიყვარულიც შეინარჩუნა.

ჭვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,  
ნუ გადიქცევთ ცეტადა!

შეუტევს ალუდა დიაცთ, რომლებიც იწყევლებოდნენ:  
კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო.

ასეთივე ნაწარმოებია, მხოლოდ უფრო რთული კომპოზიციისა, „სტუმარ-მასპინძელი“. ჭოყოლა ალხასტაისძე ადათის დაცვიდან ბოლოს ქეთელაურივით არღვევს მას. ადათს არღვევს ჭოყოლას ცოლი აღაზაც. მან იტირა ვაუკაცი, ხევსური ზვიადაური. მოსისსელეზე მაღლა ადამიანი დააყენა. მკვდრები „წამოღვნენ“ საფლავებოდან. ცოცხლები ყალყზე შედგნენ და ტრადიციამ მთელი სიმძლავრით გამოიილაშქრა ცოლ-ქმრის წინააღმდეგ, ჭოყოლამ კი მოუწონა ცოლს უცხოს ტირილი.

ამ პოემებით ვაუა-ფშაველამ გაილაშქრა წარმართულ თემურ ზნეობაზე. მიუღებელია ვაუასათვის „წარმართის“ ან „ბარბაროსის“ სახელწოდების მიკუთვნება. ვაუამ ბევრი რამ აიღო წარმართობიდან, მაგრამ არა ყველათერი. ვაუა მომხრეა თემური ცხოვრების დემოკრატიული პრინციპისა, მაგრამ წინააღმდეგი თემურ — ბარბაროსული ზნეობისა.

ჭოყოლა, აღაზა და ალუდა აჯანყებული პიროვნებანია თა-

ვის წრის მიმართ. მაგრამ ისინი არ არიან ეგოისტები. მინდი „გველის მჭამელი“, ქეთელაური, ჯოყოლა, ალაზა უალრესად საზოგადოებრივი პიროვნებანია. მინდია სიბრძნის დაგარჯვების იმიტომ ჩივის, რომ „რითილა არგოს ქვეყანას“. ქეთელაური არ სწყვეტს თემს და ჯოყოლამ მტრების გამოლაშქრებისას მკერდი უფარა. ვაჟას გმირები თემისა და საერთოდ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის იბრძვია.

„გველის მჭამელით“, „ალუდა ქეთელაურით“, „სტუმარ გასპინძელით“ ვაჟამ ზოგად კაცობრიული პრობლემები დაუყენა.

ვაჟამ რუსთაველის მარტო პოეტიკის ტრადიციები კი არ გააკრძელა, არამედ მისი ჰუმანიზმის დად მემკვიდრედაც იქცა.

\* \* \*

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის მეტად დამახასიათებელია ფილოსოფიური პრობლემები. რუსთაველის შემდეგ, ქართველ პოეტთაგან, გურამიშვილმა სცადა ამ მხრივ მუშაობა, მაგრამ ხორციელი ადამიანი ქრისტიანულ დოგმებს დაუმორჩილა. მან ვერ გაანგრია რელიგიის ზღუდე და თავი ოფიციალური ფილოსოფიის ნორმებით შეიიზღუდა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ლირსეული მემკვიდრე ნიკო ბარათშვილია. ილია ჭავჭავაძემ „განდეგილით“ შესძლო ფილოსოფიურ სიმაღლეზე ასვლა. ნავიანევი ცდა ჰქონდა აკაკისაც (1898 წ., „გამზრდელი“).

დასახელებულთა გარდა ვაჟა-ფშაველამდე ასპარეზი ცარიელია.

„ვეფხისტყაოსნი“, ბარათაშვილის პოეზია, „განდეგილი“ და ვაჟა-ფშაველა, ასე გვესახება ქართული ფილოსოფიური პოეზიის მთავარი გზები.

ქართველ მეხოტებე პოეტებს მეფის ტახტი ჰყოფნიდათ ასპარეზად. თუ მეფის კარს გასცდებოდა მათი ფანტაზია, იმიტომვე, რომ მბრძანებლის სახისა და ძლიერების გამოსახატი ეპითეტი მოეძებნათ. ადამიანის განცდები და თვალშეუდგამა ბუნება უყურადღებოდ ჩემი რჩებოდა. თითქოს ბუნებიდან გამოთიშულ ადამიანს გალავანი, ჯებირი ერტყა. პოეტები ადამიანურ რკალში ტრიალებლნენ და მათი პოეტური ხედვა ამით

ისაზღვრებოდა. ბარათაშვილმა იგრძნო სიცოცხლე ადამიანს გარეშე, ბუნებაში. მან გაიგო, რომ მარტო ადამიანები არ ფიცხლობენ. ფრიალო კლდეზე დგას ჩინარი. მოქმედს მტკვარიდა ვითა მიჯნური ფერხთა ევლების აწვდილ ნორჩ ჩინარს.

ნიავი, მტკვარი, ჩინარი — გამოსცემენ სახიობას ტკბილსა და სანეტაროს. პოეტმა იკოდა:

რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,

და უცხველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის.

მაგრამ მას საკუთარი სული ახრჩობდა. ამიტომ თუ ვერ შესძლო აემეტყველებინა ბუნება ვაჟასავით გულდამშვიდებით.

გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და სხვა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ბუნებას საკმაო აღგილო უჭირავს. მაგრამ მათში ბუნების გაება არა ღრმა, იგი უმეტესად აღწერის ხასიათს ატარებს. მათ შემოქმედებაში აშკარა ხდება ბუნებასთან მისვლა მისგან გამოთიშული აღამიანისა და განცვითრება.

ვაჟა-ფშაველამ დასძლია უხერხსულობა. შეახო „მადლფენილი მარჯვენა“ აღამიანსა და ბუნებას შორის მოვლებულ ჯებირს. ახსნა იგი და მოშალა მიჯნა. ვაჟას ნაწერებში ვერ იგრძნობთ ბუნებასთან „მისვლას“. ვაჟა ამოზრდილა ბუნებაში ბაჩანას მუხასავით. გადაუხვევია ხელი ვეება მთებისთვის, წიფლის ხეებისთვის და ასე ღრეობს ან სწუხს მათთან ერთად.

ბუნება, მისი უმცირესი ნაწილიც კი, ვაჟას შემოქმედების სრულუფლებიანი პერსონაჟია. ზოგჯერ ცენტრალური — „მთავარი გმირი“, და არა დამატება ან ფონი. მაგალითად: ია, შვლის ნუკრი, ქუჩი, მთანი მაღალნი, ტრედები, ფესვები და სხვ.

ყაზბეგს ვაჟასავით ყოველმხრივ არ მოუცია ბუნების სურათები. სამაგიეროდ მან ყურადღება ადამიანურ ტანჯვებისაკენ, გათელილ თემისაკენ გადაიტანა. ამიტომ ყაზბეგის ყოველი სტრიქონიდან სევდის სიო ჰქრის; ვაჟას ფილოსოფიურ სოფლმხედველობის საფუძველი წარმართობა იყო. როგორც პოლო ტიქური მსოფლმხედველობის დასაყრდენი მისთვის თემურდემოკრატული წყობილებაა და პოეტური გზნების საყრდენი ფოლკლორი. მაგრამ, როგორც თემობრივი წყობილება არ აკმა-

ყოფილებს ვაჟას და მის ზნეობას ამდიდრებს ახალი, აღაშიანული გრძნობებით, როგორც ფოლკლორზე დაფუძნებით გვაძლევს ახალს და ორიგინალურს, ისევე არც ფილოსოფიაში და ყოლია წარმართობას.

წარმართობა აღაშიანის ბუნებასთან სიახლოვის გამომზატველია, მაგრამ წარმართი თვალგაუხელელ ბავშვს გვაგონებს. იგი ბრძანა და მონა ბუნებისა, რომელსაც ეშინია ბუნებისა და მისტიურ სამოსელში ხვევს.

ვაჟა-ფშაველა აღიზარდა უმთავრესად მატერიალისტურ ფილოსოფოსთა მოძღვრებაზე. ამან ხელი შეუწყო უფრო შეტად ეგრძნო ბუნების სიღიადე და პირველობა, ჩამოექსნა ცალკე არსებული სული და ბუნების სხეულში შეეტანა როგორც ელემენტი, როგორც თვისება მატერიისა და არა როგორც მისი წარმომშობელი ზეციური ძალა. ამით ვაჟამ წარმართული ანიმიზმი სპინოზასებურ პანთეიზმამდე აიყვანა. ვაჟა აღიარებს. „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“.

ღმერთი, გარეშე ძალა კი არ არის ბუნების მბრძანებელი, არამედ თვით ბუნება. იგი აწესრიგებს, იქმორჩილებს, აბეღნიერებს და აუბეღურებს ყველაფერს. აღაშიანის გარდა, ბუნებას სხვა ორგანიზმებიც მორჩილებენ. ცხოველები ბევრში ემსგავსებიან აღაშიანს. მცენარეებშიც არის სწრაფვა ერთმანეთისადმი, სქესობრივი ცხოვრება. მათაც ჰყავთ თავისებური „ქალწულები“, იციან თავისებური ტრფობა და სიძულვილი.

არაორგანულ სამყაროში, ენგელისი თქმით, სიცოცხლე, როგორც რეალობა, არ არსებობს, მაგრამ არსებობს მისი შესაძლებლობა („ბუნების დიალექტიკა“).

სალ კლდეში, მიწაში არსებობს შესაძლებლობა, რომ იქიდან სიცოცხლე განვითარდეს. ამისთვის კი პროცესია საჭირო. უნდა მოხდეს მატერიის ორგანიზება და მაღალ საფეხურზე სიცოცხლეს მივიღებთ.

ვაჟას თავისებურება იმაშია, რომ მან სიცოცხლის შესაძლებლობა არაორგანულ სამყაროში „შესაძლებლობამდე“, რეალობამდე აიყვანა, თავისებური გამოხატვა მისცა, აღაშიანს დაამსგავსა, განაკაცა.

ვაჟას არ სწამს არაორგანულ ბუნების აღაშიანივით ცხოვ-

რება, რადგან ადამიანური სული უსულო საგნებს მხოლოდ  
მან ჩაუდგა — „აასაუბრა ლოდები კლდისა“. წარმართული ან-  
თროპომორფიზმი პოეტურ ხერხად გამოიყენა, შიშაარსიჩან  
დასცალა და ორნამენტის მნიშვნელობა მიანიჭა

გულუბრყვილობა იმის ფიქრი, თითქოს ვაჟას ფშავ-ხევ-  
სურებივით დევ-ალ-ქაჯები სწამდა, თითქოს იგი სპირიტუ-  
ლისტი იყო და სხვა. ეს იქნებოდა პოეტური კატეგორიის —  
ფანტასტიკისა და მსოფლმხედველობის შორის იგივეობის  
ნიშნის დასმა.

ვაჟა სწერდა: „წინანდელს, ველურ მდგომარეობის ადა-  
მიანს ეგონა, რომ სული, მეორე „მე“ კაცისა არა კვდებოდა,  
რომ საიქიოს იგივე მოთხოვნილება სმა-ჭამისა ჰქონდა“ და:  
„როგორც ყველა გაუნათლებელი კაცი, ფშაველი არის ცრუ-  
მორწმუნე: ეშმაკებით და დევებით საგსე ჰგონია ქვეყანა“.<sup>1</sup>

ვაჟა სამყაროს ფართოდ უცქერის და არაფერი არ უკვირს.  
იგი მისთვის უნივერსალობის შემცველია და არა მარტო რომე-  
ლიმე უკიდურესობისა. არ არსებობს მარტო ტანჯვა ან სიხა-  
რული.

ვაჟა რუსთაველს ხვდება აზრის სიღრმით.

„არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოწყრებიან?“ — ესაა  
„ვეფხისტყაოსის“ ფილოსოფიისათვის მთავარი. ვარდის მოკ-  
რება — მიზნის მიღწევა შეიძლება, მაგრამ ეკალი — ტანჯვა  
სდევს თან. ტარიელი ბოლოს მიზანს მიაღწევს, კეთილი სძლევა,  
ბოროტს. მანამ, „ვარდის მოწყვეტამდე“ — კი, „ეკალი ეჩხვლი-  
ტება“ — იტანჯება. ასეა ვაჟას აზრითაც; იგი სწერდა: „ხომ  
იცით, ცხოვრება ადამიანთა ისეა მოწყობილი, რომ საცა სიტ-  
ქბოა, იქვე მწარე გამოჩნდება, ვარდი უეკლოდ არ მოიკრიბე-  
ბა. სითბოს სიცივე მოსდევს, სიცოცხლეს სიკვდილი“ („ფშა-  
ველი და მისი წუთისოფელი“). ეს რუსთაველის უბრალო გა-  
მეორება კი არ არის, არამედ ეს აზრი დევს ვაჟას მთელ შემოქ-  
მედებაში. რუსთაველს ბევრი პოეტი ჰბაძავდა, ცდილობდა  
შაირი რუსთაველური „ეთქვათ“ და საუკუნოებით მღეროდენ  
მისი ხმით, მაგრამ რუსთაველთან მათ მაინც საერთო არაფერი  
აქვთ. ვაჟა-ფშაველის არ ჰქონია მიზნად რუსთაველის მიბაძვა,  
მაგრამ მისი გენიოსობა შეხვდა...

<sup>1</sup> „ივერია“, 1889 წ., № 129.

ვაჟა ოპტიმისტია, ამ სიტყვის ღრმა გაგებით, რადგან ოპტიმიზმი არ გულისხმობს ყელმოღერებას და უდარდელ სიმღერას. ჩვენ ვიხოცებით, მაგრამ სიყვარული რჩება. იგი ძალაშია ქვეყნის მამოძრავებელი. სიყვარული უკვდავია, დაუსრულებელია ლი. ამ თემაზეა დაწერილი ვაჟას ლექსი, რომელიც სიყვარულის ღრმა ფილოსოფიურ გაგებას გვაძლევს.

ბუნება ცვლილებას განიცდის. ერთი სახეობა შეორედ იქცევა. მუდმივი საზღვარი არაა საგნებსა და სახეთა შორის. ადამიანი შესაძლებელი იყო მოვლინებოდა ქვეყანას სხვა ფორმით, ადამიანის მატერიას შესაძლებელი იყო სხვაგვარი სახე მიეღო. ამიტომ ნატრობს ვაჟა:

რამ შემქმნა ადამიანად,  
რატომ არ მოვედ წვიმადა.

ადამიანი სიკვდილის შემდეგ აღსდგება მცენარის, ხის ან ცხოველის სახით.

ბრძოლაში გაწყვეტილი გმირების ადგილას ყვავილები ამოვიდნენ (პოემა „უილბლო ილბლიანი“). ეს ყვავილები მოკლული გმირების სახეცვლილებაა. ქვეყნად არაფერი იკარგება. აბსოლუტური სიკვდილი არ არსებობს. ნამდვილად არის: მატერიის მარადიული ბრუნვა, ცვლილება, დანოჭმა და აღღენა. ასეთი რწმენითაა გამსჭვალული ვაჟა და საბრალოს ათქმევინებს უცნობ დედაკაცისათვის:

ღიდად შეჰმცდარხარ, დედილო,  
რომ რჯული გადაგიდია.

თუ მოგელავდნენ მტრები:

დღეს შენ სულს აქა ვნახავდი,  
სასხლის ტბა რომ დგას დიდია  
და თავის ნეტარებასა  
იქიდან დამითვლიდია,  
ყოილად ამოხვიდოდი  
ტურფა, ნაზი და მშვიდია.

სხეული სხვა ფორმას იღებს, მაგრამ ცვლილებას, სხვად მცევას და საკუთარი მეობის დაკარგვას სევდა მოსდევს. არა-

ვის არ სურს თავისი სახე დაჲკარგოს და გაითქვიფოს მოელში. ყველა ისწრაფის იცხოვროს ბუნებასთან თანხმობით, მაგრამ მასაც ჰქონდეს პირადობა.

ია, უღრანს ტყეში მოსული, ამბობს: „მანამ ჭატჩალი ვამ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს“. იგი ქმაყოფილია სიცოცხლით, ხარობს, მაგრამ აშინებს სახის — ინდივიდუალის დაჲკარგვა, სხვად ქცევა. ტკივილს გრძნობს. ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება; ამიტომ ეცოდება ვაჟას ია, რომელიც სხვად ქცევა და სახეს დაჲკარგავს.

ზემოთ ვნახეთ, როგორ ილაშქრებდა ვაჟა ეროვნული მეობის დაჲკარგვის წინააღმდეგ. ვაჟას პოლიტიკური მსოფლმხელველობის ძირი მის ფილოსოფიაშია. პოეტს ეცოდება ია, რომელმაც უნდა დაჲკარგოს სახე. ასევე საბრალოა ერი, რომელიც კარგავს ეროვნულ მეობას, ინთემება უფრო ძლიერი ერისაგან. ვაჟამ პოლიტიკურ იდეას ფილოსოფიური განზოგადოება მისცა და შესაძლებელი გახადა ზოგადში კონკრეტულობა დაგვენახა.

\* \* \*

„გველის მჭამელი“, ქრონოლოგიურად, ვაჟას საუკეთესო პოემებს შორის უკანასკნელია. იდეურად, ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიის კვინტესენციას წარმოადგენს. ბურუუაზიული ცივილიზაციისაგან განდგომა და ბუნებისაკენ დაბრუნება წარმოადგენს პოემის საფუძველს „გველის მჭამელი“ მრავალმხრივ საინტერესოა. ჩვენ პოემის ერთი კუთხე გვაინტერესებს.

ტანჯვის შედეგად გამეცნიერებული ხევსური მინდია ყურს უგდებს ბუნებას. ესმის მისი. ექცევა, როგორც მეგობარს. ბუნების წინააღმდეგ მტერივით ცულით არ მიღის. ამისთვის ბუნება აჯილდოებს მისნობით. მინდია ყველაფრის მცოდნეა. ბედნიერია თითონაც და მისი საქმიანობით თემიც. ხევსურნი ღრეობენ, გარს ეხვევიან მინდიას. აწვდიან კარახანით „სვიან“ ლუდია და სთხოვენ: სთქვას რამე, „ერთი ქართული გზიანი“. თვით გვირგვინოსანი თამარიც მინდიას იმედითაა. მინდიამ „იცის მტრის დასამარცხები და შემმუსვრელი ფანდია“. ყველაფერი იმის შედეგია, რომ მინდია ბუნებას ემეგობრება და

ინდობს. „მოვიდა ხესთან ცულითა“, სთქვა: „უნდა მოვჭრა ესაო“. მაგრამ მინდიას მკლავი უღუნდება. მინდია აღარ მოსჭრის მას. შესმენს ხეების ბაგით ბუნების მუდარას, მაგრამ ამით იგი არ იღუპება. ცტოვრობს ბეჭნიერად, გამარჯვებული. მისით ხევსურეთი და საქართველოც.

მინდია თუ ბუნებას დაინდობს, სამაგიეროდ, ბუნებაც ზრუნავს მინდიასათვის. ყვავილები ასწავლიან თუ რომელი მათგანი რის წამალია. ამიტომა, რომ „შუაზე გაჭრილს გაჭკურნავს მის (მინდიას) უებარი წამალი“, ბუნება მსხვერპლს გაიღებს ყვავილების სახით, უმეგობრებს მინდიას. ხელ-ნამჭლიან მინდიას თავთავნი ეხვეწებიან: „არა, მე მომჭერ, მინდიავ, ნუ მტოვებ, შენი კვნესამე!“ ყანას ურჩევნია მეგობარი ადამიანის სარჩოდ იქცეს, ვიდრე მტრის მსხვერპლად! მინდია შრომობს: მკის, მკურნალობს, სარდლობს სამშობლოს ჯარს და გალადებულია. ან რა აქვს სანალვლო. ხევსურთა ბეჭნიერება მინდიას საქმეა. მინდიას მისნობა ბუნებასთან მეგობრობის შეღეგია. მინდია სხვებსაც ურჩევს მისებრ მოქცევას მაგრამ თეძი ვერ გაჰყვება მინდიას გზას, თემი გონებით მოქმედობს. სარგებლობის პრინციპი მთავარია მისთვის. ხევსურთაც სურთ მინდიას მიპარონ, მაგრამ გრძნობა გონების დაუმორჩილებია.

დაცოლშვილებულ მინდიას ცოლი — მზია გულ უწუხებს „სიცივე ბალდებს მილექსო“. სხვები ცეცხლს ანთებენ, ჯიხვის ხორცი აქვთ. ბალდები ცოდონია!

მინდიამ უღალატა თავის რწმენას. გაღაუდგა გრძნობას და ოემს გაჰყვა. აიღო ცული, მოსჭრა ჭანდარი, თუმც იგი ბევრს ემუდარა: „რას სჩადი მაგას, მინდიავ, ვითომ არ იყავ შტურია?“.

დაივიწყა დრო, როდესაც იბრალებდა და ცულს ძირს დაუშვებდა ხოლმე ხის კვნესა-მუდარისას, როდესაც მინდია ხისა და ბუნების მტერი არ იყო. მინდია თემისებრ დაშორდა ბუნებას. არ იღო ყურს ჭანდარის გაფრთხილება: „რად სჩადი მაგას, მინდიავ“. ბუნების მტრად გადაქცეულმა დაჰკარგა სიბრძნე. ბუნებამ შური იძია!

ყვავილნი წინათ თუ ეტიტინებოდნენ: „მოგვწყვიტეო“, ახლა ხმას აღარ სცემენ, იმისათვის, რომ ისინი საერთო დედის — ბუნების შვილები არიან. ბუნების წინააღმდეგ ამხედრდა მინ-

დია და ყვავილნიც განუდგნენ. აღარ მეგობრობენ. თავს აღარ  
სწირავენ. წინად თუ ვეღარავინ ბედავდა „რჩოლასა“, ესლა  
ქისტებმა დაინებიეს ხევსურნი. სიბრძნე დაკარგულ, „შცხება“  
წართმეულ მინდიას ჩვეულებრივი ადამიანის ოდეაიც აღარ  
შეუძლია. „დღემდე ჩვენ ვთელეთ ეგენი, ახლა ეგენი დადი-  
ან“—ეუბნებიან მინდიას ხევსურნი ქისტების გამარჯვების შევ-  
დეგ... ვაჟა-ფშაველა ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ ვიდრე  
მინდია ბუნებას მეგობრობდა — ხევსურნი „სთელავდნენ“ ქის-  
ტებს. მიზანს აღწევდნენ. როცა მინდია ბუნებას გადაუდგა,  
ქისტები „სთელავენ“ ხევსურთ — ხევსურები მიზანს ვეღარ  
აღწევენ.

პროფესორი სერგი დანელია („ვაჟა-ფშაველა და ქართვე-  
ლი ერი“) წერს: „მინდიას ტრაგედიის ნამდვილი საფუძველია  
მისი ადამიანური არსება. ყოვლის მცოდნეობას ადამიანის არ-  
სება ვერ იტევს, ყოვლის მცოდნეობა სცილდება ადამიანის  
საზღვარს, — აი აზრი „გველის მჭამელისა“. ტრაგელიაც იწყე-  
ბა იმ მომენტიდან, როდესაც მინდიას ბუნებაში შედის ახალი  
ფერმენტი — სიბრძნე ან გველური ელემენტი. მინდიას რომ  
სიბრძნე არ განშორებოდა, ის მაინც მოკვდებოდა შიმშილისა-  
გან, და, სიმართლე რომ ითქვას, ასეთი სიკვდილი უფრო შე-  
საფერისია პოემის დედა-აზრისათვის, ვიღრე სიკვდილი მინ-  
დიასი ხევსურთა ომში“. „მინდიას სიკვდილი იწყება იმ მო-  
მენტიდან, როდესაც მან გველი შეჭამა. და ამით გაარღვია ბუ-  
ნების დაღებული ზღვარი. გველი ადამიანს არ ეჭმება; ეს არას  
ბუნების კანონი“. ამიტომ, განაგრძობს ავტორი: „ბუნებას  
თვალსაზრისით, რომელზედაც იღგნენ მოხევეები და თვით უ-  
ტორი პოემისა, მინდიას სიბრძნე ცრუ სიბრძნეა“. „ვაჟასთვის,  
მინდიას მორალი იყო ყალბი მორალი, ცრუ ადამიანის მო-  
რალი“.

პროფ. ს. დანელია ცდება იმაში, თითქოს ვაჟას ბერძნული  
ლეგენდა გადაეკეთებინოს და მოქმედება „საყვარელ ხევსუ-  
რეთში“ გადაეტანოს, რადგან გველის ჭამით მისნად განდომა,  
მოხეტიალე სიუჟეტთა ჯგუფს ეკუთვნის. ვაჟას ლეგენდა ხევ-  
სურული წარმოშობისაა.

ამ შემთხვევაში ჩვენ ავტორის, ვაჟა-ფშაველას დამკიდე-

ბულება გვაინტერესებს როგორიც თემთან, ისე მინდიასთან, რის გარკვევა პოემის ტეხდესციის ახსნასაც მოგვცემს.

მართალია მინდიამ უარპყო ბუნების მტრობა, მაგრამ შრომის გის პრინციპი არ უარუცვია. „გველის მჭამელის“ ავტორს შესაძლებლად მიაჩნია ბუნებასთან მეგობრობა ისე, რომ ადამიანი შიმშილით არ მოკვდეს. შემთხვევითი არ არის თავთავების ხეწენა, რომლებიც მინდიას გამოკვებას ცდილობდნენ. მაში რადღა მოკვდებოდა მინდია შიმშილით? „მინდიას ტრაგედია იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ის ქაჯურ სიბრძნეს იძენს“— ასე ჰავა მინდიას ს. დანელია. მაგრამ ავტორის, ვაჟა-ფშაველას აზრით გველის ჭამილან ბედნიერება იწყება, რადგან ამან საშუალება მისცა მინდიას ბუნებას დაახლოვებოდა. ვიდრე მინდია ბრძენია (მისანია) ბედნიერია თემიც. მინდია კი ბრძენია, ვიდრე ისმენს დედა-ბუნების გულის ცემას. მაგრამ როცა ბუნების წინააღმდეგ ცულით გაილაშქრა, დაპკარგა სიბრძნე. აქა ტრაგედიის დასაწყისი და არა მინდიას გაბრძენებაში. ბუნებასთან მოსაუბრე მინდია სვე-ბედნიერია, „შესაღარებია მზესთან“, ხევსურებიც ლრეობენ და მტერი დაშონებული ჰყავთ. მიზანი მიღწეულია. „ნეტავი იმას, ვისაც კი მაღლაერი ჰყავს ქვეყანა“. მაგრამ მინდიამ დაარღვია ბუნებასთან მეგობრობა, „დაპკარგა ცნება“. სწორედ აქა ვაჟას აზრით ტრაგედიის დასაწყისი. იგი მინდიას გაბრუებისთანავე იწყება და არა გამეცნიერებისთანავე. თემი, ვაჟას აზრით, ბრიყვია, რომელსაც დედა-ბუნების ენა აღარ ესმის. გაბრაზებული მინდია ცოლს უსაჟვედურებს:

ცხოვრების მაგალითადა

ბრიყვები დამისახოდი.

და: „გეწადა კაი ცხოვრება, მოწამლულ ქადას აცხობდი“—ო. ვაჟას აზრით თემი ბრიყვია, რომელსაც „კაი ცხოვრება“ სურს, მაგრამ რომელიც მოწამლულ ქადას — უბედურ მომავალს „აცხობს“. ცხადია, ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, ვისია „ცრუ სიბრძნე“ — „მზესთან შესაღარებელ“ მინდიასი თუ „ბრიყვ“ თემისა.

მაგრამ ყველაზე უფრო პოემის გაგებას ხელს უწყობს

ეპიგრაფი, რომელიც „გველის მჭამელის“ ერთ-ერთ ვარიანტს აქვს. მოვიყვანოთ მთლიანად.

ვარიანტი  
პირდაცვის

გაჭირდა ფრიად ცხოვრება,  
სულთქვამს და ოხრავს სოფელი.  
დედის ბედს შეიღი დასტირის,  
შეიღისას ტირის მშობელი.  
ტირილსაც ბოლო ექნება,  
რა მოიღლება გუნება.  
ან იქ სინათლეს რა უნდა,  
საცა არ არის ცდუნება?!  
ისე ეჩნდებით და ველევით,  
არა გვაქვს გაგებულება,  
ბუნების ძალთა სიბრძნისა  
ვერ ვცანით დიდი თხზულება!..

სხვა ვარიანტში ადგილი: „ბუნების ძალთა სიბრძნისა“ იკითხება: „ბუნების საბრძნო წიგნისა ვერ ვცანით დიდი თხზულება“:

ვაჟამ „გველის მჭამელით“ კაცობრიობას მოუწოდა ბუნებისკენ დაბრუნება-დამეგობრებისკენ. ვაჟას სწამს, რომ ვა მარჯვება იმისია, ვინც „ბუნების საბრძნო წიგნს“ კითხულობს, ვინც „ბუნების ძალთა სიბრძნეს“ გაიგებს. უამისოდ: „გაჭირდა ფრიად ცხოვრება, სულთქვამს და ოხრავს სოფელი“.

მზრა „გველის მჭამელში“ თემის, საზოგადოების აზრის გამომხატველია, თემი ბუნებას მოწყვეტილი კაცობრიობაა.

ვაჟა პოემაში ხის მოჭრის წინააღმდეგ კი არ ილაშქრებს, ან ნადირის მოუკვლელობას კი არ ქადაგებს, არამედ ცული და ხეისე როგორც თამარი, პოემის კომპოზიციის მარჯვე ხერხია. ჩიტებისა და ხეების „ბაგით“ ბუნება მეტყველებს. თუ დაუგდებს ამ ენას კაცობრიობა ყურს, ჩასწვდება მის საიდუმლოს, ბეღნიერი იქნება.

ვაჟას აზრით ბუნებასთან დაახლოება სრულებით არ ნიშნავს პროგრესზე ხელის აღებას, ბუნების მონურ მორჩილებას და აღამიანის პირველყოფილ მდგომარეობისათვის დაბრუნებას. პირიქით, ბუნება-მეგობარი გადაიხსნის წიაღს და გვიჩვე-

ნებს საიდუმლოს. აქ ადამიანის ბუნებაზე გამარჯვებაა ნაგულისხმევი, ბუნებისავე კანონთა შესწავლის გზით. ხოლო თუ კაცობრიობა არ დაუგდებს ყურს, არ შეისწავლის და მს წილადმდეგ წავა, დამარცხდება მინდიასავით.

ასეთია „გველის მჭამელის“ დედა-ძარღვი და აზრი. ასეთია ვაჟა-ფშაველას კონცეფცია, რაც მისი მსოფლმხეთველობისა და სოციალური სპეციფიკის გამოხატულებას წარმოადგენს. სიჭაბუკეშიაც: — „ლუკა ეკუთვნოდა იმ მძლავრ მიმღინარეობას, რომლის ლოზუნგად ერთ დროს იყო: „ცხოვრება თანამად ბუნებისა“ (გ. სალარიძის მოგონებიდან).

\* \* \*

ჰუმანიზმი, სიყვარული ადამიანებისა და ბუნებისადმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უკვე მოვსინჯეთ. მაგრამ არის სხვა-გვარი სიყვარულიც — სქესობრივი სწრაფვა, რასაც ტრადიციულად მიჯნურობას უწოდებენ.

ბარბაროსულ საფეხურზე სქესობრივი ცხოვრება მეტად თავისუფალი იყო, თავაწყვეტილიც. მონოგამიურ ოჯახის ჩამოყალიბებამდე კაცობრიობამ მრავალი საფეხური გაიარა (იხ. ენ-გელსი „სახელშიფოს, კერძო საკუთრებისა და ოჯახის წარმოშობა“). კაცობრიობა თანდათან ამაღლდა ზნეობრივად, დაშორდა ცხოველს და ადამიანურ სიმაღლეზე დადგა. მაგრამ ქრისტიანობამ ეს „ადამიანურობა“ ასკეტობით მეორე უკიდურესობაში გადასჩეხა.

როგორც პროფ. ივ. ჭავახიშვილმა გამოარკვია („ქართველი ერის ისტორია“, ტ. 1) საქართველოში ძველად გავრცელებული ყოფილა „აღრეკილას“ დღესასწაული, რაც ფალოსის კულტთანაა დაკავშირებული. დღესასწაულისას ჭალები შესთხოვდნენ უფალს მამათა სქესის სიმრავლეს და აღავლენდნენ ღვთისადმი ვედრებას!

წარმართული დროის ნაშთია ფშავური წაწლობაც. ქალ-ვაჟი ერთად წვებოდნენ, ერთმანეთს „ეტოლებოდნენ“ და ესაყვარლებოდნენ. ყველა წაწლობდა და რამდენიც მეტი წაწლი ჰყავდა ქალს ან ვაჟს, იმდენად საქები იყო. წაწლობას ფშაველი ქალი გათხოვების შემდეგაც არ მიატოვებდა და ჩუმად წაწლო-

ბდა. დაძვრებოდნენ მოტრფიალენი „ციცასებრ“ და ნათესავნი განვებ ყურს იყრუებდნენ. წაწლობას არც ხატი უშლია, რადგან ხატიც ისევე ძველი და ხნიანი იყო როგორც ეს ჩვეულება.

ლაშარობის დღესასწაულზე წვებოდნენ ერთად ფშავ-ხევ-სური ქალ-ვაჟნი. ეს სამღვთო წესი ძველ ბერძნულ ორგიებს გვაგონებს.

ყინჩია ქალთან დაწოლა,  
გაცინებულის კოცნაო,  
ჩამოხსნა მძივ-ღილებისა,  
საყელოს ჩამოტოტნაო.

ასეთია ეროტიული გრძნობა ფშაველისა, რაც ხორცის სილალეს ამჟღავნებს, მაგრამ დროთა ვითარებაში სიმახინჯედ ქცეულა. წაწლები ერთმანეთს „დობილ“-, „ძმობილს“ ეძახიან, მაგრამ მათთვის დამახასიათებელიც „უბეში ხელის ჩაყოფა“, „ერთმანეთს მკლავზე დაძინება“.

ქრისტიანობამ წარმართობას სხვაგვარი მორალი დაუპირისპირა. ქალთან „ცუდი რამის“ ჩადენა კი არა, გაფიქრებაც იგივე მრუშობაა.

ასეთი ნიადაგი დაუხვდა ვაჟას. ისიც წაწლობის ატმოსფეროში გაიზარდა. ვაჟას პოეზიისათვის უცხოა გადაჭარბებულა თავაწყვეტილობა, მაგრამ ეროტიული გრძნობის თავისუფლად გამოთქმა ვაჟასაც ახასიათებს, ქალი მასაც ხიბლავს.

ვაჟა ბუნების კანონის მიმდევარია. მისთვის ბუნებრივია ასეთი გრძნობა. სიყვარულის ვრძნობა თვით მისან მინდიასთვისაც არაა უცხო. ვიღრე მინდია მზიას შეირთავდა, გზად არ უშვებდა, ოჯაბში უხტებოდა და — „მზია, ძალიან მიყვარხარ“ — ეუბნებოდა.

ვაჟასთვის სიყვარული ძალაა, რომელიც მთელ ქვეყანას ამოძრავებს. „მისგანა ჰყვირის ირემი“, „მისგან დაფრინავს შველია“, თვით „უკანასკნელი“ მშერიც კი უსიყვარულოდ ვერ გასძლებს! ვაჟასთვის, როგორც ყოველთვის ამ საკითხშიც, შემოქმედების ობიექტი მარტო აღამიანი არაა.

საქართველოს წარსულმა ქალის სამი ტიპი იცის: ქალი დედა, ქალი — მიწნური, ქალი — მებრძოლი და ამხანაგი.

ქველი ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელია: ქალი — მიზნური. განსაკუთრებით მეცრამეტე საუკუნეში წინ წამოდგა და ფართოდ აისახა: ქალი — დედა (ილია „ქართვლის დედა“), „დედა და შვილი“, ბარათაშვილის სოფიო — ლონიძის „მეუღლე, ბაკავის „ქართველი ქალი“ და სხვ.).

ვაჟა-ფშაველასათვის ქალი მარტო ტრფობის საგანი არაა. იგი დედაა და დამცველი ქვეყნისა, სამშობლოსი. ტრფიალება ეხოლოდ ერთი მხარე ქალისათვის. ესაა ვაჟის გამარჯვებაც. მან მოგვცა სწორედ ეს ადამიანი ქალები: მებრძოლები, მეგობრები მამაკაცისა და არა მარტო ტრფობის საგანნი: ლელა. სანათა, დედაკაცნი „გველის მჭამელში“, დებისა და დედების იღეალური სახეები, როგორც ბარათაშვილმა ლიონიძის სათონ მეუღლე, ვაჟკაცურ სულით. ხელშუბიანი ლელა პირველი მებრძოლი — ვაჟკაცი ქალია ქართლლ პოეზიაში.

\* \* \*

როდესაც განცდები იზრდება, ველარ თავსდება ადამიანში, მაშინ სული ბინას ეძებს, რომ მონახოს თავშესაფარი. ბორგავს, გმინავს, გულის სილრმეში. არ ეშვება პოეტს შინაგანი ხმა და დაბადებას ლამობს. ოცნება ეძებს სიტყვიერ მასალას, სახეებს, ფერადებს, ბგერებს. ასეთ მომენტში, ვაჟასი არ იყოს, პოეტის:

არა სოქვას არ შეუძლია,  
მონაა მაშინ ჩანგისა.

გაზრდილი გრძნობები მოიწევენ „ქალალდზე დასაბლერტადა“. შემოქმედებითი პროცესი თავის თავში ვერ დატევაა, გრძნობათა გადმოდენა და პოეტურ პოტენციისაგან განტვირთვაა. განცდა ბინას იპოვის, გამოემუშვლევა სტრიქონში, დატყვევდება, იშვება შინაგანი ხმა. შემოქმედი თავისუფლდება და გვრჩება შემოქმედება. ამიტომ მოჩანს ავტორი სტილში, შემოქმედი შემოქმედებაში. თუ ადამიანს სურს შეერალზე სრული წარმოდგენა შექმნას, ნათლად წარმოიდგინოს რა ადგილი შეავია ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, აუცილებელია გამორკვევა: რა სტილურ ნიშნებით ხასიათდება პოეტი,

რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას ეკუთვნის ან უახლოვ-  
დება და როგორია მისი შემოქმედების მხატვრულ — ესთეტი-  
კურო ჩხარე...

კიტა აბაშიძის აზრით, ვაუა სიმბოლისტია. კიტა აბაშიძე  
ვაუას სიმბოლისტობის დამტკიცებაც სცადა.<sup>1</sup>

სკოლურ სიმბოლიზმს, როგორც ყოველ ლიტერატურულ  
მიმდინარეობას, ფილოსოფიური საყრდენი გააჩნია: აბაშიძეც  
მეტერლინკის „მშვიდთა საუნჯე“-დან, სიმბოლიზმის ამ „სახა-  
რებიდან“ ცდილობს ვაუას სიმბოლისტია აღიარებას ძირი  
გაუმავროს.

სიმბოლიზმის ფილოსოფია იდეალიზმს უკავშირდება. იგი  
თითქოს პლატონის ფილოსოფიის განაღდებაა. პლატონის აზ-  
რით მატერიალური სამყარო არა ნამდვილი, არამედ ლანდია  
იდეათა სამყაროსი. ამიტომ იდეათა ქვეყანა უფრო სრულია და  
ჭეშმარიტი. მატერიალური კი გამონაკრთობი, ერთგვარი  
იეროგლიფი, სიმბოლო. ეს „ფილოსოფიური სიმბოლიზმი“, ან  
„სიმბოლისტური ფილოსოფია“ წარმოადგენს პოეტური სიმბო-  
ლიზმის საფუძველს. მეტერლინკის აზრითაც მატერიალური  
სამყარო გამოვლინებაა, სიმბოლოა ზესთა ძალის — ჩვენს მიღ-  
მა მყოფის. აისათვის მთავარია სული. მეტერლინკი დრამა-  
ტურგს მიზნად უსახავს გვიჩვენოს: როგორ, რა ფორმებში,  
რა კანონების მიხედვით ახდენს გავლენას ჩვენს ბედზე უმაღ-  
ლესი, შეუცნობელი ძალა, მარადიული საწყისი. იდეალისტურ  
ფილოსოფიასთანაა დაკავშირებული სხვა მრავალი სიმბოლიზ-  
მისათვის დამახასიათებელი ნიშნები: რიტმში ჩანთქმა, ესთე-  
ტიზმი, წმინდა ხელოვნების აღიარება, უტილიტარიზმის უარ-  
ყოფა, ლექსში ბგერისა და ფორმის პრიმატობა, უმიზნობა, ინ-  
დივიდუალიზმი — ეგოიზმი, ბოჭემა, სიჩუმის კულტი, ფატ-  
ლიზმი. სიმბოლისტისათვის საგანი მატერიალური, თავისთავა-  
დი რეალობა კი არა, იეროგლიფია. ვაუასათვის შვლის ნუკრი  
რეალური ნუკრია, მაგრამ ამავე დროს ჩაგრულის იდეის მატა-  
რებელი. მისთვის იდეა და საგანი გაუტიშავია. სიმბოლო, რო-  
ცა მას ვაუა მიმართავს, რეალურის სიმბოლოა. სკოლური სიმ-

<sup>1</sup> „ეტიუდები“. ტ. II, გვ. 184 — 200.

ბოლიზმის სიმბოლო კი ირეალურია. აქაა პრინციპული სხვაო-  
ბა ვაჟას შემოქმედებასა და სიმბოლიზმს შორის<sup>1</sup>.

ვაჟა სევდიანი პოეტია მაგრამ მისთვის უცხოა პესიმიზმირენი  
თუ იტყვის:

გაზაფხულს ია ამოდის,  
რთველში ირემი ჰყვირისო,  
ეს ჩემი გული, ტიალი,  
ისევ და ისევ სტირისო, —

იმიტომ, რომ მისი „გულის დამჭრელნი“ ჯერ არ „გაწყვე-  
ტილან“. თუ ძველი ქართველი პოეტები სწერდნენ ანბანთქე-  
ბას, ვაჟას პოეზიაც ბუნების, სიცოცხლის საგალობელია და ან-  
ბანთქება.

ვაჟას მარტო პიროვნების სულიერი მდგომარეობა როდი  
ანტერესებს, არამედ მისი სოციალური ყოფა. ალუდა ქეთე-  
ლაური, ზვიადაური, აღაზა და სხვა გმირები იდეალური პა-  
როვნებანია. პოეტი იღებს რეალობას და გადაქვეს ფანტასტი-  
კაში. მაგრამ მარტო ფანტასტიკა რომანტიზმი რომ იყოს, გო-  
თე და პომეროსიც რომანტიკოსები იქნებოდნენ! „საღი ფან-  
ტაზია ისეთს არაფერს შეჰქმნის, სინამდვილეს არ ეთანხმებო-  
დეს, არ შეეფერებოდეს“ (ვაჟა).

ვაჟას შემოქმედებაში ფშავ-ხევსურეთი ეგზოტიკურად ჭი  
არაა ასახული, არამედ ფანტასტიკური სახეებით სოციალურ-  
პოლიტიკური, ძვრების სურათები გვეძლევა, თუმცა სინამდვი-  
ლე არაჩვეულებრივად განათებულია და გალამაზებულია. ვა-  
ჟას რომანტიზმი, თუ შეიძლება მას რომანტიზმი ეწოდოს, რო-  
გორც პიუგოსი „არსებითად რეალიზმი იყო“ (კოგანი).

\* \* \*

დიდი პოეტები მუდამ ეყრდნობოდნენ ხალხურ პოეზიას, მაგ-  
რამ არა თანაბრად. რუსთაველის გახალხურების მიზეზი ისა-

<sup>1</sup> აზრი, იმის შესახებ, ვაჟას სიმბოლისტობისა, საფუძვლიანად გააკრა-  
ტიყა პროფ. ს. დანელიამ წიგნში — „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“.

ცაა, რომ ხალხისათვის ნათესაური ფაბულა დაუმუშვავებია. მეორე მხრივ ისიც, რომ რუსთაველის პოეტურ კულტურას საერთო აქცს ხალხურ პოეზიასთან. ასევე გურამიშვილის პოეზიაც. ვაჟასთან ძველ პოეტებთაგან ყველაზე ხალოს რუსთაველი და გურამიშვილი არიან. მე-19 საუკუნის მწერლებს შორის ფოლკლორთან სიახლოვემ ყველაზე მძლავრად აკაკი წერეთლის შემოქმედებაში იჩინა თავი, მაგრამ აკაკის პოეზიაზე დიდი გავლენა იქონია ბარული ფოლკლორის თავისებურებამ. სხვა იყო ვაჟა, რომელიც ფშავ-ხევსურულ-თუშური ფოლკლორიდან გამოვიდა.

ტროპებისა, პოეტურ ფიგურათა სიმრავლით და ბუნების სურათების აღწერით ფშავ-ხევსურულ ფოლკლორს ბარული ვერ შეეძრება. მიზეზი ცალკე საკითხია, ფაქტი კი ისაა, რომ ბარულ-ქართლურ-კახურ-იმერული ფოლკლორი გავსილია საგნებით: უღელი, ტაბიკი, გუთანი, ტივი, თოხი. მთისაში კი ბუნებაა: ვარსკვლავი, „მთვარეი ხუთმეტისაი“, „ქუჩი თირთვალიანი“, „ვეფხი ბწყლიანი“. ბარულ ფოლკლორში: სახრე და კამეჩი. მთისაში: ლურჯა და ხმილი — გორდა ან გველისპირული. ძველი, ფეოდალიზმის ღრინდელი ბარული პოეზია ზანტია (ქართლ-კახური) და მიწას ჩასტირის („რადგანაც ზეცა წაართვეს ძალით“), მთისა ცას შესცერის და ვარსკვლავებს ეთამაშება („თუშთ არ იციან ვითარცა ვინ არის მონა, ბატონი, თვითონ არიან თავისა ბრძანებელი და ბატონი“).

ბარულ პოეზიაში უმეტესად ლაპარაკია, მსჯელობა და იშვიათად მოქნეული, დასხლეტილი შედარება (ბარულ პოეზიას აქვს მრავალი უპირატესობა, რასაც აქ არ ვეხებით, მაგ. მელოდიურობა).

სხვაობის მიზეზი მთისა და ბარის ფოლკლორის შორის განვითარების სსვადასხვა საფეხურზე დგომა, სოციალური ურთიერთობაა. გეოგრაფიულ გარემოსაც მიუძღვის თავისი.

მთის ფოლკლორის ორიგინალობის მიზეზი ისიცაა, რომ ბარის პოეტური პოტენცია ლიტერატურაში გადადიოდა, იცლებოდა საუკუნეების გასწვრივ. მთა კი ლიტერატურულ გარემოს მოწყვეტილი ჰქმნიდა საკუთარს. მე-19 საუკუნემდე მოიტანა

ემ მდინარემ თავისი უმდიდრესი მარაგი და ვაჟა-ფშაველას სა-  
ხით შემოუერთდა ქართული პოეზიის დედა მდინარეს...

ვაჟამ სიცოცხლეში, თავის შემოქმედების გამო, სხვათა შო-  
რის ორი შენიშვნა მიიღო. ერთი ფაბულარულ საკითხში — იპ.  
ვართაგავასგან, მეორე ენის გამო — აკაკისაგან. როვორც თე-  
მატიური ანალიზის დროს ვნახეთ, ვაჟამ თავის პოემებში სრუ-  
ლიად ახალი პრობლემები დააყენა, რაც არათუ ქართულ ფოლ-  
კლორში, ქართულ ლიტერატურაშიც იშვიათ მოვლენას წარ-  
მოადგენდა.

უფრო მეორე — ენის (ლექსიკის) საკითხია საყურადღებო.  
ქართულ ლიტერატურას ვაჟა-ფშაველამ შემოუერთა არა მარ-  
ტო იდეები, არამედ იშვიათი პოეტური ლექსიკაც. იგი კი უმ-  
თავრესად მთამ შეჰქმნა. ხშირად რაც ჩვენ გვიტაცებს და იშ-  
ვიათ ეპითეტად გვეჩვენება ვაჟას პოეზიაში, მთაში არათუ  
სალტურ ლექსებში, სამეტყველო ენაშიც ჩვეულებრივია.

ენა და პოეტური ლექსიკა დიდათ არ შორდებიან ერთმა-  
ნეთს. ამიტომ უკვირდა ვაჟას ენის დაწუნება.

ერთი მხრივ: „ენას გიშუნებ ფშაველო“, მეორე მხრივ:  
„თუმც კი გვითესავ მარგალიტს“. დიდმა აკაკიმ ვერ გაიგო,  
რომ „მარგალიტის“ ერთი მხარე სწორედ ფშავური ლექსიკა  
იყო. იმ მთის ენის გარეშე ვაჟა ვერ დასთუსდა მარგალიტს.

მარგალიტების მფლობელი

ენასა ხმარობს ღონედა

და როცა მარგალიტს სთესავს,

ან თუ ააგებს ყორედა,

მაინც ის არი, რაც არი...

დაიბუბუნა ვაჟამ. იგი მთის ენით გადავვიშლიდა ეპიურ ტი-  
ლოებს, წინაპართა ამბებს, „თოფისასა და ხმლისასა“. იყი ამა-  
ვე ლექსიში ამბობდა: „და ენა მთისა სიმტკიცით მსგავსია  
ქლდისა სალისა“. ლიტერატურული ქართული საქმაოდ არ იყო  
გამდიდრებული ყველა დიალექტით. ვაჟამ ფშავურ დიალექტს  
გზა გაუხსნა ლიტერატურული ენისაკენ.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ლექსიკა დეტალებში (ტრაპები,  
ფიგურები) პრინციპულ სხვაობას არ ატარებს ფშავ-ხევსურულ  
ფოლკლორთან შედარებით. ეს მხოლოდ ლექსიკის შესახებ ით-

ქმის და გამორიცხულია: ნაწარმოების კომპოზიცია, სიუჟეტის  
დამუშავება და იდეურ-ფილოსოფიური მხარე.

ხალხური პოეტური ლექსიკა ვაჟას პოეზიაში. მთლიანად  
შევიღა.

მეტრულად ვაჟას პოემების უმრავლესობა რვა მარცვლოვა-  
ნია, იგივ ხალხური შაირი ცენტრით. „ვეფხისტყაოსანთან“  
შედარებით ვაჟა რიტმულ თავისებურებას იძლევა. „ვეფხის-  
ტყაოსნის“ ნახევარი თითქმის მაღალი შაირითაა დაწერილი,  
ნახევარი დაბალი შაირით. ვაჟა უმთავრესად დაბალი შაირით  
სწერს. გამონაკლისი ძალიან იშვიათია. მაგრამ ვაჟას რიტმის  
საიდუმლო ამით არ ამოიწურება. ჩვეულებრივი რიტმული სქე-  
მები მხოლოდ ხმოვანთა დალაგებას გვაძლევს, თანხმოვანთა  
დაჯგუფებას კი უგულვებელჲყოფს.

თავისებურია ვაჟას სტროფიც. იგი არ ზღუდავს სტროფს  
ოთხი ტაეპით. ხალხურივით მრავალ-ტაეპიან სტროფს გვაძ-  
ლევს. ვიდრე სათქმელს მოათავებს, ზედი-ზედ მიაწყობს, შა-  
ნამქრავს სტრიქონებს. შემდეგ ახალ სტროფს წამოიწყება.  
ზოგჯერ მისი სტროფი 8, 10, 12, 14 და 16 ტაეპიანიცაა.

ვაჟას რითმისათვის, როგორც ხალხურისათვისაც, დამახა-  
სიათებელია ასონანსი. ჩვეულებრივ და უმეტესად კი დაქტი-  
ლური რითმები.

ვაჟა უხვად სარგებლობს ხალხური ეპითეტებით. ზოგჯერ  
ხალხური შედარება მთლიანად შეაქვს ნაწარმოებში, ხა  
სტროფი და სიტყვათა დაბრუნებაც კი, მაგლითები:

ვაჟა: სცადა ფრანგული ფხიანი. ხალხურში „ფხიანი“ ტი-  
პიური ეპითეტია.

ვაჟა: ხმა ალუდას თოფისა, ჭეხასა ჰეგვანდა ცისასა.


ხალხური: 1. ლევან ქალაქი შამახდა, ჭეხა მაიღა ცისაო.  
2. მოგდევდეს თათარეული, ჭეხა გეგონას ცისაო.

ვაჟა: არ მოგხვდაუა რჯულ-ძალლო, ან, ახლა შენ იყო  
რჯულ-ძალლო.

ხალხური: ჩვეულებრივია: სულძალლი ერისთვისშვილ,  
რჯულძალლი.

ვაჟა: გაჯავრდა ქეთელაური, ფერი დაიდვა მგლისაო.

ხალხური: გიგიამა და იდუამ ფერი დაიდვეს მგლისაო.



ვაჟა: გიგლია ქვდება ხარია.

ხალხური: 1. ლაშარს ძოიდა თილისძე, ღიღგულად დაჭდა

ხარია. 2. უშიშა წამაიყვანეს, ხარი საფიხნოს ზისაო.

ვაჟა: ხელი დაიკრა ფრანგულსა შუქი ამოხდა მზისალა

ხალხური: ზედ ბნელი ღამე დაგვეცა, პირა გვინათებს ხმლისაო.

ვაჟა: ალუდამ მოჰკლა მუცალი და: სიგრძივ გაპხურა ნაბა-  
ღი, ზედ გადააღვა ფარიო.

ხალხური: ვაჟუსძემ მოჰკლა თორლვა: ხმალი თავითით და-  
ვიდვა, ნაბად გაგხურა ცვრიანი.

ვაჟა: ალუდამ ხელი დაიკრა ფრანგულსა.

ხალხური: ხელი გაიკრა ფრანგულსა.

ვაჟა: გახლავარ ზვიადაური.

ხალხური: გახლავარ ღუდუშაური.

ვაჟა: ჰყეფდა ყორანი შავია.

ხალხური: სისხლით ძლებოდენ ყორნები, ხყეფდნენ სიქვ-  
დილის ხმაზედა.

ვაჟა: ბისოს ტიროდა ბებერი.

ხალხური: ბაცეს სასისკროდ ატირდა აჭეს ჩაბაკის ქალიო.

ვაჟა: ალუდას თოფი აო უნდა, ატირდა როგორც ქალიო.

ხალხური: 1. ზურაბ ჩატარის ჩარგლის კართ, როგორც რო  
ქალი თმიანი.

2. გუდალას დაჭდა ზურაბი, ატირდა ეგრ რო ქალიო.

ვაჟა: ვაჟკაცო, ჩემგან მოქლულო, ღმერთმა გაცხონოს  
კვდარიო.

ხალხური: ღარქაშათ ნანაისძეო, ღმერთმა გაცხონოს კვდა-  
რიო.

ვაჟა: გაზაფხულ იყო მაშინა,

ახლად ყოოდენ იანი,

მწვანეს ეწვდება ფოთოლსა,

ხარი-ირემი რქიანი.

ხალხური: გაზაფხულ იყო მაშინა

როცა ყვაოდენ იანი,

საძოვრად ჩამოსულიყო

ხარი-ირემი რქიანი.

მაგალითების მოტიანა მრავლად შეიძლებოდა, რაც დაგვარწმუნებდა ფშავ-ხევსურული პოეზიის დიდ ღრაძებაში, მის ორიგინალობაში და ვაჟას პოეზიის სათავეებსაც გამოაჩენდა. ამავე დროს იმ აზრს მიუღებლად გახდიდა, თითქოს: „ფშავულებს აქვთ საკმაო რიცხვი გრძელი ხალხური სიმღერების, უმთავრესად ეპიური ხასიათისა, მაგრამ ამ უხეშ, გაუთლელექსებში ცოტაა პოეზია“ (არტურ ლაისტი).

ხალხური მეტად მდიდარია ალეტერაციითაც: „მაგდევლათ, მაგაწუხებდათ, მაგხევდათ შუბის წერითა“ ან: „მოგდევლეს მოგაწუხებდეს, ხმალნი მოწევებდეს ფხიანნი“. აქ თუ მტერზე მიტევებას პრეფიქსი „მო“-ს პერიოდული გამეორება გადმოგცემს და მიმართულება ჰორიზონტალურია (მო-გდევლეს, მო-გაწუხებდეს), არის სხვა ვვარიც:

აღგა და ხელი გააბა  
ნაჭაპნსა გიშრის თმისასა  
ამოტირდა და ამოთქვა  
ვახ, ცოლსა ცუდის ყმისასა.

„ამოტირდა და ამოთქვა“-თი სხეულიდან ზემოთ გშინვა ამოდის, შეაღარე ვაჟას: „ამოგმინდება ტიალი“, ხოლო „აღგა და ხელი გააბა ნაჭაპნსა გიშრის თმისას“-თი თმის — ნაწნავის სიგრძე გვეძლევა. განსაკუთრებით ორი „ა“ — გააბა ჰქმნის ამ შთაბეჭდლრლებას.

ხალხურისათვის, როგორც ვაჟასთვისაც, ტიპიურია თემატიური და სიტყვიერი პარალელიზმიც. ასევე ხალხურიდან გამოდის ვაჟა ზაზგასასმელად განსაზღვრულს რომ ვანსაზღვრავს

ალბად სწყალობუნ ვაჟკაცსა  
ის ანგელოზნი ზენანი.

(შეაღარე: „წამოვიდა ეს არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა“) ვაჟას გააჩნია მეტად იშვიათი ხასიათის შედარებანი და ეპართეტები. ჩვეულებრივ აღამიანის შესაღარებლად იყენებენ ბუნებას. ბაგე—ვარდი, კბილი—ბროლი, გული—ზღვა და სხვა უმთავრესად ასეთი ხასიათის შედარებანია გავრცელებულ ქართულ ლიტერატურაში. მეტად იშვიათია შებრუნებული ხასიათის შედარება, რომელშიაც ბუნება აღამიანთან იქნება შე-

დარებული. ხოლო ისეთი ხასიათისა, სადაც ბუნების ცალკეული ნაწილი — საგანი ცალკეულ ადამიანთან (საკუთარი სახეობის) სანთლით საძებარია. რუსთაველია მხოლოდ სანიშვილობრივი დარიელს ვეფხი მიჯნურს აგონებს და:

ხრმალი გაგსტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიბყარ ხელითა,  
მას გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა.

აქ ვეფხვი შედარებულია ნესტანთან. გულაშაროდას წამო-  
სულმა ავთანდილმა

ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარია,

უბრძანა: გიჟვრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედვარითა.

ავთანდილმა ვარდი თინათინს შეაღარა და იმიტომ აკოცა-  
ასეთივე ხასიათისაა, შინაარსეულად, ვაჟას შედარება:

ველებზე ბზინგენ ყვავილნი,  
თამარ დედოფლის თვალები.

„თამარ დედოფლის თვალები“ აძლიერებს ყვავილის სილა-  
მაზეს, ყვავილის სილამაზე კი თამარ დედოფლის თვალთა შვე-  
ნებას. შედარება ორმაგ ხასიათს ღებულობს.

ასეთივეა ვაჟას მეორე შედარებაც — „თამარ დედოფლის  
სახეო“, ბუნებას რომ მიმართავს. ამდაგვარია ლერმონტოვის:

И звезды яркие как очи,  
Как взор грузинки молодой.

(და ვარსკვლავები ქრისტიანი, როგორც  
თვალი ქართველი ყმაშვილი ქალის) („დემონი“).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია  
ფანტასტიკა, რისთვისაც ხალური მითოლოგია გამოიყენა.  
ვაჟასათვის მითი — პოეტური სახეა. ცნობილია, რომ ვაჟას  
დევალქაჭები არა სწამდა. მათ რწმენას ცრუმორწმუნეობას  
ეძახდა და ველურობისა და უკულტურობის ნიშნად მიაჩნდა,  
მაგრამ მათ სახეს ნაწერებში იყენებდა. მოვივონოთ კუდიანი  
ბებრის სახე („ეთერი“), ან ლექსი „დევების ქორწილი“  
და სხვა.

ვაჟა მთიელთა რიტუალის გამოყენებით პოეტურ სახეებს  
ჰქმნის. მაგ:

ხმალიც თან ჩამაყოლოდით,  
 ჲები ფრანგული ფხნანი,  
 ქალს, თვეულ-შალ-შავას უთხროდით  
 მალე მაიჭრის თმანია,  
 შავეთში კელაპტრად მინდან,  
 რო გავიკვლიო გზანია.



თმის დაჭრა, წარმართული მოთოლოგიის ნაშთი, ვაჟამ პოეტურ კატეგორიად, ფორმალურ ხერხად, ლექსის დამამშვენებლად აქცია, შინაარსიდან დასცალა და ფანტაზია გაიმდიდრა. ასევე მძლავრად იყენებს ნაწარმოებში სიზმარს („ალუდა ქათელაურში“, „გიგლიაში“, „გველის მჭამელში“).

\* \* \*

ვაჟა-ფშაველა მრავალმხრივი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ხასიათის წერილები, პიესები, თარგმანები, სხვათა შორის, ლერმონტოვის „დემონი“ („ქაჯი“), მთავარი მის შემოქმედებაში ეპოსია—პოემები, მოთხრობები და ლირიკა.

ვაჟას მოთხრობებში ორი ნაკადია: ლირიკული და ეპიკური. ეპიკური მოთხრობები არ არიან რომანები „ჩვენი სოფელი“, „სოფლის სურათები“, „დარეჯანი“, „ერთგული მეგობარი“, „დათვი“, „ავტობიოგრაფია ურიაღნიკისა“ (ბიჭიელა კაკოლის გაფრინდისა ამბავი), „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“ და სხვა.

ვაჟა მოთხრობებში არ ქმნის რთულ ფაბულას, არამედ ხატავს პორტრეტებს: მეღუქნის, მამასახლისის, მღვდელ-დიაკვნის, უვიც, „სულიერ მამათა“ ნაბოლარა საცოდავ „ტარასტრისას“. აცოცხლებს სოფლის მცხოვრებთა სურათებს: ყელ-ჭაჭვიან მამასახლისს-მამლაყინწასა და თავნებას. კნიაზ ფშატაძეს — იერემია წარბასი და ტარიელ მკლავაძის მსგავს ტიპს. სოფლის მცხოვრებთა გარდა ვაჟას კალამი ეხება გადაგვარებულ ქართველ აზნაურ ჩინოვნის, გოგოლის აკაკი აკაკიევიჩის ტიპისას („ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“).

ვაჟას ადამიანთა ყოფის ამსახველ მოთხრობათა გარდა აქვს სხვა სახის მოთხრობებიც — ლირიკული ხასიათისა. მათში მოჩანს სისრულით ვაჟა-ფშაველა — პოემებისა და ლირიკულ

ლექსთა ავტორი. „შვლის ნუკრის ნაამბობის“ გამო „ივერია-ში“ ერთი კრიტიკოსი წერდა: „მთელი მოთხრობა გულიდან არის ამოღებული“-ო. მართლაც „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მთის წყარო“, „მთანი მაღალნი“, „ია“ და სხვ., გულიდან არიან ამოღებულნი. ესენი ლექსებია პროზად. მათ ახასიათებს ემოციური სიმძლავრე, ტრაპთა სიმრავლე და ლირიზმი. ამას გარდა სტილის განსაკუთრებული ლაკონიურობა. ეს გარემოებანი ვაჟას პროზას ლექსს უახლოვებს. შემთხვევითი არ არის, რომ იგი პროზაში ლექსს ურთავს. ეს მეტად დამახასიათებელია და იშვიათი ქართულ ლიტერატურაში. იგი პროზიდან ლექსზე გადავა და კვლავ პროზას დაუბრუნდება. მაგრამ იმდენად დაახლოებულია პროზა და პოეზია, რომ „გადასვლა“ სრულიად ბუნებრივია.

ვაჟამ გაამდიდრა და გააგრძელა ქართული პოეტური პროზა: „ვისრამიანის“ ავტორისა, მერჩულისა და სულხან-საბა ორბელიანის გზა.

ხშირად ვაჟას ლექსი, როდესაც ფშავურ ლექსიკას ჰქარგავდა, ყაყის ლექსს უახლოვდებოდა. აქვს ვაჟას იშვიათად, ცალკეულ ფორმალურ-სტილიური შეხვედრები რაფიელ ერისთავთან და იოსებ დავითაშვილთან. ვაჟა ენათესავება დავით გურამიშვილსაც. მას გურამიშვილური სითბო, სასოება ჰქონდა და მუდარა იცოდა. ამით მის პოეზიას, რომელიც ვაჟკაცურ-გმირულია, ვაჟასივე თქმისა არ იყოს

როსტომის მრისხანება აქვს

და თან სინაზე ქალური.

ასეთია ლირო-ეპიკოსი და პროზაიკოსი ვაჟა-ფშაველა, რომელიც გვერდით უდგას საუკეთესო ქართველ ლირიკოს პოეტებს: გურამიშვილს, ბარათაშვილს, აკაკი წერეთელსა და სხვებს. ხოლო მისი ეპოსი, რაინდულ ხასიათთან ფილოსოფიურ-ზნეობრივი საკითხების დაყენებით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შემდეგ, ვაჟას ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ შემოქმედად ხდის.

ფსიქოლოგიზმი, რომელიც ვაჟას ყოველი დარგის ნაწარმოებისთვისაა დამახასიათებელი, მე-19 ს. დასასრულს ვითარებ.: ნ. ტატიშვილი

დება, განსაკუთრებით პროზაში (არაგვისპირელი და ჭოლა  
ლომთათიძე). ვაჟას გავლენა პქონდა თავისი ძმების: თელი  
პროზაზე და ბაჩანას ლექსებზე. ცალკეული გავლენაში მოახ-  
დინა შიო მღვიმელზე და ირ. ევლოშვილზე, რაც უმთავრესად  
ფშაური ლექსიკის გამოყენებაში გამოიხატა.

ვაჟას გავლენები სწვდება თანამედროვე ქართულ პოეზია-  
საც. მისი პოეზიის ძალა იდეურ სიღრმესთან, ლექსიკის ფიგუ-  
რალობასთან ერთად სისაღავე-უბრალობაშიცაა.

„შვლის ნუკრის ნაიმბობს“, „ქუჩს“, „იას“, „ჩმელ წი-  
ფელს“ კითხულობს ბავშვიც და დიდიც. დიდია ამ ნაწარმოებ-  
თა პედაგოგიური მნიშვნელობა.

ვაჟა, როგორც საღაა და ორმა, ისე ქართულია და საერთა-  
შორისო. მან საბოლოოდ დასწმინდა ქართული ლექსი „სპარ-  
სული ყაიდის“, „თათრული ხმის“ თეჯნისებისა, მუხამბაზები-  
საგან და ქართულ-ფშავურ ფოლკლორსა და ჩანგურზე და-  
აფუძნა, მაგრამ მანვე გააცილა იგი ეროვნულ ზღუდეებს და  
საკაცობრიო ასპარეზზე გააჭირითა.

## შურნალი „იმედი“

თუ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურა ფეოდალური იდეოლოგიის გამომხატველი იყო, მეორე ნახევრისათვის მან რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები განავითარა. რევოლუციონერებისა და პროგრესისტების მკვეთრი ხმა პირველად უურნალ „ცისკარში“ გაისმა. მაგრამ ახალი იდეების გამომუღავნება რევოლუციურად განწყობილმა ახალგაზრდობამ, განსაკუთრებით მძლავრად, შესძლო საუთარი ორგანოს — „საქართველოს მოამბის“ დაარსების შემდეგ.

60-იან წლებში ქართველი ხალხის ცხოვრებაში ორი საკითხი იყო მთავარი, რომელიც გადაწყვეტას და გადაჭრას მოითხოვდა. სოციალური — ბატონის და ყმის ურთიერთობა და ეროვნული — მონარქიული ხელისუფლებისა და კოლონიური ჰეყნის ურთიერთობა. ეკონომიურ-სოციალური და პოლიტიკურ-ეროვნული საკითხი ბატონიყმობას გადავარდნის შემდეგ არათუ არ მოხსნილა დღის წესრიგიდან, თანდათახობით უფრო მწვავლებოდა. ყმისა და ბატონის ურთიერთობის საკითხმა ცვლილება განიცადა, გლეხი რეფორმამ კვლავ გამოუვალ ეკონომიურ მდგომარეობაში დატოვა და ეს მდგომარეობა უფრო გაამწვავა. გლეხი უმიწოდ გათავისუფლდა. ცხოვრებამ წარმოშვა ახალი ძალები და გლეხის ექსპლოატატორ ძველ მებატონეთა ნაწილი მემამულედ იქცა, რომლის ხელშიც იყო ჩვლავ გლეხის ბედ-ილბალი. მაგრამ ნაბატონარს ჩარჩი-ვაჭარიც დაემატა, ჩარჩებს გამდიდრებული გლეხები და ყველა ამათ მშრომელი გლეხი შეჰქრეს, ჩაიჭირეს ხელში, ეკონომიუ-

რად შეავიწროვეს. ამას ზედ ერთვოდა მთავრობა თავისი მო-  
ხელებითა და სასულიერო წოდება.

„საქართველოს მოამბემ“ ილიას მეთაურობით კარგად  
აუღო ალღო ცხოვრების მოთხოვნილებებს. მან, რამდენადაც  
საცენტურო პირობები ნებას აძლევდა, პასუხი გასცა როგორც  
ეროვნულს, ისე სოციალურს — გლეხთა საკითხს.

დემოკრატულ-პროგრესული იდეების მძღავრი წინმსვლე-  
ლობა, სამოციან წლებში დაწყებული, შემდეგშიაც არ შეჩერე-  
ბულა. 1866 წელს არსდება გაზეთი „დროება“ გ. წერეთლის რე-  
დაქტორობით, რომლის ირგვლივ თავს იყრის მაშინდელი მო-  
წინავე ახალგაზრდობა. დემოკრატიულმა იდეებმა განსაკუთ-  
რებული გამოძახილი ჰპოვეს უურნალ „მნათობში“. აქაც იგი-  
ვე ორი პრობლემაა განხილული — ეროვნული და სოციალუ-  
რი, მაგრამ იმუამად სოციალური საკითხი — ბატონისა და ყმის  
ურთიერთობისა, გარკვევით აქტუალურ თემად ვერ იქცა, ამი-  
ტომ ეს პრობლემა სხვა ასპექტშია განხილული და გლეხობის  
ეკონომიკურ ვითარებას შეეხება.

უურნალი „მნათობი“ აგრძელებს „საქართველოს მოამ-  
ბის“ ხაზს და მის მიერ შემოტანილ დემოკრატიზმს. შემთხვე-  
ვითი არ იყო, რომ „მნათობის“ დევიზად ჰქონდა ილია ჭავჭა-  
ვაძის სიტყვები:

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი...

ამ დემოკრატულ უურნალში ჭერ კიდევ ვხედავთ კრიტი-  
კას სამოციანი წლების მოღვაწეებისა და პირადად ილია ჭავ-  
ჭავაძისას. „მნათობელნი“ თავს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეე-  
ბად თვლიან. „მნათობი“, როგორც „საქართველოს მოამბე“  
ორივე პრობლემას — ეროვნულსა და სოციალურს ერთად  
აყენებს და საკითხს, ისევე როგორც „საქართველოს მოამბე“  
არ სვამს, თუ რომელს ეკუთვნის პრიორიტეტი. ამ საკითხზე  
დავა გამწვავდა 80-იანი წლებიდან, როდესაც ერთმანეთს დაუ-  
პირისპირდა ორი ორგანო — „ივერია“ და „იმედი“.

ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ ეკონომიური საკითხი არ უარუყვია, მის შესახებ ბევრს წერდა, იბრძოდა, ზრუნავდა. გას მაინც მთავარ, ღერძეულ საკითხად ეროვნული საქითხი გაიჩნდა. „იმედსაც“ ეროვნული საკითხი თუმცა კარგად გათვალისწინებული, შეგნებული სერიოზულობა ამ პრობლემისა არ ჰქონია, მაინც იგი არასოდეს უარუყვია, მაგრამ „იმედს“ მთავარ საკითხად გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა მიაჩნდა და გას აძლევდა უპირატესობას ეროვნულ საკითხთან შედარებით, რომლის პრიორიტეტსაც „ივერია“ იცავდა. მაშ რატომ „მნათობმა“ არ დააყენა ან „ივერიასაებრ“ ან „იმედისებრ“ საკითხი? საქმე ის არის, რომ „მნათობი“ 1869 წლიდან გამოდიოდა. საქართველოში ბატონყმობის გაუქმება 1864 წლიდან დაიწყო და კარგა ხანს გაგრძელდა. 1869 წლისათვის ჭერ კიდევ არ იყო გაფანტული ე. შ. „დიდი რეფორმებით“ შექმნილი ილუზიები ამას ამტკიცებს „მნათობის“ ერთ-ერთი თანამშრომლის მოსკეიქოძის წერილი — „საქართველოს მომავალი“<sup>1</sup>.

წერილის ავტორი ჭეროვნად ვერ აფასებს რეფორმას და ვერ ითვალისწინებს მის შეზღუდულობას. „რეფორმის წლები, — წერს მოსე ქიქოძე, — სწორედ ვარაყის ასოებით უნდა მიაწეროს თავის კარებზე ყოველმა ხალხის კეთილმდგომარეობის მოსურნე ქართველმა“. რეფორმის ეს წლები მ. ქიქოძის აზრით „აბოლოებს ჩვენი ხალხის ბნელით (მოცულ) ცხოვრებას და უღებს კარებს ახალი, ნათელი ცხოვრებისათვის“. სეთი იყო გაზვიადებული წარმოდგენა რეფორმის მნიშვნელობისა. მაგრამ დრო გავიდა და უველაფერი აშკარა გახდა. ცხოვრებამ გამოსცადა რეფორმა და გამოამჟღვნა. რომ იგი ის არ იყო, რასაც მოელოდნენ. რეფორმის შეუძლებლობა გამომჟღვნდა მათვისაც, ვისოვისაც ეს კიდევ საიდუმლო იყო, რომ ალექსანდრე მეორე „გამათავისუფლებელი“ მტერია ხალხისა და არა მფარველი. 60-70 წლებში ეს ჭერ — კიდევ ყველას შეგნებული არ ჰქონდა. ეტყობა, შეგნებული არ ჰქონდა თვით „მნათობის“ რედაქციისაც, რომელიც ბეჭდავოდა დიმიტრი ბერიშვილის (ბერიეცის) ლექსს — „ხსენება საკვირველისა გან-

<sup>1</sup> „მნათობი“, 1870 წ., № 1.

თავისუფლებისა განსაცდელისაგან ხელმწიფე იმპერატორისა, 4 აპრილს 1865 წელსა<sup>1</sup>. ლექსი გულისხმობს რევოლუციონერი ტერორისტის ყუმბარისაგან ალექსანდრე მეორის გადარჩნას.

ასეთ ლექსისაც ვხვდებით „მნათობში“ და საუკეთესო ხალხოსან პუბლიცისტის მოსე ქიქოძის მიერ გულუბრყვილო შეფასებას რეფორმებისას, მაგრამ ამის და მიუხედავად. „მნათობი“, ისე როგორც მოსე ქიქოძე, დემოკრატიულ-რევოლუციონური იდეებით არის გაეღენთილი და გლეხობის ბედისათვის ზრუნავს. „მნათობისათვის“ დამახასიათებელია გლეხთა საკითხის კლასობრივ ასპექტს გარეშე განხილვა, ზოგადობა.

რეფორმით უქმაყოფილებამ მძლავრად და გარკვევით იჩინა თავი 70-იანი წლების ბოლოს. რუსეთში, 60-იანი წლების გლეხური დემოკრატიის იდეოლოგების — ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის დროშა ლავროვმა და ბაკუნინმა აიღეს ხელში. დაიწყო „ხალხში სიარული“, ქადაგება მონარქიზმის წინააღმდეგ და ჩაგონება გლეხობისა, რომ ის მოატყუა ხელსუფლებამ, საჭიროა მასთან ბრძოლა. განსაკუთრებული აქტავობისაკენ და აშკარა გადამწყვეტი ბრძოლისაკენ ბაკუნინის ბუნტარული მოძღვრება მიუთითებდა. „ხალხში სიარულმა“ მეტად გაიტაცა რუსი ინტელიგენცია. იყო ამ გატაცებაში კათილშობილური თავდადება, სიყვარული გლეხკაცობისა, რომლისთვისაც ეს კეთილშობილი რევოლუციონერები ჯილდოდ იღებდნენ პატიმრობა-გადასახლებას. რომანტიკული ხასიათი ჰქონდა ამ გატაცებას. ტურგენევის გამოთქმით, ხალხოსნები იყვნენ „რეალიზმის რომანტიკოსები“. რომანტიკულ-უტოპიური ბევრი რამ იყო ხალხოსნურ მოძრაობაში — რწმენა, რომ გლეხობა მათ ყურს დაუგდებდა, იდეალური წარმოდგენი გლეხობის ცხოვრებისა და რწმენა კაპიტალიზმის გარეშე სოციალიზმის დამყარებისა. ფ. ენგელსმა სწორედ გაიგო რუსული ხალხოსნური მოძრაობის ხასიათი და მას „პოლიტიკური რომანტიზმი“ უშოდა.

მოწინავე ქართველ საზოგადოებაზე რუსულმა პოლიტი-

<sup>1</sup> „მნათობი“, 1869 წ., აპრილი.

კურმა ლიტერატურაშ 60-იან წლებშივე მოახდინა გავლენა. ჩერნიშევსკის „Эстетические отношения искусства к действительности“. ჩვენი „თერგდალეულების“ „L'art poétique“-ის საფუძვლად იქცა, ისე, როგორც „სოვერენიკის“ ბრძოლაც ბატონყმობის წინააღმდეგ ჩვენი მესამოციანებისათვის მისაბაძია. რუსული პროგრესული აზროვნების გავლენა შემდეგშიაც არ შეწყვეტილა ქართველ მოწინავე ახალგაზრდობაზე. ნაყოფიერ ნიადაგს რუსულ რადიკალური აზროვნება ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით სემანარიელებში პოულობდა, ზრდიდა მათში მონარქიის საწინააღმდეგო განწყობილებას და რადიკალურ-დემოკრატული იდეოლოგიის შემუშავებას უწყობდა ხელს.

ქართველ თავადაზნაურულ ინტელიგენციაზე დიდ გავლენას რუსული ხალხოსნური მოძრაობა ვერ ახდენდა. წმინდა გლეხური წრიდან წარმოშობილი ინტელიგენცია ჩვენში თითქმის არ არსებობდა. ამიტომ გლეხობაში გასვლა და მისი დარაზმა თავს იდვეს მღვდლებისა და დიაკვნის შვალებმა. ესენი ახლოს იდგნენ გლეხობასთან, იცნობდნენ მის გაჭირვებულ ცხოვრებას.

70-80-იან წლებში ჩვენშიც, რუსეთის მსგავსად, იწყება „ხალხში სიარული“, ყალიბდება ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ მონარქიზმის დამხობას და გლეხობისათვის გიშის გადაცემას, ამით მოსპობას იმ უსამართლობისა, რაც რეფორმამ დატოვა. მაგრამ გლეხობა თავის კეთილმოსურნე მქადაგებლებს გულდახურული დაუხვდა. მას არც ეცალა, არც სჯეროდა და არც შეგნებული ჰქონდა თავისი უბედურების ნამდვილი მიზეზები. გლეხობა მათთან მისულ, მათი ბედნიერებისათვის მებრძოლ ინტელიგენტებს უნდობლად შეხვდა. ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხალხოსნური მოძრაობისა, პრაქტიკოს-რევოლუციონერი და ბელეტრისტი სოფრომ მგალობლი-შვილი მოგვითხრობს: „მივედი ჩემ სოფელში, იქაურ გლეხებს კარგად ვიცნობდი და კარგ დამოკიდებულებაშიც ვიყავი. შევ-კრიბე, გავუბი ლაპარაკი, რომ მიწა მშრომელი გლეხისაა. გლე-ხებმა ყმაზე ასე მიჰასუხეს: ეპერ; ხელმწიფის ორგულობა როგორ შეიძლება, შენი ჭირიმე, ღვთისგან დაყენებული ჭაცია.“

მართალია მიწა არა გვაქვს, მაგრამ რა ვქნათ, როგორც იქნება შევიყიდით...“ ს. მგალობლიშვილის მიერ მოყვანილი ფაქტი ცალკეული არ ყოფილა. ამას სხვებიც აღასტურებენ. ხალხოსანი შიო დავითაშვილი წერს: „გლეხობა შეტისშეტად დატვირთული იყო მუშაობით, ჩვენთვის ყურის დასაგდებათ მას არ ეცალა, მით უმეტეს ზაფხულის თვეებში<sup>1</sup>“. თუმცა გლეხებს აზრი მიწის ჩამორთმევისა ბატონებისაგან და მათზე გადაცემისა ძალიან მოსწონდათ, „მაგრამ მჭიდრო კავშირი გლეხობასთან ჩვენ მაინც ვერ შევკარით“<sup>2</sup>.

ნიკო ლომოურის მოთხრობის გმირს გიგო ღრუბელაშვილს გზაზე შეხვედრილი დედაბერი ეტყვის: „ნეტა ერთი რას დაეტეტებით, მასხრობთ, ამ მეორედ მოსვლის დროს ვისა სცალიან თქვენთვისა“. მომაკვდავი გლეხი, რომელსაც მისი ბედნიერებისათვის რჩევას აძლევს გიგო ღრუბელაშვილი, ირონიულად და უნდობლად მიმართავს: „ჰეი, ჰეი, როგორ გაგილესია ეგ ენა და! ღმერთია შენი თავდები, შენ ან აღუკანტი იქნები, ან მწერალი“. გლეხი ცრუმორწმუნეა, შეუგნებელი, ეჭვიანი და ადვილად არ ენდობა არავის, რადგან წარსულმა ცხოვრებაშ უნდობლობა ჩაუთესა გულში.

ხალხოსნების ხალხთან, გლეხობასთან დაახლოებას თვით გლეხობა, როგორც ვნახეთ. ხელს არ უწყობდა. გლეხი უნდობლად ეკიდებოდა „ერთობის“ მქადაგებლებს. მაგრამ, გლეხობას თუ შეგნებული არა ჯეოხდა მიზნები ხალხოსანთა ქადაგებისა, მთავრობას კარგად ესმოდა მათი შიზნები და საშიშროებაც, რომელსაც უმზადებდნენ მას. მეფის ერთგული უანდარმერია ზომებს იღებდა და ებრძოდა ხალხის გამოფხიზლების მსურველთ. ჯერ კიდევ 1873 წლის საიდუმლო ცირკულიარით მესამე განყოფილების გამგე შულცი თბილისის გუბერნიის უანდარმთა სამმართველოს უფროსს ატყობინებდა: „უკანასკნელ დროს ცხადი შეიქნა, რომ არასაიმედო პირებმა დაი-

1 შ. დავითაშვილი — ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 30.

2 იქვე.

სახეს მიზნად „რალხში წასვლა“ და იქ სოციალური მოძღვრების გავრცელება<sup>1</sup>“. მთავრობას ეშინია მიძინებული გლეხობის გათვითცნობიერებისა, ეშინია გლეხობამ არ გაიგოს ნაძირები მიზეზები თავისი უპედურებისა, ამიტომ არ სურს, წინააღმდეგია, ებრძვის ჩეცოლუციონერებს.

1877 წელს უანდარმთა შეფი მეზენცოვი რკინიგზის უანდარმთა სამართველოს უფროსს წერდა: „რევოლუციონერები“ მიღიან სოცლის მასწავლებლად, ფერშლებად, ბეჭაებად და საერთოდ იჩჩევენ ისეთ პროფესიას, რომ მდაბიო ხალხთან ახლოს იყვნენ და იქნიონ მათზე გავლენა“.<sup>2</sup>

ასე ფრთხილობდა მთავრობის ერთგული უანდარმერია, მაგრამ რევოლუციონური მოძრაობა მაინც ვერ მოსპო. ბრძოლა რევოლუციონერებსა და მონარქიას შორის იქამდე გამწვავდა, რომ 1881 წელს მარტის პირველს უელიაბოვმა, მიხაილოვმა, ჟეროვსკაიამ, კიბალჩიჩმა და რისაკოვმა მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე მე-2. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილში აღტაცება გამოიწვია მონარქის წინააღმდეგმა ტერორისტულმა აქტმა. სამშაბათს, 1881 წელს, მარტის სამს ქართველი ხალხი უკვე კითხულობდა აკაკის ლექსს:

დღეს მერცხალი შემოფრინდა...

ყურადღებითა და მღელვარებით ეპყრობოდა მთელი რუსეთი იმპერატორის მკვლელების პროცესს. ქართველი საზოგადოებაც ეცნობოდა გაზეთ „დროებას“ საშუალებით პროცესის ანგარიშებს. 1881 წ. № 75 „დროებაში“ უელიაბოვის მიერ სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში ვკითხულობთ: „მე მივატოვე სოფელი და დავრწმუნდი, რომ უმთავრესი მტერი ხალხის მომხრებისა, სოციალისტებისა არის მთავრობა“. ამ რწმენამ ჩამოიყვანა უელიაბოვი პეტერბურგში, რათა ხალხის მტერი იმპერატორი სიცოცხლისათვის გამოესალმებინა. დიდი გავ-

<sup>1</sup> საქ. ცენტ. საისტ. არქივი ფ. 36, № 1, გვ. 79.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 169.

ლუნა მოახლეთა და მღელვარება გამოიწვია ამ პოლიტიკურმა პროცესმა: უელიაშვილი პირდაპირ, ვაჟკაცურად აცხადებდა სა-სამართლოში: „ჩვენ, რევოლუციონერები და მართველობა ერთმანეთის მტრები ვართ, რაღან მართველობა პირდაპირ ვარეულია ამ საქმეში და მიუღომლად განსჯა არ შეუძლიან, ამის გამო უს მთავრობისაგან დანიშნული სასამართლო არ უნ-და იყოს ჩვენი განმასამართლებელი. ჩვენი საქმის დაფასება და განსჯა ხალხს, ანუ ხალხისაგან ამორჩეულ მოსამართლეებს, ნაფიც! ასამართლოს შეუძლიან“.

დაპატიმრებულ ახალგაზრდა რევოლუციონერების ბედი აღელვებდა მოწინავე რუსეთის საზოგადოებას. „ნაროღნაია ვოლიას“ პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა 1881 წელს 10 მარტს აღეჭსანდრე III-ეს მისწერა წერილი, რომელშიც თხოვნითა და შუქარით სთხოვდნენ ყველა პოლიტიკური პა-ტიმრის განთავისუფლებას. „ოქვენ ხედავთ—წერდნენ მეფეს,— რომ ამ ათი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ გან-სვენებული იმპერატორის მთავრობა არ ზოგავდა არც თავი-სუფლებას, არც ყველა კლასების ინტერესებს, არც წარმოე-ბის ბედს, და თვით საკუთარ ლონისძიებასაც, რომ ჩამოეხ-ჩო და ჩაეჭრო რევოლუციონური მოძრაობა, — უკანასკნელი დღითი-დღე შეურყევლად იზრდებოდა, ვითარდებოდა და იქ-რებდა თავის გარშემო რუსეთის საუკეთესო თავგანწირულ შვილებს, რომლებიც ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აწარმოებენ ზელჩართულ, პარტიზანულ ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ... თქვენო უდიდებულესობავ! რევოლუციური მოძრაობა არ არის ისეთი რამ, რაც დამოკიდებულია კერძო პირზე. რეპრესიები, სახრჩობელა, ამ მოძრაობის მოწინავე პი-რების მოსპობა ვერ იხსნის თანამედროვე დრომოჭმულ წყო-ბილებას დაცემისაგან. რევოლუციონერებს ქმნიან გარემოება-ნი, საერთოდ ხალხის უკმაყოფილება, რუსეთის ლტოლვა ახალ საზოგადოებრივ ფორმებისაკენ, მთელი ხალხის ამოწყვეტა შეუძლებელია, არ შეიძლება მისი უკმაყოფილების აღმოფხვრა რეპრესიებით. თუ მთავრობის პოლიტიკა არ შეიცვალა, მოძ-რაობა გაიზრდება, ტერორისტული აქტები გამრავლდება, და-

მოკიდებულება გამწვავდება, დაღუპულთ სამაგიეროდ სამოქმედოთ გამოვიდენ ახალ-ახალი პირები“.

ეს მოწოდება არალეგარულად თბილისშიც ვრცელდებოდა და ნერგულ მდგომარეობას ქმნიდა. იმპერატორმა ოევოლუციონერთა მოწოდება, რა თქმა უნდა, არ შეიწყნარა. ჩამოახრჩო უელიაბოვი, სოფიო პერვოსკაია, მიხაილოვი და სხვები. პეროვსკიას ქალმა მოძლვარს აღსარება არ უთხრა და ჩამოხრჩობის წინ მღვდლის მიერ გაპყრობილ ჯვარს არ ემთხვია.

1881 წელს 3 აპრილს ჩამოახრჩეს სემიონოვის მოედანზე თეთრ სუდარებში გახვეული რევოლუციონერები და მთელს რუსეთში დაიწყო უსასტიკესი შავი რეაქცია.

ასეთი იყო ზოგადად პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი 70-80-იან წლებში რუსეთსა და საქართველოში. ასეთი იყო პოლიტიკური მოღვაწეობა ხალხოსნებისა, რომელთა იდეოლოგიის გამოხატულებას ქართულ სინამდვილეში წარმოადგენდა უურნალი „იმედი“.

საზოგადოებაში 2-3 წელიწადს ისმოდა ხმა „იმედის“ გამოცემის შესახებ. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, მწერალი მიხეილ ასათიანი, მაგრამ ზემოთ გათვალისწინებულმა მღელვარე პოლიტიკურმა ატმოსფერომ საშუალება არ მისცა ასათიანს თავისი აზრის განხორციელებისა. მთავრობა ნებართვას არ აძლევდა უურნალის გამოცემისათვის. 1879 წ. მასწავლებელ ღვინიაშვილის ხელით ტრაგიკულად დაიღუპა ახალი უურნალის გამოცემის ინიციატორი და ხელმძღვანელი მიხეილ ასათიანი, რომლის სახელი სიკვდილის შემდეგაც დაუკავშირდა უურნალ „იმედი“. მიხეილ ასათიანის ლიტერატურული ფსევდონიმიც — იმედაშვილი სემანტიკურად უურნალის სახელთანაა დაკავშირებული და ცხადია, რომ სახელწოდებაც უურნალისა მიხ. ასათიანს ექუთვნის: („იმედი“ — იმედაშვილი).

უურნალის გამოცემა ძლიერ მოხერხდა 1881 წელს, რედაქტორობდა მიხეილ გურგენძე.

მიხეილ გურგენძე (დაბადა 1842 წ., გარდ 1885), რო-

გორც ხალხოსანთა უმრავლესობა, სემინარისტი იყო, მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანად ოდიშის სასულიერო სკოლის ინსპექტორად მახხურობდა. ზოლოს თავი დაანება სამსახურს და „იმედის“ რედაქტორითამდებდა.

„იმედის“ გამოსვლა ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებრიობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია, მან მიიპყრო ხელისუფლების უყრადღებაც, რომელიც დიდის სიფრთხილით ექცეოდა რევოლუციონერ-დემოკრატიულ ურნალს, ცენზურის ხელი სჭრიდა, კვეცავდა და ასახიჩრებდა მასში გამოთქმულ აზრებს. მწერლებმა თვით იცოდნენ, რომ ყველაფრის დაბეჭდვა არ მოხერხდებოდა, ამიტომ წერდნენ იმვვარად, რომ როგორმე დაებეჭდათ. „იმედის“ პირველსავე ნომერში ასეთ შენიშვნას ვხვდებით: „ერთი სტრიქონი ლექსისა წავშალეთ, რაღან იმის დაბეჭდვა შეუძლებელი იქნებოდა“<sup>1</sup>.

საცენზურო პირობები მეტად აწუხებდა უურნალს, რომ თავისი აზრი მკვეთრად და ნათლად გამოემუდავნებინა ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ამ მდგომარეობას სჩიოდნენ ცენზურისაგან შეწუხებული თანამშრომლები „იმედისა“. სტეფანე ჭრელაშვილი წერდა: „ლმერთმა ამოაგდოს ძირიანად ის გარემოება, რომელმაც ქართველი კაცი აიძულა, რომ შეედგინა ანდაზა: „თევზმა სთქვა, სალაპარაკო ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო<sup>2</sup>“.

რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია „იმედს“, ჩანს ცენზორის ლუკა ისარლოვის საცენზურო კომიტეტის წლიური ანგარიშიდან. „იმედის“ პირველი ნომერი, — წერდა მთავრობის ერთგული ცენზორი, — ყუმბარასავით გასკდა და თოფის წამლის სუნი დააყენაო<sup>3</sup>.

„იმედის“ რევოლუციონურ-დემოკრატიული მიმართულებისა, მთავრობის რეაქციონურობისა და ცენზურის სიფრთხილის შემდეგი იყო, რომ „იმედისათვის“ გამზადებული უამრავი მასალა დაუბეჭდავი რჩებოდა. ზოგჯერ ცენზორის თავხე-

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, იური... წ. IV.

<sup>2</sup> „იმედის“, 1882 წ. № 7-8.

<sup>3</sup> პ. გუგუშვილი, „ქართული წიგნი“, გვ. 246.

დობა კურიოზობამდე მიღიოდა, მაგ. ლ. ისარლოვმა მიხეილ  
ასათიანის ნაწარმოებიდან ლექსი ამოიღო და თავისი ჩატრანსლაცია  
1882 წლის თებერვლის ნომრიდან ცენზორს ამოუღია: წერილი და გადასაცემი განი შენიშვნები — სტ. ჭრელაშვილისა, შინაური მიმოხილვა —  
მ. გურგენიძისა, „იმედის“ ფოსტა — რედაქციისა და შეუ-  
მოქლებია დაბეჭდილი სტატიები. სტეფანე ჭრელაშვილი ცენ-  
ზორის მიერ აკრძალულ წერილში წერდა: „დამავიწყდა, რომ  
ჩვენში წერა შეიძლება მხოლოდ იწილო-ბიწილო-შროშანო-  
გვრიტილოზე. შეიძლება უაზრო ლაზლანდარობა ათასნაირ სი-  
სულელეზე და არა რომელსამე გულზე მოსაჭიდ საგანზე, მაღა-  
ლი გრძნობის ამქოთებელ მოვლენებზე სჯა-ბაასი. დამავიწყ-  
და, რომ რა უაშს ამ უკანასკნელ კატეგორიაზე გადახვალ და  
მოიწადინებ რაიმე საყურადღებო აზრის წარმოთქმას, მაშინვე  
მოგცვინდებიან ჭკუის დამკოდველნი, ამოგდებენ პირში ლა-  
გამს, დაგამახინჯებენ, შეგშლიან სახეზე, გაგაძრობენ ტყავსა,  
მერე გყრავენ პანლურსა და გეტყვიან: „მიბრძანდი და ემაგ სა-  
ხით, დაფლეთილი ტანცსამოსით, სულს და ხორც მოკლებული  
ჩონჩხით ეჩვენე შენს მკითხველსა და ვნახოთ რა მოგივაო!“<sup>1</sup>.

ასე დამახინჯებული აღწევდა „იმედი“ მკითხველ საზო-  
გადოებამდე. ყველაფერი, რაც უფრო რევოლუციონური და  
მოწინავე იყო, ცენზორის მსხვერპლი ხდებოდა. ასევე მდგო-  
მარეობაში იმყოფებოდა „იმედი“ და სხვა ქართული ორგა-  
ნოები. მიუხედავად ამისა, „იმედმა“ შესძლო ძირითადად თა-  
ვისი პოზიციების გამომუღავნება. მას ქართველი საზოგადოე-  
ბა ფართოდ გამოეხმაურა, დაიწყო პოლემიკა უურნალ „იმ-  
ედსა“ და „ივერია“, „შრომა“, „დროებას“ შორის. „იმედს“  
ყველა ებრძოდა, სიმართლისა და ჭეშმარიტების დავიწყებას  
უსაყვედურებდნენ, უნიჭოდ აცხადებდნენ და მალე სიკვ-  
დილს უწინასწარმეტყველებდნენ.

აკაკი წერეთელმა „დროებაში“ სასტიკად გააკრიტიკა „იმე-  
დი“<sup>2</sup>, დასცინა „დიაკვნის“ შვილებს“ და, ბავშვური აზრების  
მქადაგებლად მონათლა. „ამ დღეებში უურნალი „იმედი“ გა-

<sup>1</sup> ციტირებული პ. გუგუშვილის წიგნიდან „ქართული წიგნი“, გვ. 248.

<sup>2</sup> „ცხელ-ცხელი ამბები“, „დროება“, 1881 წ. № 44.

მოხოხორიკდა, და მართლა რომ ხოხორიკივით არც თავი ეტ-  
ყობა. და არც ბოლო! რაღაც ნამორია, გამოუკიბიტებელი,  
და მისი ხუროები კი იძახიან: ეს არის ჩვენი ქვეყნის ბედის-  
წერა! დღემდი არც მწერლობა ყოფილა, არც მწიგნობრობა  
და არც ახალგაზრდობაო! ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი გამ-  
თენებელიო, რადგანაც მისთანა ხელობას ვადგევართ, რო-  
დელსაც არც ნიჭი ეჭირვება და არც სწავლა-ხელოვნებაო!“  
აკაქი თავის ფელეტონს იმერული ხალხური ლექსით ამთავ-  
რებდა. ამ ლექსისათვის, ამბობდა აკაკი, „მიუწერთ“ „იმედს“  
დიპლომათ:

ხახაია, ფრახაია,  
თავს აცვია კვახაია!  
მოდით და გამოიცანით,  
პილწია და გლახაია!

„იმედის“ სისუსტეს ზოგი მისი დაარსების ინიციატორი  
მიხეიილ ასათიანის სიკვდილს მიაწერდა. გაზეთ „დროებაში“  
ჭონი წერდა: „იმედი“ იბაჯებოდა ნამდვილი იმედით, მაგრამ  
ყველასათვის ცხადი იყო, რომ დაიბადა უბეჯურს დროს,  
სწორედ იმ დროს, როდესაც მმართველი მოკვდა. დღეს რომ  
„იმედი“ ის არ იქნებოდა, რასაც ვხედავთ, ამას იმედაშვი-  
ლის ლექსები და გაწყვეტილი რომანი ამტკიცებენ“<sup>1</sup>. ზო-  
გი „იმედის“ თანამშრომელთა ლიტერატურულ რეპუტაციას  
ეხებოდა, საეჭვოდ რაცხდა მას და მასხარად იგდებდა. ამის  
შესახებ მიხეიილ გურგენიძე შემდეგსა წერდა: „Фаланга“-ს  
თანამშრომელი სწერსო: „მ. გურგენიძე, გამომცემელი და რე-  
დაქტორი „იმედისა“, ფსევდონიმი ხომ არ არისო? რა აზრია  
აქ, მიხვევრილი ვართ, ვითომ რა არის და გამოუჩენელი  
მწერალიაო“.

წარმოდგენილ კრიტიკაში პრინციპულობა არ ჩანს. მაგრამ  
ამ ბრძოლაში სერიოზული პრობლემებიც წამოიჭრა. დავა  
უურნალ „იმედისა“ და „ივერიას“ და სხვა ორგანოებს შორის  
ორმა პრობლემამ გამოიწვია. ეს იყო კლასობრივი და ეროვ-  
ნული საკითხი. თითოეული პრობლემის გადაჭრა სხვადასხვა  
პრინციპულ ნიადაგზე ხდებოდა და ბრძოლაც აუცილებელი

<sup>1</sup> „დროება“, 1882 წ., № 114.

კუ. ვინ იყო მართალი ამ ბრძოლაში, რა შეაღენდა თითოეული კონცეფციის სუსტადა და ძლიერ მხარეს?

„იმედის“ მიერ წამოყენებული ყველა საკითხი არ იყო  
ხალი ქართული ლიტერატურისათვის. „იმედამზე“ ახალი  
ჭების გამონახვის აუცილებლობა „საქართველოს მოამბემ“  
უნიზრახა მომავლის საკითხი ილია ჭავჭავაძემ დააყენა. ბეღ-  
ისერი მომავლის დასამყარებლად კი აუცილებელი იყო ადა-  
ბიანის დამაშცირებელი ინსტიტუტის — ბატონყმობის გაუქმე-  
ნა. ბატონყმობაც დაპირ ილიამ და გლეხის გათავისუფლებას  
მაღლვებელი ნაწარმოებნი უძლვნა. ილიამ იცოდა და მას  
შემდგა, რომ XIX საუკუნეს ხვდა წილად ძელი ქვეყნის  
ჭების დაქცევა და „შრომის სუფევის“, ძმობის, ერთობის,  
თვისუფლების დამყარება. გლეხობის მრავალ ტკივილს შეეხო-  
ლია და დაიცვა უსაბუთოდ და უსამართლოდ დაჩაგრული  
დამიანი. მას მხარს აძლევდა პლეაზა ახალგაზრდა მებრძო-  
ში „თერგდალეულებისა“. ხალხოსნური იჯეების თესლი სა-  
ქართველოში პირველად დ. ჭოქაძესთან ერთად ილია ჭავჭა-  
ვაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა „თერგდალეულებმა“ დას-  
თესეს. ისინი იბრძოდნენ გლეხთა გათავისუფლებისათვის, ბა-  
ტონყმობის წინააღმდეგ. ამით ისინი საკმოდ რადიკალურ-  
ემოციატიულ პოზიციებზე იდგნენ. 70-80-იან წლებში  
ბეგომარეობა შეიცვალა, მაგრამ ეკონომიური წინააღმდეგო-  
ბანი არ მოხსნილა, უფრო გამძაფრდა და გამწვავდა. რლია ჭა-  
ვჭავაძის რადიკალობაზე და რევოლუციონერობაზე სხვაგვარი-  
სისიათი მიიღო. „იმედის“ ჯგუფი პირველი არ იყო გლეხო-  
ბის საკითხის წინ წამოწევაში. 60-იან წლებში „თერგდალე-  
ულთა“ ნამოღვაწარმა მას ტრადიცია შეუქმნა. „იმედის“  
გზუფმა გააგრძელა ის რაზიკალიზმი, რომელიც 60-იან წლებ-  
ში „თერგდალეულებმა“ წამოყენეს, მათ გააგრძელეს და შე-  
უფარდეს ახალ ვითარებას, რადგან ბატონყმობის მარტო უარ-  
შოფითი დახასიათება, როცა ის უკვე აღარ არსებობდა, რა-  
დიკალობისათვის საკმარისი არ იყო. ასლა რადიკალურ-რევო-  
ლუციონერ მოღვაწეს ეკონომიურ „ბატონყმობის“, ეკონო-

მიური უსამართლობის და წინააღმდეგობის შოსპობისათვის  
უნდა ებრძოლა. ასეც მოხდა, მაგრამ „თერგდალეულთა“ ნ.  
მოღვაწევი მაინც ფაქტად ჩეხება, რამაც ნიაზაგი მოუმზადა  
ზალხოსან ჩევოლუციონერებს. საფუძვლიანია პროფ. მიხ.  
ზანდუკელის მოსაზრება, რომ „თერგდალეულთაგან“ „ცისკარ-  
სა“ და განსაკუთრებით „საქართველოს მოამბეში“ გამოთქ-  
მულ სურვილებსა და მისწრაფებებში და აგრეთვე ამ პერიო-  
დის ლიტერატურულ შემოქმედებაში, შესაძლებელია დავინა-  
ხოთ დასაწყისი ჩვენი ხალხოსნობისა<sup>1</sup>.

„თერგდალეულებსა“, რომლებიც ამდენს და ასეთ სიცპატიით  
შერდნენ გლეხთა შესახებ, და ხალხოსნებს შორის ბევრი ასე  
არის საერთო, ამას გრძნობდა პროფ. ალ. ხახანაშვილიც, რო-  
ცა წერდა: „Грузинские народники могли бы сказать, что  
они вышли из-под чавчавадзевской песни пахаря.<sup>2</sup>  
ისე მჭიდროდაა ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთთან დაკა-  
შირებული, რომ ხშირად, განსაკუთრებით ბელეტრისტების  
დახასიათებისას, სჭირს თუ რომელ მიმღინარეობას მიაკუთ-  
ნო ესა თუ ის მწერალი. მაგ. ძნელი გადასაწყვეტია ეკ. გაბაშ-  
ვილი ხალხოსანია თუ თერგდალეული? რაფიელ ერისთავი...  
თუ ეკ. გაბაშვილი ხალხოსანია, განა ილია ჭავჭავაძე ნაკლებ  
ხალხოსანი იყო? მან პირველმა და ყველაზე მძლავრად ის  
აღიმაღლა ხმა გლეხთა დასაცავად? ამდენად, ახლოს დგას ეს  
ორი მიმდინარეობა, ასე მძლავრად იჭრებიან მათი ინტერესე-  
ბი და მოსაზრებანი ერთმანეთში და ართულებენ პრობლემას.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, სხვაობა ამ ორ მიმღ-  
ნარეობას შორის მაინც არსებობს. ზერელე შეხედვით თით-  
ქოს სხვაობა მხოლოდ ამ ორი ჯგუფის ტაქტიკასა და მეთო-  
დებში მოჩანს, მაგრამ დაკვირვებული ადამიანი მეთოდსა და  
ტაქტიკაში იღეოლოგიურ სხვაობასაც დაინახავს. პირველი  
თავისებურება „იმედის“ ჯგუფელებისა იყო მათი სოცია-  
ლური წარმოშობა. ამით ემიჯნებოდა „ამედი“ ძეველ თაობას.

<sup>1</sup> მიხ. ზანდუკელი — „თერგდალეულნი“ და ხალხოსნები ქართულ  
ლიტერატურაში“, გვ. 149.

<sup>2</sup> იხ. მიხი „Очерки...“ ტ. IV.

ახალი თაობა, „იმედის“ ჯგუფი ხელავდა, რომ ძველი თაობის, 60-იანი წლების მოღვაწეთა უმრავლესობა თავრუანული ნაურული წრიდან იყო წარმოშობილი, თითონ კი „ლარიბრ გლეხისა და ლიაკვნის შვილები იყვნენ. მაგრამ შარტო სოციალური წარმოშობა როდი გულისხმობს იდეოლოგიური სხვაობის აუცილებლობას. მხედველობაშია მისაღები მომენტი — „იმედის“ მწერლების მიერ თავის გამართლება, რომ ხელში ჩანგური ჭერ არ მჭერია, გლეხის შვილი ვარ და არა აზნაურისა — ვერ ხსნიდა ავტორს იმ შეცოდებას, რომელსაც ის ესთეტიკის წინაშე სჩაღიოდა. განა ფშაველი, ან ხევსური გლეხი მათქვამების, ან ქართლელ-კახელი გლეხი მოშაირების ლექსები მზარე ლირსებისანი არიან? „იმედის“ ჯგუფი სხვა მხრივაც ცდილობდა მესამოციანეთაგან გამიჯვნას. მიხ. ასათიანის (იმედაშვილის) ლექსში — ბარათი პეტერბურგიდან, ვკითხულობთ.

ის ჭია, რაიც თერგის ნაპირზედ  
ილიას „მგზავრსა“ გულს ულირნიდა,  
ეხლა სრულიად მე არ მაწუხებს...

ეს კითხვები იმედაშვილს განაჭრილად მიაჩნია. მას მხოლოდ ეს აწუხებს: მიუშვებენ კი ხალხთან სალაპარაკოდ, მისცემენ ნებას ხალხთან მისვლისას. ხსენებული მომენტები მიგვითავებს „იმედის“ ჯგუფის წინა თაობისაგან გამიჯვნაზე. მაგრამ პრინციპულობამდე ვერ აღის, ვერ გვიჩვენებს მაინც იდეოლოგიურ-პრინციპულ სხვაობას ამ ორი მიმართულებისას, დავასა და ბრძოლას თერგდალეულთა და „იმედის“ ჯგუფებს შორის ორი პრობლემა — ეკონომიური და ეროვნული პრობლემა იწვევდა.

„იმედის“ ჯგუფის პროგრამის მთავარი ძარღვი იყო რეფორმის შემძეგ უმიწოდ დარჩენილი გლეხებისა და ნაბატონარის ურთაერთობა. მას უპირველეს საკითხად მიაჩნდა იმ წინა-აღმდეგობის განაჭრა, რომელიც არსებობდა გლეხსა და ნაბატონარს შორის. მოსპობა ეკონომიური პრივილიგიებისა, რომელიც რეფორმამ თავადაზნაურობას დაუტოვა, ეს ჯგუფი ცდილობდა ამ წინააღმდეგობის დაუყოვნებლივ გადაჭრას მე-

მამულეთა მიწების გლეხობისათვის გადაცემით. ამით ეს აქტავნებდა გლეხური რადიკალურ-რევოლუციონურ იდეოლოგიას. გამოდიოდა რა ამ კონცეფციიდან, „იმეჭირ“ ჯგუფის იხალავდა საქართველოს წარსულსა და იქაც პპოვებდა სასტიკ წინააღმდეგობას ქართველ თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის. ამ ჯგუფს არა ნაკლებ აწუხებდა საქართველოს ცხოვრების მეორე საკითხი — ეროვნული საკითხი. ამ საკითხის განხილვისას „იმეჭირ“ ჯგუფი დაბნეულობას იჩენდა. ვერ ითვალისწინებდა ეროვნულ ჩაგვრას და რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მთელ სისასტიკეს, საქართველოს თავისებურებას. არსებული სინამდვილის გამო „იმედს“ არ შეეძლო უარეყო ეროვნული ჩაგვრის არსებობა, მაგრამ ვერ ქმნიდა სათანადო პროგრამას. უურნალ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თავმოყრილი უკვენენ პროგრესისტი მწერლები. „ივერია“ ეხმაურებოდა გლეხთა საკითხს, მასში იბეჭვებოდა გლეხთა ცხოვრების ამასხველი ნაწარმოებნი, თანამშრომლობდნენ ისეთი მწერლები, როგორიც იუკვენ ილია ჭავჭავაძე, ეკ. გაბაშვილი, ალ. ნანეიშვილი, ნ. ლომოური, ნ. ხუდაური, რაფიელ ერისთავი... „ივერიაში“ გაისმოდა გლეხურ-ხალხური მოტივები, ბერუას და თანამდებობის ფიქრები, მაგრამ მაინც ძირითადი „ივერიაა“ და მისი რედაქტორის ილია ჭავჭავაძისათვის იყო ეროვნული პრობლემა. „ივერიის“ უროშახე სამშობლოს საკითხი ეწერა. „ივერია“ და ილ. ჭავჭავაძე გლეხთა მდგომარეობის ასახვას მართალია, დიდ აზგილს უთმობდნენ, რადგან ილიაც ყველა სოციალურ ფენებიდან ყველაზე ჯანსაღი გლეხობა მიაჩნდა, მაგრამ მას ბოლომდე რადიკალურად ვერ წყვეტილნენ.

ხალხოსნებმა „ივერიის“ ეკონომიური პროგრამა თავისას დაუპირისპირეს. მიხეილ გურგენიძე „შინაურ მიმოხილვაში“ წერდა: „განსაკუთრებით იმერეთის თავაზაზნაურობისაგან ძნელი მოსალოდნელია რაიმე სიკეთე თემობისათვის, როდესაც ვხელავთ მათ და გლეხებ-შუა შეურიგებელ განხეთქილებას და მამულების თავობაზედ ჩეხა-ულეტს. არა საათობით და დღობით გაგრძელდნებიან ხოლმე იქ ამ გვარი ომები, როგორც ეს ხდება ხოლმე ქართლ-კახეთში, არამედ მთელი კვირაობით და

თითქმის ოვეობითაც, რის მაგალითსაც დღესაც ვხედავთ სე-  
ნაკის მაზრაში — თავადთ მიქელაქეთ და მთელი საძი სოფლის  
გლეხებ შუა—ბრძოლაში“<sup>1</sup>... „გლეხ-კაცობა უყურებს, თავად-  
აზნაურობას არა როგორც ძმას, არამედ როგორც მტერს. თა-  
ვადს და აზნაურს რომ სახლი ეწოდეს, ან ვენახი თავის დროზე  
არ უკეთდებოდეს, ან ყანა მოუმკალი და გაულეშავი რჩებო-  
დეს და გლეხი კი სრულიად მოცლილი იყოს — დასითაც ხში-  
რად არ ეხმარება ხოლმე“. მდგომარეობის გაწორება ავტორს  
შეუძლებლად მიაჩნია. „თუ ყველა წოდებას ეკონომიური  
მდგომარეობა ცოტაც არის არ შეთანასწორდა“. ხელისუფლე-  
ბამ, რეფორმამ, — სამართლიანად ამტკიცებდა „იმედის“ ჯუ-  
ფი, გლეხობა ფორმალურად გაათავისუფლა „ნამდვილი თა-  
ნასწორობისათვის, — წერს ნ. ხიჭანაშვილი, საჭიროა თავი-  
სუფლება ეკონომიური და სხვაგვარი. იქ, სადაც გლეხი დროე-  
ბით გალდებულია თავის ბატონისა, კათოხის წინაძე თუ ა-  
წორობას უფრო თეორეტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე  
პრაქტიკული, აქ თანასწორობა კარგი და მშვენიერი სიტყვა  
არის და არა განხორციელებული პრინციპი“<sup>2</sup>. ეკონომიურ  
უთანასწორობაზე აღმოცენებულ წინააღმდეგობას „იმედის“  
ჯუფი აწყობიც აღიარებს და მის წინააღმდეგ იბრძვის. იგი-  
ვე ჯუფი იბრძვის ილის თეორიის წინააღმდეგ, თითქოს „წო-  
დებათა უფლებას ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკისა, კუ-  
ლება, — რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის გან-  
ხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც  
არც ზნეობით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც  
ჩვეულებით ჩვენი თავადაზნაურობა არ დაშორებია ხალხსა.  
ზალხოსნები ამ აზრს, რა თქმა უნდა, ვერ გაიზიარებდნენ. ამ  
მოსაზრების წინააღმდეგს ამტკიცებს სხვადასხვა გამოკვლევე-  
ბი, მაგ.: ნ. ხიჭანაშვილისა („უფლება და კანონი ძველ საქარ-  
თველოში“), ვახტანგის, აღბუღას კანონები, მრავალი სიგელი და  
გუჯარი და მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება. გლეხობა გრძნო-  
ბითაც, აზრითაც, მიმართულებითაც დაშორებული იყო თავად-

1 იმედი, 1881 წ. № 6.

2 5. ხიჭანაშვილი, ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი, „იმედი“, 1882 წ. № 3.

აზნაურობას. თავადაზნაურობას თავისი ეკონომიური ინტერესი პქონდა გლეხობის ინტერესის შეუფერებელი. გლეხი ვალდებული იყო შემდეგი გადასახადი ეძლია მეფისა და ბაჟინისათვის: „სამეფო გამოსაღები და სათხოვარი, ლალა, უსლუბის, ბეგარა, კოდის პური, საბაზიურო, სანაცვლო, სამოხელო, ლაშქარნაღირობა, გადასახადი სათვალო, სააზნაურო, საერისთავო, სათათრო, სასპასალარო, სამანდატურთუხუცესო (Министра двора), ულაყი, საბალახო, კრავი, ყველი, სამეჯინიბო, ბზე, ქერი, ავილისა და კვიცის მიბარა, ცხენი, ბაჟი და სეფის მუშაობა, მკა, ხვნა, ლეწვა, ნახშირი“... პროფ. ალ. ხახანაშვილი გლეხის ვალდებულებას სამოცამდე ჩამოთვლის და დასძენს: „აქ შეგვიძლიან შევჩერდეთ და მკითხველის სჯაზედ მივავდოთ გარჩევა, რამდენად ძნელი და შეუძლებელი ტვირთი ედო ჩვენებურს ყმას წარსულში. ეს კი უნდა დაიგიხსომოთ, რომ აქ ჩამოთვლილი ხარჯი სრული არ არის და ვინც მოისურვებს ამ საგნის დაწვრილებით გაცნობას, ვურჩევთ მიპმართოს Brosset-ს (Introduction, 170-176), რომელსაც ანგანზე ჩამოთვლილი აქვს 120 გადასახადი“.

როგორც ვნახეთ, მიზეზი გლეხთა და თავადაზნაურთა შორის უთანხმოებისა რეფორმამდეც არსებობდა საქართველოში და რეფორმების შემდეგაც, როგორც მ. გურგენიძე წერდა — მტრობა და შულლი თავადაზნაურებსა და გლეხებს შორის მინამ არ მოისპობოდა, ვიდრე მათი „ეკონომიური მდგომარეობა ცოტაც არის არ შეთანასწორდა“.

საქართველოს წარსულს საყურადღებო მეცნიერული გამოკვლევა უძლვნა ნიკო ხიზანაშვილმა — „უფლება და კანონი ძველ საქართველოში“. ამ გამოკვლევით ნ. ხიზანაშვილი დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძის „ცხოვრება და კანონს“ და ი. გოგებაშვილის სვიმონიძის ფსევდონიმით „ივერიაში“ დატამბულ წერილს („რანი ვიყავით გუშინ“, „ივერია“, 1881 წ., № 81). ნ. ხიზანაშვილს მოკყავს ციტატა ი. გოგებაშვილის სტატიიდან — ძველად ჩვენი სიკეთე იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხი „სარგებლობდა იმისთანა განწყობილებით წოდებათა შორის, რომელიც ხალხს ამხნევებდა და აღვილავ ატანინებდა გარეგან გაჭირვებასთ“. ნ. ხიზანაშვილი „ცხოვრება და კანონ-

ში” გამოთქმულ მოსაზრებათაც ითვალისწინებს და ეკამათება ჭავჭავაძესა და გოგებაშვილს. „ჩვეს შერლებს ხელში არმაზული აღოთ თუნდა მარტო ვახტანგის სამართალი და თვალი გარდა ევლოთ მისთვის, მაშინ სრულიად უარყოფლნენ იმ საოცარს იურიდიულ პარადოქსს, რომელიც ამბობს, — გლეხის და თავადის შორის მარტო ის განსხვავება იყო, რომ თავადი ბრწყინვალებით იხსენიებოდა“, — „ჩვენი უფლება და კანონი ცხადად გვიჩვენებენ, რომ საქართველოს წარსული ცხოვრება აშენებული იყო წოდებრივ სხვადასხვაობაზე და გლეხი ყველაფრით განირჩეოდა თავადისგან და სხვა წოდების წარმომადგენლისაგან. განსხვავება დაწერილი იყო არა თუ მარტო კანონში, არამედ ცხოვრების სინამდვილე ამ განსხვავებას უჩენებდა, ამტკიცებდა“<sup>1</sup>. ამ წერილის გაგრძელებაში, ნ. ხიზანაშვილი წერს: „შესანიშნავ მოვლენას ჩვენი წარსული ცხოვრებისას შეადგენა ის ფაქტი, რომ არათუ მთელი ცხოვრება წოდებრიულად იყო განწყობილი, არამედ თვით წოდება, როგორც იურიდიული ერთეული, სხვადასხვა ნაწილებად იყოვადა“... „სხვა წოდებათ რომ თავი დაგანებოთ და გლეხ-კაცობა ავილოთ, აქ შევხვდებით იმ მოვლენას, რომ თვით გლეხ-კაცობა, როგორც წოდება, მრავალგვარი იყო და ასეთი თუ ისესი წოდების და ღირსების გლეხ-კაცს თავისი საკუთარი ადგილი ეჭირა“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ კონცეფციას მარტო „იმედის“ ჯგუფი არ დაპირისპირებია. „ცხოვრება და კანონის“ საწინააღმდეგო წერილს ვხვდებით უურნალ „ივერიაში“, რომლის რედაქტორიც თვითონ ილია იყო. ნიკო ხუდადაშვილი (ხუდადოვი) წერილში—„უსაფუძვლო წადილი“<sup>3</sup>, აკრიტიკებდა ილიას მოსაზრებას წარსულში და აწმყოში წოდებათა შორის წინააღმდეგობის არ არსებობის შესახებ. „არც ჩვენი წარსული ისტორია გვაძლევს ნებას ამ აზრის დაფუძნებისას, რომ ვი-

<sup>1</sup> 6. ხიზანაშვილი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი“, 1882, წ. № 11-12.

<sup>2</sup> 6. ხიზანაშვილი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში. „იმედი“, 1883 წ. № 2.

<sup>3</sup> „ივერია“, 1881 წ. № 7.

თომ ჩვენთ წინაპართ ცხოვრებაში, თავად-აზნაურობის და გლეხობას ერთი და უიუკე სალითით და სამწუხარო ჰქონდა-თო... „საქართველოში იატოს-ყმობა გაიოინატა იმავე სასტიკის ფორმებით, როგორც უკავებში“... „ჩვენში არ ყოფილა წოდებათა შორის ის ნადიმობა, მეგობრობა, რომელიც ბ. ჭავ-ჭავაძის სიტყვით, თურმე სუფევდა და სუფევს კადეც თავად-აზნაურობასა და გლეხთა შორის“. „განა ჩვენგან ნათქვამი ჭე-შმარიტება თითონ ბ. ჭავჭავაძემ არ იცის. განა თავის ლელა აზ-რის შეცდომილებას თითონვე არ არის მტკიცებ დარწმუნებული? სწორედ რომ არის და სხვაზედ ნაკლებადაც არა! თო-რებ როგორ, რა რიგად და რა მაზეზით შესთხზავდა თავის „ყაჩალს“, რა გრძნობა დააწერინებდა „გლახის ნამბობა?“.

ილიას კონცეპციას სუსტი მხარის კრიტიკა, როგორც ვნა-ხეთ, მარტო „იმედის“ ფურცლებიდან კი არ წარმოებდა, არა-მედ ილიას უურნალი „ივერიაც“ ხმას უერთებდა „იმედს“ ეკ-ონომიურ საკითხის შესახებ ილიას საწინააღმდეგოდ გამოთქ-მულ აზრს.

ილია, როგორც ნ. ხუდადაშვილიც წერდა, რა თქმა უნდა, ხელავდა თავადაზნაურობისა და გლეხობის შორის გათიშვას, მათ შორის „ჩატებილ ხილა“, იმასაც, რომ გლეხობა უფრო კე-თილშობილია, რადგან იგი მშრომელი წოდებაა და ქვეყანა კი იმისია, ვანც შრომობს. სხვანაირად ილია ვერ იქნებოდა ავტო-რი „კაკო ყაჩალისა“, „გლახის ნამბობია“. წერილში „საქარ-თველო“ 1876 წ. ილია წუხილს გამოთქვამს, რომ არ არსებობს მთლიანი საქართველო, იგი დანაწილებულია ეთნოგრაფიუ-ლულად, დაქსაქსულია, დაუკარგავს ეროვნული შეგნება. ტომო-ბრივ დანაწილებას გარეუ ილია საქართველოში სოციალურ დანაწილებასაც აღიარებს — „არიან თავადნი, აზნაური, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყვე-ლანი არიან და, ქართველი კი არსად არის“... კლასთა შორის წინააღმდეგობანი ილიასთვის ფაქტია, სწუხს ამის გამო. მისი სიმპათია გლეხობის მხარეზეა, მაგრამ გამოსავალს, სწორ გზას „ჩატებილი ხილის“ გასამთელებლად ვერ პოულობს. მისი ეკონომიური პროგრამა ცხოვრების მოთხოვნილებას ვერ უპა-სუხებს. „ხილჩატებილობის“ პრობლემა ილიამ შემდეგ „ოთა-

რაანთ ქვრივშიც” წამოჭრა. მან კიდევ დაამტკიცა რომ ხედა-  
ვდა ხილჩატეხილობას, ძაგრას ასიც გვიჩვენა, რომ მის მიერ  
დასახული გზა „ხილის გამთელებისა“ არ გამოღვებოუნ. სიყ-  
ვარული, მართალია, დააიცადა კლასობრივი წინააღმდეგობის  
მორიგებისა, მაგრამ ილია ოიქრობს — წინააღმდეგობანი შე-  
საძლოა ნამუსიანობამ, შეგნებამ და თავადაზნაურთა მონანიე-  
ბამ მოარიგოს.

სრულიად სწორად გაიგო დავით სოსლანმა (კეზელმა) ილია  
ჭავჭავაძის მოთხრობის სუსტი მხარე. „ოთარაანთ ქვრივის“  
განხილვისას 1888 წელს იგი წერდა. „ჩატეხილი ხილის გამთე-  
ლება, რომლისთვისაც ისე გოდებენ არჩილი და კესო და მათი  
შერიგება მოხერხდება მხოლოდ იურიდიულ და ეკონომიურ  
ნიადაგზედ, ამიტომ, რომ დაშორების მიზეზი უფლების წართ-  
მევა და ეკონომიური დაჩაგვრა ყოფალა. როდესაც კესო თა-  
ვის საუკეთესო ნაფუძარს, საჯაც ყვავილები დაუთესია, ერთა  
რომელიმე ბოგანო ბერუას დაუთმობს, რომელსაც შეუძლიან  
წლის სარჩინ გამოიტანს, — და თითონაც იმის მაგირ, რომ  
განთიადიდან ბინამდე ყვავილებსა სუნავდეს, თავის ძმას არ-  
ჩილს დღეში სამხერ აყიდებული ხურჯინათ ჯერს მოუტანს ყა-  
ნაში და იმასაც იქ ნამგალი ეჭირება, აბე ძაშინ გამთელდება ეს  
ჩატეხილი ხილი“. ცრემლიო, რომლითაც ჰერიტაჟი წილი გაამ-  
თელონ „მშრალი კოვზია და მშრალი კოვზი ხომ ხახასა  
ჰერეს“—ო.

ასეთი პრინციპული დავა წარმოებდა „იმედსა“ და „ივერი-  
ას“ შორის და ასეთი იყო ამ დავის ეკონომიური საფუძვლები.

ეკონომიური პრობლემის გვერდით საქართველოში ეროვ-  
ნულ-პოლიტიკური პრობლემაც იღვა. ამ საკითხშიც ორ უზრ-  
ნალს — „ივერიას“ და „იმედს“ ჰქონდათ საერთო ადგილები,  
მაგრამ ემიჯნებოდნენ კიდეც ერთმანეთს. „ივერია“ სწორად  
ითვალისწინებდა კოლონიური საქართველოს უნუგეშო მდგო-  
მარეობას, ქართული ენის ჩაგრას. საქართველოს ეროვნული  
სხეული ასიმილაციის შიშის ქვეშ იღვა. ქართული ენა განი-  
დევნა დაწესებულებიდან, სკოლიზანაც თანდათან იდევნებო-  
და, ბოლოს ოჯახებიდანაც, ამიტომ „ივერია“ დიდ ყურადღე-  
ბას აქცევდა ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვას და მეზღ-

რად ებრძოდა შემოტევას. სამშობლოს იდეა იქცა მთავარ, ღვ-  
რძეულ პარობლეუსად „ივერიისათვის“, რაც გამოიხატა როვოჩიც  
პოლიტიკურ წერილებში, რამ ზენადაც ცენზურა ფრთის წებას და-  
ლევდა, ისე მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა უამრჩევის

სხვაგვარ პოზიციაზე იდგა „იმედის“ ჯგუფის ერთი ნაწილი,  
ისინი ხელავდნენ, რომ მართლაც საქართველოს მდგომარეობა  
თავისებურია, იგი იჩაგრება, მაგრამ მწერლობის ქადაგება პატ-  
რიოტული გრძნობების გაღვიძებისათვის საჭირო არ არის.  
პატრიოტული გრძნობა ბუნებრივი გრძნობაა და მის შესახებ  
წერა ზედმეტია და, რომ „ივერია“ საქართველოს ეროვნულ  
საშიშროებას აზვადებს. აქელან გამომდინარე, „იმედი“ ნი-  
ჰილისტურად უარყოფდა ჩვენი მესამოციანელების დიდ დამ-  
სახურებას ეროვნული გრძნობის გამოფხიზლების საქმეში.  
სტეფანე ჭრელაშვილი წერდა: „ეროვნული აღზრუს წადილი  
ჩვენმა დაკუდავებულმა მწერლობამ კი არ აღძრა ქართველ სა-  
ზოგადოებაში, არამედ ქართველმა საზოგადოებამ თითონ მია-  
ღწია ამ წალილამდის და მწერლობამ მხოლოდ მისცა ბანი, თა-  
ნაც ძალიან სუსტი, ჭლექი ბანი“.<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძის ნაწერების  
პატრიოტული კილო, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის  
და ქართული ენისათვის ბრძოლა სტ. ჭრელაშვილს უსაფუძ-  
ლო და ზელმეტ მოვლენად მიაჩნია, რადგან ყოველი ქართველი  
ბუნებით პატრიოტია და მას აღვზნებული და განვითარებული  
აქვს ეს გრძნობაო. ქართველი კაცისა ვის იმის ჩაგონებას, რომ  
იგი ქართველია და არა ჩინელი, სტ. ჭრელაშვილის აზრით, „არა  
აქვს არც მომავალი და არც აწყვო, მას არ შეუძლიან მისცეს  
აღამიანს არავითარი აზრი, რადგან ყოველ კაცს ძალაუნებუ-  
რად უყვარს თავისი სამშობლო — ეს სიყვარული ბუნები-  
თი თვისებაა, ეს ჩანერგილია თვით მზრუნველი ბუნების ხე-  
ლით“<sup>2</sup>. ეს მოსაზრება სტ. ჭრელაშვილმა აღრეც გაძოთვება<sup>3</sup>. „არ  
შეიძლება კაცს არ უყვარდეს თავისი სამშობლო და ამიტომ  
არ იყოს მამულიშვილი. მაშასადამე, ამ საგანზე ჩვენ შეგვიძ-  
ლიან სამუღამოთ შევწყვიტოთ ბასი. ვინც ამაზე კიდევ ამოი-

<sup>1</sup> სტ. ჭრელაშვილი, დამტვრეული ოცნებანი, „იმედი“, 1882, № 3.

<sup>2</sup> სტ. ჭრელაშვილი, კინტობა „შრომაში“, „იმედი“, 1882 წ. № 5.

<sup>3</sup> „იმედი“, 1881 წ. № 10—11—12 „მამულიშვილი“.

ლება ხმას თავ-მოწონებით, იმას უყუროთ ისე, როგორც ორი  
წლის ყმაწვილს, რომელსაც უკვირს, რომ ამას „ოლი-ოლი თა-ჯული  
ლი“ ჰქონია, „კიშებიც“ ჰქონია...“

წინააღმდეგობის უკინით გატაცებულ სტ. ჭრელაშვილს  
მხედველობიდან რჩება საქართველოში არსებული მდგომარე-  
ობა.

ეროვნული გრძნობის გაღვიძებას ცდალობენ ძველი პო-  
ტები, — წერდა სტ. ჭრელაშვილი, — „თითქოს ქვეყანაზე,  
გარდა ათასში ერთი მახინჯებისა, მოიძებნებოდეს საღა კაცი,  
რომელსაც ან თავისი სამშობლო არ უყვარდეს ან და იმისი  
ენა, ანუ კიდევ თითქო მოიძებნებოდეს რომელიმე სულელი.  
რომელიც ჩვენ მოგვეზავება ან ენას და ან სხვა რამე ქარ-  
თულს, ან გინდა მოძებნილიყოს ასეთი სულელი, თითქოს  
იმას შეეძლოს, რომ წაგვართვას, გამოვლენოს ისა, რაც ჩვენ  
სხეულს შეუთვისებია და ბუნებათ გადაუქცევია?“<sup>1</sup>

საერთოდ, ბუნებით ნიჭიერი სტ. ჭრელაშვილის ეს მსჯელობა არ არის საფუძვლიანი. მტკიცება, რომ შეუძლებელია ეროვნებისა და ენის მოპობა, აბაურიდა. ამის საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს, მსოფლიო ისტორიას რომ თავი დავანებოთ, საქართველოს წარსული და ქართველი ტომები, რომელთაც ენა და ეროვნება დაკარგდს. რაც შეეხება კონკრეტულად 80-იანი წლების საქართველოს, სტ. ჭრელაშვილი იქაც ცდება, — „ენას ვინ გვეჯავებაო“. რაც შეეხება იმას, რომ პატრიოტული გრძნობა ბუნებრივი გრძნობაა და მის შესახებ ლაპარაკი საჭირო არ არის, არაც ეს იყო ისტორიულად გამართლებული. მართლაც, პატრიოტული გრძნობა, შექმნილი გარკვეულ პირობებში. სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში ხანგრძლივი ზედმოქმედებით შესაძლოა მოისპოს, მთავრობა შეგნებულად ცდილობდა ქართული ეროვნული ოვათ-შეგნების გაქრობას, ქართველი ხალხის უმრავლესობა სასტიკებრიდ და გმირულად იბრძოდა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ნაწილი ქართველი საზოგადოებისა, განსაკუთრებით თავაზაზნაურობისა, ივაწყებდა ქართულ ენას და ეროვნულ გრძნობას. ზოგსაც შეუგნებლად, სტაქიურად ითრევდა

<sup>1</sup> სტ. ჭრელაშვილი, ქართული მწერლობა, „იმედი“, 1881 წ. № 1.

ცხოვრება ყოველდღიურად და მშობლიურ საფუძვლებს აშორებდა. მაგრამ თავადაზნაურობაში იყო ნაწილი, რომელიც სრულიად შეგნებით უარყოფდა ქართველობას და ცრუვხლი ასამილაცის მომხრე იყო. ამ მოვლეაბს ჭერ კავალ ნ. ბარათაშვილმა მიაქცია ყურადღება და ასე გამოხატა ეროვნების უარმყოფელი ქართველი ქალას აზრი:

რის ქართველობა, რა ქართველობა!

მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?

ეროვნების შეგნებულად უარმყოფელი შიმდინარეობა ჩვენში ძალიან მცირე, მაგრამ მაინც, სამწუხაროდ, იყო, რაც მთავრობისათვის საფუძველს — ჯასაყრდებს წარმოადგენდა და საშიშ ძალად იქცეოდა ძლიერი მოკავშირის — მთავრობის ხელში. იმ თავადაზნაურულა სამშობლოს უარმყოფელი წრის განწყობილებას გამომჟღვნებას წარმოადგენდა მუხრანსკის წიგნი „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц!“. წვრილ ეროვნებათა მძლავრ ეროვნულ ერთეულში აუცილებელ გათქვეფას, წვრილ ეროვნებათა მიერ ენის დაკარგვასა და ძლიერის დამპყრობლის ენის შეთვისებას ქადაგებდა ეს წიგნი.

1881 წლის მაისის თვის „ივერიის“ „შინაურ იმოხილვაში“ ილია არ ასახელებს, მაგრამ ეკამათება „იმედის“ ჯგუფს, რომლის უმრავლესობა საქართველოს სპეციალიკურ პირობებს ვერ ითვალისწინებდა, და, თუ ითვალისწინებდა, არ იბრძოდა ეროვნული გათავისუფლების დროშით. ილიას აზრით ბრძოლის საგანი უნდა ყოვილიყო „ჩვენის დაცვემულის ვინაობის აღმგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიზან არ იგვცელენია — ყველასათვის ცხალზე ცხალია“. ილიას აზრით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა „იქნება აზალი იმ დრომდე, ვინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს არ ჯაჭვის ჩვენ ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი, ამაზედ

უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა ექვე ეხლანდელა ჲაქართ-  
ველია „შვილი“<sup>1</sup>. ილია ეროვნული გათავისუფლების მებაირან-  
ტრედ განვითარდა და სკეროლა საქართველოს გათავისუფლების  
ისე, როგორც სხვა კოლონიური ქვეყნებისა. ამიტომ „ივერი-  
ის“ „პოლიტიკის მიმოხილვაში“ წერდა: „თუ მეცრამეტე სა-  
უკუნეს ართქლის საუკუნე ჰქვიან, შეიძლება ერთი სახელი  
კიდევ მოემატოს და ეროვნებათა განთავისუფლების საუკუნე  
დაერქვას“<sup>2</sup>.

„იმედის“ ჯგუფის ეროვნულ პროგრამას აკრიტიკებულ არა  
მარტო ილია, არამენ სასტიკა იერიში „იმედის“ წინაღმდევ  
მიიტანა დემოკრატია ბოსტნებისა ქუთაისის გაზეთ „შროში-  
დან“. ჭრელაშვილია აზრითა, — წერს ბოსტნები, — „ბ.  
ჭრელაშვილი რომ ჩვენს ცხოვრებას, წარსულსა და აწყოს, და  
ჩვენს თანამედროვე ქართველების უმეტესობას იცნობდეს,  
იმას რომ ჩვენის ცხოვრებიდგან ამოღებულის ტიაფისა და  
პორტრეტებისათვის — კუდურ-ხანუშებისა, ნახირ-ფაშებისა  
და ილიკონებისათვის ჭეროვანის მომზადებით და დაკვირვე-  
ბით თვალი მაინც გადავისლო; იმას რომ ვაშბობ, ჩვენი ცოც-  
ხალი „ბობოლების“ და „ძალით შემოსილების“ მაჯის-ცემა,  
გულის-თქმა და ლტოლვილება განეცადა, ეჭვი არ არის, აღარ  
დაგვმოძღვრავდა და არც ასე უსაფუძვლო სითამამით გვეტ-  
ყოდა: ყოველი დაბადებული პატრიოტიაო“<sup>3</sup>.

„იმედის“ საწინააღმდეგო ეს აზრი გაიმეორა ბოსტნებულმა „შრომია“ შემდევ ნომერში — „საუბარი უურნალს „იმედ-  
ზედ“ და „იმედი“ და მისი კრიტიკოს-პუბლიცისტები“: „ბა-  
ტონებო, თუ გონების ნატამალი კიდევ შეგრჩენიათ ურგენი-  
ძის სკოლაში, მიბრძანეთ, რა არის თუ ენის წართმევა არა,  
როდესაც რომელსამე ხალხს შკოლაში უცხო ენაზედ ეჩიჩი-  
ნებიან, სასამართლოში თავის ღვიძლს ენაზედ ჩძას აო აღები-  
ნებენ“<sup>3</sup>. „იმედის“ ჯგუფისათვის ეროვნული პრობლების შე-  
უფასებლობა სუსტი მხარეა მათი კონცეფციისა. „იმედის“

<sup>1</sup> ივერია, 1883 წ. № 2.

<sup>2</sup> ე. ბოსტნები, კრიტიკული მიმოხილვა („ივერია“, 1882 წ. № 1),  
„შრომა“, 1882 წ. № 17.

<sup>3</sup> „შრომა“ 1882 წ. № 27.

ჭგუფი ცდებოდა და პრინციპების წინააღმდევობებს უკა ძრი-  
 გებზა. ერთი მხრით, ებრძოდა ეროვნული იდეატაზე მებრ-  
 ძოლ მოღვაწეებს. მაგრამ არ შეეძლო უარესოფაქტორების  
 ნული ჩაგრისა. ამიტომაც „იმედი“. იძულებული ხდებოდა  
 თვითონაც დაეყენებინა ეროვნული საკითხი, აღენიშნა მისი სი-  
 მწვავე, დაეცვა ქართული ენა, ქართული კულტურა. ჭრელა-  
 შვილსაც და მის თანამოდასეებს სწამდათ, რომ „ეხლანდელ  
 დროში პოლატიკური აზრი ისე მომწიდებული იყო და რომ ყველასათვის  
 გასაგებია ეროვნებითი დამოუკიდებლობა“<sup>1</sup>. თვით ჭრელაშვი-  
 ლი იძულებული იყო დ. ერისთავის ჯრამის „სამშობლოს“  
 დასაცავად ილია ჭავჭავაძესთან ერთად ხმა აღმაღლებინა კატ-  
 კოვის წინააღმდება. ჭრელაშვილი წერდა: „სამშობლო“ ბევრს  
 დააჯგა ყელზედ, ბევრს გაუშესჭვალა იმან გული, უფრო მომე-  
 ტებული გულში ჩაუშვა რაღაცა ნუგეშობისა და იმედის სხი-  
 ვები“... „ვისაც კი შეეძლო, ყველამ წაიკითხა „მოსკოვის უწ-  
 ყებათა“ ჯაშუშობა. აღტაცებული სიამოვნება მოშხამა ამ მწა-  
 რე სინამდვილემ, რომელიც ზედ აფურთხებდა ყველა იმას,  
 რაც შეადგენს ხალხის სიამაყეს. მაღალს გრძნობას სამშობ-  
 ლოსადმი: დამალეთ თქვენი ბაირახებიო, დაურიგეთ ცარკის  
 კლოუნებსაო“. აქ ჭრელაშვილს კარგად ესმის წინშვნელობა  
 პატრიოტული ლიტერატურასა ქართველი ხალხისათვის, კარ-  
 გად ესმის, რომ ეროვნული პრობლემა ჩვენი ცხოვრების ერ-  
 თი უმთავრეს პრობლემათაგანია, ამიტომ პპოვა დიდი გამო-  
 ხმაურება დ. ერისთავის „სამშობლომ“.

ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით განვიხილეთ „ივერიის“ ჭგუ-  
 ფისა და ილია ჭავჭავაძის პოზიციები. ვნახეთ, რომ ილია 60-  
 იანი წლებიდანვე იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხო-  
 ბის მჯვამარეობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ ისცც ვნახეთ,  
 რომ ილია რაღიყალურად ვერ წყვეტდა რეფორმიავან უსა-  
 მართლოდ გათავისუფლებულ გლეხობის საკითხს, ვერ ნახუ-  
 ლობდა წოდებათა შორის წინააღმდებელებითა გადაჭრის გზას.  
 სამაგიეროდ „იმედის“ ჭგუფი და ხალხოსნები, რომლებიც გა-

<sup>1</sup> სტ. ჭრელაშვილი, მამულისშვილი, „იმედი“, 1881 წ. № 10-11-12.

მოხატავდნენ გლეხური დემოკრატიის რევოლუციურ იჯეო-  
ლოგიას, ხელავდნენ კლასობრივ წინააღმდეგობას და მის გა-  
დაწრის ეკონომიურ საფუძველზე, მიწის გლეხობაზე გადაცე-  
მს ცდილობდნენ. ხალხოსნები იბრძოდნენ სოციალური რე-  
კოლუციისათვის. მაგრამ იყო მეორე პრობლემა — ეროვნუ-  
ლი პრობლემა. ილია ჭავჭავაძე სასტიკად იბრძოდა ეროვნუ-  
ლი თვითშეგნებისათვის, იგი სათაკეში ედგა ეროვნულ-გამა-  
თავისუფლებელ მოძრაობას, ორმელსაც რევოლუციური ხა-  
სიათი პქონდა. ხალხოსნებიც შედარებით ნაკლებია პრინცი-  
პულობით, მაგრამ მაინც იყენებდნენ ეროვნულ საკითხს, ბაგ-  
რამ ამ საკითხის მოგვარება მათ ეკონომიური საკითხის მოგვა-  
რებასთან ერთად უნდოდათ. ეს დაკავშირებული იყო სო-  
ციალურ რევოლუციასთან მთელს რუსეთში. ეროვნულ-გამა-  
თავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების მიზნით ილია ჭავ-  
ჭავაძე მოითხოვდა ყველა კლასის გაერთიანებას. არჩილ ჭორ-  
ვაძე სწორად აფასებდა ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ მრწამსს,  
როცა წერდა: „ილია ჭავჭავაძე დიდის ყურადღებით აღევ-  
ნებდა თვალს ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას და ცხოვრების მო-  
წესრიგებას და დაცვას უპირატეს მნიშვნელობას აძლევდა.  
რასაცვირებელია, მისი ყურადღება იყო ზექცეული აგრეთვე  
ეკონომიურს კითხვებზედაც, მხოლოდ მაინც მისი შეხედულე-  
ბით, პირველთ მეტა აღგილი უნდა ეჭიროთ ჩვენს ლიტერა-  
ტურაში“<sup>1</sup>.

ხალხოსნები ეკონომიურ კითხვას უპირატეს მნიშვნელობას  
ანიჭებდნენ. ისინი იბრძოდნენ გლეხისა და ნაბატონარის და-  
ვის გადაწყვეტისათვის, ნაბატონარის დამარცხებისათვის.

ეს ორი მიმუანარეობა — „იმედისა“ და „ივერიის“ ჯუ-  
ფები — ურთიერთშორის კამათობდა, მაგრამ იმავე უროს ავ-  
სებდა ერთმანეთს. სხვადასხვა მიზნების გამო მათ იერიში მიჰ-  
ქონდათ ერთად მონარქიას წინააღმდეგ, ორივე ერთად უფრო  
გამოხატავდა ქართული ყოფის მოთხოვნილებებს და ტკივი-  
ლებს, ვიზრე თითოეული ცალკე. ხალხოსნების უროშაზე სო-  
ციალური რევოლუცია ეწერა და გლეხური დემოკრატიის იდე-

<sup>1</sup> არჩ. ჭორვაძე, თხზულებანი, ტ. II გვ. 89.

ოლოგიას გამოხატავდა. ილია ჭავჭავაძის კუთხის დოკუმენტები ეწერა ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა.

განხილულ თავისებურებათა გარდა „მეტას“ ჯუშება ზა ზალხოვნებს სხვა თავისებურებანიც ახასიათებდათ. იანი ეწინააღმდეგებოდნენ ილია ჭავჭავაძის მაწისა და გუთნის ოთრიას და სხვა ფაქტორებსაც, მაგ., ვაჭრობას დიპ აზვილს აკუთვნებდნენ ჩვენი ქვეყნის ცეკვიმიურ რაოვრებაში. 1882 წლის „იმედის“ №-10-ში სათაურით „რევრიის ეკონომისტი“ ილიას საპასუხოდ ნ. ხ-ი წერდა „შესაძლებელი არ არის, რომ „მიწა და გუთანი“ შეაღგენდნენ ყოველთვის და ყოველგან დასაბამს და დასაწყისს ეკონომიური ცხოვრებასას“. „ეკონომიურ ცხოვრებაში მიწის მუშაობა თან-ზათან ხელ-ნელა ჭარბავს უწინდელს თავის ზიზა მნიშვნელობას და საპატივო ნაწილს მფლობელობისას უნებლივდ უთმობს საცავ ცეკვიმიურ ფაქტორებს, მაგ., ქარხნულ მრეწველობას, ვაჭრობას და სხვ.“

სტეფანე ჭრელაშვილი ვაჭრობას ცხოვრებიათვის აუცილებლად თვლიდა და სოლომონ ისაკი მეჭღანუაშვილი „ჩვენი ცხოვრების ღვაძლ შვილად“ მიაჩინდა. — „ვინ არის დღეს ჩვენში პირველი კაცი? — რასაცვირველია, სოლომონ ისაკი მეჭღანუაშვილი. ვინ ატრიალებს ჩვენი ცხოვრების ჭახრაკს? — რა თქმა უნდა, უ. ს. ი. მეჭღანუაშვილი. ერთი სიტყვით, მეჭღანუაშვილი და კავევ მეჭღანუაშვილი, ეს არის თავი დოლო ჩვენი ცხოვრების ბორბლისა“<sup>i</sup>.

„იმედის“ ჯუში, გამომხატველი წერილი შესაცულე გლეხობის იჯოლებულისა, ობიექტურად ბურუუაზეცულ ნიაღაზე იჯგა. ამის გამო და საჭართველოს განაკუთრებული ეროვნული მდგომარეობის გამო იყო, რომ „იმედის“ ჯუში თანდათან კაციტულაცია მოახდინა. ხალხოვნურმა მოძრაობამ 90-იან წლებში რუსეთშიც ლიბერალურა ხსიათი მიიღო. ჩვენში ეს მოვლენა კიდევ უფრო დაჩქარდა. ამის გამო იყო, რომ „იმედის“ ჯუშის უმრავლესობა ილია ჭავჭავაძის „ავერიას“ შეცვარა (სტ. ჭრელაშვილი, გრ. ყიუშიქე, ვაჟა-ფშაველა, ნ. ხიზანაშვილი). ამას ხელს უწყობდა წვრილ-ბურუუაზეცული ბუნება

<sup>i</sup> „იმედი“, 1882 წ. № 2, სტ. ჭრელაშვილი — ჩვენი ცხოვრების ღვიალი შვილი.

დემოკრატიისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კლასობრივი გრძელების მოდუნება.

თარიღი ფრთხილი

ეს ხმა „იმედის“ ჯგუფში 1883 წლიდან გამოშა. პირდაპირი მუხლის

1883 წლის „ზროვების“ 99-ე ნომერში 5. უბრძელი (ნ. ხი-ზანაშვილი) იხილავდა ილია ჭივჭიაძის შეხედულებებს წოდებრიობის შესახებ. ილია და მისი ჯგუფი წინააღმდევია წოდებათა შორის ბრძოლისათვის, რადგან „მათ სახეში აქვსთ განსაკუთრებული მდგომარეობა ჩვენის სამშობლოსი. კარგი და პატიოსანი, მაგრამ მწერლების დასაბაზო დაყოფა როგორ ნიშნავს წოდებათა შორის განტეთქილების შეტანას. ეს დაყოფა მოაწყავებს მხოლოდ პრინციპულ ბრძოლას, რომელსაც ერთი და იგივე საგანი აქვს — სამშობლო“.

მოწაფეობის დროს ვაჟა-ფშაველა უურნალ „იმედის“ თანამშრომლად ითვლებოდა. 90-იან წლებში ვაჟა უკვე ილია ჭივჭიაძის ეროვნულ-გამათვისუფლებელი დროშის ქვეშ იდგა და ქართულ ეროვნული ძალების ბლოკს იცავდა. „იმედის“ ჯგუფის საინტერესო შეფასებას ვნახულობთ ვაჟა ფშაველას წერილში „ცოტა რამ ჩვენის ცარცულების ავ-კარგისა“: „ამ 12-13 წლის წინათ იჩინა თავი ერთმა პარტიამ, იგი წინადაც არსებოიდა; თავის წალილია გამოსათქმელად დააარსა უურნალი „ამედი“, ამ პარტიის წალილი ის იყო, რომ გლეხ-კაცობის კეთილ-დღეობისათვის ეზრუნა, მისი ეკონომიკური ყოფა-მდგომარეობა გაელმჯობესებინა, თითქმის მარტო გლეხ-კაცობისაგან შემჯგარი საქართველო უნდა დაეკარსებინა. ზანარჩენი ეროვნული საჭიროებანი დავიწყებული პქონზათ, დავწყებული იყო აგრეთვე თავადაზნაურობა, რომელიც თითქმის არაფერი უჭირდა და მათი დასუსტება არაფერი დანაკლისი იყო ვითომ ეროვნულ საქმეთაოვის. ძოკლედ რომ ვთქვათ, ეროვნული აზნი უარყოფალი იყო იმათგან. ეს პარტია, როგორც თითონეც იგრძნობ ბოლო დროს, ნაძალაზევი, ხუსულა-სავით ნაგები, სავის მიბაძვით, „სხვის ჩაძახებით“ ნაკოშიწები გამოდგა; გაიგო ისაც, რომ დღეს ჩვენს მდგომარეობას არ შემფერებოდა ამგვარი მოძღვრება და უცან დაიხია, თავისი თავი თვითონვე უარყო“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, S 5317.



\* \* \*

ასეთი იყო „იმედის“ ჯგუფის მიერ განვლალი „გზაზე შემოთ განხილულ ეკონომიურ და ეროვნულ პრობლემათა გვერდით მათ, სხვა მრავალი საკითხაც წამოჭრეს: ჩელიგისა, სწავლა-აღზრდისა, სასკოლო სისტემის შესახებ. „იმედმა“ დააყენა მუშათა საკითხიც. იგი ზოგჯერ კარგად ერკვევა მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებშიც. იგი გულუბრყვილოდ არ უცემერის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ცხოვრებას. იქაც ბრძოლას და უსამართლობას ხედავს. „დღეს მთელ ევროპაა და ამერიკას მოზღებია ჭირივით აზრი, რომელიც თანაბათი ხმას იმაღლებს, ასე რომ მისი ნაღარის ყვირილი სულ აწრუ-წუნებს ქვეყნის ბორბლის უსტაბაშებს, ასრუთწოდებულ კა-პიტალისტებს“. ეს აზრი გავრცელებული ევროპაში „თხოუ-ლობს შემდეგ სამართლიან წესიერებას: რადგანაც ყოველი სარჩო მოიპოვება მხოლოდ შრომით, რადგანაც ყოველი ნივ-თი გაკეთებულია მხოლოდ მუშის ხელით, ამიტომ ყველაფერი უნდა შეაღენდეს იმის კუთვნილებას, ვისაც ის გაუკეთე-ბიაო“<sup>1</sup>.

„იმედი“ ბურუუაზიული თავისუფლების შეზღუდულობა-საც კარგად უღებდა ალლოს. ნ. ხიზანაშვილი წერდა: „ბევრ-ჯერ თავისუფლების ძალით ისეთი უსამართლობა მოხდა, რომ წარმოსალგენადაც კი ძნელია. ავილოთ თუნდა ეკონომიური ცხოვრება. აქ ბურუუაზიული ეკონომია ყოველთვის თავისუ-ფლებას ჰქანაებდა, სახელმწიფოს ხელ-ფეხს უკრავდა — ეკონომიურ საქმეებში ნუ გაერევიო, თავისუფლებას ნუ შეე-ხებიო, თავისუფლების პრინციპი „წმინდა წმინდათა“ მიაჩნ-და და ამ თავისუფლების ძალით და შემწეობით მუშა ხალხს ტყავი გააძრო, დემოკრატია ჯვარს აცვა“<sup>2</sup>.

საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული ტატალას (სტ-ჭრელაშვილს) ჩელიგის შესახებ. იგი რელიგიის სწორ მეც-

<sup>1</sup> ტატალა (სტ. ჭრელაშვილი) — პოლიტიკა, „იმედი“, 1881 წ. № 2.

<sup>2</sup> ნ. ხიზანაშვილი — საფუძვლები სახალხო განათლებისა, „იმედი“, 1882 წ., № 7-8.

ნიერულ შეფაქებას გვაძლევს. სარწმუნოებამ შეარიგა ხალხი მონობას. სარწმუნოებამ დაკანონისა საშიგაზოების ერთი ნაწილის ბატონობი მეორეზე. სარწმუნოებამ დაწყნარა გაუნათებულებელი ხალხის გული და ჩაქრო შურისძიების გრძნობა.<sup>1</sup>

იმ სასტაჟ საცენტურო პირობებით ძნელი იყო საშინაო პოლიტიკის საკითხებზე წერა. მცურებავაზ ამისა, „იმედის“ ჯგუფი ხშირად ამეღავნებდა ხან პირზაპირ და ხან ნართაულად თავის რევოლუციონურ აზრს. იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლის ამბავს საჭირო იყო „იმედი“ გამოხმაურებოდა. იმას რასაც რეაქცია ფიქრობდა, ცენტურა არ გაუშვებდა, ხოლო მონარქისტულ კილოზე წერას „იმედი“ არ დაიწყებდა. მაშინ, „იმედი“ ორაზროვანი სიტყვებით გამოთქვამს თავის შეხედულებას: „როგორც მთელი რუსეთი, ისე მთელი ქვეყანა ააღელვა და შეაძრწუნა ამ ისტორიაში სამაგალითო მოქმედებაში“. ამას წერდა „იმედი“ იმპერატორის გარდაცვალების მარტივებელ განცხადებაში.<sup>2</sup>

„იმედის“ რეზაქცია ცლილობს თავისი სიმპატია გამოუცხადოს მეფის მკვლელ რევოლუციონერებს, მაგრამ მათ ქებას თვითონ კი არ ამბობს, არამედ, გაზეთების სიტყვებითაო, წერს შინაურ მამოხილვაში მიხ. გურგენიძე „დატუსალებულ რევოლუციონერებში უფრო შესანიშნავები ნიჭით და სწავლით არიან ულიანოვი და მილორდი, განსაკუთრებით პირველი, რომელსაც გენიოსათაც კი სთვლიან“. „იმედი“ კარგად ესმის, რომ მიზეზები რევოლუციური მოძრაობისა მეტად ღრმაა და სერიოზული. იგი ჩამარხულია მონარქიული რუსეთის სისტემაში და რევოლუციური მოძრაობის მოსპობა შეუძლებელია მთელი სისტემის მოსპობის გარეშე. მიხ. გურგენიძე განაგრძობს: რევოლუციონერები ახალ მეფეს, ალექსანდრე III ემუქრებია: „რუსეთის ლიტერატურა კი ან უცადებს რევოლუციონერებს თავის უკმაყოფალებას, ან კიდევ უჩჩევს სამეფო სასახლეს მოკოვში გადასახლებას. როდემდეს უნდა ვატყუოთ ასე ან სხვა, ან კიდევ ჩვენი თავი?! ამ გვარი საშუალებები ბევრი და-

<sup>1</sup> ბატალა — პოლიტიკური ცხოვრებიდან „იმედი“, 1882 წ. № 4.

<sup>2</sup> „იმედი“, 1881 წ. № 2.

იხარჯა, მაგრამ ყველა აშაო გამოდგა — რევოლუციაზნერები მაინც თავისას არ იშლიან“.

ნამდვილი მიზეზები სხვა არისო, — წერს გურჯენიშვილი<sup>1</sup>, რომ მოვლენისა, მაგრამ ვერ აცხადებს ცენზორის შიშით აშკარად, ამიტომ, განაგრძობს იგი — „ღრო არის გაიღვიძოს ლიტერატურამ, გამოიფშვნიტოს თვალები და შეუდგეს თავის წმინდა მოვალეობას — ამ შემაძრწუნებელი მოვლენების ნამდვილი მიზეზის გამოკვლევას და იმის ძირში ამომფხვრელი საშუალებების ჩვენებასა<sup>2</sup>“.

„იმედის“ თანამშრომელი დ. აბდუშელიშვილი წერილში — „ჩვენებური სასწავლებლების ახლანდელი მდგომარეობა“, წერდა: „რა საჭიროა იმოდენა ჯარების დაჭერა ჩვენში, როგორც ახლა ვხედავთ? მაგრამ, იქნება შინაური მტერი ეგულებოდესთ ჩვენში? იქნება კიდეც ამისთვის ეჭიროთ ჩვენში ამოდენა ჯარი და აღმინისტრაცია და ამისთვის ხარჯავდნენ მათზე ამოდენა ფულს? უნდა გამოვტყოდ, რომ შინაური მტერი სწორეთა გვყავს და კიდეც უნდა დავაბეზოო ის მართებლობასაც და საზოგადოებასაც — მოჰკიდეთ ამ მტერს ჩელი და სული ამოაძრეთ! ეს მტერი ჩვენს ქვეყანაში იმალება და სახელად პევიან ეკონომიური სილატაკე და გონებითი დაბნელება<sup>2</sup>. არ-სებული პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ წერილში „პოლიტიკის მაგიერი“, ტატალა ნართაულად წერდა, — „პოლიტიკა არის მათრახი, რომლის წვერი ხვდება მთელ ხალხს განუწყვეტლივ და რომელსაც უპყრია იგი ხელში და განაგებს მას თავის ნებაზედ. ამბობენ, რომ ეს მათრახი თითონ ღმერთმა დააარსა, რადგან უამისოთ ბრიყვი ხალხი ერთმანეთს გადასჭამდათ. ჩვენ ნუ წავალთ ასე შორსა და ნუ გამოუღებით ამ მათრახის სათაურის. რასაკვირველია, ყველაფერი ღვთის გაჩენილია. მართალია, ისიც კი ვიცით, რომ ღმერთმა კაცს მისცა ჭკუა და გონება და უთხრა, — იცხოვორე როგორც გინდოდესო, იმუშავე, გააკეთე რაც ჭკვაში მოგივიდესო“. „ამიტომ, ძალიან შესაძლებელია, რომ ეს ყოვლად პატივცემული მათრახიც თითონ კაც

<sup>1</sup> „იმედი“, შინაური მიმოხილვა, 1881 წ. № 2.

<sup>2</sup> „იმედი“, 1881 წ. № 2.

მავე მოიგონა, და ამიტომ იმასვე შეუძლიაჩ მისი ხმარებაცა და  
არ ხმარებაცა“.

ამ წერილში დაფარულად გამოთქმული იყო მონარქული მოწოდება. ამგვარი აღვილები „იმედში“ სხვაგანაც გვცვდება, მაგრამ წარმოდგენილ საკითხს პრინციპულს და ახალს არაფერს მატებს.

„იმედი“ იყო პუბლიცისტური და ლიტერატურული უურნალი. თავის იდეოლოგიას იგი ამჟღვნებდა როგორც კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში, ისე მხატვრულ-პოეტურ ნაწარმოებებში. პარველი საკითხის — უურნალის პოლიტიკური და ეკონომიკური კონცეფციის მიმოხილვის შემდეგ საინტერესოა განვიხილოთ — როგორ გამომულავნდა ხალხოსნური იდეოლოგია „იმედის“ ლიტერატურულ თხზულებებში რა ნაკლიან ღირსება ჰქონდა მას ამ მხრივ და რა მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიასათვის.

\* \* \*

„იმედის“ ჯგუფი და საერთოდ ხალხოსნები ლიტერატურას უტილიტარული თვალსაზრისით უყურებდნენ. ეს პრინციპი ქართული ლიტერატურისათვის უცნობი არ იყო. იგი „თერგლა-ლეულებმა“ ჯერ კიდევ „ცისკარში“ წამოაყენეს. ილია ჭავჭავაძე ძირითადად გამომდინარეობდა ჩერნიშევსკის ცნობილი დისერტაციიზან, რომლის დედააზრიც იმაში მდგომარეობდა, რომ დაემტკიცებინა: ხელოვნების მიზანი ცხოვრების გამოხატვაა. მეცნიერების მიზანი ცხოვრების შესწავლაა. მეცნიერება და ხელოვნება ახალს კი არაფერს ქმნიან, არამედ შეისწავლიან, საცნაურს გახდიან და გამოხატავენ იმას, რაც ბუნებაში არის ჩამარხული და მოცემული. ბ. ჩერნიშევსკი წერდა: «Наука не стыдится говорить, что цель ея понять, объяснить действительность, помочь применить ко благу человека свои объяснения». ასეთივე როლი ეკისრებოდა ხელოვნებასაც. და რადგან ხელოვნების მიზანი ცხოვრების ახსნაა, ამიტომ არ შეიძლება ხელოვნება ცხოვრებაზე მაღლა იდგეს. ამიტომ

„прекрасное есть жизнь“ — ესაა ძირითადი დასკვნა ჩერნო-  
შევსკის დისერტაციისა.

ცხადია, ილია ჭავჭავაძე, რომელიც ხელოკენების და მეტანიერების როლს სწორედ ასევე განმარტავდა, ამ საკითხეს გავებაში ჩერნიშვილის მოწაფე იყო. მაგრამ ამ უტილიტარული პრინციპის წამოყენებასთან ერთად ჩერნიშვილი და ილია ჭავჭავაძე მხატვრულ ლიტერატურულ ფაქტებს დიდი სერიოზულობით ეპურობოდნენ. უტილიტარიზმით ისინი არ აკანონებდნენ ლიტერატურული ფაქტისათვის მხოლოდ პროგრესულ იდეურ მხარის აუცილებლობას. მათი შეხედულებით შესაძლებელი იყო ნაწარმოების იდეური მხარე სუსტი ყოფილიყო, მავრამ ნაწარმოების ფორმა მაღალხარისხის ხოვანი.

უტილიტარული პრინციპი ჩერნიშევსკის მექანისტურად და ვულგარულად არ ესმის. უტილიტარული პრინციპის ვულგარული განება რუსეთში პისარევმა წამოაყენა, საქართველოში, ჯერ კიდევ 1863 წელს, ანტონ ფურცელაძემ, რომელმაც დაწუნა ნ. ბართაშვილის ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზე“. ილია ჭავჭავაძემ, უტილიტარიზმის ჭეშმარიტმა დამცველმა, ანტ. ფურცელაძე ამის გამო სამართლიანაზ გააკრატიავა.

„იმედის“ ჯგუფი უტილიტარიზმის იცავდა, მაგრამ „იმედის“ უტილიტარიზმი უკიდურესობამდე მიღაოდა. „იმედელების“ უშროვლესობა ყურადღებას არ აქცევდა ნაწარმოების მხატვრულ-ფორმალურ მხარეს. მათ უტილიტარიზმი ვულგარულად ესმოდათ. ამ ვულგარულად გაეგბულ უტილიტარიზმს ზედ ერთვოდა, შესარებით წინა თაობასთან, ნაკლები ნაჭი და ზოგჯერ სრული უნიჭობაც. „იმედის“ ლიტერატურის თეორიისათვის ნილილიზმი უცხო არ ყოფილა. „იმედის“ ჯგუფი საკმარისი სერიოზულობით ვერ აფასებდა წინა თაობის ლიტერატურულ დამსახურებას.

ლიტერატურის თეორიისათვის დადგებითი და ახალი „იმედს“ დრაფტერი მოუტანია. პოეტური ნიჭის მხრივ კი „იმედელები“ იძლენად დაბლა იღვნენ თერგზალეულთაგან, რომ შედარები-სათვის არაენთარი სათემდევო არ არსებობს.

(თანამედროვე მწერლობა „იმედს“ სასტიკი კრიტიკით შეხვდა („დროება“, „ივერია“). დაკვირვებული მწერალი და ხალ-

ხოსანი ნ. ხუდადოვი წერდა, რომ ზოგიერთს გაუგონია, რომ „რუსეთში გამოჩენილი ხალხის ცხოვრების მომთხრობი გლებ უსპენსკი არისო და იქნება წაუკითხავს კიდევ მისი ნაწერი მაგრამ, ვაი ამ წაკითხვას და პერნია, რომ ეს სრულიალ სამ-ყოფია ქართულ უსპენსკად გადაქცევისა“<sup>1</sup>. ნ. ხუდადოვი მე-ტად სასტიკად ეპყრობა „იმედას“ სხვა ბელეტრისტებთან შე-დარებით ნიჭიერ შაქროსაც (ზ. გულისაშვილს).

ხალხოსნებმა უკიდურესობამდე მიიყვანეს ჩერნიშევსკის დებულება, რომ თვით ბუნებაა მშვენიერი. ამიტომ მწერლის ვალია მისი ისე გადახატვა, როგორც არისო. ხალხოსნებმა თა-ვის შემოქმედებას პრინციპად დაუღვეს ჩერნიშევსკის დებუ-ლება.

აი სად უნდა ვეძიოთ თეორიული საფუძველი, რომ ხალხო-სნები უმეტესად ტიპს კი არ ქმნიდნენ, არამედ პორტრეტებს. ვაღაიწერდნენ მათ ცხოვრებიდან, როგორც ჩერნიშევსკი ამ-ბობს. ისინი გადახატავდნენ და არ ხატავდნენ.

ხალხოსნებითვის საერთოდ და განსაკუთრებით „იმედის“ ჯგუფისთვის დამახასიათებელია „შეცოდებანი ესთეტიკის წა-ნაშე“ (პლეხანოვი).

მაგრამ, ეს გარემოება არ სპობს ინტერესს ხალხოსან მწე-რალთა ნაწარმოებთაღმი. ამ ნაწერებით საშუალება გვეძ-ლევა გლეხის ცხოვრების დოკუმენტური შესწავლისა. პლეხა-ნოვის შეფასება რუსი ხალხოსნებისა ქართველ ხალხოსნები-სათვისაც ძალაში რჩება: «Произведения наших народни-ков-беллетристов надо изучать так же внимательно, как изучаются статистические исследования».

„იმედის“ ჯგუფის პოეტები ვერ იყენებენ იბ დიდ მემკვიდ-რეობას, ოომელიც ქართულ ლიტერატურას ჰქონდა. მათი ნა-წერების უმრავლესობას ცოდნა და დაძლევა ქართული კლა-სიკური ლიტერატურისა არ ეტყობა. დამასახიათებელ ამბავს ვიგებთ შიო დავითაშვილის მოგონებიდან. 1883 წელს, ცახეში ჭდომის დროს, — გვიამბობს შ. დავითაშვილი, — ანტონ ფურ-ცელაძემ მომიტანა „ვეფხისტყაოსანიო“. „ეს წაგნი მანამდე წაკითხული არ მქონდა. რამდენჯერ ამიღია ხელში, ერთი-ორი

1 „ივერია“, 1882, № 4-5.

თავი გაჭირვებით წამიკითხავს და მიშიტოვებია. ვის უცალა ამისთანა ძნელად წასაკითხავი პოეზიისათვის“. 1 ამას ამბობს თითქმის ბელადი ხალხოსნური მოძრაობისა საქართველოში შიო დავითაშვილი.

ბელეტრისტიკაში, შედარებით, „იმედის“ ჯგუფი ძლიერია. „იმედში“ თანამშრომლობდნენ მიხეილ ასათიანი (ლაიბეჭდა მისი მოთხოვნა „მე და ონისმე“), შაქრო-ზაქარია გულისაშვილი („მეტივე“, „ბეღნიერი კუნტული“, „მარტიანთ პაპა“, „განთიადი“), სოფრომ მგალობლიშვილი („ცეცონა“). ეს მწერლები უქმნიან „იმედის“ ბელეტრისტიკას საკუთარ, გარკვეულ ფიზიონმიას. პოეზიაში კი „იმედი“ სრულიად უსუსური იყო, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მხოლოდ ი. დავითაშვილის ლექსებს, რომელიც „იმედის“ ყველა პოეტზე უფრო მეტ ემოციურობით ამჟღავნებდა თავის განცდებს. დანარჩენებთაგან ჯველაზე მაღლა ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველას ლექსები დგანან. ეს ლექსები 20-21 წლის ვაჟას კალაშის ეკუთვნის. თავისთვის ისინი დიდ ღირებულებისაანი არაა, მაგრამ მათში იმაღლება ის დიდი პოეტური ხმა, რომელიც შემჯეგ გამომჟღავნდა. დანარჩენი პოეტი — ავტორები „იმედისა“ არიან: მ. ასათიანი, ანტ. ფურცელაძე, გ. ჭრელაშვილი, კოლხიდელი, ალ. შირიანაშვილი, მიხიზაშვილი, პარდაყანი, თ. კანდელაკი, ს. ყულისკარელი, გ. ლიხელი, კრეჭიაშვილი, ნ. ყუბანენიშვილი და სხვ. ამათგან ანტ. ფურცელაძისა და მიხ. ასათიანის ლექსებს თუ აქვთ რაიმე პოეტური ღარებულება, თორემ დანარჩენის ლექსებში პოეზიას ვერცერთი დახელოვნებული მკვლევარი ვერ იპოვის. მათი ლექსისათვის დამახასიათებელია მხოლოდ აზრი. რითმა და მეტრი. მაგრამ, ეტყობათ, რომ ვერც აზრი დაუმორჩილებიათ ავტორებს, ვერც რითმა და ვერც ლექსის სხვა კომპონენტები.

\* \* \*

„იმედის“ ლიტერატურული თეორიისა და პროდუქციის ზოგადი ხასიათის აღნიშვნის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ თოთოეული დამახასიათებელი მწერლის ცალკეული განხილვაზე.

<sup>1</sup> შოთ დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1934 წ., გვ. 103.

მიხეილ ასათიანი (1849-1879). ინიციატორი უურნალ „იმედის“ დაასევისა, შიხესლი ითავსის ძე ასათიანი საინტერესო პიროვნებაა. იგი დღემდე სრულიად შეუსწავლიაծ მის. ასათიანის შემოქმედებას ქართულ კრიტიკაში პირველად პროფ. მის. ზანდუკელი შეეხო.<sup>1</sup> ჩვენამდე მოღწეული მ. ასათიანის ნაწერები ბევრი არ არის. ვიცნობთ მის მხოლოდ ორ „შიკრიქს“ (თავისებური უარის), თითოში სამ-სამი ლექსია მოთავსებული, ლექსებს „ოსეფას ან ჟერმს“, „გაზაფხულს“ და „შეუპოვარს“, პოემას „მტკვრის ბაასი ჩიონთან“ და ავტობიოგრაფიულ მოთხრობას „მე და ონისიმე“. ესაა მთელი მემკვიდრეობა მის. ასათიანისა.

მის. ასათიანის ლექსების მხატვრული ღირებულება მცირეა, მაგრამ ისინი გვაგრძნობინებენ, რომ ავტორი გულწრფელია და განმსჭვალულია ხალხის ბედნიერების სურვილით, რომ ივა მოწინავე ადამიანია და ლექსებშიაც ეს კეთილი სურვილებია გამოთქმული. მის. ასათიანის ლექსების შესახებ შეიძლება იგივე ითქვას, რასაც მარინა ეუბნება ნეუდანოვს.<sup>2</sup>

თავისი ლექსების სისუსტეს ასათიანი კარგად გრძნობს, მაგრამ მის ლექსებს აქვთ მეორე მხარე — იდეურ-სოციალური. ისინი ამჟღვნებენ ღარიბი წრიდან წარმოშობილი ინტელიგენტის ცხოვრებას.

მ. ასათიანის გულწრფელობა შველის მის მხატვრულად ნაკლებად გამართულ ლექსებს. იმედი და სიყვარული მომიკლესო, გატაცება და სურვილი ხალხის ბედნიერებისა, რომელიც ესოდენ ძლიერი იყო 70-80 წლების ახალგაზრდობაში, ძალით გულიზან ამომიღესო.

მის. ასათიანი თავის დროის აქტუალურ საკითხებს ეხმაურება. იგი გატაცებით ლაპარაკობს ქალის ღირსება-დაბიშნულებაზე, აფასებს ძველი ქართველი დელების ღვაწლს ქვეყნის წინაშე და მოუწოდებს ქართველ ქალებს:

თქვენგან თხოულობს სამშობლო მხარე  
მხურგალის გულით საქმის შეცდასა,

<sup>1</sup> იხ. მისი „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. III.

<sup>2</sup> ტურგენევის თხზულებაში „Новь“.

ახალი სწავლის, მეცნიერების  
ჩვენი უკავათს, გავოცელებას.

ეს ლექსი მეტად საინტერესოა, იგი ქალთა ჟანიშნულების  
სწორ შეფასებას გვაძლევს, თუმც მ. ასათიანის მაერ აქ წაშო-  
ყენებული აზრი გაცილებით აღრე და გაცილებით მძლავრად  
მოგვცა ილია ჭავჭავაძემ ლექსში „ქართვლის დედა“, რომე-  
ლიც 1858 წელსაა დაწერილი.

ხალხის ბედით შეწუხებული მ. ასათიანი სხვა მხრივაც ეხე-  
ბა მის ჭირ-გარამს. ლექსი „ოსეფას ანდერძი“ სატირაა ჩარჩი  
მევახშე ოსეფას მიმართ, რომელიც საცოცხლეში ხალხს ტყავს  
აძრობდა, თუმანში ოთხ აბაზს ართმევდა სარგებელს. სიკვდი-  
ლის წინ კა ოსეფა შვილებს ანდერძად უტოვებს, რომ თუმანი  
მანეთს სარგებლის ნაკლებ არ გასცენ.

თანამედროვე საქართველოს სხვა სატკივარიც ქონდა. ქარ-  
თველი ერი მოქცეული იყო განსაკუთრებულ პირობებში, რაც  
მას გადაგვარებასა და მიწის პირიდან აღგვას უქადღა. ამის გა-  
მო სევდიანად მოთქვამს მიხ. ასათიანი:

მამულის კვნესა ღამით ძილს მიფრთხობს,  
დღისით არ მაძლევს მოსვენებას.

ქართველია ეროვნული ძლიერების შექმნისათვის საჭირო  
იყო ყველა ქართული ტომების ვაერთიანება და საერთო იერი-  
ში იმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ. ეს იდეაა ალე-  
გორიულად გამოხატული მ. ასათიანის პოემაში „მტკვრის ბა-  
სი რიონთან“, მთლიანი საქართველოს იდეა.

მტკვარი ასათიანის აღმოსავლეთ საქართველოს სამშობლოდ  
აქვს გამოყენებული, რიონი კი დასავლეთ საქართველოსა.  
მტკვარი ეუბნება რიონს:

რიონდგან თვალი შენ შემოგასწარ,  
გეგონა, რომ მე წინ დამხვდებოდი,  
ზეღ გადამხვევდი მეგობრულ მელავსა  
და ერთათ ჩემთან წამოხვიდოდი.  
მაგრამ შენ კი გზა აგიქცევია...

რიონის პირით ასათიანი პასუხს აძლევს მტკვრის მოწოდე-  
ბას. რიონი კარგად ხედავს მტკვრის საშიშროებას და რჩვას  
აძლევს:

ქოჩორას პირით თერგს შეუთვალე,  
 წამო აქეთ-თქო, მიუგდე კარი,  
 თორემ ინანება... მალე დაგრკრუნჩხავს  
 შეჩევნებული ეგ ცივი ქარი...  
 კარგი იქნება, რომ შენც ეხლავე  
 ფეხ-მარლა არაგვს მისკენ აფრენდე  
 და ფარლალალა კარებს მყინვართან  
 მაგრათ ეხლავე აუქოლებდე.  
 თორემ, იცოდე, თუ გაღმოვარდა,  
 მრითლად დაგიხეთქამს მაგ ლამაზ პარსა,  
 ნაყოფუ დაგიზრობს ისევ კოქორში  
 და ნაყოფის ხეს გაუბმობს ძირსა.

ილ. ჭავჭავაძის გავლენა პოემას ალაგ-ალაგ ემჩნევა თემის  
 პოეტურ გაშლაშიც. მაგ., დაწყება პოემისა ასეთია:

შავი ზეწარი ლურჯ სახოვანსა  
 ცასა ნელ-ნელა პირს ეხდებოდა.

როგორც ვხედავთ, მიხ. ასათიანი თავისუფალია იმ ნიღი-  
 ლისტური ტენდენციისაგან, რომელსაც ზოგიერთი ხალხოსანი  
 ეროვნული საკითხის შეფასებისას იჩენდა. მიხ. ასათიანი სა-  
 კითხს არ აყენებს ისე, როგორც ზოგიერთი „იმედელი“ აყენებ-  
 და—ჯერ ეკონომიური პრობლემის გადაჭრა და შემდეგ ეროვ-  
 ნული საკითხი. მ. ასათიანი წუხს და იბრძვის ჩაგრული ხალხის,  
 გლეხობის ბედისათვის და არ ნაკლებ სამშობლოს მომავლისათ-  
 ვის.

8. ასათიანის კალამს ეკუთვნის ერთადერთი, საკმაოდ მოზ-  
 რდილი, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი, მოთხრობა — „მე და  
 ონისიმე“. ეს მოთხრობა მეტად საინტერესოა; რაღან იგი არის  
 ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ისტორია. რო-  
 გორც მიხ. ასათიანის ბიოგრაფიიდან ირკვევა, ონისიმეს სახით  
 ავტორს თავისი ცხოვრება გამოუხატავს.

მოთხრობა იწყება ავტორის განცხადებით: „მე, როგორც  
 მაცნევთ, ახლად ჩამოსული ვარ რუსეთიდგან, უჭუჭყო, უჩირ-  
 ქო ახალგაზრდა. ჩემი წადილი და მტკიცე გამზადებულებაა,  
 რომ იგრეთვე პირათ დავრჩე ბოლომდისინ“.

შემჯეგ იწყება ისტორია ახალგაზრდა, ქვეყნისთვის თავდა-  
დებული ინტელიგენტისა. ავტორი მოთხოვნას იწყებს პატა-  
რა მოწაფეთა ცხოვრების აღწერილან. გვიჩვენებს საშინელ რე-  
ჟიმს აღზრდისას, რომელშიც ფართო აზგილი როზეს უჭირავს.  
მიხ. ასათიანი დეტალურად მოგვითხოვნას თავისი ცხოვრების  
ყოველ წვრილმანს. აგვიწერს თავისი მამის—სოფლის დარიბი  
მღვდლის ცხოვრებას, რომელიც დაღიოდა „ძველს დაკონკე-  
ბულს ანაფორაში, დაჭმუჭმილს და დაგლეჭილს შლაპაში“ გა-  
მოწყობილი. ავტორი თვალნათლივ გვიჩვენებს სამღვდელოე-  
ბის დაბალ ფენას. ამით კი საშუალება გვეძლევა გავითვალის-  
წინოთ დიფერენციაციის ის სურათი, რომელიც სამღვდელოე-  
ბას შორის არსებობდა. ისტორიულად ამ დიფერენციაციას და-  
დი წარსული ჰქონდა. სათავეში სამღვდელოებისა კათალიკოსი  
იღეა, მას მოპყვებოდნენ ეპისკოპოსები, მიტროპოლიტები, დე-  
კანოზები. დაბალ საფეხურზე კი იღვნენ სოფლის მღვდლები  
და იპოდიაკონები.

სასტაკი იერარქია ძველთაგანვე არსებობდა თვით სამღვდე-  
ლოების არისტოკრატიაშიც.

მიხ. ასათიანი დაწვრილებით აგვიწერს სემინარიელთა (ბურ-  
საკების) ცხოვრებას. მას გათვალისწინებული აქვს ყველა მოვ-  
ლენა, რომელიც სემინარიის ცხოვრებაში ხდებოდა. თვითგან-  
ვითარება მოწაფეებისა, „დაფარული ბიბლიოთეკის“ არსებო-  
ბა, საზაც „იყო წიგნები ყველა (იმ) დაწინაურებული მსწავ-  
ლულებისა“. ასათიანი გადმოგვცემს სემინარიაში არსებულ მო-  
წაფეთა ხელნაწერი უურნალების ისტორიას.

ავტორი აღნიშნავს სემინარიელთა ყოველდღიურ ცხოვრე-  
ბას ზა იმ გავლენას, რომელსაც მათზე ილია ჭავჭავაძე ახდენ-  
და. ასათიანის შემოქმედებაში ვერ ვხვდებით წინა თაობის იმ  
ნიღილისტურ შეფასებას, რაც „იმედმა“ 80-იან წლებში წამო-  
აყენა. იგი, პირიქით, შემდეგსა წერს: „ყველაზედ მოპიტებუ-  
ლათ ილია ჭავჭავაძე მოგვწონდა ჩვენს ახლანდელ მწერლე-  
ბში“. „ჭავჭავაძე მიგვაჩნია ჩვენ დედაბოძათ, მამამთავრად  
ჩვენი ახლად გაცოცხლებული მწერლობისა“. „ამ კაცის სიყვა-  
რული და პატივისცემა თათქმის გაღმერთებამდე აღიოდა“ და  
სხვა. „ხმა იყო, რომ მთელი დუშეთის მაზრის ხალხი, საზაც

ისა მსახურობდა მაშინ, უფრო გლეხ-კაციამა, ფეხზედა დგას და მაზედ ლოცულობსო". „სალილინოთაც უფრო ილიას ლექ-სები გვქონდა. უნდა გეყურებინათ ჩვენი სიხარულისათვის როდესაც საღილისა და ვახშმის შემდეგ შემოვუსხდებოდით ხოლმე მიტროს და გატაცებით დაჯახებდით — უფრო მომეტებულათ „სტუდენტების სიმღერას".

დიდ გავლენას აძლენდა ხალხის ჭირვარამით გამსჭვალულ დემოკრატიულ ახალგაზრდა მოწაფეთა გრძნობა-გონებაზე ილიას „გლახის ნაამბობილან" მღვდლის ტიპი, ეს პირველი ტიპი ხალხოსნისა, ქართულ ლიტერატურაში გამოხატული. ამას ოვით ასათიანი შემდეგნაირად გაღმოვცემს: „ონისიმემ განიზრახა მღვდლათ წახვლა ორის წლის წინეთ კურსის შესრულებამდი. ერთხელ, როდესაც წაეკითხა მას „გლახის ნაამბობი". კარგა ხანი ჩაფიქრებული დაზიოდა და ხმას აღირ იღებდა ილიას მღვდელს ძლიერ ჩაებლუხა ეს კაცი და თვალიდგან თურმე არ შორდებოდა". — „იცი, გიორგი, როდის ეშველება ჩვენ ხალხსა?! მაშინ, ჩემო მშაო, როდესაც გაუმრავლდება ი თუნდ მაგეთი მღვდლები, როგორიცა ჰყავს გამოყვანილი ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობში".

ასათიანი უარყოფითად იხსენიებს თანამედროვე სამღვდელოებას, რომელმაც უღალატა ნამდვილ მცნებას. აქ ქრისტიანული მოძღვრებით, ძმობის ქადაგებით და მოყვასისათვის და ხალხისათვის სამსახურით ასათიანი იჯეალური ხალხოსანი მღვდლის იდეალს გვაძლევს, რომელიც უნდა გავიდეს ხალხში და დაეხმაროს მას სნეულების განსაკურნებლად. ნამდვილი მღვდელი ასათიანისათვის რელიგიის წარმომადგენელი კი არ არის, არამედ პრაქტიკული ხალხოსანი მოღვაწეა. მართლაც, ჩვენი ხალხოსნების უმრავლესობა უმეტესად მღვდლად ან მას-შავლებლად მიგიოდა.

„ვისაც ცოტათი არის მაინც ადამიანის ფერი გვაძევს და კაცობრიობის სიყვარულში თავსა ვდებთ, უნდა შევდგეთ მღვდლათა და გაუხდეთ ხალხს ნამდვილი მამა, მოძღვარი, მწერმსი". ამ იდეალურ მღვდელს, რომელსაც ასათიანი გვიხატავდა, ხალხი კი არ უნდა ეყვლიფა, როგორც ეს სანამდვილეში ხდებოდა, არამედ მღვდლებმაც უნდა ვიცხოვროთო ისე,

როგორც ხალხი ცხოვრობს“. „ხალხი დარიბია — ჩვენც გამოკცავოთ, რა გემოსია სიღარიბე. სხვა რამ მწუხარება ჟავება დააჯება — ავიტანოთ ჩვენც მასთან ესეები“. აჭ. ხალტოსანი მწერლისთვის ჩვეულებრივი მისწრაფებანია გამოთქმული (შეაღარე ნ. ლომოურის „გიგო ღრობელაშვილი“). ხალხის საპსახურში მამაკაცს მხარში ქალი უნდა ედგას. ასათიანი მოთხოვნაში „მე და ონისძე“ იმავე აზრს იმეორებს, რაც ლექსებში გამოთქვა.

„ქალი და მხოლოდ ქალი ყოფილა და არის კიდეც კაცის გმირათ გამხდელი ზა აგრეთვე უვარების მჩვრად გარდამშეცევიც“. „ძლიერ შესცდები, დაცინებით მიავბო ონისიმემ, თუ შენც მაგ აზრს დააჯები, რომ ქართველნი ქალნი მარტო ტრფობისათვის იყვნენ გაჩენილნი“. „ეგ მარტო შემცდარი ჰაზრია, მაგას მოსპობა უნდა“. ასათიანი სწორედ აფასებს ძველი ქართველი დედის როლს და დამსახურებას სამშობლოა წინაშე. აქაც, ასათიანი, როგორც უკვე აღვენიშნეთ, ილია ჭავჭავაძის „ქართვლის დედაში“ წამოყენებულ აზრს იზიარებს და ავრცელებს.

ავტორი კვალდაკვალ შისდევს სემინარიელების ცხოვრებას. გვამცნობს მათ ფიქრებსა და განცდებს. სამწუხაროდ, XI თავი დაკარგულია. როგორც „იმედის“ რეზაქცია გაჯმოგვცემს, ასათიანს აღწერილი ჰქონია სემინარიაში მოხელე-მასწავლებელთა წინააღმდეგ მომხდარი მოწაფეთა აჯანცება.

ბოლოს ავტორი აგვიწერს ონისიმეს (თავის) გამგზავრებას რუსეთში სასწავლებლად.

დარიალთან გავლისას რუსეთში მიმავალი ასათიანი ყურადღებას აქცევს თერგსა და მყინვარს. ძალაუნებურად გვაგონდება რუსეთიდან საქართველოში მომავალი ილია ჭავჭავაძე და მისი „მგზავრის წერილები“.

ასათიანი წერს, ასე მეგონა, რომ თერგი „მყინვარს ეჩხუბება, უჯავრდება და კოჭებშიაც იმისთვის სწვლება ზა უღრღნის“, რომ რათ ხარ შენ მაგეთი უგულო, უგრძნობელი, რატომ ხმას არ ამოიღებ ქვეყნის ვაებაზედ“. საქართველოს საზღვრებს გადასცდა ავტორი და იმ ცხოვრებაზე თცნებობს, რომელიც

ელოდა რუსეთს მოწინავე ახალგაზრდებს შორის. აქ ასათიანის  
მოთხოვბა წყდება. ავტორს იგი დაუმთავრებელი დარჩა.  
ასათიანის მოთხოვბის ენა საღა და უბრალოა. იგი მოვლა-  
ბულია პოეტურ ფაგურალობას, მაგრამ, საინტერესოა, რო-  
გორც მემუარული ქანრის ნაწარმოები. იგი საშუალებას გვაძ-  
ლევს შევისწავლოთ 70-80-იანი წლების დემოკრატი ძოს-  
წავლე ახალგაზრდობის ცხოვრება და მისწრაფებანი. ჩვენი ინ-  
ტელიგენციის ისტორიისათვის ილია „მგზავრის წერილებისა“  
და აკაკის „ჩემი თავგაზასავლის“, ნ. ნიკოლაძის, შ. ჯავითაშვი-  
ლის, ს. მგალობლიშვილის მოგონებებთან ერთად მ. ასათიანის  
„მე და ონისიმე“ და შაქროს „განთიადი“ საინტერესო მასალას  
გვაწვდის.

მიხ. ასათიანი, ისე როგორც დანიელ ჭოქაძე, არა მარტო  
დემოკრატულ მისწრაფებათა გამომხატველი მწერალი იყო,  
არამედ ლიტერატურისათვის მანამდე ნაკლებ ცნობილ გლეხე-  
რი ლარიბ სამღვდელოების წარმომადგენელიც. სოციალური  
წარმოშობა მიხ. ასათიანისა მის ნაწერებსაც ეტყობა:

მე დავიბადე ჭექა-ჭუხილ ქვეშ,  
გამომიგრებნა ბევრი ვაება,  
და ამ ვაების ქვეშ ივრძნო გულმა  
თვისი სიმტკიცე და მომწიფება.  
ტანგვით და კვნესით მე მიპოვნია  
კაცურ ღირსების ჩემში შეგნება,  
ღამის თენებით, სულის შფოთობით,  
მე გამიცვნია კეშმარიტება.

ასე წერდა მიხ. ასათიანი!<sup>1</sup>

მწერლის მიერ თავისი საკუთარი შავბნელი წარსულის,  
ბავშვობის მოგონებამ, შემდეგ ქართულ დემოკრატიულ პოე-  
ზიაში ფართო აღგილი ზაიჭირა. იგივე აზრი ირ. ევლოშვილმა  
ასე გამოთქვა „მუშაში“.

მე დავიბადე ძველს წნულის ქოხში,  
ლერწამი იყო ჩემი აკვანი,

<sup>1</sup> შეუბოვარი, „იმედი“, 1881 წ., № 6.

ზევილან მჩვარი ძლიერა მფარავდა,  
სიცივათ კრთოდა შიშველი კან.



1857-1914

შაქრო (ზაქარია გულისაშვილი დაბ. 1857-1914)  
„იმედის“ ბელეტრისტებს შორის ნიჭითა და ნაწარმოებთა  
სიმრავლით ყველაზე მაღლა შაქრო დგას (ს. მგალობლიშვი-  
ლის მხოლოდ ერთი მოთხრობა „ცეცო“ დაიბეჭდა „იმედში“).  
მ. ასათიანის შემოქმედება თითქმის მთლიანად გვაძლევს გლე-  
ხური-დემოკრატიული ინტელიგენციის ისტორიისათვის საინ-  
ტერესო მასალებს, მაგრამ მისი კალამი უშუალოდ გლეხთა  
ცხოვრებას არ შეჰქებია.

„იმედის“ იდეოლოგიისათვის დამახასიათებელმა პრობლე-  
მებმა ყველაზე მძლავრად შაქროს მხატვრულ ნაწარმოებებში-  
ჰპოვეს აღგილი. და არა მარტო „იმედის“ ფგუფის ბელეტრის-  
ტთა შორის გვეჩვენება შაქრო ნიჭიერ მწერლად, არამედ მას  
80-იანი წლების ნაროლნიკ-ბელეტრისტების — ნ. ლომოურის,  
ს. მგალობლიშვილის და ეკ. გაბაშვილის შემდეგ საპატიო აღ-  
გილი უჭირავს.

შაქროს ნაწერებიდან „იმედში“ დაბეჭდილია „მეტივე“,  
„ბელნიერი კუნცული“, „მარტიანთ პაპა“ და რომანი „განთი-  
ადი“. შაქროს ნაწერებში ყველაზე დიდი ნაწარმოები არის რო-  
მანი „განთიადი“. თემატურად იგი შეიძლება ორ მთავარ ნაწა-  
ლად გაიყოს. პირველი ნაწილი ეხება მუხაყრული მღვდლის  
შვილის სიმნოს თბილისს სასულიერო სემინარიაში სწავლას.  
მეორე კი გარევოლუციონერებულ, ხალხოსან სიმნოს „ხალხ-  
ში გასვლას“ — პრაქტიკულ მოღვაწეობას გლეხების შორის,  
გლეხთა ცხოვრებასა და მათ ჭირ-ვარამს.

პირველი ნაწილი „განთიადისა“ თემატურად იგივეა, რაც  
მიხ. ასათიანის „მე და ონისიმე“, მხოლოდ „განთიადში“ სემი-  
ნარიის ცხოვრების უფრო გვიანდელი პერიოდია აღებული.

„განთიადი“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია.

მუხაყრული მღვდელი მამა ნიკოლოზი ქალაქიდან მოე-  
ლის „კურს“—შესრულებულ შვილს, ასეთია უვერტიურა ამ ნა-  
წარმოებისა. მშობლები სიხარულისა და სიამაყის გრძნობით  
ელიან საკუთარ შვილს, რომელიც, მათი აზრით, შეირთავს

ცოლს და „პრიხოდს“ დაეპატირონება. აქვეა დაბატიული სხვა  
მღვდლებიც, რომლებსაც შურთ განათლებული „კურსოვნი-  
კის“ ბეჭი და რომლებსაც ეშინიათ მისი კონკურენციისა. მაგრა  
რამ, სემინარიის კურსდამთავრებული სიმნო სრულებით არ  
ფიქრობს მღვდლად კურთხევაზე. იგი გატაცებულია ხალხის  
სამსახურის აზრით, შეპყრობილია უნივერსიტეტში სასწავლებ-  
ლად გამგზავრების სურვილით. იშვება წინააღმდეგობა მშობ-  
ლებსა და შვილს შორის. მშობლები სწუხან, რომ მათი შვილი  
თავს ანებებს სასულიერო წოდებას. სიმნომ დაარღვია ოდითგან  
დადებული წესი. მათმა გვარმა მრავალი საუკუნე ღვთის სამ-  
სახურში გაატარა. ავტორს სიმპატიურად აქვს შვილის „უბე-  
დურებით“ შეწუხებული დედ-მამის სახე გამოსატული. მაგრამ  
ავტორი სასტიკად ეპყრობა სოფლის მღვდლებს. იგი მკითხ-  
ველს რამდენიმე მღვდლის სახეს უხატავს. აქ „ტაბლით“  
გასუქებული“ სოლომონ მღვდელი, ტვლეპია დიაკვანი, რო-  
მელსაც სახელად აბრია ერქვა, მაგრამ მსუნავობისათვის ხალ-  
ხმა ტვლეპია დაარქვა, ჭალარა გველაძუა მღვდელი იაკობი და  
სხვანი. ერთ-ერთი მათგანი, სოლომონ მღვდელი, სიმნოს  
ჩერევასაც აძლევს: თუ მღვდლად არ ეკურთხე, მშიერი დარჩე-  
ბი, „მღვდელს კი არც მოშივა და არც შესცივა, ზის მღვდელი  
თავისითვის და ყველაფერი მოსდის უდარღდელად, მუქთად, ვი-  
საც ტვინი აქვს — მღვდლობა ხელმწიფობაა!“...

სიმნოს დედ-მამას თავისი შვილი, რომელიც მღვდლობაზე  
უარს ამბობს, შეშლილად მიაჩნიათ. ისინი დიაკვან ტვლეპიას-  
თან ერთად შედიან სიმნოს ოთახში იმ წიგნების სახახვად,  
რომლებმაც „გადარიეს“ სიმნო. სიმნოს დედამ ანნამ „პირვე-  
ლად ხელში აიღო დრეპერის „ფიზიოლოგია“.

„პიო, უფალო, მოუძლურდა რჯული და სასოებანი შენდა-  
მი. უწყის უფალმა, რამეთუ დამწერსა ამისა მიუცია სული ეშ-  
მაკისათვის! — ხელგაშლით ამბობდა გაოცებული ტვლეპიი  
დიაკვანი“. „

„შემდეგ იმათ ხელში მოჰყვათ კრაევიჩის ღიზია თა, როცა  
დააცქერდნენ სხვადასხვა მაშინების სურათებს, ნახეს ლოკო-  
მოტივი, ტელეგრაფი, — ერთმანეთს უფრო განცვითორებით  
შეხედეს. დიდხანს თვალებგაშტერებული იდგა მამა ნიკოლოზი

და თან იქნევდა საცოდავათ თავს, თავებს აქხევლნენ სხვებიც! ჩვენს გარდა სხვა უსიც ყრიცილა ევეყააზანე ისეთი, ომლი- საც ჩვენ ინჩიც არ გვეყურება და რომლის საბაზლოს ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, — ამბობდა იმათი განცვიფრება და თავის ქნევა!..

— კიდენი ქვეყნისანი ვინ უწყის, — წარმოსთქვა უნებურად ტვლებიამ.

ავტორი აპირისპირებს ორი მიმართულების წარმომაჯგუნ- ლებს. ერთი მხრით, სიმნო ღრებერისა და კრაევიჩის წიგნით, მეორე მხრით, პატიოსანი, მაგრამ შეუგნებელი მღვდელი მო- კოლოზი თავის მეუღლითა და ტვლებია დიაკვასთ. ეოთმანეთ- საა დაპირისპირებული მეცნიერება და რელიგია. ავტორი მეც- ნიერების მხარეზეა. გაბრაზებული შეუგნებელი ღვთია მსა- ხურნი ცეცხლის ალს მისცემენ სიმნოს „შემულელ“ წიგნებს: ბოკლის, ლასალის, მილის, დრეპერის თხზულებებს. შაქრო კა- რგად იცნობს აღზრდის თანამედროვე წესებს, რომლებიც მას სამართლიანად მიაჩნია „გონებით და ზეობით დამამხობელ „პედაგოგიურ“ სისტემად (შაქრო სიტყვას — პედაგოგიური ბრჭყალებში სკამს).

მშობლების მიერ უარყოფილი სიმნო თბილის უბრუნდე- ბა. იგი დაბინავდება სემინარიიდან გამორიცხულ ამზანაგთან — პოლე ჯაფოძესთან და იწყება ახალი ხანა სიმნოს ცხოვრება- ში. სიმნოს ცხოვრების თხრობის ღროებით შეწყვეტისას შაქ- რო აგვიწერს პოლე ჯაფოძის თავგაზასავალს, სემინარიის ცხოვრებას, „ბურსაკების“ ყოფას. ზნეობისა და გონების და- მამახინჯებელ „პედაგოგიურ“ სისტემებს. სემინარიაში, „ბურ- საში“ სწავლა კი არა, ტანჯვა იყო. მასწავლებლები მოსწავლე- ებს გაკვეთილებს არასდროს არ უბსილნენ, მარტო ფანჯრით უნიშნავდნენ — აქედგან აქმდის.

სემინარიაში მოწაფეთა მოსათვანიერებლად პრაქტიკაში იყო როზგი, დაჩოქება, სახაზავის დარტყმა, თმის გაგლევა, კუ- კუს ამოკვრა და სხვა.

ავტორი გვიხატავს გათვითცნობიერების გზაზე დამდგარი სემინარიელების ცხოვრებასა და მიუთითებს რევოლუციონუ- რი იდეების სათავეებისაკენაც. „საფრანგეთის დიდი რევოლუ-

ციით ალძრულმა, განსპეტაკებულმა გრიგოლმა დაპხერა მოელა  
ევროპას. რუსეთში ეს ნიავი სიოთ იყო ყირიმის ომამდე და ამ  
კი შებოჭილი ერთ ნაკადულად, დობროლუბოვის, ჩერნიშვილ-  
სკის და სხვების მიერ, იქმნა გრიგოლ-დ, მიშვებული მთელ რუ-  
სეთზე. აქედან სიოთ მოხვდა ჩვენებურს მყაყე გუბესაც და  
ბევრათ თუ ცოტათ გაჰთანტა აქ სიმყაყე“. ღიაწაფა პოლეც ამ  
იდებას. იგი მსჯელობდა და ღელავდა ბელინსკის მიერ გოგო-  
ლისადმი მიწერილი წერილის გამო. სემინარისტები გაგიუებით  
დაეძებდნენ ხოლო „სოვრემენიკის“, „რუსკოე სლოვოს“ ნომ-  
რებს. ისინი კითხულობდნენ არალეგალურ ლიტერატურასც.  
რუსი გამოჩენილი მწერლების ხელნაწერები ვარდებოდნენ მათ  
ხელში, იმართებოდა ცხარე ბაასი მიწის საერთო მფლობელო-  
ბაზე. მოწაფეთა კონსპირაციულ ჯგუფებში მუშაობისათვის  
და განსაკუთრებით არალეგალური ლიტერატურის კითხვისა-  
თვის პოლე გამორიცხეს სემინარიიდან და დააპატიმრეს. საპ  
ოვეს იჯდა იგი ციხეში. განთავისუფლების შემდეგ მკაზმავობა  
დაიწყო და იმით ირჩენდა თვეს. მუშაობდა მირზოევის ქარხა-  
ნაში. აი, ამ რევოლუციონერ, სემინარიიდან გამორიცხულ აქ-  
ხანაგოთან ჩამოვიდა სოფლიდან სიმნო. დაუახლოვდა ერთ სტუ-  
დენტს. მსჯელობდნენ ლასალის, მარქსის, დიურინგის, როდ-  
ბერტუსის და სხვათა შესახებ. ავტორის მიერ მოთხოვობილ ამ-  
ბავში მოვინილი, შექმნილი თითქოს არაფერია. მის მიერ ალ-  
წერილ ამბებს ნამდვილად ჰქინდა ადგილი ჩვენს, კოვრებაში.  
ეს ამბები დოკუმენტურად დასტურდება. ისინი, ჩერნიშვესკი-  
სა არ იყოს, „გადაწერილნი“ არიან ცხოვრების სინამდვილი-  
დან. შიოთ დავითაშვილი თვის მოგონებებში მრავალ ასეთ მო-  
მენტს იღონებს. სემინარიელებში ფარული წრის არსებობა,  
„აკრძალული წიგნების“ — დობროლუბოვის, ჩერნიშვესკის,  
პისარევის, დარვინის ნაწარმოებთა კითხვა, სემინარიელებშა  
ფართოდ იყო გავრცელებული. მრავალი სემინარიელის ბედი  
იყო ისეთი, როგორი ბედიც ჰქინდათ სიმნოსა და პოლეს,  
თუნდ თვით შიოთ დავითაშვილსაც, თითქოს პოლე მისი პრო-  
ტოტიპია. დავითაშვილიც სემინარიიდან გარიცხეს აკრძალუ-  
ლი ლიტერატურის კითხვისათვის. მან მკაზმავობა დაიწყო და  
ისე ირჩენდა თვეს, ბოლოს, გლეხებთან დაახლოების შიზნია.  
„ხალხში გავიდა“.

მაგრამ, გავუვეთ „განთიადის“ განვითარებას და ვნახოთ რაც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო 70-80-იანი წლებისათვის.

ახალგაზრდა, სემინარიიდან გამორიცხულმა პოლემ და სიმ-ნომ დაიწყეს არალეგალურ კრებებზე სიარული. შაქრო წერს: „იმ დროს თბილისში საღამოობით ხდებოდა ხოლმე ახალგაზ-რდობის კრება რომელიმე ნაცნობთაგანის სადგომში. ამ კრე-ბებში სიმნო და პოლე ხშირად მოღილდნენ“. „მაგრამ ერთ დღეს მათი მოძმენი ძლიერ შეცოტავდნენ. ესენი დაბახანის ქუჩაში გაკლიტულ-გამოკლიტულ ოთახებში მოჰყვნენ“. შაქ-რო პოლეს მეტების ციხეში დაპატიმრების ამბავს ნართაულად ჰყება. „დაბახანის ქუჩაში გაკლიტულ-გამოკლიტულ ოთა-ხებში“, ცხადია, რაცაა ნაგულისხმევი.

ასე მოვგოთხრობს მემუარისტის სიღინჯით შაქრო ქართვე-ლი ხალხოსანი ახალგაზრდების ცხოვრების მოქმენტებს.

მარტოდ დარჩენილი სიმნო გადაწყვეტს „ხალხში გასვლას“ ხალხის ჭირ-ვარამის გასაგებად და შესამსუბუქებლად.

ესეც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენი ხალხოსნების ცხოვრებაში. ამ გარემოებაზე მიუთითებდა ჩვენ მიერ ზეგით მოხსენებული მესამე განყოფილების გამგის შულცის მიმარ-თვა თბილისის გუბერნიის უანდარმთა სამმართველოს უფრო-სისაღმი, რომელიც 1873 წელს წერდა: „უკანასკნელ დროს ცხადი შეიქმნა, რომ არა საიმედო პირებმა დაისახეს მიზნად „ხალხში“ წასვლა“ და იქ სოციალური მოძღვრების გავრცელე-ბა“. ასეთსავე ამბავზე მიუთითებს უანდარმთა შეფი მეზენცო-ვი. 1877 წელს დაწერილ მომართვაში იგი წერდა: რევოლუცი-ონერები „მიდიან სოფლის მასწავლებლად, ფერშლებად, ბე-ბიებად და საერთოდ ირჩევენ ისეთ პროფესიას, რომ მღაბიო ხალხთან ახლო იყვნენ და იქონიონ მასზე გავლენა“.

მაგრამ გლეხობა ხალხისათვის თავდადებულ სიმნოს უნ-დოდ შეხვდა. „ზოგი გლეხი თავს ბალოს ამოწმუტუნებაზედ ემუქრებოდა: „გაჩუმდი, თორემ აგე, უჩიტელი შეგჭამსო“. მაგრამ სიმნომ საქმით დაუმტკიცა გლეხობას თავის სიყვარუ-ლი და მათი ნდობა დაიმსახურა. სულ მალე მას ყველა გლეხი „ჩვენ სიმნოს ეძახდა“.

იწყება სიმნოს პრაქტიკული მოღვაწეობა გლეხების კე-  
თილდღეობისათვის. „განთიადის“ ეს ხაშილი გლეხურ თეშა-  
ტიკის ერება, ისე როგორც დანარჩენი მოთარობები შაქროსფერული  
„მეტივე“, „მარტიანთ პაპა“, „ბელნიერი კუნკული“, ჭარ-იმარია  
დეხად ახლოს არიან ეს მოთხრობები ერთნახეთთან, რომ თათ-  
ქოს „განთიადის“ ცალკე თავებს წარმოადგენენ. აქ შაქრო  
ჭეშმარიტი გამოხსატველია იძ აზრებისა, რააც უცრიალი  
„მედი“ პუბლიციასტური წერილებით ქადაგებდა. შაქრო  
„განთიადში“, როდელიც აქამდე ურთავრესად ძებუაოული უა-  
რით განვითარა, პირვაპირ პუბლიციასტურ ხაწილებს ურთავს.  
იგი „ივერიელებს“ ეკამათება, ისე, როგორც ნ. ხიზახაშვილი  
წერილით „უფლება და კახონი ძველ საქართველომი“, ან სხვა  
ხალხოსაზი.

„მალე გაიგო სიმნომ ქართლელების ბეჭ-უბედობა. რწმუნ-  
დებოდა იძ აზრის სიმართლეში, რომ, საღაც ჩვენ ძლევაროსი-  
ლი მეფის და თავადაზნაურობის ბეღნიერი თვალი ხშიონად ვერ  
ხვდებოდა, იქ უფრო კარგად ეცროვრებოდათ გლეხებს, სინამ  
იქ, საღაც მათი თვალი დაუღალავად ზრუნავდა „იაიულის ბეღ-  
ნიერებაზედ“. ამისი მაგალითი სიძნოსათვის იყო ქიშიყი და  
გარე-კახეთი „თავისი მხიარული შაიოული ლექსებით, ადაყო-  
ბით, ყველაფერზი თავის გატანით და ღირსების ჯაცვით, და  
მეორეს იძრით ეს ქართლი, რომელიც დღევაიდლამდე საბატო-  
ნოა, საღაც სიძლერებიც მწარეა და სევდიაინა“. „ბატონის  
სისხლს და გლების სისხლს“ ერლაც არჩევდნენ და ხალზიც  
ჩაგვრისაგან ლაბა ხარივით დაჭირინებულია...

ათასიც რომ ემტკიცებინათ, ვათოდ „ისტორიული საბუთე-  
ბით“ ზოგ ვაჟბატონებს, რომ მამა-შვილური გაიწყობილება.  
სუფევდა უცის ბატოხემის შუა, რომ ვახტანგის კანონი თურცა  
გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულაო და სრვა ამგვარი ფეხ-  
მოკლე აზრები, რომლების უკან საღლაც არასასურველი მოი-  
პოვებოდა ხოლმე, მაინც ვერა დააჭერებდა რა სიძნოს, „რად-  
გან ხალხთა ცროვრების ღელვა ჯლითი-ღლე წინააღმდეგს ჩა-  
ჩიჩინებდა“. ეს გრძელი ამონაწერი გვაცნობს „განთიადის“  
შინაარსს, გვეხმარება შაქროს კონცეფციას გარკვევაში და  
გვაძლევს წარმოდგენას ავტორის მწერლურ თავისებურება-

ზედ. აქ ავტორი პუბლიცისტის ტონითა და სიტყვებით უკამა-  
თება საწინააღმდეგო პოზიციაზე მდგარ მოაზროვნებს. აქ, რა  
თქმა უნდა, ვერ ვხვდებით მხატვრული ლიტერატურულის  
დამახასიათებელ სახეებით აზროვნებას. ავტორის შოთარიშვილის  
მხატვრული სახეებით არაა განსახიერებული და ტენდენციაც  
ავტორისა იმგვარად არ არის გამოყვანილი, როგორც ეს პოე-  
ტისათვას არის აუცილებელი.

სიმნოს მოღვაწეობა, როგორც თვითონაც სჯეროდა, სრუ-  
ლიად ვერ მოსპობდა გლეხის უბეღურების მიზეზებს, მაგრამ  
„ცოტათი მაინც მოსწორდდა ხალხს ტანჯვის ცრემლს“.

სიმნოს ჰქონდა სხვადასხვა წამლები, მათ ავაღმყოფებს  
მუქთად ურიგებდა, გაუვარდა „ჯანაოზ-ექიმობის“ ხმა. „შუა-  
ღლის უკან გამართა სიმნომ დიდების სკოლა“, მართავდა წარ-  
მოდგენებს, შეაგროვა შემოწირულებანი და სოფლის დახმა-  
რებით ააშენა სკოლის შენობა. სიმნო „თუმცა ყოველგვარ  
უბეღურების ასაწევ აზარმაცად არ მიაჩნდა“, მაგრამ მაინც  
ჰფიქრობდა ბანკის, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის  
დაარსებას.

სიმნო გლეხობას იცავდა ადმინისტრაციის შევიწროვებისა-  
გან. გლეხები ეხვეწებოდნენ: „ბატონო სიმნო, მიშველე, მომ-  
კლეს ცემითო“. ამაზე გულმოსული სიმნო გავარდება ხოლო ჩაფიქრებთან. შაქროს მიერ აღწერილით მასწავლებელი სიმნო ტი-  
პია ჩვენი 80-90-იანი წლების მასწავლებლისა. ასეთია ვაჟა-ფშა-  
ველის სოსო მასწავლებელი. „ერთხელ სოსოს ბოქაულთან შე-  
ტაკებაც მოუხდა, როგორ თუ მეთევზე ჭიტესას სილა შემოჰ-  
კარიო — ვენაცვალე ჩვენს მასწავლებელს ი სულშიო! — სოქ-  
ვა მაშინ სოფელმა“. მაგრამ მთავრობა ასეთი ტიპის მასწავლე-  
ბლებს ებრძოდა, სამსახურიდან ითხოვდა და უსპობდა გლე-  
ხობაში მუშაობის საშუალებას. სიმნოც დაითხოვეს მასწავ-  
ლებლობიდან. იგი სევდიანი მოშორდა ნაამაგარ სოფელს და  
გლეხობას და გრძნობდა, რომ „გლეხკაცის სიყვარული და პა-  
ტივისცემა რაღაც მანიათ გადაექცა“.

აქ წყდება რომანი. თუმცა კომპოზიციური რეალი თავდე-  
ბა, მაგრამ შესაძლებელი იყო სიმნოს შემდეგი მოღვაწეობის  
აღწერაც, მით უმეტეს, რომანი შეისუარული უანრითაა გაშლი-

ლი. ავტორიც დასქენდა-გაგრძელება იქნებაო, მაგრამ „განთა-  
აღის“ გაგრძელება მკითხველ სასაუგადოებას აღარ უხილავს.

შაქროს დანარჩენი მოთხოვნები თემატურად „განთაღის“  
მეორე ნაწილთანაა დაკავშირებული, ისინი თითქოს ცალკე თა-  
ვებია მისი, მაგ. „ბედნიერი კუნტეული“<sup>1</sup>. დამახასიათებელია  
ქვესათაური ამ მოთხოვნისა: სურათები, შენიშვნები და დაკვი-  
რებანი. ქვესათაურშია მოცემული მოთხოვნის დამახასია-  
თებელი კომპოზიცია და თხრობის თავისებურება. აქ, როგორც  
ხალხოსანთა უმრავლესობის ნაწერებში, მოცემულია ცა-  
ლკეული სურათები, რომლებიც ერთმანეთთან მტკიცე კანონ-  
ზომიერ ფაბულურ კავშირში არ იმყოფებიან, აქ არის დაკვი-  
რება გლეხობის ჭირ-ვარამით დაინტერესებული აღამიანისა  
და შენიშვნები — როგორც თვით შაქრო უწოდებს. თავისი  
მოთხოვნის მხატვრულ სისუსტეს ავტორიც ხელავს, როცა  
მოთხოვნის ბოლოს წერს: „ესე, მკითხველო, მგონი ჰყავრობ —  
რაზე დავსწერე ამდენი — მერე დაულაგებლივ — აუკონა-  
ვიო!“ მართლაც, აუკონავია მოთხოვნაში მოცემული ამბები  
გლეხის ცხოვრებიდან. ავტორი აღწერს სოფლის ცხოვრების  
მომენტებს, როგორც კორესპონდენცი და შემდეგ პუბლიცი-  
სტის ტონით ეკამათება მოწინააღმდეგებებს, ამტკიცებს თავად-  
აზნაურთა და გლეხობას შორის წინააღმდეგობის არსებობას.  
ავტორი წარმოადგენს სურათს აზნაურისას, რომელიც მამულს  
არ ღობავს, რა არის გლეხის საქონელი შევიდეს, დაიჭი-  
ოოს და ჯარიმა გადაახდევინოს. ეს აზნაურია, ხმლით რომ აწი-  
ოებს გლეხობას.

შაქრო ჩვენს წარსულსაც ეხება და გვიჩვენებს იმ წინააღ-  
მდეგობათა სურათს, გლეხობას და თავადაზნაურთა შორის  
რომ არსებობდა. ავტორს სწორად ესმის ჩვენ წარსულ ცხო-  
ვრებაში კლასებს შორის არსებული მდგომარეობა, შაგრამ  
უარმყოფელობის ტონიც გაისმის მის აზრებში. შაქრო ობიექ-  
ტური მიუღვომლობით ვერ აფასებს წარსულს და მას „უწინ-  
დელს საზიზღარ დროს“ უწოდებს. შაქრო წარსულში კარგს  
ვერაფერს ხელავს. ამით იგი აჭარბებს და სიმართლეს ღალა-

1 „იმედი“, 1881 წ., № 9.

ტობს, როგორც ღალატობდნენ სიმართლეს რომანტიკოსები, რომლებსაც საქართველოს წარსული იდეალურად წარმოედგინათ. უარყოფა საქართველოს წარსულისა, რომელ ჩვენი ისტორიისადმი და ისტორიული პირებისადმი შაქროს ამ მოთხობას სერიოზულ ხასიათს აკარგვინებს.

მოთხობაში „ბედნიერი კუნძული“ შაქრო გვიხატავს ჩარჩარტემა იაგორიშს, რომელიც ასე ფიქრობს: „თუ გაისარჩე, რაც წყალი მღვრიეა, იმდენი მეტს თევზს დაიჭერ“. ყოველი ახალი მომენტის გამოჩენისთანავე მოთხობაში შაქრო თავის აზრსაც გამოთქვამს, მსჯელობს. მაგალითად, იგი შემდეგ მოსაზრებას ანვითარებს: „რა შეკლიათ შენდებოდეს ქვეყანა — ორმოც წელში მთელი ქვეყანა გაბედნიერდებოდა“. „ჯერ ცხოვრება — მერე შეკლა! ჯერ ეკონომიური საგანი, წყობა და მერე მორალური“. აქ იგივე ეკონომიური პრობლემის წინ წამოწევასა და პირველ რიგში დაყენებასა ვხედავთ, როგორც ამას პუბლიცისტი ხალხოსნებიც მოითხოვდნენ.

„ბეჯნიერ კუნძულზე“ უფრო მეტი შაქროული გემოვნებით არის დაწერილი შაქროს მოთხობა „მარტიანთ პაპა“.<sup>1</sup>

შაქროც, როგორც ხალხოსნებს სჩვეოდათ, მოთხობის დასაწყისშივე ხაზს უსვამს გლეხობის დაბეჩავებულ მჯგომარეობას და იმ სხვაობასა და წინააღმდეგობას, რომელიც გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის არსებობდა. სოფელში „უკანონობას, კაცობრიობის დამხობას, მუშტის და მათრახის ძალას დრო-ვითარებით ჩანერგილი მძლავრი მეფობა ჰქონდათ. იქ მცხოვრებ ჩემ მეზობლებს, მუაშუა დახეთქილ ხელებით და გარუჯული კისრით დღესაც კაცებათ არა სოვლიჯნენ და ყველას საკიდურ პირუტყვათ მიაჩნდათ, იმ ქმნილებათ, რომელიც უწოდებული მასწორობის დაწყობიდანვე თხუთმეტჯერ ნაკლებ დაფასდა, ვიზრე მისი ბატონის ფეხის თითა და რომლის ფასი თოთხმეტი თუმანი იყო ვახტანგის კანონით!“

მოთხობის ეს შესავალი ნ. ხიზანაშვილის ან მ. გურგენიძის პუბლიცისტურ წერილებს მოგვაგონებს დებულების. პრინციპის მიხედვითაც და თვით პუბლიცისტური წერის მანერითაც. ავტორი აგვიწერს ღარიბი, პატიოსანი გლეხის მარ-

<sup>1</sup> „იმედი“, 1881 წ., № 2.

ტიაანთ პაპას ცხოვრებას. პარალელურად გამოყვანილია აზნაური კაკო, აბეზარი და გლეხების შემაწუხარი. შაქროს გლეხების სხვა მტრებიც გამოჰყავს: „ნაჩალნიკები“, „ჩაფრები“, პრაოჩიკი (თარჯიმანი), რომლის შესახებ გლეხ ხახარეს ათქმევინებს:

„პრაოჩიკიც“ ხომ აქ არის, ვაი დედიჩვენის ღმერთსა  
მიქელ-გაბრიელი არი, როდის ამოგვედის სულებსა?

მაგრამ ნაწარმოებში იღწეურილია არა მარტო ის დიდი მწუხარება, რომელიც გლეხს ჰქონდა, არამედ სიხარულიც, თუმცა იშვიათი, უბრალო არამით გამოწვეული. ამ მხრივ საინტერესო მომენტებიც არის „მარტიანთ პაპაში“.

გლეხს ბატონი, ჩარჩი, ნაჩალნიკი აწუხებს, მაგრამ მას თავისი სულის მეგობრებიც ჰყავს, სიხარულიც იცის. შაქროს კარგად აქვს განცდილი ის სიახლოვე, რომელიც გლეხსა და მის ერთგულ საქონელს შორის არსებობს, პირდაპირი სიყვარული საქონლისა, ერთგული მარჩენალისა. გლეხის ეს გრძნობა ჩაფიელ ერისთავმაც და ილია ჭავჭავაძემაც კარგად გამოხატეს. გლეხს უყვარს მასი მარჩენალი პირუტყვი, ყოყინა ზაქები, ეალერსება მათ და ამ თავის სიყვარულს ლექსებში გამოხატავს და მღერის: „შენ, ჩემო შავო კამეჩო!“ გლეხი გრძნობს, რომ მას ხარის ქედი უმსუბუქებს გასაჭირს, ეხმარება, მასთან ერთად ეწევა ცხოვრების მძიმე უღელს. ხალხის გაჩენილანვე:

ადამიანის შენახვა  
ვერავინ იდვა თავზედა,  
ხენა-თესვა-ფარცხვა და ზიდვა  
გაჭირდა მეტად ძალზედა.  
ხარმა თქვა, პირ-ნათლიერმა,  
მე დამაწერეთ რქაზედა.  
მოცვივდნენ ანგელოზები,  
დაჰკოცნეს ორსავ თვალზედა,  
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი,  
მიაკრეს ორსავ რქაზედა!

ასე აფასებს გლეხი ხარს, ამისთვის იგი ძმა და მეგობარია, ამიტომ გლეხი მას „ქედკურთხეულს“ და „პირნათლიერს“

უწოდებს და უმღერის კიდეც გასამხნევებლად. ეს მოვლენა გლეხის ცხოვრებაში კარგად აქვს დანახული შაქრის, მათი მომენტები შეუტანია „მარტიანთ პაპაში“, რომელი შემძლო გლეხის ცხოვრების უფრო მთლიანი სახით წარმოდგენა, გვაჩვენა უბედურება, გაჭირვება გლეხისა, — მჩრები მისი, მაგრამ გვაჩვენა გლეხის მეგობრები და დამხმარენიც, გლეხის ჭირი და ლხინი. „ყველის ივიწყებს ის, როცა თავის შავ-თვალი ხარს შეჰქედავს მოღრუბლულ თვალებში“— წერს შაქრო. გლეხის ბნელ და დუხშირ ცხოვრებაში არის ნათელი და სიხარულით აღსავს მომენტებიც. ესენი ზოგჯერ მეტად უბრალო რამ არიან, მაგრამ გლეხს მაინც სიხარულს ჰგვრიან. მაგ., გლეხს უხარია, რომ მისმა ლომა კამეჩმა უოელში დააჩინქა მეზობლის ჭონქა კამეჩა; გლეხს უხარიან, რომ მისმა ძაღლმა გაუგო მელიას საქათმეში შეპარვა და მოჰგუდა; გლეხს ახარებს ისეთი უბრალო რამეც კი, როგორიც არის ცულისათვის კარგი ტარის გაკეთება; გლეხს ახარებს დღეობაზე წასვლა, ლხინი, თამაში, გოგოებში თავის მოწონება, ერში გასვლა საჭიროდ, მოწინააღმდეგის ღამარცხება და დასანიშნად შეგულებულ გოგოსთან თავის მოწონება. გლეხი აქებს კარგ გუთნის-დიდას, უყვარს გუთანი, ამიტომ ამბობს ხალხური ლექსი — „შენი ჭირიშე, გუთანოო“.

ი ეს მომენტებია გლეხის ცხოვრებიდან, რაშიც გლეხი ივიწყებდა ჭირ-ვარამს, დროებით სევდას იქარვებდა. ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესოა ეს ამბები. ამით გვეძლევა გლეხის ინტერესის, სურვილების და გარემოცვის საფუძვლიანი შესწავლის საშუალება, რადგან მხოლოდ კარ-მიღამოთი არ ამოიწურება გლეხიბას ცხოვრება.

„მარტიანთ პაპაში“ ავტორი იყენებს ხალხურ ლექსებს, რითაც ნაწარმოებს კოლორიტული ხასიათი ეძლევა. ხალხური ღირსშესანიშნავი ლექსები ეხმარება ავტორს გლეხის ცხოვრების აღწერაში.

მომკლა და ცეცხლი მომიღო, ვალალე,  
შვაღმა, ნაცარში ჩეულმა, დალალე,

არც მომკლა, არც დამარჩინა, გენაცვა,

არც სული დამალევინა, ბიჭო-და!

წუთისოფელმა დღე ჩემი სიმწარით დამალევინა, გენაცვა,  
მატირა ცხარე ცრემლით, ზღვასაცა შემართვევინა, ბიჭო-და.

ამ ლექსებს მღერაან „მარტიანთ პაპაში“ აღწერილა გლე-  
ხები და მართლაც, ამ ლექსების მხოლოდ სიმღერა თუ შეიძ-  
ლება, დინჯან და სევდიანად. ისინი საღეკლამაციოდ არაა შე-  
ქმნილი.

შაქროს გლეხები სხვადასხვა საქმიანობის დროს შინა-  
არსეულად და რიტმულად სხვადასხვა ლექსებს მღერიან. მაგ.,  
ქვევრის რეცხვის დროს გლეხი მღერის:

ჰოი-და გოგო-და! ოდა შენი-და!

ჰაბდა, ბიჭო-და! ჰოი და გოგო-და! და ა. შ.

„იმედში“ დაბეჭდილ მოთხრობათაგან შაქროს კალამს  
შეუთვის „მეტივე“, ძველად აღმოსავლეთ საქართველოში,  
განსაკუთრებით, ვიდრე ჩემინიგზა გაიმართებოდა, მეტივეობა  
ძალიან გავრცელებული იყო. დარჩენილია მეტივეების სევ-  
დიანი სიმღერების კილო. აი, ამ მეტივე გლეხების ცხოვრიბას  
ეხება შაქროს მოთხრობა. მანამ მათ ცხოვრებას ქართველ მწე-  
რალთაგან აჩავინ შეჰქებია. ამ მოთხრობაშიც ავტორი აღ-  
წერს სოფლის სიღარაბეს, სოფლის შემაწუხართ: თავადებს,  
ჩარჩ-ვაჭრებს, მამასახლისს, მექრთამეთა მწერალს. გლეხების  
ინტერესების დამცველად ავტორს, გამოყვანილი ჰყავს მასწავ-  
ლებელი ჩაღოლაძე იგი „ხალხში გასული“ ხალხოსნის ტიპა.  
იგი პროტოტიპია „განთაადის“ სიმნოსი და თვით ავტორისა.  
შაქრო აგვიშერს ლარიბი, ობოლი გლეხის მოჯამაგირე ბაციკას  
გაჭირვებას. ამით ავტორი ეხება გლეხობაში ყველაზე უღა-  
რიბესი ნაწილის ცხოვრებას — მოჯამაგირას ყოფას. მოჯამა-  
გირის ყოფა ყველაზე უკეთ ხალხურ ლექსშია გამოთქმული:  
სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო.

შემდეგ ბაციკა მეტივეობას იწყებს. აქ ავტორი გვიყვება  
შეტივე გლეხის ცხოვრებას დეტალებს. თუ მეურნე გლეხის

ცხოვრება საკმაოდ ცნობილია ჩვენთვის, შეტივეთა ცხოვრებას თითქმის სრულიად არა აქვს ქართველი მწერლების ნაწერებში აღგილი.

შაქრო, როგორც მხატვარი, სუსტია, მაგრამ იგი ერთ ხერხს მიმართავს (როგორც „მარტიანთ პაპაშა“); მოთხოვნაში შრავლად ურთავს ხალხურ ლექსებს და თავის სათქმელს ხალხური ლექსით გამოხატავს. მეტივე გლეხის განცდებს, მის სისარულსა და მწუხარებასაც ლექსით გადმოგვცემს.

ავტორი მეტივების ცხოვრებას; ისე როგორც დანარჩენი გლეხობისასაც, კარგად იცნობს. სოფელ მეტებში, სადაური ამბავაც არის აღწერილი „მეტივეში“ და სადაც ავტორი მასწავლებლად მსახურობდა, ძველად ბევრი მისდევდა შეტივებას. 1880 წელს „დროებაში“ (№ 62) ვხვდებით შაქროს კორესპონდენციას: პროვინციალური სურათები (ქართლიდამ). ამ კორესპონდენციაში, ისევე როგორც მის მოთხოვნებში, მოცემულია გლეხების გაჭირვების სურათები, შაქრო წერს:

„ხშირად, ძლიერ ხშირათ ჰნახავთ ამნაირ სურათს, რომელიც მე გუშინ ვნახე! ზორბა მეტივე, ცხონებული მიხა, არშინ ნახვარი ბეჭება და უზარ-მაზარი მკერდი ორთაყურის მოსმაში ხშირათ ჰაპნძრევია და ზედ მოსვლია შავი ოფლი. აი, საწყალი, წევს ხელს იარდლის ლოგინში, თვალებს აბრიალებს, გულზედ მომაკვდავ ხელებს იფხაჭუნებს“. შესაძლებელია ამ მიხას ცხოვრებაც გამოიყვანა შაქრომ თავისი „მეტივესათვის“.

სოფრომ მგალობლიშვილის (1851 — 1925) ნაწერებიდან „იმედში“ დაბეჭდილია მოთხოვნა „ღმის მეხრე ცეცლ“. ამ მწერლის ტიპებიც თითქმის ყველა ცხოვრებიდან არაან აღებული. ამ გარემოებას აღნიშნავს სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებაში: „ერთხელ ჩემს სოფელში, რომლის მცხოვრებლებს ხუთი თითოვით ვიცნობდი, მათთან გავიზარდე, ასე გასინჯეთ ჩემი მოთხოვნების გმირებაც კი რომელთაც იცოდნენ ამ მოთხოვნის შინაარსი, შევყარე ყველანი“. ხოლო მოთხოვნა „ჭორ-ზაქარას“ მთავარი გმირის ზაქარას თავგადასავალი, როგორც ს. მგალობლიშვილი თითო-

ნაც მაუთითებს, აღებული აქვს ავტორს ტირჩნისელი გლეხის ზაქარა ტეტუნაშვილის ცხოვრებიდან. ტირჩნელი ზაქარას ხა-სიათისათვის ს. მგალობლიშვილს დაუმატებია მეჯვრისკეველი გლეხის ზაქარა მღებრიშვილის ხასათიც. ხოლო, ჭორ-ზაქარას ოჯახის ამომწყვეტი, რომელიც მოთხოვბაში მარუშაძის გვა-რითაა მოხსენებული, იყო ტირჩნისელი მემამულე სულხა-ნიშვილი. ასეთ რეალურ ამბებს უდებდა საფუძვლად ს. მგა-ლობლიშვილი ავის შემოქმედებას. „ღამის მეხრე ცეცოც“ ასეა დაწერილი. ავტორს აღწერილი აქვს სოფელი დ. მეტსა-ხელად ძალის ხევა. სოფელი დ., რომ მვალობლიშვილს სო-ფელი დირბია, ჩანს იქიდან, რომ ავტორი წერს, „იქაურ კაც-თან რომ ახსენოთ სახელი „ბატი“, უნდა მაშინვე თავს უშვე-ლოთ“.

„თუმცა ასე სახელგატეხილია, საანდაზოდაც კი გამხდარა ძალის ხევა, მაგრამ“ და სხვ. ქართლში მართლაც არსებობს დირბელების გასაბრაზებელი ანდაზური გამოთქმა: „დირბე-ლებო — ბატიო, ბრეთელებო — ჭუჭულიო“.

მოთხოვბაში აღწერილი დ. — ძალის ხევა სოფელი დირ-ბია, სამშობლო ავტორისა. წყალი შიგ ამ სოფელში არ არის, მხოლოდ, მართლაც, როგორც ს. მგალობლიშვილი აგვიწერს: „გვერდზე ჩაუდის ფრინვე, რომლის ნაპირები შემქულია ბაღ-ვენახებით და აგრეთვე განთქმულია თორნეებით და კეცებით“. ს. მგალობლიშვილი სოფ. დარბის ცხოვრების სხვა თავისებუ-რებასაც გაღმოვცემს. მამული დირბელებისა ძველთაგანვე ეკუთხნდა უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებს და რევოლუციამდე ბერები განაგებდნენ.

ვახუშტი თავის გეოგრაფიაში წერს: „არს დირბს მონას-ტერი, სადა ზის არქიმანდრიცი იერუსალიმის ჭვრის მონას-ტრისა, არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა და ყოველს საქართველოსა შინა არს მამული მისი, და ჰულობს ესე, და მოსავალს უგზავნის ვერცხლად იერუსალიმს“. ძალის ხეველი გლეხებიც ღალას ხომ ბერებს აძლევენ. „ღამის მეხრე ცეცოში“ ვკითხულობთ: „სოფელი ძალის ხევა ძველადვე მეფეებისაგან, თუ კერძო პირებისაგან შეუწირავთ ეკლესი-

ისათვის — ქრისტეს საფლავისთვისა. — ქრისტეს საფლავის  
მონასტრის ბერები უვლიდნენ მამულს, ყველაფერი იმჟო ხვდ-  
ში იყო“ და სხვ.

მთავარი გმირი ამ მოთხოვნისა არის ღამის მეხრე ცეცო.  
გლეხობა, საერთოდ, მიწის მუშაობას მისდევდა. მაგრამ  
შრომა მათ განაწილებული პერიოდი, იყვნენ მენათირები,  
ღამის მეხრეები, დღის მეხრეები, გუთნის დედები და სხვ.  
რაფ. ერისთავის ქვრივ ოხერს ბეჩავს თინიას ჰყავს ერთად-  
ერთი შვილია, წვითა და დაგვით გამოზრდილი, „დღის მეხრე  
იყო“... ასეთივე ღარიბი, ობოლი, „საბრალო ნეხეს“ ბიჭი იყო  
ღამის მეხრე ცეცოც.

„იმედში“ დაბეჭდილ ყველა მოთხოვნაზე უფრო კარგად  
გლეხის ცხოვრებას ს. მგალობლიშვილის „ღამის მეხრე ცეცო“  
ვვაცნობს. მოთხოვნაში მრავლად გვხვდება ძველი სოფლის  
დამახასიათებელი სურათები, შრომა გლეხისა, რწმენა, ჭირი  
და ლხინი. აი, ნახირისა და ღორ-ხბოს შეზოსვლის სურათი  
სოფელში საღამოს უამს. ეს უბრალო რამ არ იყო სოფლის  
ცხოვრებისათვის! ბლავილი საქონლისა, გაფრთხილება პატ-  
რონთაგან, რომ ხბორებმა არ მოსწოვონ ძროხები; ღამის მეხ-  
რეების ცხოვრება; ცნობილი მათი სიმღერა — „ტოროლას  
მაინც არ მოვკლავ“; მინდორში ცეცხლის დანთება და სიმინ-  
დის ტაროების შეწვა; მეგობრული ბაასი ღამის მეხრე ბიჭე-  
ბისა.

გლეხის ყოფის სხვა დეტალებიც მრავლადაა ამ მოთხოვნ-  
ბაზი; მგალობლიშვილი აგვიწერს, თუ რითა იკვებება გლეხი.  
თავისებური მენიუ არის წარმოდგენილი ღარიბი გლეხის  
საჭმელისა: „ლობიოთანა ჩვენი კაცისთვის არა არას რა; რო-  
გორც ეს ამოჰყორავს მუცელსა, ისე სხვა არ გავანილა“.  
ლობიო და კვახი, შემწვარი სიმინდი, დაკროლილი და გაკუ-  
ჭული კაჯალი, ხახვის ფოჩი — მთავარი საკვები იყო ღარიბი  
ქართველი გლეხისა.

გუთნისდედას და მეხრეს შვილივით და ძმასავით უყვართ  
თავისი ერთგული, ჭირვარამის გამზიარებელი ქედ-კურთხეული  
ხარ-კამეჩი. გლეხი თითონ შშიერი დარჩება, ოღონდ საქონე-

ლი გააძლოს. პირუტყვიც გრძნობს პატრინის სიყვარულს. ცეცხ „გაეხვია ფარავაში და მისდო თავის კამეჩის ფერდზე, კამეჩიაც თითქო შეაბრალა მეხრე, გვერდი გადიღოს ცუცას კისერი შიგ ფერდში გადიშონა და ლაზათიანად გაიშხლართა“.

მარტო ცხოვრების პირობები არ ჰქონდა გლეხს განსხვავებული, მისი გონიებაც დაჩავრული იყო. გლეხი შეპყრობილი იყო ფატალიზმით, ამას ს. მგალობლიშვილი კარგად ამჩნევს. „სიკვდილი ხომ წერაა: რაც შუბლზე აწერია, იმას ვერ წავა“ ადამიანი. აი ცრუმორწმუნე გლეხის დამახასიათებელი ფილოსოფია. გლეხს სხვა მოვლენებისადმი თავისი საკუთარი შეხედულებანიც აქვს. არსებობენ მოვლენანა, რომელთა ახსნა არ შეიძლება, მაგ., ელვა, ქუხილი. ქუხილს, მისი აზრით, ელია წინასწარმეტყველი აჩენს, მაგრამ ვინ აჩენს ღრუბლებს? აქ გლეხს პასუხი აღარა აქვს. იგი მისთვის შეუცნობელია, ხოუმენია და ს. მგალობლიშვილის გლეხი თავის ამხანაგს, თუ ვინ აჩენს ღრუბელს, ასე უპასუხება: „ევა, ბიჭი, ჭიუა — მიუნდობელია“. ასეთია გლეხის ფილოსკოფიური „აგნოსტიციზმი“.

უსწავლელი ქართლელი გლეხის საუბარიც საინტერესოა. იგი თავისებურ სიტყვებსა ხმარობს. მაგ., ფოხოლა ყვავები, გუთნიდედას ჩეკები, მურეხობა, კანტი, ჩალიჩი, დევეტხანა და სხვ. ქართლელი გლეხის მეტყველებაში ძველი წარმართული რწმენის ნაშთიც შემოჩენილია. ს. მგალობლიშვილს არც ეს რჩება უყურადღებოდ: „ი, მზის შუქის მაღლმა“ — იფიცებს გლეხი თავის ძველ, წარმართულ ღმერთს მზეს. ანდა მტერსა და ორგულს აშინებს მზის სახელით: „ი მზი შუქი რისხაძეეს“.

ასეთია გლეხის ყოფის დეტალები ს. მგალობლიშვილის ამ საანტერესო მოთხრობის მიხედვით. მაგრამ მთავარი ს. მგალობლიშვილისათვის ეს არ არის. შავარი მისთვის ის სოციალური ურთიერთობაა, რომელიც სოფლად არსებობს. ავტორი იძლევა ღიფერენციაციის სურათს გლეხებს შორის. ერთა მხრით გაჭირვებული მშრომელი მაწის მუშა გლეხი, მოჯამაგირები და ლამის მეხრეები, მეორე მხრით მღვდლები, მოურავები, აზნაურები.

ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური დანაწილების გათვა-  
ლისწინებისას არის ის, რომ ს. მგალობლიშვილი ხელაც იმ  
ახალ დიფერენციაციას, რომელიც გლეხობაში მოხდა. გლეხი  
უბედურია. იგი მოჩტმუნეც არის, ამიტომ არ სურს დაიჭე-  
როს, რომ ღმერთი ურევია მის დაბადებაში. „ჩვეო გაჩენაში  
ღმერთი არ უნდა ერიოს“. — აი, ამ ღარიბ გლეხებს აწუხებს  
თავისი მეზობელი, გამდიდრებული გლეხი. — „თუ მკითხამ,  
ჩვენივ მეზობელი გვიჭირებს საქმეს, ჩვენი! აძლევებული ფი-  
ლუა ეშმაკურაშვალი ჩვენის ხელით ანწუბზეა ასაგები, ან-  
წუხზე“.

დიფერენციაცია განიცადა თავაზაზნაურობაშიც. ძველი აზ-  
ნაურობის ნაწილი გაღარიბდა, ეკონომიურად გლეხს გაუთა-  
ნასწორდა და ინტერესებიც გაუჩნდა გლეხთან საერთო. იყო  
მომენტები, როცა გაღარიბებული, გადაქაჩული „შემოდგომის  
აზნაური“, — როგორც შემდეგ დ. კლდააშვილი უწოდებდა,  
ღარიბ გლეხთან ერთად ებრძოდა მთავრობასა და გამდიდრე-  
ბულ გლეხებს, ჩარჩებსა და მამასახლისებს. ასეთები არიან  
აზნაურები მიხა და ვასო გვარაძეები. აზნაური „მიხა იმიტომ  
იყლავდა თავს, რომ მისი მამულები სულ ბლუნძელაშვილსა  
ჰქონდა ხელში ჩავარდნალი“. მიხას ბიძავილშა ვასილშა კი  
„გლეხურად დაიწყო დღე და ღამ მუშაობა“.

სოფელში ჩეფორმის შემდეგ ინტერესთა სხვაგვარი გადა-  
ხლართვა მოხდა. ამიტომ, ღამის მეტრე ცეცო, მოჯამაგირე  
პაკო და ღარიბი აზნაური მიხა შეითქმებიან, თავს დაესხნენ  
სოფლის ბობოლებს, რასთვისაც ცახეშიაც ჩაცვივიან. ასეთი  
იყო სუსტი შეტევა და წინააღმდეგობა გლეხობისა მჩაგრე-  
ლისადმი, ფიზიკურ წინააღმდეგობასთან ერთად ბრძოლის სხვა  
მეთოდებიც ჩანს გლეხობაში — „სახლის შეკვრა“ — ბოიკო-  
ტი. ეს თავისებური ბლოკადაა, რომელსაც ჩვენი გლეხობა  
ძველთაგანვე მიმართავდა ხალხის შემაწუხარი ოჯახების წინა-  
აღმდეგ, რითაც, როგორც იგრვე გლეხები ამბობდნენ, „არწუ-  
ლებდნენ“ ნამუსზე ხელაღებულ აღამიანებს.

კლასობრივ ჩაგვრასთან ერთად გლეხი ეროვნულ ჩაგვრა-  
საც განიცდის. მან არ იცის ენა იმ აღამანისა, რომელიც  
უფროსად მოვლენა. ძალის ხეველ გლეხებს „უპრავლიაუ-

ჩი“ აწუხებს, იგი სულ კბილებს აღრშიიალებს: „გრუზო ფინთი,  
გრუზი ფინთი, მამაძაგლიო“ იძახის.

იოსებ დავითაშვილი (1850—1887) „იშელშირტული  
სისტემატურად არ თანამშრომლობდა. მან ამ უურნ-ლში მხო-  
ლოდ სამი ლექსი დაბეჭდა: „სუსტი და მძლავრი“, „შემო-  
დგომა“ და „გლეხის ოჯახი“. ლექსს „შემოდგომა“ ფსევდო-  
ნიმად აწერია — ი. გლეხი, „სუსტია და მძლავრ“ — ი. დ.,  
„გლეხის ოჯახი“ კი პოეტის გვარი სრულად.

„შემოდგომა“ არის ნაწილი ი. დავითაშვილის ლექსისა  
„წელიწადის ოთხი დრო“. „იშელში“ დაბეჭდალი ტექსტი  
ი. დავითაშვილს თხზულებათა გამოცემის ტექსტისაგან გან-  
სხვავდება“.!<sup>1</sup> „იშელში“ დასტამბული ლექსი ი. დავითაშვი-  
ლისა „სუსტი და მძლავრა“ განსხვავდება მის ლექსთა კრე-  
ბულში ამ სათაურით დაბეჭდილ როგორც ძირითადი ტექსტი-  
საგან, ისე ვარიანტისგანაც.

ი. დავითაშვილის შემოქმედებისათვის გლეხობის ცხოვ-  
რება ან მასი ხვედრი ძირითად მოტივთაგანია.

„იშელში“ დაბეჭდალი სამი ლექსიც დავითაშვილისა „ქვეყ-  
ნის მარჩენალ“ გლეხის უმაღურ ბეღსა და შრომას ეხება.  
ლექსის „სუსტი და მძლავრის“ თემა სათაურშივეა მოცემული.  
ერთ მხარეს დამონებული, სუსტი მიწის მუშა — გლეხი, მეორე  
მხარეს გაგოროზებული ბატონი. მუშა გრძნობს უამართლო  
ბედის სიმწვევეს, მაგრამ იგი ჭერ უღონოა, უილაჭო და ჩუქი  
პროტესტით ქმაყოფილდება.

ლექსი „შემოდგომა“ თითქოს წლის ერთ დროს ეხება,  
მაგრამ ამ სახელწოდებით პვტორს ლექსში შეტანილი აქვს სო-  
ციალური მოტივი.

ღალას აძლევენ თავაღებს,  
მაჩქე მეტს — მოვალესაო,  
და, თუ გადურჩა მცირე რამ,  
იგიცა მიაქვთ სხვებსაო.

1 მხედველობაშია მიღებული ი. დავითაშვილის თხზულებების 1927  
წლის გამოცემა (რედ.).

გლეხი დაპხარის წლის ნაშრომს —

მხოლოდ ჭაჭას და თხლესაო,

მასაც ვერა პხდის არაყათ,

მისგანაც იბანს ხელსაო.

წლის სარჩოდ დაინარჩუნებს

სიმინდსა, ანუ ფეტვსაო,

აძისთვის წვალობს საწყალი

წელიწად თორმეტ თვესაო!



ასეთ პროტესტს უცხადებს არსებულ სოციალურ წყობილებას პოეტი. ი. დავითაშვილმა კარგად იცის გლეხის „გულის პასუხები“, მისი გულის დარღი და სატკივარი. უყვარს თავის ოფლითა და მარჯვენით ალალი ლუკმის მომპოვებელი მუშა და გლეხი.

ი. დავითაშვილის ლექსები ხშირად მეტად პრიმიტიულია. მაგრამ მას აქვს უნარი ჩასწვდეს ხალხურ ლექსს, გამოიყენოს შაირი და მიბაძოს დავით გურამაშვილსაც. ი. დავითაშვილი ხშირად წერს იმ სტილით, როგორც ქართლელი გლეხები შაირობენ.

ი. დავითაშვილის ლექსებს: „გლეხის პასუხი“ (სოფლელი გლეხის „შვილი ვარ“), „ბედის წყარო“ (რამ დაგაშრო შე ოხე-რო), „სამშობლო“ (სამშობლო, ჩემო ლამაზო), „ჭეჭილს“ (იზარდე, მწვანე ჭეჭილო) და სხვათ, თემატიკის აქტუალობასთან ერთად განცდის უშუალობით და ფორმალური მხრითაც საპატიო ადგილი უჭირავთ ქართულ პოეზიაში.

შ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა (1861—1915). „იმედში“ მოთავსებული ვაჟა-ფშაველას ლექსები დაწერილია ვაჟას გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის დროს. მაშინ ჭერ კიღევ არ ერქვა ვაჟას უბადლო ფსევდონიმი — ვაჟა-ფშაველა, თავის გვარს — ლუკა რაზიკაშვილს ატარებდა. „იმედში“ ვაჟა გვარს მთლიანად არ აწერდა, არამედ ლ. რ-ზ-კ-ლი, ან ლ. რ-ზ. ალბათ ავტორს არ სურდა მოწერა, რადგან იგი ფაქტობდა შეექმნა თავისთვის შესაფერისი ფსევდონიმი. „იმედში“ დაბეჭდილია ვაჟას ლექსები: „მეომარი“, „დროება“, „როდის იქნება“, „წინასწარმეტყველი“, „ჭერ არ მომკვდარა მორწმუნე გული“.

და „ყარსის ბოლოს“. ამ ლექსებში ვაჟა ჭერ ჩამოუყალებებელ პოეტიდ მოხანს, მაგრამ ეს ლექსები გვაცნობს ახალგაზრდა ვაჟას შემოქმედებასთან, გვაცნობს იმ საფეხურს ვაჟის შემდები მოქმედებისა, რომელიც მან განვლო, რომ შემდეგ გენიალურობის ნაწარმოებები შეექმნა.

ფორმის მხრივაც ვაჟას ეს ლექსები არ არის შემდეგი დროის ვაჟა-ფშაველასათვას დამახასიათებელი. იგინი შექმნილი არიან ვაჟას ფორმალური ძიების დროს, საკუთარი ხმის პოვნამდე. ამ ლექსებში ვაჟა ჭერ კიდევ არ ეყრდნობა ფშაურ ხალხურ პოეზიას, რაც შემდეგ მთავარ საფუძვლად იქცა მისი სტილის ინდივალუალობისათვის. ვაჟა კლასიკური ლექსის მეტრს მიმართავს და არა ხალხურს. ექვსივე ლექსში არც ერთგან არ არის შაირი გამოყენებული. არა მარტო კილო არაა ხალხური, არამედ ენაც მწიგნობრულია.

ვაჟა ამ დროისათვის კარგად იცნობდა ფშავ-ხევსურულ ხალხურ პოეზიას, მაგრამ მის გამოყენებას ვერ ბედავდა და ცდილობდა პოეტური გზა ქართული კლასიკური 10 და 14 მარცვლიანი ლექსის გამოყენებით გაეკვლია. „მოწაფეობისას,—წერს ვაჟა,—ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი: ეს კილო მაყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმც მაშინაც ლექსებსა ვსწერდი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ვბლავნიდი, მაგრამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული“. რაფიელ ერისთავის მიერ ამ კალოს დამკვიდრების შემდეგ „მეც გაბედულება მომემატია“. ამ გაბედულებამ, ნიჭმა და ცოდნამ აპოვნინა ვაჟას თავის ჭეშმარიტი გზა. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, ვაჟას ლექსები, დაბეჭდილნი „იმედში“, არ არიან ინტერესს მოკლებული, არ მარტო როგორც დიდი პოეტის მიერ ახალგაზრდობისას შექმნილნი, არამედ თავისთავადაც. თემატიურად ისინი ეხმაურებიან იმ მღელგარე კითხვებს, რომელნაც 80-იან წლებში მოწინავე ახალგაზრდობას აწუხებდა. და აგრეთვე მათგან ყრუდ, მაგრამ მაინც მოისმის ის პოეტური ხმა, რომელიც შემდეგ ვაჟამ მთელ საქართველოს გააგონა.

ლექსი „მეომარი“ დაწერილია 1831 წელს 25 მარტს, ალექ-  
სანდრე I-ის მოკვლის გამო შექმნილ მღელვარე დროს. ლექ-  
სი არას მოწოდება ბრძოლისაკენ. ახალგაზრდა უაურა პყენებს  
სიყვარულსა და ქვეყნის წინაშე ვალდებულების გრძნობის  
საკითხს.

ლექსში მკვეთრად ისმის ხმა ბრძოლისა მონარქიის წინა-  
აღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ ხალხოსანი რევოლუციონე-  
რები და ვაჟაც ხომ, როგორც გადმოგვცემენ, გორის რევო-  
ლუციონერ ხალხოსანთა წრის წევრი იყო.

მონარქიაზე სასტიკი იერიში რუსეთში პირველად 1825  
წელს მიიტანეს დეკაბრისტებმა. გატაცებისა, მოელვარებისა  
და იმედების მხრივ ბევრი რამ აქვთ საერთო 1825 და 1881  
წლებს. ამიტომ იყო, რომ რილევი, 1824 წელს, ერთერთ  
ლექსში, რომელსაც ვაჟა უკველად იცნობდა, ქალს, რომელიც  
რილევს სიყვარულს სთხოვდა, უპასუხებდა:

Мне не любовь твоя нужна,  
Занятья ждут меня иные,  
Отрадна мне одна война,  
И дни тревоги боевые.  
Любовь никак нейдет на ум.  
Увы! Моя отчизна страждет,  
Душа, в волненьи тяжких дум,  
Теперь одной свободы жаждет.

ვაჟას ლექსისა და რილევის ლექსის მსგავსება უდავოა.  
არსებულით უკმაყოფილება და მძლავრი სწრაფვა შომავლისა-  
კენ, მაშვრალის ბედისთვის ზრუნვა ვაჟას სხვა „ისედის“ პე-  
რიოდის ლექსებისთვისაც დამახასიათებელია:

როდის იქნება შრომის შვილსა პირი მოებანოთ,  
აღარა სწვამდეს ნაჟადული ცხელის ოფლისა.

ასეთია ვაჟას მიერ ხალხის ბედისათვის, მომავლისთვის  
ზრუნვა. თავდადება და ხალხის უანგარო სამსახურის განკვდა  
გამოხატა ვაჟამ ლექსში „წინასწარმეტყველი“. წინასწარმეტყვე-  
ლი მოვლინებულია ქვეყნად არა ქებისა და ქონების მოსახ-  
ვეჭად, არამედ ტანჯული ხალხის ბედთან საბრძოლველად.

ახალგაზრდა ვაჟას ნაწერებში სხვა პრობლემებიც არის  
დაყენებული: აქ ისმის დიდი ვაჟა-ფშაველას ხმა. ასეთი ჭუჭუჭი  
სია „ყარსის ბოლოს“. ქალაქ ყარსის აღებას მონარქიულმა იმართება  
რუსეთმა დიდძალი ჯარი შეახოცა. ვაჟას ლექსი „ყარსის ბო-  
ლოს“ ეპიური ხასიათის ლექსია, პოემის ელემენტებით. დაჭ-  
რილი ახალგაზრდა ჯარისკაცი კვდება ყარსის ბოლოს.

ერთი ვაჟკაცი, ქერა თმა-წვერის  
სდგას მუხლმოყრილი მკვდრების ყორეში;  
მარცხნივ გვერდიდან სისხლი ჩამოსდის,  
თოფი უბყრია მარჯვენა ხელში.  
საუბრით სჩანდა, რომ რუსი იყო  
სოქვა: „შემოქმედი აქ რისივისა მკლავს?  
მოხუც დედასა, წვრილ-შვილს რა ვუყო?  
საწყალ მამა-ჩემს ვინ დამიმარხავს?  
რისათვის მოვკვდი, რა გაგარიგე,  
ვძა ვფარავდი ომ კლდე-ღრეებში?!“

გარდა იმისა, რომ ამ ლექსში დაგმობილია ომის საშინე-  
ლებანი, სხვა მხრივაც არის საინტერესო. ამ ლექსში ისმის ის  
მოტივი, „ალუდა ქეთელაურში“ რომ წამოაყენა შემდეგ ვაჟამ.  
აქ ის ჰუმანიზმია მოცემული, რომლისთვისაც შესაბრალისია  
საერთოდ, ადამიანი, მიუხედავად მისი ეროვნებისა. ვაჟა სასიკ-  
ვდილოდ განგმირული რუსი ჯარისკაცის ბედს წუხს ისევე,  
როგორც წუხდა ქისტი მუცალის სიკვდილის გამო ალუდა ქე-  
თელაური და ხევსური ზეიადაურის სიკვდილის გამო ჯოყოლა  
და აღაზა. ამ ლექსის იდეა გვაგრძნობინებს არა მარტო ავ-  
ტორის მომავალ სიღიადეს, არამედ ალაგ-ალაგ ვაჟა პოეტიც  
მოჩანს აქ. მაგალითად, დაწყება ლექსისა მეტად გაბედულია,  
ექსპრესიული, ფიგურიანი:

წითლად ამოჰკრა დილის მზას სხივმა,  
ცეცხლი დაანთო თოვლიან მთებზედ.  
ხელი წამოჰკრა ყვავრლს ნიავმა  
და წამოაგდო მოვლემავი ზეზე.

ვაჟას ამ დროინდელ ლექსებში ზოგჯერ საბრძოლო და  
ვამამხნევებელ ხმებთან ერთად სევდაც მოისმის, რაც ასე და-  
მახასიათებელი იყო ვაჟას შემდგომი პერიოდის შემოქმედები-  
სათვისაც. ლექსი „დროებას“ ვაჟა სპარსული რუბაის შეგავ-  
სად ტაეპით ამთავრებს.

აბა, ხელახლად მოიარე, რაც რომ აარე  
და დააკვირდი მაგ ტანტალით რა მოიტანე?  
კარგა გასჩერივე, მოდი მერე და მომიტანე  
ამბავი, თუ რამ სარგებლობა კაცს მოუტანე!..

მიუხედავად ამისა, ახალგაზრა ვაჟა, იმ საშინელი რეაქციის  
პირობებში, რომელიც იმპერატორის მოკვლას მოჰყვა, 1883  
წელს წერს მომავლისაღმი იმედით აღსავსე ლექსი — „ჩერ არ  
მომკვდარა მორწმუნე გული“.<sup>1</sup>

სეთი რევოლუციონური, მონარქიის საწინააღმდეგო აზ-  
რებით არის გამსჭვალული ახალგაზრდა ლუკა რაზიკაშვილის,  
მომავალი ვაჟა-ფშაველას ლექსები. „იმედის“ მკითხველებმა  
კი მაშინ არც ვაჟა-ფშაველა იცოდნენ და არც ლუკა რაზიკა-  
შვილი.

ნიჭი და ხმა ვაჟასი ამ ლექსებიდანაც მოისმის, მიუხედა-  
ვად მათი სისუსტისა. ამას არც თვით ვაჟა უარყოფდა. იგი წერ-  
და: უურნალ „იმედშიც“ ვბეჭდავდი ლექსებს. რასაკვირველია  
ამ ლექსებში ბევრი არა ყრია-რა. იქნებ ცოტა რამე კი ეტყა-  
ბოდეს — ნიშან-წყალი გრძნობისა“.<sup>2</sup>

ანტონ ფურცელაძე წერდა პუბლიცისტურ წერილებს, მოთხოვნებსა და  
ლექსებს. მის შემოქმედებაში ყოველთვის მთავარი აზრია. პროგრესულ-რევოლუციონური მისწრაფებანი. ამიტომ ფურ-  
ცელაძის ნაწერებიდან უფრო მნიშვნელოვანი პუბლიცისტურ  
წერილებია. იგი თავის აზრსა და შეხედულებათ გადმოგვცემ-  
და პროზაულ ნაწარმოებებში, ძაგრიშ ანტ. ფურცელაძე ლექ-  
სებსაც წერდა. იგი, როგორც ლექსის ოსტატი, შედარებით  
მისსავე პუბლიცისტურ და პროზაულ ნაწერებთან, სუსტია;  
მაგრამ მაინც, ფურცელაძის ლექსებიდანაც უთუოდ იკრძნო-

1 „იმედი“, 1883 წ., № 3.

2 ი. მისი „Pro domo sua“.

გა ის პოეტური პოტენცია, ფანტაზიის ვრცელობა, რომელიც  
ამ სინტერესობის უთუოდ ჰქონდა. მისი ლექსები გვა-  
უბნება, რომ მათი ავტორის გულში ბევრი რამ ტრიალებდა  
მაგრამ ვერ გამოხატავდა ამ განცდებს, კალამი არ ემორჩილე-  
ბოდა, დალაგებით ვერ ყვებოდა, ზომიერებას ვერ იჩენდა,  
აჭარბებდა.

„იმედში“დაბეჭდილია ანტ. ფურცელაძის ხუთი ლექსი:  
„სონეტი“, რუსულიღან თარგმნილი, თარგმანი ტენისონის  
ლექსისა, „\* \* \*“ (ნეტამც სად ვართ), „ორის საფლავზე“,  
„ამაო ხები“. 1

ლექსი „სონეტი“ საყურადღებოა თავისი რევოლუციონური  
განწყობილებით. იგი პატიმარის გულიღან ამოხეთქილი სიტუ-  
ვებია, დამაჯერებელი და მართალი.

ეს ლექსი ფორმისა, უფრო სწორად, სათაურის მხრივაც  
სინტერესო. ქართული ვერსიფიკაცია ძევლადგანვე იცნობ-  
და მტკიცე, განსაზღვრული კომპოზიციის ლექსი. მაგ., ბაია-  
თი უნდა ყოფილყო 8 სტროფიანი ლექსი, სტროფში 4 ტა-  
ეპი, მარცვალი ლექსისა 7.-მუ სტაზადი — 5 სტროფი,  
სტროფში 5 ტაეპი, 14 მარცვალი, ე. ი. სულ 25 პრკარი. ასევე  
განსაზღვრული იყო მუ ხამბაზიც — 5 სტროფი, სტროფ-  
ში 9 ტაეპი, 10 მარცვალი. მაგრამ სონეტის ფარმას ქართული  
ვერსიფიკაცია არ იცნობდა. ევროპული სონეტი რიტმულად  
ჩვენს მუსტაზადურ ანუ მცირე ბესიკურ მეტრს ენათესავება,  
მაგრამ მისგან რადიკალურად განსხვავდება. მუსტაზადი 25  
პრკარიანი ლექსია, საღაც თითო სტროფი ხუთი ტაეპითაა შელ-  
გენალი. სონეტის სტროფული კომპოზიცია სხვაგვარია, იგი  
შესდგება 4 სტროფისაგან. ორი ოთხტაეპიანი სტროფი უნდა  
იყოს კატრენი და ორიც სამ-სამ ტაეპიანი — ტერცინა, ტაეპთა  
რაოდენბა კი 14, გარგვეულ რითმათა კომბინაციით, კატრუ-  
ნისათვის abba აუცილებლად. სონეტი თუ იწყება ქალური  
რითმით, უნდა მთავრდებოდეს ვაჟურით, და პირიქით. რვა  
ტაეპში პოეტის განცდები უნდა ქმნიდნენ განკვანძვას, ორივე  
ტერცინა კი გამოხსნას, პასუხს კატრენებში წამოყენებული  
აზრისა თუ განცდისა.

ასეთი იყო კლასიფიური სონეტი იტალიაში და ასეთი იყო უბადლო სონეტისტის ხოზე მარია დე პერედიას, სოფელიშვილიც.

ანტ. ფურცელაძის ლექსი „სონეტი“ სონეტისათვის თავისებულებას ვერ იცავს, იგი შავთელური ლექსითაა დაწერილი (კოცხლივე მკვდარი — დიდი ხანია) და შედგება 16 ტაქტისაგან, მაგრამ მაინც საყურადღებო ლექსია ქართული ვერსიფიკაციის ისტორიისათვის, როგორც პირველი სონეტი, თუნდაც მხოლოდ სათაურით და არა თავისი ბუნებით.

მოხსენებულ ლექსთა გარდა „იმედში“ ანტ. ფურცელაძემ დაბეჭდა კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა“ და ზომით „ვეფხისტყაოსნის“ ტოლა პოემა „თამარ ღაზნელი“. პოემა ეხება საქართველოს წარსულს, შაპ-აბაზის შემოსევას ქართლკახეთში და დამცყრობელის წინააღმდეგ ქართველი ხალხისა და გიორგი სააკაძის ბრძოლას. ეს პრობლემა ანტ. ფურცელაძეს ძალიან ხიბლავდა და აწუხებდა. ამ თემას უძლვნა მან პიესა „დიდი მოურავი“ და უესანიშნავი გამოკვლევა „დიდი მოურავი, ანუ ბრძოლა საქართველოს მოსახლეობად“. „თამარ ღაზნელი“ მთლიანად ისტორიულ ფაქტებზე არის აგებული. ამის შესახებ თვით ავტორი აფრთხილებს მკითხველს:

გიამბობთ ამბავს ლეგენდარულს, მაგრამ მართალსა.

ან:

მე ისტორიას აქ არა ვწერ, ვწერ ლეგენდასა,  
მინდა ამ ამბით დავანახო ხალხს თვის წამება  
და ყურს არ ვუგდებ მატიანის წინა-უკუთქმას,  
მისთვისა ვველრებ, კრიტიკოსი ნუ გამიშყრება.

პოემაში აღწერილია უსაშინელესი მომენტი საქართველოს ცხოვრებიდან — ბრძოლა შიგნით ქართველ ჯაშ შორის, ფეოდალების ვერაგობა. ერთმანეთის თავდასხმა-ამოულეტა, სისხლის ნიაღვრები. ეს არის დრო ნუგზარ ერისთავისა, დრო სისხლის წვემებისა და შინაურ და გარეშე მტერთავან ქართველთა დარბევისა. ეს ის დროა, როდესაც გურამიშვილის თქმით, „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“. პოემაში ორი პრობლემა დაყენებული: ეროვნული და სოციალური. ეროვნული პრობლემა გაშლილია საქართველოსი და სპარ-

სეთის ურთიერთობის საფუძველზე, მეფეებისა, ფეოდალებისა და ქართველი ხალხის ურთიერთობის საფუძველზე სამოქანაკუთხით  
მე წილათა მხვდა ხვედრი მწარე, ძნელად სამოქანაკუთხით ჩვენს არებსა და წყლულებში ხელების რევა, —

ამბობს ავტორი პოემის შესავალში.

შემდეგ იწყება ჩვეულებრივი სამღრავი, როგორც ილია ჭავჭავაძეც წერდა, ქართული მატიანისა. ფურცელაძესაც აწუ-  
ხებს, რომ ჩვენს მატიანეში — ისტორიაში ხალხი არა ჩანს,  
იგი მხოლოდ მეფეთა ისტორიაა და ირონიულად წერს:

ჩვენ მატეანეთ დამწერელი ყურს არ უგდებენ

არცა ხალხსა და არცა ხალხის ყოფა-ცხოვრებას:

ისინი მარტო მეფეთა და სარდალთ იცნობენ

და აღგვიწერენ მათს ომებს და მათს ამხედრებას,

დაჯდა ბაჟური ქართლის მეფედ, მოკვდა ბაჟური,

ბაჟურის შემდეგ დაჯდა ფარსმან, კაცი უძლური,

სუმბატის შემდგომ მეფედ დაჯდა ბაგრატ რეგვენი,

მოკვდა რეგვენი, სუმბატ, დავით და სხვა მეფენი.

და იწყება მოთხოვა ფეოდალურ საქართველოს საშინე-  
ლებათა და ფეოდალთა ვერაგობისა. მათ

ქვეყნად მხოლოდ თვით შიაბნდათ თვისი თავები,

უჩემოდ ქვაზედ ქვაც ნუ დარჩეს — დასწამეს ბოდბელს,

მაგრამ ეკუთვნის უფრო იმათ, ესე სიტყვები.

ანტ. ფურცელიძე ააშკარავებს მოღალატე ფეოდალების  
მოქმედებას, რომლებიც ჰყიდდნენ სამშობლოს, რომლებიც  
მოუღოდნენ მტრებს და აოხრებდნენ სამშობლოს.

ქართველთ თვალნი, დიდ-კაცები, სახელგანთქმულნი,

იბაზის ქართა, ვით იუდა, წინ მოუდოდნენ.

დიდ ფეოდალებს ფურცელაძე უპირისპირებს ხალხს. ნამ-  
დვილი პატრიოტი, უანგარო დამცველი სამშობლოსი — ხალ-  
ხია, „გუშინ მეგუთნე, დღეს გამოჩნდა დიდებულ სარდლად“.

მრავალი ტრაგიკული სურათია პოემაში მოცემული. მრა-  
ვალი განდგომა ავტორისა და ცალკეული საკითხები: სომხეთის  
მტერთაგან აოხრებისა, ქართველ ქალთა პარამხანაში წაყვანი-  
სა, მათი ვაჟკაცობისა...

ადამიანს აკვირვებს ტრაგიკულის დანახვის დაზი უნარი, რაც ანტ. ფურცელაძეს ჰქონია. ჩვენი წარსული ამის მასალას თაღლეოდა.

დრამა ტრაგიზმით არის საესე ჩემი წერილი...  
თითონ ცხოვრება ჩვენი არის დრამა და სისხლი...

ასე ამთავრებს პოემას ანტონ ფურცელაძე

გაჭირებული და ზომის დაუცველობა, რაც ფურცელაძეს საერთოდ ახასიათებს, ამ პოემისთვისაც არაა უცხო. მაგრამ ავტორი შიგადაშიგ ამჟღავნებს პოეტურ ნიჭის. გამოთქმის ეფექტურობას და ლაკონიურობასაც. იგი სამშობლოს მოღალატე ანდუყაფარ ამილახვრის სახეს კარგად გვიხატავს:

მის მწვანე თვალი ბნელსა ღამეს ცეცხლებს წნათობდნენ,  
აპუტისავით შავი სახე აქრთობდა კომლსა,  
ზლარბის ეკლისებრ ულვაშები გარს მოჰურდლნიდნენ  
და შეღებილი ინით წვერი დარჭოდა ყბებსა..  
გულის სიღრმილებან ხრინწანი ბოხი ხმა სხვილი  
მთის გრგვინვასავით ვით ქვესკნეთით აღმოჩდებოდა.

ასეთი იყო ანდუყაფარი, „მან მაჰმალის პაირაღი ამართა ძალით“ და ფურცელაძე ასეთ უბედურების დროს მოხერხებულად გამოაჩენს მოურავის გიორგი სააკაძის რათანდულ სახელს.

ამგვარად იგი ჰქვრიდა ქართველთ უმანჯო სისხლსა,  
ამგვარ ზარს ჰსცემდა საქართველოს მისი მახვილი,  
ვიდრემდის ხმალი დადებული სააკაძისა  
არ აღიმართა იმის თავზედ განრისხებული.

პოემაში მრავალია ლირიკული განდგომანი, გამობაასება მკითხველთან, ისტორიასთან. კრიტიკოსთან. ერთ-ერთ აღგილზე ასეთ ტაეპსა ვხვდებით, რომელშიც ახალ გაზრდობის განცდა და თავგამოდების უნარი ასეა გადორცემული:

ჰოი, საყმაწვილევ! არა აქვს მზღვარი, შინს გაბედვასა!  
საბოლოოსა ხშირად სწირავ ცხარის თალის თქმას;  
ხშირად წუთს არჩევ საუკუნოდ მშაიდ ცხოვრებასა,  
მაგრამ ეს წუთი ხშირათა სჭობს მთელს სიცოცხლესა.

ორი უკანასკნელი სტრიქონით მძლავრად და სწორად არის გადმოცემული ის თავგანწირვის დიდი უნარი, რომელიც ახალ-გაზრდობას სჩვევია და რომელშიც ესოდენა სილამაზე, რა კე-თილშობილებაა. ანტონ ფურცელაძის მიერ ამ პოემაში გამო ყენებული მეტრი (მუსტაზადური, მცირე ბესიკური) იშვიათი შემთხვევა იყო, მანამდე იგი ორიგინალურ ეპიური ნაწარმოებისათვის იშვიათად ხმარებულა (გამონაკლისია „აჩრდალი“ ილიასი. ამ მეტრით არის თარგმნილი „მეფე ლირი“ ილ. ჭავჭავაძის და ი. მაჩაბლის მიერ).

ქართულ პოეზიასთან ბევრი რამ აქვს საერთო „თამარ ღაზნელს“. აქ ისმის მოტივები პოემისა „ბედი ქართლისა“, ილიას „აჩრდილისა“, „ქართვლის დედისა“, ვახტანგ ორბელიანის „იმედისა“, და ალ. ჭავჭავაძის „გოგჩისა“. „თამარ ღაზნელს“ მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მკითხველისათვის, იგი აგონებდა საქართველოს წარსულს, აცნობდა მაშინ არსებულ ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრასთან და თანამედროვე კლასობრივ და ეროვნული ჩაგვრის საწინააღმდეგო განწყობილებას ზრდიდა.

გიორგი ჭრელაშვილი მიერ მომართავს თავისი მიმდინარე „იმედში“ სამნი თანამშრომლობდნენ: სტეფანე ჭრელაშვილი, ერთ-ერთი ნიკიერი თანამშრომელი „იმედისა“, ეკატერინე ჭრელაშვილი, მიხ. ასათიანის მეუღლე და ვიორგი ჭრელაშვილი.

ვიორგი ჭრელაშვილმა დაგვიტოვა 4 ლექსი: „ჩვენი სახლობის ამბავი“, „მილიციონერი“, „თავადის სიზმარი“ და „\*\*\*“ (დიდი ხანია. თავგანწირულად) და ერთა მოთხრობა — „შემთხვევის მსხვერპლი“ — ამბავი ქაზიყის ცხოვრებიდან. შესაძლებელია გ. ჭრელაშვილს სხვა ლექსებიც ეკუთვნოდეს (მაგ. გიორგის ფსევდონიმით დაბეჭილი), მაგრამ ჩვენთვის ცნობილი არაა.

მოთხრობას. ანუ ამბავს ქაზიყის ცხოვრებიდამ, როგორც თვით ავტორი უწოდებდა, დაბეჭილს „იმედის“ 1881 წლის № 1-ში, რედაქციის შენიშვნა ჰქონდა: „თუმცა ამ ამბავს, როგორც მოთხრობას. აქლია ხელოვნური ღირსება, მაგრამ, სამაგიეროდ გაგვაცნობს ქაზიყურ ცხოვრებასთან და ამიტომ ვაძ-

ლევთ მას ადგილს ჩვენს უურნალში!“ ეს შენიშვნა სწორიდ  
აფასებს არა მარტო ჭრელაშვილის შემოქმედებას, არამედ,  
ასეთი ხასიათის შენიშვნა შესაძლებელია გაუკეთდეს თითქმის  
მთელს „იმედის“ ლიტერატურულ პროდუქციას.

მოთხრობა ეხება ქიზიყელი მაღაროელი გლეხის სესიკა  
ბედეკრულაძის ოჯახის ცხოვრების. სესიკა მოკვდება და რჩება  
ობლები. მოდან ჩარჩ-ვაჭრები ალალო კარაპეტაჩი და მიკირ-  
ტუმ არტემიჩი — ვალის სათხოვნელად. მოთხრობაშია მიწის  
თემური საკუთრების თავისებურებანი, რომელსაც ხალხოსნე-  
ბის ნაწილი ესწრაფოდა.

გლეხის ყოფის მრავალი დეტალია ამ მოთხრობაში. გვხვდე-  
ბა ხალხური გლეხური ლექსიგბიც. მავ.,

მაღაროელო ყანაო,  
შენ აქ რამ მოგიყვანაო,  
— ხარმა მხნა, კაცმა დამთესა,  
ფუფალამ მომიყვანაო.

### და

ბიჭო, პირი მოგიპარსაცს,  
სალამაზოთ კისერიო,  
რატომ, ბიჭო, ცოლს არ ირთამ,  
უურუმსალო, ვის ელიო?

ახალგაზრდა სანდრო ტრაგიულად იღუპება, მისი დედა და  
რძალი ჰქუიდან სცდებიან. ამ მოთხრობის შესახებ „ივერია“  
წერდა: „მკითხველები თუ წაიკითხავენ რასმე „იმედის“ პირ-  
ველს წიგნი, ისევ ამ მოთხრობას წაიკთხავენ“.<sup>1</sup> აძასთან „ივე-  
რია“ სამართლიანად მიუთათებდა მოთხრობის სუსტ მხარეზე.

გ. ჭრელაშვილის ლექსიები მიმართულია ტრადიციისა და  
სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. მისოვის წარმოუდ-  
გენელი ამბავი ნახა თავადმა სიზმარში.

სულ ყველაფერი, რაც კი რამ მქონდა,  
მითომ გლეხები შუა იყოთდნენ,  
ჰენამდნენ, სთესავდნენ, ჩემ ტყესა სჭრიდნენ  
ბალბაშს (?) და ღალას აღარ იხდიდნენ.

<sup>1</sup> „ივერია“, 1881 წ., № 4.

აქ იგივე განტყობილებებია, რასაც პუბლიცისტი ხალხოს-  
ნები ამჟღავნებდნენ.

ფორმის მხრით საინტერესოა გ. ჭრელაშვილის ლექსი „მა-  
ლიციონერი“. როგორც უკვე ვნახეთ „იმედას“ ხალხოსან ზო-  
ეტთა უმრავლესობა ვერ იყენებდა ხალხურ შაირს ლექსისა-  
თვის, შეიძლება ვაჟასი არ იყოს, ვერა „ბედავდნენ“. ისინი  
გლეხების განცდების გაღმოცემას ცდილობდნენ კლასიური  
ლექსის გამოყენებით, მაგრამ ვერ სძლევდნენ. ვერ იმორჩი-  
ლებდნენ სიძნელეს და მიზანს ვერ აღწევდნენ.

გ. ჭრელაშვილის ლექსი „მილიციონერი“ ხალხური ლექსის  
ძირზეა დაფუძნებული და ამით არის საინტერესო.

მე რომ ჩემს ამბავს მოგიყვეთ,  
იტყვით: „ვაი, ამ საწყალსა“,  
გავძრიყვდი და დაწერე  
პირველი მილიციის ჯარსა და სხვ.

დავით დათოშვილი, თანამშრომელი „იმედისა“, ქარ-  
თული ლიტერატურის ისტორიისათვის სრულიად უცხო და  
უცნობი პიროვნებაა. არ ვიცით ვინ იყო, საიდან, როდის და-  
იბადი ან გერდაიცვალა და რა დაწერა „იმედში“ მოთავსებული  
ორი მოთხრობის „ოქროს ხოხობის“ და „გიორგი მორბელაძე  
და სოლომონ ქურციკაშვილის“ გარდა. ამ ორი მოთხრობით  
და დათოშვილი გამოეხმაურა ეპოქის ორ ძირითად პრობლემას  
— ეროვნულს და გლეხთა საკითხს.

„ოქროს ხოხობში“ ეროვნული პრობლემაა დაყენებული,  
მეორე ნაწარმოები კი გლეხობის საკითხს ეხება. ბატონიშვილის  
დროისას. აქ აღწერილია ყმების ჩაგვრა ვერაგი ბატონის გი-  
ორგი მორბელაძისაგან. ყმების ცემა სახრით, ბოქებზე მაკვრა  
და სხვა უბედურებანი. გლეხი სოლომონ ქურციკაშვილი ვე-  
ღარ იტანს ბატონის ტირანობას და ბატონს მოუკლავს პატარა  
ბავშვს, სჭრის ბატონს თავს და დაღესტანშა გადაიხვეწება. და  
იქ სწუხს დაკარგული სამშობლოსათვის, დაკარგული მიწა-  
წყლისა და ნათესავებისათვის. ამ მოთხრობაში იგივე მოვლე-  
ნაა ასახული, რაც ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღში“.

მხატვრული თვალსაზრისით და თემატური აქტუალობით უფრო საინტერესოა დ. დათოშვილის მეორე მოთხრობა „ოქროს ხოხობი“. საინტერესოა თვით სათაურიც. ამ მოთხრობისა, რაც ავტორის გემოვნების ამჟღავნებს თემა შოთხრობისა ისტორიულ წარსულში ვითარდება. იგი საქართველოსი და ბიზანტიის ურთიერთობის საფუძველზეა გაშლილი. სძინავს ანტიოქიის პატრიარქს თეოფილაქტეს. გამოეღვიძა მოუსვენრად, რადგან სიზმარი იხილა ამაზრზენი. ეასლა პატრიარქს მოძღვარი და გაიმართა მათ შორის დიალოგი. და ამ დიალოგში ავტორი ამჟღავნებს ბიზანტიის ქრისტიანობის მამამთავრის ნამდვილ ზრახვებს საქართველოსადმი.

პატრიარქი ამბობს: „მთელა ქვეყნიერების ისტორია ერთს მაგალითსაც არ წარმოადგენს იმისას, ვითომც ერთა რომელიმე მხარე, ანუ სახელმწიფო აფუძნებდეს მეორეში ქრისტიანობას, ანუ სარწმუნოებას იმისათვას, რომ იქ მცხოვრებნი ანუ თითონ სცხოვრობდნენ. ანუ იმოქმედონ იმათა კეთილი საქმე; წინააღმდეგ ამისა ისევე ისტორია მრავალს მაგალითს წარმოადგენს იმისას, რომ სარწმუნოება არის საშუალება, რომლითაც ერთი სახელმწიფო და ხალხი იგდებს ხელსა და მორჩილებაში მეორე სახელმწიფოს, ან უფრო ხშირად ხალხს“.

მოთხრობაში აღწერილია დრო საქართველოს ბრძოლისა ბიზანტიის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის და ქართული ეკლესის ავტოკეფალიისათვის.

და იმიტომ წუხდა პატრიარქი, რომ სიზმარი ნახა საშინელი. მარჯვენა ხელში ეჭირა ოქროს ხოხობი და დასცეკეროდა სიამოვნებით. შეინძრა ხოხობი და ნელ-ნელა იწყო ცდა პატრიარქის ხელიდან განთავისუფლებისა. ბოლოს გაუსხლტა და გაფრინდა ოქროს ხოხობი. მორწმუნე პატრიარქი ოქროს ხოხობის გაფრენას საქართველოს ბედს უკავშირებს და შიშობს - ვაითუ გაუსხლტეს საქართველო ბიზანტიასო. და მართლაც, სიზმარი აუხდა პატრიარქს. მოხდა ანტიოქიაში კრება საქართველოს ეკლესიას გამო, ქართველი კათოლიკოსის იოანეს თანადასწრებით. რომელიც აღარნასე მეფის მიერ იყო წარმოგზავნილი. კრება იძულებული იყო დაერთო ნება ქართველთათვის

კათოლიკოსის საქართველოში კურთხევისა. მანამდე ჭართვე-  
ლებს ამის ნება არ ჰქონდათ. ავტოკეფალიის მოპოვება ნიშ-  
ნავდა საქართველოს სახელმწიფო ძლიერების ჩრდილი დროის და

ავტორმა კარგად გამოამუღავნა ნამდვილი მიზან-დასახულება  
ბა ბიზანტიის პატრიარქებისა და ის მიზნებიც, თუ რატომ უწ-  
ყობდნენ ხელს ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში.

ეს მოთხოვნა ნოველის ტიპისაა. სათაური, პრობლემა, კომ-  
პოზიცია ნოველისა კარგია, მხოლოდ ენა და სტილი არა აქვს  
ავტორს სახარბიერო.

განხილულ ავტორთა გარდა „იმედში“ სხვა მწერლებიც თა-  
ნამშრომლობდნენ, მაგრამ მათი ნაწერები ღიღმნიშვნელოვანი  
არც ჰოეტური და არც თემატური იყვალსაზრისით არ არიან.  
ასეთებია მეჯვრისხევის ხალხოსანი მასწავლებლის თეოფილე  
კანდელაკის ორიგინალური და იარგმნილი თხზულებები. აღ-  
ლო თუთაევის ლექსები, მოგზაურობანი და ვოლევილი. გობ-  
რონ ლიხელის „შიკრიკი“ და „რაგინდარა“, საღაც მოთხო-  
ბილია უშნო, ანეგდოტური ამბავი, თუ იმერელმა აზნაურმა  
ჭართლელ აზნაურს როგორ მოპარა ცხენი. გემის ლექსები, პარ-  
დაკანისა. ყულისკარელისა, კრეჭიაშვილისა, ნ. ყუბანევიშვილისა  
და სხვათა.

ამათ გარდა იბეჭდებოდენ ისეთი ავტორებიც, რომელთა  
შემოქმედება დაღმნიშვნელოვანი არ ყოფილა, მაგრამ არც თუ  
ყოველგვარ ლირსებას მოკლებული იყო. ასეთია ეკ. ჭრელა-  
შვილის (მიხ. ასათიანის მეუღლე) „ბჟუტა ვარსკვლავი“ (მთლი-  
ანად არ დაბეჭდილა), დ. ქართველიშვილის მოიხობა „გარ-  
დასახლებულები“, რომელშიც ბატონყმობის საშინელებანია  
აღწერილია: მოცემულია გლეხის ოჯახის ცხოვრება. გლეხები  
ველარ უძლებენ ბატონის სისასტიკეს და ახალციხის მხარისა-  
კენ. რომელიც მაშინ ოსმალეთს ეპყრა, გადაცვივიან. აქვეა  
ყაჩაღად გასული გლეხების ბრძოლა თავადაზნაურთა წანააღმ-  
დეგ. საერთოდ ეს მოთხოვნა ყურადღებას იპყრობს.

„იმედში“ დაიბეჭდა ალ. მირიანაშვილის ლექსი „გლეხი“.  
გლეხის ჭირ-ვარამია ამ ლექსის თემა. მხცოვანმა მოღვაწემ,

მწერალმა და პოეტმა ივანე კერესელიძემ „იმედშა“ დაწეჭდა ერთადერთი ლექსი — „თბილისის გიმნაზიის 50 წლის იუბილეი“. ივანე კერესელიძე მოწიწებითა და სიყვარულით მაღალობას უცხადებს თავის აღმზრდელ სკოლას:

ორმოცდაათი შეგისტულდა, აი, დღეს წელი,  
წმინდა ტაძარო, სწავლისაო, ჩემო აღმზრდელო,  
და დღეს შეუჩიან შენ ჰერიკეშე ის კრება მრთელი,  
გინცა ყოფილა და აწც შენით არს მოსახელო!  
მუხლსა მოგიღრუკ მოწიწებით აღმზრდელს აღმზრდილი...

აკაკი წერეთელმა, მართალია, „იმედი“ გამოსვლისთანავე ძალზე გააკრიტიკა და „დიპლომათ“ იმერული ლექსი-გამოცანა უძლვნა, მაინც ერთი ლექსი მოათავსა — „გლეხისა და თავა-დის ბაასი“.!<sup>1</sup> „იმედში“ დაიბეჭდა ბესიკის ერთი ლექსიც.

ს. ნასიძის ლექსი „რკინის გზა“ თემატურად საინტერესოა. დიდი პოეტი ამ თემაზე მნიშვნელოვან ლექსს დაწერდა. იგი უპირისპირებს მატარებელს ურემს და უკანასკნელს პოეტი უპირატესობას აძლევს, რადგან „მას უყვარს კაცი“. თითქოს პრიმიტიულობისაკენ ძახილი ისმის. მართლაც ლექსი, ენა ავტორის პრიმიტიულია და სათქმელს ვერ ამბობს.

კ. მაჭავარიანის „ომარ და სელმა“, ჩერქეზული მოთხოვნა, საინტერესოა, როგორც ლეგენდა, იგი „აბესალომ და ეთერის“ ფინალს გვაგონებს. დახოცილი მიჯნურების — ვაჟკაც ომარისა და მომხიბლავი ტყვე ქალის სელმას საფლავზე ამოდის ორი მშვენიერი ხე. ექვს დღეს ეს ხეები ცალკ-ცალკე დგანან, კვირას კი ერთმანეთს გადაეხვევიან და ეალერსებიან.

ი. ქაჭარიას „შვილდაკარგული“ აქტუალურ თემაზეა დაწერილი. მებატონეს ერთადერთი შვილი ჰყავს — დათა. დაამთავრებს იგი გიმნაზიას და სასწავლებლად რუსეთს გაემგზავრება. უნივერსიტეტის დამთავრებას ორი წელი უკლია, როცა დათას დააპატიმრებენ. მამამ იკითხა, — კაცი ხომ არ მოუკლავს? არაო, — უპასუხებენ. — ხომ არავინ გაუძარცვავსო. — არაო. ათი წლის შემდეგ მოხუცებულს წერილი მოსდის შვილისაგან, რომელიც ნახევრად წაშლილია. ციმბირში, კატორღაში ყო-

1 „იმედი“, 1883 წ., № 2.

ფილა მისი ვაჟი. დათა თავის მამას ბარათაშვილის „მერანი-დან“ ერთ ადგილს წერდა:

უქმათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის-კვეოება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დაოჩება

და უმატებდა — მე მაძლებინებს ეს ნუგეში, ვგრძნობ, რომ  
აღვასრულე ჩემა ვალი, როგორც შემეძლო, დავსდე თავი საქ-  
ვეყნო საქმეზედ. ცხადია. ქართველი სტუდენტი დათა რევო-  
ლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გაუგზავნიათ კა-  
ტორლაში. ცენზურისგან დაშინებული ავტორი ამას არ ამ-  
ბობს, მაგრამ გულისხმობს. ქართველ სტუდენტთა ციმბირში  
გადასახლება იმ დროს იშვიათი არ იყო (მაგ., ციციშვილი,  
ჭდანოვიჩი და სხვ.).

„იმედისთვის“ დამახასიათებელ თემას ეხება „მორიელი“  
ლექსში „გამუღავნება და გამოწვევა“. ვინ იმალება ამ ფსევ-  
დონიმის ქვეშ — უცნობია. ეს ლექსი ხალხურ კილოზეა და-  
წერილი და ეხება ხალხის შემაწუხარ თიანელ ზაქარა მამა-  
სახლისს.

დამერწმუნეთ, თიანეთა  
დიდი ცოდვა ტრიალებსა,  
თუმც აწუხებს სატყივარი,  
მაგრამ ვერვინ ლრიალებსა.

„იმედში“ დაბეჭდილია რამდენიმე გლეხურ-ხალხური ლექ-  
სი. ჩვენი ხალხოსანი პოეტები თუმც გამსპვალულნი იყვნენ  
გლეხების თანაგრძნობით, მაგრამ ყოველთვის კარგად ვერ  
ახერხებდნენ გლეხის განცდების გადმოცემას. ხალხური ლექ-  
სები ამ მხრივ პოეტურ ნაწარმოებთ არა თუ ჩამორჩებიან,  
მაღლაცა დგანან; ფოთოლათ მერცხალის ლექსი ასეთი ირო-  
ნითა და ფერადებით სიმართლით გამოხატავს გლეხის სიღა-  
რიბეს:

ძნელი ხარ, სიღარიბეო,  
გამაბეჩვე ტიალო,

მეორ, მესამე წელ მიდის,  
ერთ ახალობინი მცვიანო,  
შიგ მამიკრუხდა ტილები,  
წიწილეებსა ზრდიანო,  
გამოვლენ სასეირნოთა,  
აღიან-ჩამოდიანო.

ასეთივე ღირსებისანი არიან „იმედში“ დაბეჭდილი ხალხური ლექსები. ისინი მიმართულია ხალხის შემაწუხარ მებატონეთა წინააღმდეგ:

ქართლი იმისთვის დავაგდე  
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს;  
რაც რომ ჭირნახული მოვა,  
სულ მთლად ბატონი წაილებს.

გლეხს ჩარჩ-ვაჭრებიც აწუხებენ, მიკიტნებიც. „იმედში“ დაბეჭდილ ხალხურ ლექსში გლეხი ჩივის თავის უმშეო მდგომარეობაზე. მძარცველთა სიმრავლეზე, თავის შეუძლებლობაზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „იმედში“ მოთავსებული არც ერთა პოეტის ლექსი გლეხის განცდებს ასე მკვეთრად არ გადმოგვცემს, როგორც ხალხური ლექსები.

„იმედში“ დაბეჭდილი თარგმნილი ლიტერატურის რიცხვი დიდი არაა. აქ დაიბეჭდა ვ. ჰიუგოს ერთი ლექსი, თარგმნილი პარდაკანისა, „როსკიპი“, თარგმანი რუსულიდან იმავე პარდაკანის მიერ; ტენისონის ლექსი და მიშართვა აპოლონისა პოეტებისადმი. თ. კანდელაკის მიერ რუსულიდან გადმოღებული; მიხ. ასათრანის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი „ახალ მოდის ექიმი“; მისტრის ბერენსის საყურადღებო მოთხოვნა „უკანასკნელ სისხლის წვეთამდის“, თარგმნილი ოლ. დეკანოზიშვილის მიერ და რამდენიმე უმნიშვნელო ნაწარმოები.

კრიტიკულ-კუბლიცისტური წერილების გარდა „იმედში“ იბეჭდებოდა მოსე ჯანაშვილის ისტორიული წერილები სათურით: „საქართველოს მატიანე“ და დ. ბაქრაძის „ქართველ

მეფეთა გენეალოგია“. უურნალში იბეჭდებოდა ბიბლიოგრა-  
ფიებიც, საინტერესო ბიბლიოგრაფიებს წერდნენ დ. აზრუშე-  
ლიშვილი და რომან ძამსაშვილი-ცამციევი.

„იმედი“ რევოლუციურ-დემოკრატიული უურნალი იყო.  
მაგრამ გლეხთა საკითხი მარტო „იმედის“ ჯგუფის მონოპოლი-  
ად არ ყოფილა ქცეული. ამავე საკითხზე წერდნენ 80-იან წლე-  
ბის სხვა დემოკრატიული მწერლები, რომლებიც „ივერიაში“  
თანამშრომლობდნენ. საკმაოა დავასახელოთ ნ. ლომოური და  
რ. ერისთავი. ყველა ამ მწერლის შემოქმედების ძირითადი ოე-  
მა იყო რეფორმის შემდეგ დროინდელ გლეხობის ცხოვრება,  
მათი გაჭირვება, ცრუმორწმუნოება, სიღარიბე. ჩაგვრა და  
უუფლებობა. გლეხი მონარქიულ რესეთში შექმნილი იერარ-  
ქიის ყველაზე დაბლა მდგარი არსება. იყო, ყველასათვის ად-  
ვილად გადასათელი დაბალი ლობე.



## ს ა რ ჩ ე ბ ი

ამ წიგნის ავტორი	3
ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობა და დავით ერისთავის „სამშობლო“	7
ილა ჭავჭავაძე — მხატვრული ლიტერატურის კრიტიკოსი	84
ვაჟა-ფშაველა	96
შურნალი „იმედი“	131

8Г1  
899.962.1.09  
О 375

რედაქტორი ნ. ხ თ მ ე რ ი კ ი  
მხატვარი მ. მათიაშვილი  
მხატვ. რედაქტორი იჩ. ჭანაშვილი  
ტექნიკური რ. იმნაიშვილი  
კორექტორი ც. ჭაროსანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VIII 65 წ., ქაღალდის ზომა  $84 \times 108^1/32$ .  
ნაბეჭდი თაბახი 11. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,62.  
უკ 00361. ტირაჟი 2000. შეჯ. № 1037.

ფასი 47 კაპ.

საქ. კა ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,  
Тбилиси, ул. Ленина 14.



Николай Александрович Татишвили  
Литературные очерки  
(На грузинском языке)

Издательство «Литература да Хеловнеба»  
Плеханова, 179  
19 Тбилиси 65

